გიორგი მიქელაძე

კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის საპროცესო სამართალში

თანდართული კაზუსებით

თბილისი, 2021
გამომცემლობა „პრინტექსის საჯარო“

ვუძღვნი მამის ზაურ მიქელაძის ნათელ ხსოვნას.

ნაშრომში განხილულია კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის საპროცესო სამართალში. გამახვილებულია ყურადღება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მსჯელობის თანმიმდევრობა კაზუსის ამოხსნისას, საპროცესო ქმედების კანონიერების ელემენტები, მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები და სპროცესო ნორმების განმარტების ხერხები.

რედაქტორები:
ირაკლი გაბისონია, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი.

ვიოლეტა ფორჩხიძე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

რეცენზენტები:
რაჟდენ ფუტკარაძე, წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.

მზია შავაძე, წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.

იამზე ზანდარაძე, სსიპ აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი

ია შალამბერიძე, წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის ასისტენტი.

ანზორ მახარაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.

გამომცემლობა „იურისტების სამყარო"

თბილისი, მ. კოსტავას №75; 0171
ტელ: (+995 032) 238 35 99; (+995) 557 51 51 34
ვებ-გვერდი: www.law.ge
ელ-ფოსტა: info@law.ge
www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9726-6-9

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

I თავი. რეკომენდაციები და მსჯელობის თანმიმდევრობა კაზუსის ამოხსნისას 6

1. რეკომენდაციები კაზუსზე მუშაობისას 6
2. ფაბულისა და შეკითხვის გააზრება 12
3. ფაქტების გამოკვეთა 16
4. ამოცანების განსაზღვრა 22
5. სამუშაო გეგმის შედგენა 24
6. შესაბამისი ნორმების გამოკვეთა 26
7. ამოცანების გადაჭრა 36
8. მსჯელობის თანმიმდევრობა კაზუსში საპროცესო ქმედებათა სიმრავლისას 42

II თავი. საპროცესო ქმედების კანონიერების ელემენტები 56

1. საპროცესო ქმედების საფუძველი 56
2. საპროცესო ქმედების ვადები 64
3. საპროცესო ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი 71
4. საპროცესო ქმედებაში მონაწილე პირები 81
5. საპროცესო ქმედების განხორციელების ზოგადი წესები 91
6. საპროცესო ქმედების განხორციელების სპეციალური წესები 98
7. დარღვევათა გამოვლენისას არსებითობის განსაზღვრა 107
8. საჩივრის/შუამდგომლობისა და მათი განხილვის კანონიერება 114

III თავი. მტკიცებულების შეფასებასთან დაკავშირებული კაზუსის ამოხსნის თავისებურებანი 118

1. მტკიცებულების რელევანტურობა 118
2. მტკიცებულების დასაშვებობა 121
3. მტკიცებულების უტყუარობა 130
4. მტკიცებულების დამაჯერებლობა 142

IV თავი. ნორმის განმარტება და კანონის ანალოგია 149

1. ნორმის განმარტების არსი 149
2. ნორმის განმარტების ხერხები 153
3. ნორმის განმარტება მოცულობის მიხედვით 171
4. ანალოგია 175
5. კოლიზია 184

კაზუსის ამოხსნის სქემები 193

კაზუსები დამოუკიდებელი მუშაობისათვის 199

ბიბლიოგრაფია 245

წინასიტყვაობა

თანამედროვე სწავლებაში სტუდენტებს გააჩნიათ ფართო შესაძლებლობა საუნივერსიტეტო კლინიკებში, საადვოკატო ოფისებში, საგამოძიებო ორგანოებსა და საერთო სასამართლოების სისტემაში სტაჟირების და პრაქტიკის ფარგლებში დაეუფლონ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, თუმცა პრობლემურ საკითხად რჩება მათ მიერ სწორი იურიდიული შეფასებების გაკეთება სამართლებრივ ურთიერთობებში. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტი სწავლობს სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას, მის სტრუქტურას, ეძლევა საამისოდ პრაქტიკოსი იურისტების მიერ შედგენილი დოკუმენტების ნიმუშები, მაგრამ ეს ყველაფერი არის სამართლებრივი დოკუმენტების ფორმა. ხშირ შემთხვევაში სტუდენტისათვის ბუნდოვანი რჩება თუ როგორ მივიდა პრაქტიკოსი იურისტი ცალკეულ დასკვნამდე. შესაძლებელია შუამდგომლობის, საჩივრის, დადგენილების, განჩინებისა და სხვა დოკუმენტის ფორმა სწორად შეადგინოს სტუდენტმა, მაგრამ არ იყოს ისინი სწორი სამართლებრივი შინაარსის თვალსაზრისით. მეორის მხრივ სტუდენტებს გააჩნიათ ფართო წვდომა სხვადასხვა სახელმძღვანელოებზე, კომენტარებზე, მონოგრაფიებზე, დისერტაციებზე და სასამართლო გადაწყვეტილებებზე, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ცოდნის სისტემაში მოყვანისათვის. საპროცესო ქმედებათა კანონიერების შესაფასებლად კვალიფიციურ იურისტს უნდა შეეძლოს ცოდნის მართვა, მისი ლოგიკური დალაგება და მსჯელობის თანმიმდევრულად წარმართვა. სტუდენტისათვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს არამხოლოდ მიღებულ გადაწყვეტილებებს, არამედ მეთოდოლოგიურ გზას ამ გადაწყვეტილებამდე, გზას საპროცესო ურთიერთობის საწყისიდან საბოლოო შედეგებამდე.

სწავლის დასრულების შემდგომ იურისტს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად შეაფასოს მატერიალური თუ საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობების კანონიერება, საამისოდ უნდა გააჩნდეს ცოდნა და უნარები, თუ რა მეთოდების გამოყენებით გაართვას თავი ცალკეულ ამოცანას. სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს: მეთოდიკას, ხერხებს და ტექნიკას ცალკეული კაზუსების ამოსახსნელად, რათა პრაქტიკაში არ იყოს დამოკიდებული კოლეგების კეთილ ნებაზე.

ქართულ სინამდვილეში იურიდიული სწავლების წინ გადადგმული ნაბიჯია ბოლო წლებში ისეთი დისციპლინის შემოღება, როგორიცაა კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამართლის სხვადასხვა დარგებში. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტებში დასკვნის ფორმირებისა და მისი სტილის დაცვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. კაზუსის ამოხსნის მეთოდიკის ფლობა, შესაბამისად სწორი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი, დაიცავს სტუდენტს დაუსაბუთებელი და ზედაპირული დასკვნებისაგან. ხშირია შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის პროცესში კაზუსის ამოხსნისას სტუდენტს გააჩნია ცოდნა შესაბამის ნორმებზე, ავითარებს გარკვეულ მოსაზრებებს, თუმცა არ იცის საიდან დაიწყოს მსჯელობა, რა შეამოწმოს, რა თანმიმდევრობით, რა ფარგლებში და ასე შემდეგ. კაზუსის ამოხსნის მეთოდების ფლობა დაგვეხმარება კაზუსის დამუშავებასა და მის სწორად ამოხსნაში.

წინამდებარე სახელმძღვანელო პირველი მცდელობაა ქართულ სწავლებაში შექმნილიყო კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის საპროცესო სამართალში. ამასთან შევეცადეთ განგვემარტა მნიშვნელოვანი საპროცესო ინსტიტუტები სისხლის საპროცესო სამართალში. სახელმძღვანელოში გადმოცემულია რეკომენდაციები და მსჯელობის თანმიმდევრობა კაზუსის დამუშავებისას, საპროცესო ქმედების კანონიერების კრიტერიუმები და მათი თანმიმდევრობა, ნორმის განმარტების ხერხები და მტკიცებულების შეფასებასთან დაკავშირებული კაზუსის ამოხსნის თავისებურებანი.

I თავი

რეკომენდაციები და მსჯელობის თანმიმდევრობა კაზუსის ამოხსნისას

1. რეკომენდაციები კაზუსზე მუშაობისას

კაზუსის ამოხსნა ყოველთვის მოითხოვს გეგმაზომიერ და თანმიმდევრულ მიდგომას, პრობლემის დანახვას, არსებითისა და უმნიშვნელოს გამიჯვნას, ამოცანის დასახვას და მსჯელობის აგებას სწორი მიმართულებით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საკანონმდებლო ნორმების ცოდნა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი კაზუსის ამოსახსნელად თუ არ დავიცავთ შესაბამის რეკომენდაციებს.

რეკომენდაციები მხოლოდ რომელიმე ეტაპით არ შემოიფარგლება, ისინი ვრცელდება კაზუსის ამოხსნის სხვადასხვა ეტაპებზე. ისინი არ უნდა განვიხილოთ განყენებულად. მათ შორის მჭიდრო კავშირია და რომელიმეს დაუცველობა იქონიებს გავლენას შემდგომ ეტაპებზეც. მარტივი ასახსნელია, რომ ცუდად გააზრებული ფაბულა ან შეკითხვა იქონიებს გავლენას დასკვნის ჩამოყალიბების ეტაპზეც. მეორის მხრივ არც იმის განცდა უნდა გვქონდეს, რომ რეკომენდაციების დაცვა აპრიორი უდრის სწორ დასკვნას, ის არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი გზა კაზუსის სწორად ამოხსნისათვის. ვერ გავალთ ფონს მხოლოდ რეკომენდაციების ცოდნით თუ თავად კანონმდებლობაში არა გვაქვს კარგი თეორიული მომზადება. ცალკეული რეკომენდაციის მნიშვნელობა დამოკიდებულია კონკრეტული კაზუსის სტრუქტურაზეც, ზოგჯერ იმდენად მკაფიოა ფაქტობრივი გარემოებები და შეკითხვაც, რომ მათ გასააზრებლად არაა საჭირო დიდი ძალისხმევა და სხვა მხრივ საჭიროებს კაზუსი ყურადღების მობილიზებას. რეკომენდაციების რაოდენობა არ არის შეზღუდული და თავად სტუდენტსაც შეუძლია შეიმუშაოს ისინი. შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- განსხვავებით სისხლის სამართლისაგან, სადაც შემთხვევის შეფასება რეკომენდებულია სპეციალური ნორმით დაიწყოს, საპროცესო სამართალში კაზუსის ამოხსნისას ურთიერთობის კანონიერების შესაფასებლად მსჯელობა ზოგადიდან

უნდა დავიწყოთ და გავაგრძელოთ შემდგომ სპეციალურით. საპროცესო ქმედების კანონირებისთვის სავალდებულოა დაცული იყოს ზოგადი ნორმებიც და სპეციალური ნორმებიც. სისხლის საპროცესო სამართალში სპეციალური ნორმა ჩვეულებრივ არ გამორიცხავს ზოგადს, პირიქით ლოგიკური გაგრძელებაა მისი. მაგალითად გადაუდებელი აუცილებლობით დათვალიერების ჩატარებისას ერთდროულად გამოიყენება 111-ე და 112-ე მუხლები, როგორც ზოგადი ნორმები დათვალიერების სპეციალურ წესებთან ერთად. მაშინ როდესაც სისხლის სამართალში სპეციალური ნორმა ყოველთვის გამორიცხავს ზოგადით კვალიფიკაციას. მაგალითად; როდესაც კაზუსში იკვეთება 111-ე მუხლის, აფექტში მკვლელობის ნიშნები, კვალიფიკაციას არ ვიწყებთ 108-ე მუხლით.

- არ იქნება სწორი კაზუსში აღწერილი ქმედების შესახებ, თუ ვიტყვით, რომ პრაქტიკაში ასე არ მოხდებოდა ან განსხვავებულად განხორციელდებოდა. შეუძლებელია პრაქტიკულ საქმიანობაში ყოველთვის ყველაფრის წინასწარ განჭვრეტა და მეორეც; კაზუსის მიზანია სწორად დაანახოს სტუდენტს ნორმები, განუვითაროს მისი მოძიებისა და განმარტების უნარ-ჩვევები. მაგალითად: კაზუსში ნათქვამია: მოწმის ჩვენებით რამოდენიმე დღის წინ საავადმყოფოში მიყვანისას გარდაცვლილი პირი იყო მოწამლული, რაზეც ექიმებს არ გაუციათ დასკვნა და არც გამოძიება იყო დაწყებული. მოვლენების ამგვარი განვითარება პრაქტიკაში ნაკლებად წარმოსადგენია, თუმცა არ არის გამორიცხული. სტუდენტმა მოცემულობად უნდა მიიღოს კაზუსში აღწერილი ურთიერთობა და უპასუხოს მის შესაბამისად.
- კაზუსის ამოხსნისას არ უნდა ვიმსჯელოთ გარემოებებზე, რომლებსაც კონკრეტული შეკითხვის ფარგლებს გარეთ გავყავართ, როდესაც პასუხი სცდება შეკითხვის შინაარსს ის ყოველთვის მცდარია.
- თუ კაზუსი ბუნდოვანია უნდა გამოვიყენოთ გამორიცხვის მეთოდი და მივიჩნიოთ, რომ ატიპიურ შემთხვევებს არ აქვს ადგილი. ასეთის არსებობისას ისინი ნათლად იქნებოდა კაზუსში მითითებული. მაგალითად; როდესაც კაზუსში აღ-

წერილია, რომ მაგისტრატ მოსამართლესთან იხილება შუამდგომლობა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკის თაობაზე უნდა მივიჩნიოთ, რომ შუამდგომლობა დაყენებულია პროკურორის მიერ, რადგანაც გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკის უფლება დაცვის მხარეს არ გააჩნია.

- კაზუსში შესაძლოა მინიშნებული იყოს: ადვოკატის, პროკურორის, ანდა მოსამართლის განმარტებებზე, რაც შეიძლება სწორად ჟღერდეს, თუმცა რომელიმეს მოსაზრება არ უნდა მივიჩნიოთ აპრიორი ჭეშმარიტებად ან მცდარად, კაზუსი უნდა შევაფასოთ არა რომელიმე სუბიექტის პოზიციიდან, არამედ კანონმდებლობიდან გამომდინარე.

პასუხი არ უნდა იყოს მხოლოდ კოდექსზე დაფუძნებული, საპროცესო კანონმდებლობა არ უნდა დავიყვანოთ მხოლოდ კოდექსის დონემდე. ნორმები უნდა განვიხილოთ იერარქიულ სიბრტყეში, რომლის სათავეშიც ცხადია არის კონსტიტუცია. კონსტიტუციის ნორმები ზოგჯერ პირდაპირ და უშუალოდ ეხება საპროცესო ურთიერთობებს. განსხვავებით პრაქტიკისაგან, სადაც მოქმედებს ნორმის კონსტიტუციურობის პრეზუმფცია, ვიდრე არ იქნება მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თეორიული მსჯელობისას ამგვარი ჩარჩოები არ არსებობს. კაზუსის ამოხსნისას ნორმის კონსტიტუციასთან წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება კონსტიტუცია. ოღონდ სტუდენტს მოეთხოვება მაღალი აკადემიურობით დაასაბუთოს ნორმის ანტიკონსტიტუციურობა. საპროცესო ქმედებათა მომწესრიგებელი ნორმების ანტიკონსტიტუციურობისას განხორციელებული საპროცესო ქმედებები უნდა შეფასდეს უკანონოდ. საგულისხმოა ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების პირდაპირი მოქმედების ძალა და საჭიროების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა იხელმძღვანელოს მათი დღის წესრიგითაც.

პასუხი კაზუსზე უნდა გაეცეს კანონმდებლობიდან გამომდინარე, შეცდომა იქნება დასაბუთება სამართლიანობის ზოგად იდეებზე აპელირებით. ზოგჯერ კანონი უსამართლოა, თუმცა ყოველთვის უზენაესია, სწორია ის პასუხი, რომელიც

ემყარება კანონს, თუ ის არ არის შეუსაბამო კონსტიტუციის რომელიმე ნორმასთან.

- პასუხი კაზუსზე არ უნდა ვასაბუთოთ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებით და მათ წარმომადგენელთა მოსაზრებებით. ზოგჯერ სტუდენტები სხვადასხვა ორგანიზაციებში სტაჟირებისას იქ მოსმენილ პოზიციებს იღებენ ბრმად, როგორც ჭეშმარიტებას. რაც არ არის მიზანშეწონილი.
- პასუხი კაზუსზე არ ჩაითვლება სწორად თუ იქნება დასაბუთება, რომ პრაქტიკაში ასე ხდება. პრაქტიკის შესწავლა არ არის ურიგო, თუმცა არის საკითხები, რომლებზეც განსხვავებული პოზიციებია განჩინებებში. გარდა ამისა მარტივი შესაძლებელია შეიცვალოს მიდგომები პრაქტიკაში. კაზუსის ამოხსნისას უნდა ჩანდეს ანალიზი, განხილვა, ლოგიკური მსჯელობა და ისე უნდა კეთდებოდეს დასკვნები.
- კანონში ყველაფერი ვერ იქნება სიტყვასიტყვით გადმოცემული, სტუდენტს მოეთხოვება კანონმდებლობის სწორი ინტერპრეტაცია. მაგალითად; 72-ე მუხლის დათქმა, რომ დაუშვებელია კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება არ უნდა გავიგოთ სიტყვასიტყვით. დასაშვებია ასეთი მტკიცებულებაც, თუ ის არის გამამართლებელი შინაარსის და დარღვევით მოპოვება კი განხორციელებულია ბრალდების მხარის მიერ. შესაძლოა ხარვეზიც კანონმდებლობაში, რა დროსაც უნდა მივმართოთ კანონის ანალოგიას.
- როდესაც კაზუსში აღწერილ გარემოებათა ირგვლივ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები სტუდენტმა უნდა დაასაბუთოს რატომ უარყო ერთი და მიემხრო მეორე პოზიციას. მაგალითად; არაერთგვაროვანია სასამართლო იმასთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას თანამესაკუთრის თანხმობა უნდა ეხებოდეს თუ არა ნივთის ამოღებასაც[1]. (იგულისხმება მხოლოდ დახურულ სივრცეში დათვალიერების ჩატარებისას ამოღება, რადგან ჩხრეკა/ამოღება თუ არ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა

1 იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტიური, თბილისი 2015. გვ. 371-372

შეიძლება მხოლოდ მოსამართლის განჩინებით. გადაუდებელი აუცილებლობისას კი რაზეა მესაკუთრე თანახმა არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან შემდგომ მაინც უნდა მიმართო სასამართლოს საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შფასებისათვის.). სტუდენტი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმით, რომ ემხრობა რომელიმე პოზიციას, მან უნდა დაასაბუთოს თუ რატომ იზიარებს ცალკეულ მოსაზრებას.

- კაზუსზე მუშაობისას სტუდენტმა უნდა გამოიყენოს კანონის აქტუალური ვერსია. პრეტენზია, რომ არ იცოდა განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შესახებ ვერ იქნება გაზიარებული. არ არის გამორიცხული მოქმედი კანონი კაზუსში აღწერილი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გვამისართებდეს უკვე გაუქმებულ კანონზეც. საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე პროცესი გრძელდება 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, გარდა მოქმედი კოდექსის 168^1-ე და 168^2-ე მუხლებით გათვალისწინებული საკითხებისა.

  სისხლის სამართალში დანაშაულის სამი ელემენტიდან ყოველი წინა ელემენტის არ არსებობა გამორიცხავს მომდევნო ელემენტსაც. სხვაგვარად დგას საკითხი პროცესში. კანონიერების სისტემიდან რომელიმე ელემენტის დარღვევა მართალია უკანონოდ აქცევს მთლიანად საპროცესო ქმედებას, მაგრამ არ გამორიცხავს მომდევნო ელემენტებისათვის დადგენილი წესების შემოწმებასაც. თუ კაზუსი გვეკითხება მტკიცებულების დასაშვებობას და მასში აღწერილია მტკიცებულების მოპოვებისა და დამაგრების წესები, მოპოვების წესის დარღვევის დადგენა არ გამორიცხავს დამაგრების წესების შემოწმებასაც. ყველა ელემენტის შეუმოწმებლობა სტუდენტს ვერ ჩაეთვლება უმაღლეს შეფასებად. უნდა შევაფასოთ ყოველი ნორმა, რომელიც გამოყენებული იყო ან უნდა გამოყენებულიყო საპროცესო ურთიერთობისას. მომდევნო ელემენტების დაცვა ვერ გადააქცევს უკანონო საპროცესო ქმედებას კანონიერად, მაგრამ წინა ელემენტების

დარღვევა არ გამორიცხავს მომდევნო ელემენტებისათვის დადგენილი წესების დაცვას. მაგალითად; ვადის დარღვევა არ ნიშნავს, რომ დარღვეულია სხვა ნორმებიც საპროცესო ქმედების განხორციელებისას. განჩინების საფუძველზე ჩხრეკის ჩატარება ოცდაათ დღიანი ვადის დარღვევით უკანონოა, თუმცა უნდა შევაფასოთ ჩხრეკის სპეციალური წესებიც და მივუთითოთ დასკვნაში თუ რომელი ნორმებია უშუალოდ დარღვეული. საპროცესო ქმედება უკანონოდ უნდა შეფასდეს არა ერთი, არამედ ყველა იმ უკანონობით, რომელსაც ადგილი ქონდა მისი ჩატარებისას. მაგალითად; დაცვის მხარე ატარებს დათვალიერებას, ამოღებულ ნივთს არ წარუდგენს მასში მონაწილე პირებს, არ ახდენს მის აღწერას, შეფუთვას, დალუქვას და აშ. აქ საგამოძიებო მოქმედება უკანონოა არამარტო იმიტომ, რომ დაცვის მხარემ არ წარუდგინა ნივთი მონაწილე პირებს, არამედ იმითაც, რომ დარღვეულია ნივთის დამაგრების სამი სპეციალური წესი.

პასუხი კაზუსზე არ უნდა იყოს ლაკონური, კი ან არა. მეორის მხრივ პასუხი არ უნდა იყოს ორიენტირებული მოცულობაზე, მთავარია მსჯელობა და დასაბუთება, მოცულობა ვერ მოახდენს გავლენას დადებით შეფასებაზე.

მსჯელობა უნდა იყოს ამომწურავი, ყოველმხრივ უნდა იყოს განხილული კანონიერება. დასკვნაში უნდა ჩანდეს რომელი მუხლი იყო სწორად ან მცდარად გამოყენებული ან უნდა გამოყენებულიყო. როდესაც დარღვეულია რომელიმე მუხლის ნაწილი, მიეთითოს უშუალოდ ამ ნაწილზე. მაგალითად; როდესაც, კაზუსში გვიწერია, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩატარდა იძულებით, აუცილებელია მივუთითოთ მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევაზე. სისხლის სამართლის პროცესში იძულება შეიძლება გამოყენებულ იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

დასკვნა საპროცესო ქმედების კანონიერებაზე არ უნდა გავაკეთოთ მანამ, ვიდრე არ იქნება შემოწმებული კანონიერების ყველა ელემენტი. რომელიმე ელემენტის დაცულობის დადგენისას დასკვნა კანონიერებაზე ჯერ ნაადრევი იქნე-

ბა. ასეთ შემთხვევაში გადავდივართ მომდევნო ელემენტის შემოწმებაზე. ქმედება მხოლოდ მაშინ არის კანონიერი თუ დაცულია უკლებლივ ყველა წესი მისი განხორციელებისას.

- პასუხი უნდა იყოს ცალსახა, ერთმნიშვნელოვანი, ჩამოყალიბებული მტკიცებითი ფორმით და არაორაზროვნად სცემდეს პასუხს კანონიერებაზე ან უკანონობაზე.

ფაქტობრივი გარემოება კაზუსში შესაძლებელია გამართლებული იყოს სისხლის სამართლებრივად, მაგრამ უკანონო იყოს საპროცესო სამართლის მიხედვით. სტუდენტი უნდა ამოვიდეს მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობიდან. მაგალითად; კაზუსში მითითებულია. რომ ა-მ ვალის თავიდან აცილების გამო ჩაიდინა მკვლელობა და ბრალდება 108-ე მუხლიდან მოსამართლემ განაჩენში გადააკვალიფიცირა 109-ე მუხლზე, ანგარებით მკვლელობაზე. ასეთი კვალიფიკაცია მატერიალურად სწორია, მაგრამ პროცესუალურად უკანონოა. მოსამართლეს არა აქვს უფლება დაამძიმოს ბრალდება. 273-ე მუხლის პირველი ნაწილი კვალიფიკაციის შეცვლას არსებითი განხილვისას უშვებს მხოლოდ ბრალდებულის სასარგებლოდ.

- ყველაფერთან ერთად სტუდენტმა უნდა აკონტროლოს დროც, მან უნდა შეძლოს ჩაეტიოს დროში. უნივერსიტეტის შემდგომ პერიოდში ტესტურ თუ წერით საკვალიფიკაციო გამოცდებზე ის ლიმიტირებული იქნება დროში.

2. ფაბულისა და შეკითხვის გააზრება

თუკი სისხლის სამართალში კაზუსი ძირითადად ეხება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას, საპროცესო სამართალში კაზუსი შეიძლება ეხებოდეს საპროცესო ქმედების კანონიერებას ან მისი მოწესრიგების ფორმას მომავალში. საპროცესო ურთიერთობა შეიძლება უკავშირდებოდეს პროცესის ერთ ან რამოდენიმე სტადიას. ის შესაძლებელია მოცემული იყოს განხორციელებული ან განსახორციელებელი სახით და გვევალებოდეს მისი კანონიერების შეფასება ან მოწესრიგების ფორმის განსაზღვრა.

მაგალითი:

სისხლის სამართლის საქმეში, რომელზეც ნინასასამართლო სხდომა ჩანიშნული იყო ოც სექტემბერს მტკიცებულებათა გაცვლა მოხდა თხუთმეტ სექტემბერს.

შეაფასეთ მტკიცებულებათა გაცვლის კანონიერება!

საპროცესო ქმედება აქ მოცემულია განხორციელებული სახით და საჭიროა მისი კანონიერების შეფასება. შესაძლებელია იგივე საკითხი გადმოცემული იყოს განსახორციელებელი ქმედების სახით.

მაგალითი:

განსაზღვრეთ როდის არის მტკიცებულებათა გაცვლის ბოლო დღე, თუ ნინასასამართლო სხდომის თარიღი არის ოცი სექტემბერი! ამ შემთხვევაში უნდა შეფასდეს როგორ განხორციელდეს ქმედება მომავალში.

საპროცესო ურთიერთობა შეიძლება გამოიხატოს საპროცესო უმოქმედობაშიც. მაგალითად; დევნის დაწყების გაჭიანურება, უარი დაზარალებულად ცნობაზე, გამოუცხადებლობა, დუმილის უფლების გამოყენება, უარი დევნის დაწყებაზე, უარი მტკიცებულების გაცნობაზე, შუამდგომლობის ან საჩივრის დაუშვებლობა, გადაუდებელი აუცილებლობით მესაკუთრის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობაზე სასამართლოში შუამდგომლობის წარუდგენლობა (უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით გადაუდებელი აუცილებლობისას, მიუხედავად მესაკუთრის თანხმობით ჩხრეკის ჩატარებისა სავალდებულოა მის კანონიერად ცნობაზე სასამართლოში შუამდგომლობის შეტანა)[2] და აშ. კაზუსი შესაძლოა გვეკითხებოდეს საპროცესო ურთიერთობაში საგამოძიებო მოქმედების სახის განსაზღვრასაც, კონკრეტული მტკიცებულების მოსაპოვებლად უნდა ჩატარდეს ჩხრეკა, ამოღება, დათვალიერება, ექსპერიმენტი თუ სხვა საგამოძიებო მოქმედება.

მაგალითი:

ბრალდებულის ჩვენების თანახმად, მან მკვლელობის იარაღი გადააგდო შემთხვევის ადგილის მიმდებარედ ტბაში.

2 იხ: უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის განაჩენი N609აპ-15

განსაზღვრეთ რა საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს: ჩხრეკა, ამოღება, დათვალიერება თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი (ჩვენების ადგილზე შემოწმება)!

არ არის რეკომენდირებული კაზუსზე მუშაობისას სტუდენტი იმაზე მეტად ჩაუღრმავდეს საკითხს ვიდრე იძლევა საამისო საფუძველს საპროცესო ურთიერთობა. არ არის სწორი გასცდე ფაბულას და ამომწურავად განიხილო რომელიმე საკითხი თუ კაზუსი ეხება მხოლოდ თემის კონკრეტულ გარემოებას.

მაგალითი:

გამომძიებელმა თავის სამუშაო ოთახში დაათვალიერა ჩხრეკისას ამოღებული და დალუქული ნივთი. კერძოდ, მარტომ გახსნა დალუქული ნივთი, დაათვალიერა და ისევ დალუქა.

შეაფასეთ მტკიცებულების დასაშვებობა!

საკითხი ეხება მტკიცებულების დაუშვებლობას თუ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლისა და მასზე დარჩენილი კვალის გაქრობის შესახებ. არ იქნება სწორი თუ სტუდენტი დაიწყებს მსჯელობას ზოგადად მტკიცებულებათა დაუშვებლობის საფუძვლებზე, ამით ის გასცდება ფაბულას.

ფაბულის დამუშავებასთან ერთად მნიშვნელოვანია შეკითხვის და მისი მოცულობის სწორად გააზრება. არასწორად გაგებულ შეკითხვამ შესაძლოა მიგვიყვანოს არასწორ დასკვნამდე. ხშირად კაზუსში მოცემულია ისეთი გარემოებები, რომლებიც ემსახურება სტუდენტის დეზორიენტაციას, რისგან თავის დასაცავად ფაბულის გააზრების შემდგომ მნიშვნელოვანია დავაზუსტოთ შეკითხვის მოცულობა თუ რას გვეკითხება ავტორი. სტუდენტის განმარტება, რომ მას ეგონა სხვა რამეს ეკითხებოდნენ ან შეკითხვა არ იყო ლოგიკური და აშ ვერ იქნება გასაზიარებელი.

მაგალითი:

პოლიციელებმა განახორციელეს ღამის საათებში პირის დაკავება გადაუდებელი აუცილებლობით და ორი საათის განმავლობაში ელოდებოდნენ გამომძიებელს დაკავების ადგილზე დაკავებულის პირადი ჩხრეკისათვის. ამ დროის განმავლობაში კი დაკავებულს არ მიეცა ადვოკატის მოწვევის

უფლება. ჩატარდა ჩხრეკა და შედგა დაკავების ოქმი. დაკავების ოქმის, ამოღებული ნივთისა და სხვა მტკიცებულებების გაცვლა მოხდა 10 იანვარს. ნინა სასამართლო სხდომა ჩანიშნული იყო 16 იანვარს. შეაფასეთ მტკიცებულების წარდგენის კანონიერება!

კაზუსში გვაქვს ორი ფაქტობრივი გარემოება: დაკავების ფარგლებში მტკიცებულების მოპოვება და მტკიცებულებების წარდგენა. პირველი უკანონოდ განხორციელდა მეორე კი ვადის დაცვით, არსებითი მნიშვნელობა აქვს რას გვეკითხება კაზუსი. თუ ვიტყვით, რომ მტკიცებულება არის დაუშვებელი, რადგან მოპოვებული იქნა კანონის დარღვევით პასუხი თავისთავად სწორი იქნება, თუმცა არასწორი იქნება მოცემულ კაზუსში, რადგან ავცდებით შეკითხვას. კაზუსი გვეკითხება მხოლოდ მტკიცებულების წარდგენის კანონიერებაზე და არა მოპოვებაზე.

შეკითხვის მოცულობა ვერ გასცდება ფაბულის ფარგლებს, ის ან ავიწროებს შესაფასებელ გარემოებებს ან ამოწურავს ყველა მათგანს. შეკითხვის მოცულობა ან პროპორციულია ფაბულისა ან ბალანსი დარღვეულია ფაბულის სასარგებლოდ. ის შეიძლება გვეკითხებოდეს: საფუძვლის, ვადების, სუბიექტების, ზოგადი ან სპეციალური წესების შესახებ. შეცდომა იქნება შეკითხვის, როგორც განვრცობა ისე შეზღუდვა. კაზუსი უნდა განვიხილოთ მხოლოდ დასმული შეკითხვის ფარგლებში.

მაგალითი:

გამომძიებლის მიერ გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელდა კირიჩენკოს პირადი ჩხრეკა. საგამოძიებო მოქმედებას თან სდევდა კირიჩენკოს ინტიმურ წერტილებში შეხება, მისი საცვლიდან ამოღებულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერება. კირიჩენკოს თანმხლები პირები პოლიციას უწევდნენ ძალადობრივ წინააღმდეგობას, რის გამოც ოქმის შედგენა მოხდა გამოძიების ადგილზე (პოლიციის განყოფილებაში).

შეაფასეთ მტკიცებულების დამაგრების კანონიერება!

მტკიცებულების კანონიერების კრიტერიუმია, როგორც მისი მოპოვების ისე მისი დამაგრების პროცედურა. თუმცა აქ შეკითხვა ვიწრო მოცულობისაა და ეხება მხოლოდ დამაგრების კანონიერებას. ამიტომ ზედმეტი იქნება მოპოვების კანონიერება-

ზე მსჯელობა. შესაძლებელია პირიქითაც ყოფილიყო და ორივე გარემოებას შეხებოდა შეკითხვა.

არ არის რეკომენდირებული ჯერ შეკითხვის გაცნობა და შემდეგ ფაბულის დამუშავება, მართალია ამ დროს სტუდენტმა იცის რაზე გაამახვილოს ყურადღება და ფოკუსირებულია მხოლოდ შეკითხვის სამიზნეზე, თუმცა ეს იქნება ამოცანის მოჩვენებითი გამარტივება და ხელს შეუშლის ფაბულის სრულად გააზრებას. ჯერ ფაბულა უნდა დავამუშაოთ, დავანაწევროთ აზრობრივად და შემდეგ გადავიდეთ შეკითხვაზე. ასე უფრო მომზადებული შეხვდება სტუდენტი პრაქტიკულ საქმიანობას.

3. ფაქტების გამოკვეთა კაზუსში

საპროცესო ქმედებისა და შეკითხვის გააზრების შემდგომი ეტაპი არის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვეთა ფაბულაში. სტუდენტისათვის გასაგები უნდა იყოს რა საპროცესო შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, რომელიც უნდა შეაფასოს. ფაქტობრივი გარემოებების გაუაზრებლად შეუძლებელია დასკვნის ჩამოყალიბება, მათი ცოდნა არის საფუძველი სწორი დასკვნის ასაგებად. ფაქტობრივი გარემოებების გააზრება უკვე ნიშნავს გონებაში მათ აბსტრაქტულ მიკუთვნებას ცალკეული საპროცესო ინსტიტუტისადმი. ფაქტების გამოკვეთა ნიშნავს მონაცემი აქციო ინფორმაციად და მიაკუთვნო ისინი რომელიმე ელემენტს კანონიერების სისტემაში. ფაბულის დამუშავებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ კანონიერების რომელ ელემენტს ეხება ფაქტობრივი გარემოებები. ისინი შეიძლება ეხებოდნენ საპროცესო ქმედების ვადებს, საფუძველს, განმახორციელებელ სუბიექტებს, მონაწილე პირებს; განხორციელების ზოგად და სპეციალურ წესებს. ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება უკავშირდებოდეს ნებისმიერ საპროცესო ურთიერთობას: საგამოძიებო მოქმედებებს, შუამდგომლობას, საჩივარს, განჩინებას, განაჩენს, დადგენილებას, მიმართვას, მტკიცებულებათა შეფასებას და აშ. ეპიზოდებიც კაზუსში შეიძლება იყოს ერთი ან რამოდენიმე.

მაგალითი:

არსებითი განხილვის სტადიაზე მოსამართლემ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო ჩხრეკის ოქმი და ამოღებული იარაღი. დაუშვებლობის საფუძვლად მიჩნეული იყო მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომ ერთერთ გამომძიებელს, რომელიც მონაწილეობდა საგამოძიებო მოქმედებაში არ მოუწერია ხელი ჩხრეკის ოქმზე.

ამ კაზუსში არის ორი ეპიზოდი: ჩხრეკაში მონაწილე ერთ-ერთი გამომძიებლის მიერ ოქმზე ხელის არ მოწერა და მეორე, ამ საფუძვლით მოსამართლის მიერ არსებითი განხილვისას ოქმისა და მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა. პირველი ფაქტი უკავშირდება საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ზოგად წესს, კერძოდ; დამაგრების წესს, მეორე კი საპროცესო მოქმედების საფუძველს. შესაბამისად უნდა შემოწმდეს დაცული იყო თუ არა მტკიცებულების დამაგრების წესი და დაირღვა თუ არა კანონი არსებითად, მომდევნო ეპიზოდისთვის კი უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა კანონიერი საფუძველი არსებითი განხილვისას მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისათვის. ფაქტების გამოკვეთისას, მიუხედავად კაზუსში მათი თანმიმდევრობისა, ისინი უნდა დავალაგოთ კანონით გათვალისწინებული თანმიმდევრობით. ამავე კაზუსის მაგალითზე, რომ ავხსნათ, ჯერ უნდა შევაფასოთ მტკიცებულების მოპოვების კანონიერება და ისე უნდა შევაფასოთ არსებითი განხილვის სხდომაზე მისი დაუშვებლად ცნობის კანონიერება.

ფაბულის წაკითხვისას ზოგჯერ სტუდენტი ხედავს მსგავსებას ადრე ამოხსნილ რომელიმე კაზუსთან და მიიჩნევს, რომ მსგავსი შინაარსის კაზუსთან აქვს საქმე. ზოგჯერ სტუდენტი კონტექსტს აღიქვამს არაობიექტურად, ექცევა პირველი წაკითხვის შთაბეჭდილების ქვეშ და აღარ აზუსტებს ფაქტობრივ გარემოებებს. საჭიროების შემთხვევაში კაზუსი უნდა წავიკითხოთ რამოდენიმეჯერ. დაუშვებელია ფაქტების შეცვლა, ისინი უნდა მივიღოთ მოცემულობად. ფაქტობრივი გარემოებები შესაძლებელია მოცემული იყოს შეკითხვაშიც, რაც ზოგჯერ კაზუსის შედგენის ტექნიკითაა განპირობებული, ზოგჯერ კი შეგნებულად და მიზნად ისახავს გაურთულოს ერთგვარად ამოცანა გამოსაცდელს. შესაძლოა კაზუსში აღწერილი ფაქტობრივი გარე-

მოებები სამართლებრივად ყველა მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ მოცემული კაზუსისათვის არსებითს განაპირობებს შეკითხვის მოცულობა. თუ რომელი ფაქტობრივი გარემოებებია არსებითი და მნიშვნელოვანი ამას განაპირობებს კანონმდებლობაც. კანონმდებლობა სძენს ფაქტებს მნიშვნელობას და ფაქტები განაპირობებენ კანონის მოქმედებას. ფაქტების გამოკვეთას კაზუსში ორი არსებითი მნიშვნელობა გააჩნია: გავერკვეთ შესაფასებელ საკითხებში და განვსაზღვროთ საძიებო ნორმები. საპროცესო სამართალში ნორმების ძიებას რეგულირების საგნის (ფაქტობრივი გარემოებების) მიხედვით ვახდენთ. ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენს საპროცესო ქმედების კანონიერების შეფასების საგანს. ზოგჯერ ერთიდაიგივე ფაქტობრივი გარემოებები მნიშვნელობს მატერიალურშიც და საპროცესო სამართალშიც. აუცილებელი მოგერიება, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ვითარების შეცვლა, ხანდაზმულობის ვადის გასვლა, ამნისტია და ნორმის უკუძალა მატერიალურ სამართალში წარმოადგენს დანაშაულის ან პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ფაქტობრივ გარემოებებს. პროცესში კი ეს გარემოებები არის 105-ე მუხლით გათვალისწინებული დევნის არ დაწყების ან გამოძიებისა და დევნის შეწყვეტის საფუძვლები.

ფაქტების მიხედვით კაზუსი შეიძლება იყოს მარტივი ან რთული სტრუქტურის იმის შესაბამისად შესდგება ერთი თუ მრავალი ფაქტობრივი გარემოებისაგან. რთული სტრუქტურის შემთხვევაში ფაქტების გამოკვეთა ხდება რამოდენიმე ეტაპად, რიგრიგობით წინარედან მომდევნოს მიმართულებით.

მაგალითი:

პროკურორის შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე არ დააკმაყოფილა მაგისტრატ მოსამართლემ. მისი განმარტებით არ შედიოდა მის კომპეტენციებში ამ შუამდგომლობის განხილვის უფლებამოსილება. უარი პროკურორმა გაასაჩივრა საგამოძიებო კოლეგიაში. შეაფასეთ განხორციელებულ ქმედებათა კანონიერება!

მოცემული კაზუსი რთული სტრუქტურისაა, მასში მოცემულია სამი ფაქტობრივი გარემოება:

- პროკურორის შუამდგომლობა მაგისტრატ მოსამართლესთან საპროცესო შეთანხმებაზე პირველი წარდგენის სხდომაზე;
- მოსამართლის უარი შუამდგომლობაზე;
- უარის გასაჩივრება პროკურორის მიერ საგამოძიებო კოლეგიაში.

კაზუსი გვეკითხება ორივე სუბიექტის ქმედებების კანონიერებაზე, შესაბამისად უნდა გადაიჭრას შემდეგი ოთხი ამოცანა:

- შეუძლია თუ არა პროკურორს იშუამდგომლოს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე;
- შეიძლება თუ არა ეს შუამდგომლობა მაგისტრატმა მოსამართლემ განიხილოს პირველი წარდგენის სხდომაზე;
- შეუძლია თუ არა პროკურორს გაასაჩივროს მაგისტრატი მოსამართლის უარი;
- შეიძლება თუ არა გასაჩივრება საგამოძიებო კოლეგიაში.

შეუძლია თუ არა პროკურორს იშუამდგომლოს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე?

საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის კ ქვეპუნქტის თანახმად; პროკურორი უფლებამოსილია ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად; თუ პროკურორი ბრალდებული და მისი ადვოკატი შეთანხმდებიან საპროცესო

შეთახმების თაობაზე, პროკურორი წერილობით ადგენს შუამდგომლობას. ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, როდესაც კაზუსში არაა მითითებული რაიმე ფაქტობრივ გარემოებაზე იგულისხმება ჩვეულებრივი, კანონის შესაბამისი ქმედება. შესაბამისად უნდა ჩავთვალოთ, რომ შუამდგომლობა იყო წერილობითი და მხარეებს შორის იყო თანხმობა. ამრიგად პროკურორი

იყო უფლებამოსილი ეშუამდგომლა საპროცესო შეთანხმების თაობაზე და დაცული იყო მხარეთა თანხმობისა და შუმდგომლობის წერილობითი ფორმის მოთხოვნები.

შეიძლება თუ არა ეს შუამდგომლობა მაგისტრატმა მოსამართლემ განიხილოს პირველი წარდგენის სხდომაზე?

საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს საგნობრივ განსჯადობას (სასამართლოს ულებამოსილება). მისი მე-2 ნაწილი ჩამოთვლის მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებებს. ამ ნაწილში არ არის მითითებული მაგისტრატი მოსამართლის ასეთ უფლებამოსილებაზე, თუმცა აღნიშნულია, რომ მაგისტრატ მოსამართლეს აქვს საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები. შუამდგომლობა დაყენებულია პირველი წარდგენის სხდომაზე, ამიტომ უნდა შევამოწმოთ ამ თავით გათვალისწინებული ნორმებიც. 197-ე მუხლის პირველი ნაწილის ე ქვეპუნქტის თანახმად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა მაგისტრატი მოსამართლე ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე

მხარეთა მონაწილეობით არკვევს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას და მხარეთა თანხმობის შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. კაზუსში არაა მითითებული 24 საათიანი ვადის დარღვევაზე, შესაბამისად მაგისტრატი მოსამართლე იყო უფლებამისილი განეხილა ეს შუამდგომლობა პირველი წარდგენის სხდომაზე.

შეუძლია თუ არა პროკურორს გაასაჩივროს მაგისტრატი მოსამართლის უარი?

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეს უფლება აქვს ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ქმედება ან გადაწყვეტილება. საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: მხარეს უფლება აქვს სასამართლოს უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე 15 დღის ვადაში გაასაჩივროს

ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. ნორმა ზოგადი ხასიათისა და გულისხმობს მაგისტრატი მოსამართლის უარის გასაჩივრებასაც. მე-3 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად; პროკურორი წარმოადგენს მხარეს. ვინაიდან არც ამ შემთხვევებშია მითითებული კაზუსში ვადებზე, მიიჩნევა, რომ გასაჩივრების ვადები იყო დაცული. შესაბამისად პროკურორი უფლებამოსილია მაგისტრატი მოსამართლის უარი საპროცესო შეთანხმებაზე გაასაჩივროს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

შეიძლება თუ არა საპროცესო შეთანხმებაზე მაგისტრატი მოსამართლის უარის გასაჩივრება საგამოძიებო კოლეგიაში?

215-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ აკონკრეტებს სად შეიძლება საპროცესო შეთანხმებაზე მაგისტრატი მოსამართლის უარის გასაჩივრება; კოლეგიაში თუ პალატაში. სწორედ ამის დადგენაა ჩვენი ამოცანა. მე-20 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით განსაზღვრულია სად საჩივრდება პირველი ინსტანციის, მათ შორის მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებები. მესამე ნაწილში ვკითხულობთ: ამ მუხლის მეორე ნაწილით მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გამო საჩივარს ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში განიხილავს სააპელაციო სასამართლოს საგამოზიებო კოლეგია. მე-4 მუხლში კი საჩივრის განმხილველად ასევე განსაზღვრულია სააპალაციო პალატა. კერძოდ; რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან მაგისტრატი მოსამართლის განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამო სააპელაციო საჩივარს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატა. დასადგენი გვაქვს ამ ორიდან რომელ ნორმაში ექცევა საკითხი! ერთი შეხედვით ორივე ნორმა თანაბრად ისხლიტავს მოცემულ შემთხვევას. მესამე ნაწილის თანახმად საგამოძიებო კოლეგიაში საჩივრდება მაგისტრატი მოსამართლისთვის მე-2 ნაწილით მიკუთვნებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები. (საპროცესო შეთანხმებაზე შუამდგომლობის განხილვა მაგისტრატი მოსამართლის მიერ კი გამომდინარეობს 197-ე მუხლიდან). მეოთხე ნაწილის თანახმად კი სააპელაციო პალატაში საჩივრდება შემაჯამებელი გადაწყვეტილებები. ასეთი უარი არ წარმოადგენს არც შემაჯამებელ გა-

დაწყვეტილებას. ნორმის ასთი სიტყვასიტყვითი განმარტებით ვერ ვიპოვით სწორ გამოსავალს, უნდა მივმართოთ ნომის განვრცობით განმარტებას. კერძოდ, უნდა დავსვათ ორი შეკითხვა:

თუ დაკმაყოფილდა საჩივარი ვის შუძლია მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება და დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება?

მაგისტრატ მოსამართლეს, რომ დაეკმაყოფილებინა შუამდგომლობა, მაშინ სად გასაჩივრდებოდა განაჩენი, კოლეგიაში თუ სააპელაციო პალატაში?

საგამოძიებო კოლეგია ვერ მიიღებს ამგვარ შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, ის იღებს განჩინებებს გამოძიების ირგვლივ არსებულ საკითხებზე. მე-20 მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე განაჩენი ყოველთვის საჩივრდება პალატებში. განვრცობითი განმარტების შესაძლებლობას სწორედ მე-4 ნაწილი იძლევა. ამიტომ პროკურორს საჩივრით უნდა მიემართა სააპელაციო პალატისათვის.

ფაქტების გამოკვეთისა და დასახული ამოცანების გადაჭრის შედეგად შეგვიძლია შევაფასოთ პროკურორის და მოსამართლის ქმედებების კანონიერება. შუამდგომლობა იყო კანონიერი, უარი შუამდგომლობაზე იყო უკანონო და საჩივრით მიმართვა საგამოძიებო კოლეგიისადმი იყო უკანონო.

4. ამოცანის განსაზღვრა

კაზუსში ფაქტობრივი გარემოებების გამოკვეთის შემდგომ სტუდენტმა უნდა განსაზღვროს ამოცანები, რომელთა გადაჭრაც გაიყვანს სწორ პასუხებზე. ამოცანა გულისხმობს რომელი პროცესუალური საკითხები უნდა შემოწმდეს კაზუსის ამოსახსნელად. ამოცანების განსაზღვრა არის საბოლოო მიზნის (საპროცესო ქმედებების კანონიერების შემოწმების) შუალედური ეტაპი. ამოცანას იგივე დატვირთვა გააჩნია პროცესში, როგორიც ჰიპოთეზას კაზუსზე მუშაობისას სისხლის სამართალში. შედარებისათვის, სისხლის სამართალში, როდესაც გვაქვს კაზუსში კონკრეტული დანაშაულის ნიშნები ვავითარებთ ჰიპოთეზას, რომ სავარაუდოდ ჩადენილია ესა და ეს დანა-

შაული და ვიწყებთ მის შემოწმებას (სუბსუმციას).[3] პროცესში კი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვეთის შემდგომ უნდა განვსაზღვროთ რა საკითხები უნდა შემოწმდეს, რომ სწორად შევაფასოთ საპროცესო ქმედების კანონიერება.

მაგალითი:

გამომძიებელმა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში ამოიღო დოკუმენტური მტკიცებულება მისი შინაარსის გამო. დოკუმენტი გამომძიებელმა დაამაგრა დალუქვის გარეშე. წინასასამართლო სხდომაზე ამ დოკუმენტის მტკიცებულებად დასაშვებობის შესახებ შუამდგომლობაში პროკურორს არ მიუთითებია მოწმედ დასაკითხ პირთა სიაში არცერთი პირი, ვინც მოიპოვა, შექმნა ან ვისთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.

დასაშვებია თუ არა მოცემული მტკიცებულება?

ფაქტების გამოკვეთა:

- შინაარსის გამო ამოღებული დოკუმენტის დაულუქაობა;
- მოწმედ დასაკითხ პირთა სიაში დოკუმენტური მტკიცებულების მომპოვებლი, შემქმნელი ან შემნახველი პირის მიუთითებლობა.

ამოცანა:

- იძლევა თუ არა კანონმდებლობა შინაარსის გამო ამოღებული დოკუმენტის დაულუქაობის შესაძლებლობას; უშვებს თუ არა კანონმდებლობა დოკუმენტის მტკიცებულებად დაშვებას მისი მომპოვებელი, შემქმნელი ან შემნახველი პირის დაკითხვის გარეშე.

ამოცანები უნდა განისაზღვროს ფაქტობრივი გარემოებებისა და დასმული შეკითხვის მიხედვით. შესაძლოა კაზუსი ეხებოდეს სხვადასხვა პრობლემას, მაგრამ შეკითხვა ავიწროებდეს მსჯელობის საზღვრებს. დასახული ამოცანები გვერდს უნდა უვლიდეს ყველა იმ გარემოებას, რასაც არ ეხება შეკითხვა. ამოცანის განსაზღვრამდე აუცილებელია გამოირიცხოს ის გარემოებები, რომლებზეც ამოცანის დასახვა არ წარმოადგენს

---

3. იხ. მერაბ ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი, გვ 378-379, თბილისო 2013

საჭიროებას. ვგულისხმობთ ისეთ საკითხებს, რომლებიც ისედაც დადასტურებულია კაზუსში, არ უკავშირდებიან ქმედების კანონიერებას, ძალზედ მარტივია ანდა არაა მათზე გამახვილებული ყურადღება კაზუსში. მაგალითად; არის თუ არა პროკურორი მხარე, დევნის სუბიექტი ან ბრალმდებელი ამაზე ამოცანის განსაზღვრა დროის ფუჭი ფლანგვა იქნება. ამოცანის განსაზღვრა არის მეოთხე ეტაპი კაზუსის ამოხსნის მეთოდიკაში. ფაბულის წაკითხვის, შეკითხვის გააზრებისა და ფაქტების გამოკვეთის შემდეგ ვახდენთ ამოცანების განსაზღვრას თუ რა საკითხები უნდა გადაიჭრას. ამოცანის განსაზღვრა მნიშვნელოვანია სხვა კუთხითაც, ნამუშევრის დადებითად შეფასებისათვის კაზუსში უნდა ჩანდეს სტუდენტის მიერ ფაქტების გამოკვეთა, ამოცანების განსაზღვრა, გეგმის შედგენა და მათ საფუძველზე გაკეთებული დასკვნა. მხოლოდ სწორი პასუხის ჩამოყალიბება არ არის საკმარისი, შესაძლოა სწორი პასუხი არასწორი გზით მიიღოს სტუდენტმა.

5. სამუშაო გეგმის შედგენა

დროის დაზოგვისა და დასახული ამოცანების გადასაჭრელად მომდევნო ეტაპზე უნდა შედგეს წინასწარი სამუშაო გეგმა. გეგმაში უნდა მოვნიშნოთ ყველა ელემენტი, რომელიც საჭიროებს შეფასებას და ელემენტები, რომლებიც დადასტურებულად მიიჩნევა. ასეთად ითვლება კანონიერების სისტემაში ის კრიტერიუმები, რომლებიც დადასტურებულია კაზუსში, არ უკავშირდებიან ქმედების კანონიერებას, ძალზედ მარტივია ანდა არაა მათზე გამახვილებული სათანადო ყურადღება.

მაგალითი:

ანგარებით მკვლელობაში ბრალდების საქმეზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ჩხრეკის თაობაზე განჩინების გამოსატანად. დაცვის მხარის ვერსიით მკვლელი სხვა პირი იყო და დასაბუთებული ვარაუდით ჩხრეკის შედეგად აღმოაჩენდნენ დანაშაულის იარაღს. ჩხრეკის დაწყებამდე, წინა დღით პატიმრობაში მყოფ ბრალდებულმა უარი თქვა თავის ადვოკატზე და მოითხოვა საპატიმროდან გაყვანა რათა თა-

ვად დასწრებოდა ჩხრეკას. ბრალდებულის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა დამცველისა და ბრალდებულის გარეშე.ჩხრეკის შედეგად გამომძიებელმა ამოიღო დანა, რომელიც აღმოჩნდა მკვლელობის იარაღი. დანაზე ბრალდებულის შემხებლობა გამოირიცხა.

იყო თუ არა ჩატარებული ჩხრეკა კანონიერი და მოპოვებული დანა დასაშვები მტკიცებულება?

ფაქტების გამოკვეთა:

- დაცვის მხარის შუამდგომლობა ჩხრეკის ჩატარების თაობაზე;
- ჩხრეკის წინა დღეს პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის უარი ადვოკატზე და მოთხოვნა თავად დაასწრონ საგამოძიებო მოქმედებას;
  ჩხრეკის ჩატარება ბრალდებულის და დამცველის გარეშე;
- დანაშაულის საგნის ამოღება, რაზეც არ დგინდება ბრალდებულის შემხებლობა.

ამოცანები:

- აქვს თუ არა დაცვის მხარეს უფლება დააყენოს შუამდგომლობა ჩხრეკაზე;
- ვინ ატარებს ჩხრეკას დაცვის მხარის შუამდგომლობით;
- აქვს თუ არა დაცვის მხარეს უფლება დაესწროს მისი შუამდგომლობით ჩატარებულ ჩხრეკას;
- შეუძლია თუ არა ბრალდებულს უარი თქვას ადვოკატზე და პატიმრობის მიუხედავად დაესწროს დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებულ ჩხრეკას;
- დასაშვებია თუ არა ბრალდების მხარის მიერ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება თუ ის ამსუბუქებს ბრალდებულის მდგომარეობას.

დასახული ამოცანებიდან და ფაბულიდან გამომდინარე კანონიერების სისტემაში უნდა მოვნიშნოთ რომელი ელემენტებია სამსჯელო და რომელი ელემენტები არ მოითხოვენ მსჯელობას.. პირველი ელემენტი (საპროცესო ქმედების საფუძველი) გასარკვევია, უნდა გავარკვიოთ აქვს თუ არა დაცვის მხარეს უფლება იშუამდგომლოს ჩხრეკის თაობაზე. მეორე ელემენ-

ტი (საპროცესო ქმედების ვადები) არ საჭიროებს მსჯელობას, რადგან კაზუში არ არის მითითებული რაიმე საპროცესო ვადების შესახებ. სამსჯელოა ასევე ქმედების განმახორციელებელი და მასში მონაწილე სუბიექტების ელემენტებიც (აქვს თუ არა გამომძიებელს უფლება ჩაატაროს ჩხრეკა დაცვის მხარის შუამდგომლობით და თავად დაცვის მხარეს აქვს თუ არა უფლება დაესწროს ამ ჩხრეკას). რაც შეეხება მომდევნო ორ ელემენტს (საპროცესო ქმედების ზოგად და სპეციალურ წესებს) მათ არ ეხება კაზუსი, შესაბამისად კანონიერების ეს კრიტერიუმები არ მოითხოვენ მსჯელობას. ის ელემენტები, რომლებზეც არ არის საჭირო მსჯელობა, მათი მოთხოვნები ითვლება დაცულად. ამის შემდეგ უნდა შევადგინოთ სამუშაო გეგმა. ელემენტები, რომლებიც საჭიროებს მსჯელობას აღვნიშნოთ კითხვითი ნიშნით, ის ელემენტები კი რომლებიც არ საჭიროებს გამოკვლევას აღვნიშნოთ პლუსი ნიშნით.

სამუშაო გეგმა:

- საპროცესო ქმედების საფუძველი?
- საპროცესო ქმედების ვადები+
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი?
- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები?
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები+
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები+

6. შესაბამისი ნორმების გამოკვეთა

ფაბულის დამუშავების, შეკითხვის გააზრების, ფაქტების გამოკვეთის, ამოცანების განსაზღვრისა და სამუშაო გეგმის შედგენის შემდგომ, გადავდივართ მომწესრიგებელი ნორმების გამოკვეთაზე. სწავლების პერიოდში გააზრებული ნორმა ბუნებრივად გვახსენებს თავს შესატყვისი საპროცესო ურთიერთობების არსებობისას. შესაბამისი ნორმის განსაზღვრისათვის ფაქტების გამოკვეთის ეტაპზე ყურადღება უნდა მივაქციოთ თუ რა საპროცესო ურთიერთობებია მოსაწესრიგებელი. ნორმები საპროცესო კოდექსში სისტემატიზირებულია საპროცესო ურთიერთობების ანუ რეგულირების საგნის მიხედვით. ურთიერ-

თობები შეიძლება ატარებდეს ზოგად, გვარეობით და უშუალო ხასიათს. თავდაპირველად ყურადღება უნდა მივაქციოთ პროცესის რომელ სტადიას უკავშირდება შესაფასებელი საპროცესო ქმედება, რადგან სტადია განსაზღვრავს რეგულირების ზოგად საგანს. მომდევნო ეტაპზე ვიწროვდება ნორმის ძებნის არეალი და ვარკვევთ რომელ ინსტიტუტს უკავშირდება ქმედება ამ სტადიის შიგნით. ინსტიტუტები განსაზღვრავენ რეგულირების უფრო ვიწრო საგანს- მსგავსი ხასიათის ურთიერთობებს, ეს არის რეგულირების გვარეობითი საგანი. ინსტიტუტების შიგნით კი ვეძებთ უშუალო ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ შესაფასებელ საპროცესო ქმედებას, უშუალო ნორმები განსაზღვრაევენ და აწესრიგებენ რეგულირების უშუალო საგანს.

რეგულირების ზოგადი საგანი განაპირობებს საპროცესო კოდექსის დაყოფას კარებად, მოწესრიგების გვარეობითი საგანი განაპირობებს კოდექსის დაყოფას თავებად, უშუალო საგანი კი თავების დაყოფას მუხლებად. რეგულირების ზოგად საგანში იგულისხმება გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების სფეროში არსებული ურთიერთობები. მაგალითად; გამოძიება, არის მოწესრიგების ზოგადი საგანი და რეგულირების გვარეობითი საგნის მიხედვით ის დაყოფილია ცალკეულ ინსტიტუტებად. ეს ინსტიტუტები არის: საგამოძიებო მოქმედებები, კომპიუტერული საგამოძიებო მოქმედებები, ფარული საგამოძიებო მოქმედებები და სხვა საპროცესო მოქმედებები. თითოეული მათგანი თავის მხრივ დაყოფილია რეგულირების უშუალო საგნის მიხედვით. მაგალითად; ჩხრეკა/ამოღების წესი, დათვალიერების წესი, ინფორმაციის გამოთხოვის წესი და აშ წარმოადგენენ უშუალოდ მომწესრიგებელ ნორმებს.

იგივე პრინციპითაა აგებული ზოგადი ნაწილიც. კარები აგებულია რეგულირების ზოგადი საგნის მიხედვით, თავები გვარეობთი საგნისა და მუხლები უშუალო საგნის მიხედვით. პირველ კარში მოცემულია პროცესის კანონმდებლობა და პრინციპები, მეორეში სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტები. ამ თვალსაზრისით კანონმდებლის უგემოვნობაზე მეტყველებს მესამე კარი ზოგად ნაწილში. ის დასათაურებულია მტკიცებულების სახელწოდებით და მასში მოცემულია: პროცესის მონაწილეთა პასუხისმგებლობის, საჩივრის, შუამდგომლობის და ვადე-

ბის თავებიც. ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ნორმების გამოყენების საკითხი შეიძლება წარმოიშვას, როგორც გამოძიების, ისე დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების სტადიებზე. ისინი საერთო ხასიათს ატარებენ კერძო ნაწილის ცალკეული ინსტიტუტების მიმართ. მაგალითად; აცილების საფუძვლები ცალცალკე ვერ იქნება მითითებული პირველი წარდგენის სხდომაზე, წინასასამართლო სხდომაზე, არსებითზე, აპელაციასა და კასაციაში. შესაბამისად საკითხი, რომელიც კაზუსზე მუშაობისას ლოგიკურად განეკუთვნება ზოგადი ნაწილის ნორმის მოწესრიგების საგანს, მისი მარეგულირებელი ნორმის ძიება უნდა დავიწყოთ ზოგადი ნაწილიდან. ნორმის მოძიების მაგალითისათვის გავაგრძელოთ წინა პარაგრაფში მოყვანილი კაზუსის განხილვა.

კაზუსი:

ანგარებით მკვლელობაში ბრალდების საქმეზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ჩხრეკის თაობაზე განჩინების გამოსატანად. დაცვის მხარის ვერსიით მკვლელი სხვა პირი იყო და დასაბუთებული ვარაუდით ჩხრეკის შედეგად აღმოაჩენდნენ დანაშაულის იარაღს. ჩხრეკის დაწყებამდე, წინა დღით, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულმა უარი თქვა თავის ადვოკატზე და მოითხოვა საპატიმროდან გაყვანა, რათა თავად დასწრებოდა ჩხრეკას. ბრალდებულის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა დამცველისა და ბრალდებულის გარეშე. ჩხრეკის შედეგად გამომძიებელმა ამოიღო დანა, რომელიც აღმოჩნდა მკვლელობის იარაღი. დანაზე ბრალდებულის შემხებლობა გამოირიცხა.

იყო თუ არა ჩატარებული ჩხრეკა კანონიერი და მოპოვებული დანა დასაშვები მტკიცებულება?

ფაქტების გამოკვეთა:

- დაცვის მხარის შუამდგომლობა ჩხრეკის ჩატარების თაობაზე;
- ჩხრეკის წინა დღეს პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის უარი ადვოკატზე და მოთხოვნა თავად დაესწრონ საგამოძიებო მოქმედებას;

- ჩხრეკის ჩატარება ბრალდებულის და დამცველის გარეშე;
- დანაშაულის საგნის ამოღება, რაზეც არ დგინდება ბრალდებულის შემხებლობა

ამოცანები:

- აქვს თუ არა დაცვის მხარეს უფლება დააყენოს შუამდგომლობა ჩხრეკაზე;
- ვინ ატარებს ჩხრეკას დაცვის მხარის შუამდგომლობით;
- აქვს თუ არა დაცვის მხარეს უფლება დაესწროს მისი შუამდგომლობით ჩატარებულ ჩხრეკას;
- შეუძლია თუ არა ბრალდებულს უარი თქვას ადვოკატზე და პატიმრობის მიუხედავად დაესწროს დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებულ ჩხრეკას;
- დასაშვებია თუ არა ბრალდების მხარის მიერ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება თუ ის ამსუბუქებს ბრალდებულის მდგომარეობას.

სამუშაო გეგმა:

- საპროცესო ქმედების საფუძველი?
- საპროცესო ქმედების ვადები+
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი?
- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები?
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები+
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები+

მომწესრიგებელი ნორმების განსაზღვრა:

პირველი საკითხი, რომელიც უნდა გაგვერკვია არის აქვს თუ არა დაცვის მხარეს უფლება დააყენოს შუამდგომლობა ჩხრეკაზე. საკითხი ეხება გამოძიების სტადიას, შესაბამისად საჭირო ნორმა უნდა ვეძებოთ გამოძიების სტადიაზე (გამოძიების კარში). გამოძიების კარში ერთიანდება სხვადასხვა ინსტიტუტები, ჩვენი შესაფასებელი საკითხი ეხება საგამოძიებო მოქმედებათა თავს. საგამოძიებო მოქმედებათა თავში გვაქვს ორი ზოგადი მუხლი, 111-ე და 112-ე მუხლები. პირველი ეხება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგად წესს, მეორე კი სასამართლოს განჩინებით ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებებს. ჩვენთვის

საინტერესო ნორმა შეიძლება იყოს აქ ან უშუალოდ ჩხრეკის წესებში. სხვა დანარჩენი მუხლები ამ თავში ეხება სხვა საგამოძიებო მოქმედებებს. მოცემული მუხლების შემოწმებისას პირველ ნაწილებში აღმოვაჩენთ ჩვენთვის საინტერესო ნორმებს, რომლებითაც წესრიგდება კაზუსში მოყვანილი საკითხი.

მხარეებს ამ კოდექსით დადგენილი წესით საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება- მოვალეობები. მხარეები საგამოძიებო მოქმედებას ატარებენ ამ კოდექსით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში. დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს. გამომძიებელი უნდა შეარჩიოს საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელმა და მისი ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები დაცვის მხარეს უნდა ეცნობოს შუამდგომლობით მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე. ამ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ბრალდებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული სასამართლოს წარუდგენს მტკიცებულებებს, რომლებითაც დადასტურდება მის მიერ ამ ხარჯების ანაზღაურების შეუძლებლობა. დაცვის მხარეს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს თავისი მოთხოვნით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში. (111.1)

საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. მოსამართლე შუამდგომლობისა და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს შუამდგომლობის დამყენებელი მხარის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში შუამდგომლობის განხილვისას გამოიყენება ამ კოდექსის 206-ე მუხლით გათვალისწინებული წესი. თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ

ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად.(112.1)

მეორე საკითხი იყო ვინ ატარებს ჩხრეკას დაცვის მხარის შუამდგომლობით! აქაც, ვინაიდან საკითხი ეხება გამოძიების სტადიას და საგამოძიებო მოქმედებას, იგივე პრინციპით ვექცევით საგამოძიებო მოქმედებათა თავში და იმავე ლოგიკით გვრჩება იგივე მუხლები, რომელშიც შესაძლოა იყოს შესაბამისი ნორმა. ესენია: 111-ე, 112-ე მუხლები ან წესები ჩხრეკის შესახებ. 111-ე მუხლის პირველ ნაწილში აღმოვაჩენთ ჩვენთვის საჭირო ნორმას.

მესამე საკითხი ეხება აქვს თუ არა დაცვის მხარეს უფლება დაესწროს მისი შუამდგომლობით ჩატარებულ ჩხრეკას! გარდა იმისა, რომ საკითხი ეხება გამოძიების სტადიას, საკითხი ეხება ასევე დაცვის მხარის დასწრების უფლებას, ეს უფლება განეკუთვნება ზოგადი ნაწილით მოწესრიგებულ საკითხსაც. ზოგად ნაწილში დაცვის მხარის შესახებ ნორმები მოცემულია 38-ე 46-ე მუხლებში. ამ მუხლებში დასწრების უფლებაზე საუბარია 38-ე და 40-ე მუხლებში. ძიებას ვაგრძელებთ ასევე კერძო ნაწილში, რადგან საკითხი ეხება გამოძიების სტადიას. სტადიიდან ინსტიტუტისაკენ პრინციპით ნორმის ძიებით ჩვენთვის საინტერესო ნორმას ვნახავთ საგამოძიებო მოქმედებათა თავშიც, 111-ე მუხლის პირველ ნაწილში.

ბრალდებულს უფლება აქვს: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში; მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს. (38.7)

ბრალდებულს დროულად უნდა შეატყობინონ მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი. ბრალდებულს არა აქვს მისი ჩატარების არასაპატიო მიზეზით გადა-

დების მოთხოვნის უფლება. თუ ბრალდებული დაპატიმრებულია და ჰყავს ადვოკატი, ასეთ საგამოძიებო მოქმედებას ესწრება მისი ადვოკატი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ საგამოძიებო მოქმედებაში ბრალდებულის უშუალო მონაწილეობა აუცილებელია. თუ ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს გონივრულ ვადაში არ ეცნობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, ასეთი საგამოძიებო მოქმედება არ უნდა ჩატარდეს, ხოლო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. (40.2)

მეოთხე საკითხი ეხებოდა შეუძლია თუ არა ბრალდებულს უარი თქვას ადვოკატზე და პატიმრობის მიუხედავად დაესწროს დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებულ ჩხრეკას! სახეზე გვაქვს ადვოკატის ყოლისა და მასზე უარის უფლება, ასევე პატიმრობაში მყოფი პირის დასწრების უფლება, რაც განეკუთვნება ზოგადი ნაწილის რეგულირების სფეროს. შესაბამისად საჭირო ნორმები შესაძლოა იყოს 38-ე- 46-ე მუხლებში. ჩვენთვის საინტერესო ნორმები მოცემულია 38-ე მუხლის მე-6 ნაწილში, მე-40 მუხლის მე-2 ნაწილში და 45-ე მუხლში. სრულყოფილად გამოკვლევისათვის ნორმის ძიებას ვაგრძელებთ ასევე გამოძიების სტადიაზე, საგამოძიებო მოქმედებათა თავში. ამ შემთხვევაში არაფერია ნათქვამი პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის დასწრების უფლებასა და მის ურთიერთობაზე ადვოკატთან.


ბრალდებულს უფლება აქვს, უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე და დამოუკიდებლად დაიცვას თავი, რისთვისაც მას უნდა მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება. ბრალდებულს არ შეუძლია უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე, თუ არსებობს ამ კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა. (38.6).


სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით. (45.ე)

მეხუთე საკითხი ეხება დასაშვებია თუ არა ბრალდების მხარის მიერ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება თუ ის ამსუბუქებს ბრალდებულის მდგომარეობას. რეგულირების საერთო

საგანი აქ არის მტკიცებულება. შესაბამისად საჭირო ნორმა უნდა ვეძებოთ მტკიცებულებათა თავში. ვინაიდან რეგულირების უშუალო საგანი არის მტკიცებულების დასაშვებობა მოპოვების წესებთან დაკავშირებით, უნდა მოვიძიოთ ის ნორმა, რომელიც ანესრიგებს მოპოვების წესის გამო მტკიცებულების დასაშვებობას. მტკიცებულებათა თავი აერთიანებს 72-ე-83-ე მუხლებს. მოპოვების წესთან დაკავშირებით მტკიცებულების დასაშვებობას აწესრიგებს 72-ე მუხლი. **არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია. (72.1).**

რეგულირების საგნის მიხედვით ნორმის ძიება შეგვიძლია გამოვსახოთ დიაგრამებშიც.






დიაგრამა I **დიაგრამა II**

დიაგრამებზე ასახულია ნორმის ძიების მეთოდი დიდიდან მცირესაკენ ანალოგიით. ჯერ მოცემულია მოწესრიგების ზოგადი საგანი: გამოძიება და მართლმსაჯულება, შემდეგ უფრო მცირე კატეგორია- რეგულირების გვარეობითი საგანი: საგამოძიებო მოქმედებები და არსებითი განხილვა, რომლებშიც თავის მხრივ მოქცეულია რეგულირების უშუალო საგანი: პირველ შემთხვევაში ჩხრეკა და მეორე შემთხვევაში მოწმის ჩვენების

გამოქვეყნება. დავუშვათ გვაინტერესებს როგორ არის მოწესრიგებული საპროცესო კოდექსში ნიმუშის აღების საკითხი. ჯერ უნდა განვსაზღვროთ ზოგადი საგანი, ანუ სტადია თუ რას ეხება გასარკვევი საკითხი. ეს სტადია არის გამოძიება. შემდეგ ვირჩევთ გამოძიების ფარგლებში რომელ გვარეობით საგანს განეკუთვნება საკითხი, ეს არის სხვა საპროცესო მოქმედებათა თავი. ამის შემდგომ მოცემულ თავში ვეძებთ მუხლს, რომელიც უშუალოდ აწესრიგებს ჩვენთვის საინტერესო საკითხს. მოცემულ თავში ნიმუშის აღებას ეხება 147-ე და 148-ე მუხლები. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოწესრიგების უშუალო საგანი განეკუთვნება ორი ან მეტი სტადიის რეგულირების ზოგადად საგანს. მაგალითად სასამართლოში მოწმის დაკითხვა, როგორც საპროცესო რეგულირების უშუალო საგანი მოწესრიგებულია, როგორც გამოძიების სტადიაზე ისე არსებითი განხილვის სტადიაზე. ასეთ შემთხვევებს კარგად ხსნის შემდეგი **დიაგრამა.**



ის ნაწილი დიაგრამაზე, რომელიც საერთოა ორივე სტადიისათვის მოქცეულია წრეების თანაკვეთაში. ის გამოხატავს ამ შემთხვევაში საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-12 ნაწილს, 115-ე, 244 და 245-ე მუხლებს, რომლებიც წარმოადგენს საერთო წესებს და გამოიყენება მოწმის სასამართლოში დაკითხვისას გამოძიებისა და არსებითი განხილვის სტადიებზე.

ნორმის ძიებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მითითებითი ნორმებიც, ზოგჯერ კანონმდებელი ერთი მუხლით დად-

გენილი წესებით აწესრიგებს ბევრ სხვა ურთიერთობას. მაგალითად; 206-ე მუხლით დადგენილი წესები აღკვეთის ღონისძიების განხილვის შესახებ, როგორც სხვა ურთიერთობათა განხილვის წესი კანონმდებელს მითითებული აქვს კიდევ შვიდ სხვა შემთხვევაში. კერძოდ; მე-80 მუხლის მე-5, 112-ე მუხლის პირველ და მე-5, 207-ე მუხლის მე-4, 208-ე მუხლის მე-4, 219-ე მუხლის მე-4 და 230[1]-ე მუხლის პირველ ნაწილებში.

საჭირო ნორმის მოსაძებნად უნდა გავითვალისწინოთ მუხლების აგებულებაც, თუ რა ლოგიკითაა ნორმები დალაგებული მასში. შედარებისათვის სისხლის სამართალში ნორმები ძირითადად აგებულია დამამძიმებელ გარემოებათა მზარდი თანმიმდევრობით. საპროცესო სამართალში ნორმების თანმიმდევრობას მუხლებში განაპირობებს მოსაწესრიგებელი პროცედურების რიგითობა. მაგალითად; 120-ე მუხლში ჯერ განსაზღვრულია სად შეუძლია გამომძიებელს ჩხრეკის ჩატარება, შემდეგ დადგენილების ან განჩინების გაცნობა პირისათვის, ვისთანაც ტარდება ჩხრეკა, რასაც მოსდევს გამომძიებლის უფლება აუკრძალოს ჩხრეკის ადგილზე მყოფ პირს იქედან წასვლა, განმარტება ნივთის ნებაყოფლობით წარმოდგენაზე და უარის შემთხვევაში ჩხრეკის იძულებით ჩატარება. შემდეგ მოდის წესები თუ რა ნივთი იძებნება და ამოიღება, აღმოჩენილი ნივთის წარდგენა მონაწილე პირებისათვის, ამოღება, აღწერა და დალუქვა, შესაძლებლობის შემთხვევაში შეფუთვაც. აქ ჩხრეკის პროცედურა ბუნებრივად განაპირობებს ნორმების რიგითობას, ცხადია ნივთის ნებაყოფლობით წარმოდგენის განმარტებამდე ადრე ვერ იქნება მოცემული ამოღება, აღწერა და დალუქვა. პროცედურების რიგითობა განაპირობებს ასევე სტადიების, კარების, თავების და მუხლების თანმიმდევრობას. პროცედურის შესაბამისადაა დალაგებული გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სტადიები, რომლებსაც ემთხვევა მე-4, მე-5 და მე-6 კარები. პროცედურების შესაბამისი თანმიმდევრობითაა დალაგებული დაკავების, აღკვეთის ღონისძიებების, წინასასამართლო სხდომის, არსებითი განხილვის, განაჩენის დადგენის, აპელაციისა და კასაციის თავები. როგორც უკვე აღვნიშნეთ პროცედურების თანმიმდევრობითაა განლაგებული ცალკეული მუხლებიც. მაგალითად; 95-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე

და 99-ე მუხლებში თანმიმდევრობითაა მოწესრიგებული: საჩივრის შეტანის უფლება და წესი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება, საჩივრის განხილვის ზოგადი წესი, საჩივრის გადაწყვეტა და გადაწყვეტილების შეტყობინება შესაბამისად მოწესრიგების უშუალო საგნით ნორმის ძიებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ნორმა თან უნდა ახლდეს; უსწრებდეს ან მოსდევდეს იმ ნორმებს, რომლებსაც პროცედურულად უკავშირდება. თუ ვეძებთ საჩივრისა და შუამდგომლობის გადაწყვეტის ზოგად წესებს ისინი უნდა ვეძებოთ საჩივრისა და შუამდგომლობის შეტანის შესახებ ნორმების შემდგომ, როდესაც გვაინტერესებს კონკრეტული საკითხის გასაჩივრების წესი მას წინ უსწრებს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების წესი და მოსდევს ამ საჩივრის განხილვის წესი (იშვიათი გამონაკლისების გარდა). ნორმის ეფექტური ძიება დამოკიდებულია იმაზეც, რამდენად ლოგიკური ადგილი მიუჩინა მას კანონმდებელმა კოდექსში. ზოგჯერ ნორმა კოდიფიცირებულია მისთვის არაორგანულ მუხლში. ასეთი შემთხვევები საკმაოდ ართულებს ნორმის ძიების პროცესს და უადგილობის გამო ქმნის მისი განმარტების პრობლემასაც.. ზემოთ მოყვანილ კაზუსში ერთ-ერთი ამოცანა გვეკითხებოდა შიძლებოდა თუ არა პატიმრის გამოყვანა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად. 176-ე მუხლის მე-6 ნაწილი ეხება ბრალდებულის გამოყვანას დაკავების ადგილიდან საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად. გაუგებარია რა ლოგიკით მოათავსეს ეს ნორმა მოცემულ მუხლში. ეს მუხლი ადგენს დაკავებულის განთავისუფლების საფუძვლებს. ბრალდებულის გამოყვანა კი არ ნიშნავს მის განთავისუფლებას, მას თან ახლავს შესაბამისი მოხელე და საგამოძიებო მოქმედების შემდგომ ისევ აბრუნებენ საპატიმრო დაწესებულებაში.

შესაბამისი ნორმების მოძიების შემდგომ ვიწყებთ კანონიერების სისტემაში საეჭვოდ მიჩნეული ელემენტების შეფასებას.

7. ამოცანების გადაჭრა

ნორმების გამოკვეთის შემდგომ ვიწყებთ დასახული ამოცანების გადაჭრას. პროცედურა წარიმართება თითოეულ ამოცანაზე ცალკ-ცალკე მათი თანმიმდევრობის შესაბამისად. ამ ეტაპზე მივმართავთ გამოკვეთილი ნორმების განმარტებას

და ფაქტობრივი გარემოებების შედარებას მათთან. ამ დროს გამოიყენება ე.წ. სილოგიზმის მეთოდი, ორი მოცემულობიდან გამოგვყავს მესამე. პირველი მოცემულობა იქნება განმარტებული ნორმა, მეორე კაზუსში გამოკვეთილი ფაქტი და მესამე მათი შედარების შედეგად მიღებული დასკვნა. ამგვარ მეთოდს ჯერ კიდევ აბიტურიენტობის დროს ვიყენებდით ზოგადი უნარების ტესტში, ლოგიკურ ამოცანათა ბლოკში, როდესაც რამოდენიმე დაშვებიდან გამოგვყავდა დასკვნა.

მაგალითი სილოგიზმისათვის:

1. პირველი დაშვება: თუ პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება დანაშაულის აშკარა კვალი შეიძლება პირის დაკავება გადაუდებელი აუცილებლობით. **ნორმის განმარტება:** ნორმა გულისხმობს, რომ თუ პირის სხეულზე, სხეულში, ტანსაცმელზე, ტანსაცმელში, მის ხელთ არსებულ ნივთში, მის სატრანსპორტო საშუალებაში ან მის საცხოვრებელში აღმოჩნდება ისეთი საგანი, ნივთი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელიც მეტყველებს მის მიერ სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენაზე მაშინ შეიძლება მისი დაკავება გადაუდებელი აუცილებლობით.

2. **მეორე დაშვება:** უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საზღვრის კვეთისას შესაბამისი სამსახურის მიერ ბარგის გატარებისას ამ პიროვნების ნივთებში აღმოჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი. აღმოჩენილი ნივთი წარმოადგენს შეზღუდულ ბრუნვაში არსებულ საგანს და მეტყველებს პირის სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებაზე.

3. **დასკვნა:** აღნიშნული პიროვნების დაკავება გადაუდებელი აუცილებლობით იქნება კანონიერი, რადგან მასთან აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი.

სილოგიზმის მოცემულ მაგალითში პირველი ორი მონაცემი წარმოადგენს დაშვებას, მესამე მათგან გამომდინარე მიღებულ დასკვნას. ნორმის მოძიებითა და მისი განმარტებით ვქმნით პირველ დაშვებას, კაზუსში ფაქტების გამოკვეთით და ნორმასთან შედარებით ვქმნით მეორე დაშვებას და მათ საფუძველზე ვიღებთ სილოგიზმის მესამე წევრს, დასკვნას. ამოცანების გადაჭრის ეტაპს კაზუსის ამოხსნის დროს აქვს ისეთივე დატვირთ-

ვა პროცესში, როგორიც სუბსუმციას სისხლის სამართალში. ეს ეტაპი იგივე სუბსუმციაა საპროცესო სამართალში, რაც გერმანულ ენაზე იურიდიულ შეფასებას ნიშნავს.[4]

ამოცანის გადაჭრის პირველ ეტაპზე, ნორმის განმარტების დროს თუ გამოიკვეთა ნორმებს შორის კოლიზია/კონკურენცია ჯერ განვსაზღვრავთ რომელია უპირატესი მოცემული შემთხვევისათვის და შემდგომ მივმართავთ ფაქტობრივი გარემოებების შედარებას მასთან.

მაგალითი:

გამოძიების სტადიაზე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვისას ამ უკანასკნელმა მისცა ირიბი ჩვენება, თუმცა ვერ მიუთითა ინფორმაციის წყარო. წინასასამართლო სხდომაზე მხარეები პრეიუდიციულად შეთანხმდნენ ამ ჩვენების უდაო მტკიცებულებად ცნობაზე.

შეაფასეთ მოცემული ჩვენების დასაშვებობა!

ფაქტების გამოკვეთა:

- გამოძიების სტადიაზე მაგისტრატ მოსამართლესთან მოწმის დაკითხვა;
- მოწმის მიერ ირიბი ჩვენების მიცემა და ინფორმაციის წყაროს მიუთითებლობა;
- წინასასამართლო სხდომაზე მხარეთა შეთანხმება ირიბი ჩვენების უდაოდ ცნობაზე;

ამოცანების განსაზღვრა:

- შეიძლება თუ არა გამოძიების სტადიაზე მაგისტრატ მოსამართლესთან მოწმის დაკითხვა;
- ირიბი ჩვენების დასაშვებობა მოწმის მიერ ინფორმაციის წყაროს მიუთითებლობისას და მხარეთა შეთანხმებისას მის უდაოდ ცნობაზე;

სამუშაო გეგმა:

- საპროცესო ქმედების საფუძველი?
- საპროცესო ქმედების ვადები+
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი?

---

4 იხ: გვენეტაძე, თუმანიშვილი, დვალიძე, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, გამომცემლობა ბონა კაუზა, თბილისი 2016, გვ. 61

- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები+
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები+
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები+

შესაფასებელი გვაქვს პირველი და მესამე ელემენტი. სუბიექტი და საფუძველი. შეიძლებოდა თუ არა მოწმის დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან და ირიბი ჩვენების დასაშვებობის საფუძველი, როდესაც მოწმე ვერ უთითებს ინფორმაციის წყაროს და მხარეები თანხმდებიან მის უდაოდ ცნობაზე.

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

პირველი ამოცანით განსაზღვრული საკითხი უკავშირდება გამოძიების სტადიას. გვარეობითი საგანი არის საგამოძიებო მოქმედებები, უშუალო საგანი კი დაკითხვა გამოძიების სტადიაზე მოსამართლესთან. საგამოძიებო მოქმედებათა თავში მოცემულ საკითხს აწესრიგებს 114-ე მუხლი, კერძოდ, პირველი, მე-2 და მე-2[1]-ე ნაწილები.

გამოძიების სტადიაზე როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი, თუ:

ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს;

ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს;

გ) არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს;

დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. (114.1)

ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს

გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. ამავე უფლებით სარგებლობს დაცვის მხარე ამ კოდექსით დადგენილი წესით (114.2)

დაცვის მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც ობიექტურ პირს დააკმაყოფილებდა, რათა მას დაესკვნა აღნიშნული პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, და ამ პირის დაკითხვა დაცვის მხარისთვის მნიშვნელოვანია, ამასთანავე, ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს (114.2[1]).

მეორე ამოცანით განსაზღვრული საკითხის მოსაწესრიგებლად საჭირო ნორმები უნდა მოვძებნოთ მტკიცებულებათა თავში. მოცემულ თავში ჩვენთვის საინტერესოა ის ნორმები, რომელთა მოწესრიგების უშუალო საგანია ირიბი ჩვენება და პრეიუდიცია. ეს საკითხები მოწესრიგებულია 73-ე და 76-ე მუხლებში.

გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება:

ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან (73.1.დ).

ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია (76.2).

ამოცანების გადაჭრა:

პირველი ამოცანის გადაჭრა

1. 114-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-2[1] ნაწილები შესაბამისი საფუძვლების არსებობისას ითვალისწინებს გამოძიების სტადიაზე გამოძიების ადგილის ან მოწმის ად-

გილსამყოფელის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვის შესაძლებლობას.

2. მოწმე დაკითხულ იქნა გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლესთან და კაზუსში არაა ყურადღება გამახვილებული დაკითხვის საფუძვლების არ არსებობის შესახებ.
3. ორივე მოცემულობა მოწმობს, რომ არსებობდა მოწმის სასამართლოში დაკითხვის საფუძვლები და ამ მაგისტრატ მოსამართლესთან მისი დაკითხვა იყო კანონიერი.

მეორე ამოცანის გადაჭრა:

1. მეორე ამოცანის გადასაჭრელად გამოვკვეთეთ ორი ნორმა, 73-ე მუხლის პირველი ნაწილის დ ქვეპუნქტი და 76-ე მუხლის მეორე ნაწილი. ამ უკანასკნელიდან გამომდინარე ირიბი ჩვენება მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც მოწმე დაასახელებს ვისგან გაიგო კონკრეტული ინფორმაცია და რეალურად უნდა არსებობდეს ეს პიროვნება, ამავდროულად მხარეებს უნდა შეეძლოთ მისი იდენტიფიცირება, მისი დადგენა და ინფორმაციის გადამოწმება. 73-ე მუხლის დ ქვეპუნქტის თანახმად არ გამოიკვლევენ და მტკიცებულებად მიიღებენ ყველა გარემოებას და ფაქტს, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან ამის შესახებ. ანუ მხარეთა თანხმობისას, რომ არ გამოიკვლევენ და უდაოდ მიიღებენ ინფორმაციას, ყველა ასეთი მტკიცებულება სასამართლომ უნდა დაუშვას გამოკვლევის გარეშე. 73-ე და 76-ე მუხლის ეს ნაწილები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. პირველის თანახმად აღნიშნული ჩვენება დასაშვებია, მეორის თანახმად დაუშვებელი. 76.2 მუხლის მიზანია მტკიცებულების გამოკვლევა, რომ დადგინდეს პირველ წყარო და მოხდეს მისი დაკითხვა. 73-ე მუხლი ადგენს გამონაკლისს და უშვებს მტკიცებულების დაშვებას თუ მხარეები თანხმდებიან, რომ არ სურთ მისი გამოკვლევა. ამ კონკურენციაში უპირატესია 73.1 დ მუხლი.
2. მხარეები შეთანხმდნენ, რომ პრეიუდიციულად ცნობდნენ და არ გამოიკვლევდნენ მოცემულ ირიბ ჩვენებას. ეს ფაქტი არ ეწინააღმდეგება 73-ე მუხლის შინაარსს, შესა-

ბამისობაშია მის მოთხოვნებთან.

3. სასამართლომ უნდა დაუშვას მტკიცებულებად ეს ირიბი ჩვენება.

შემაჯამებელი დასკვნა: გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ მოწმის დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან იყო კანონიერი და მხარეები შეთანხმდნენ ჩვენების უდაო მტკიცებულებად ცნობაზე, მოცემული ირიბი ჩვენება არის დასაშვები მტკიცებულება. აქვე განვმარტავთ, რომ მტკიცებულების უდაოდ ცნობა გულისხმობს მხოლოდ მის დაშვებას გამოკვლევის გარეშე და არ გულისხმობს მის რელევანტურად, უტყუარად ან დამაჯერებლად უპირობო შეფასებას.

ნორმის განმარტების ეტაპზე შესაძლებელია წარმოიშვას სამართლებრივი სირთულეები, როდესაც კანონმდებელი იყენებს ძალზედ აბსტრაქტულ ცნებებს. ასეთი ცნებები ორაზროვანია და ქმნის სუბიექტივიზმის საფრთხეს. არსებითი დარღვევა, გონივრული ვადა, დაუყოვნებლივ, დიდი ხანი, არაგონივრული ძალისხმევა, გამოძიების დამთავრების ადგილი. მსგავსი ტერმინები იძლევა სხვადასხვაგვარად განმარტების შესაძლებლობას. ყოველთვის სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მათ განმარტებას. რეკომენდებულია შევამოწმოთ, როგორ განსაზღვრავს მათ პრაქტიკა და დოქტრინა.

8. მსჯელობის თანმიმდევრობა კაზუსში საპროცესო ქმედებათა სიმრავლისას

შესაძლებელია კაზუსი აერთიანებდეს და მოითხოვდეს სხვადასხვა საპროცესო ქმედებების შეფასებას.

- შუამდგომლობის შეტანისა და მისი განხილვის კანონიერებას;
- საჩივრის შეტანისა და მისი განხილვის კანონიერებას;
- დაკავების კანონიერებას და პატიმრობის გამოყენების კანონიერებას;
- ყადაღას და თანამდებობიდან გადაყენებას;
- მტკიცებულების მოპოვებისა და მისი დასაშვებობის შესახებ შუამდგომლობის განხილვის კანონიერებას;
- მტკიცებულების რელევანტურობას და მტკიცებულების

დასაშვებობას;
მტკიცებულების რელევანტურობას და მტკიცებულების უტყუარობას;

- მტკიცებულების რელევანტურობას და მტკიცებულების დამაჯერებლობას;
- მტკიცებულების დასაშვებობას და მ
- ტკიცებულების უტყუარობას;
- მტკიცებულების დასაშვებობას და მტკიცებულების დამაჯერებლობას;
  მტკიცებულების უტყუარობას და მტკიცებულების დამაჯერებლობას;
- მტკიცებულების კანონიერებას და მის საფუძველზე საქმის წარმოების განახლებას;

ბუნებრივია ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი ხასიათის და კაზუსში შესაძლებელია შეგვხვდეს ნებისმიერ საპროცესო ქმედებათა კომბინაცია. ქმედებათა ასეთი სიმრავლისას შეგვიძლია ისინი დავყოთ და კაზუსი ამოვხსნათ ცალცალკე სქემებით ან გაერთიანების შესაძლებლობის შემთხვევაში ყველა ქმედება ამოვხსნათ ერთი სქემის შიგნით. მაგალითად; მტკიცებულების დასაშვებობის და გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად მტკიცებულებათა დამაჯერებლობის შესახებ კაზუსის ამოხსნისას შეგვიძლია ცალ-ცალკე ამოვხსნათ მტკიცებულებების დასაშვებობა და შემდეგ განაჩენის დასაბუთებულობა ან გავაერთიანოთ ისინი ერთი სქემის შიგნით. ფაბულისა და შეკითხვის გააზრების შემდგომ უნდა განისაზღვროს რა სქემით ამოვხსნათ კაზუსი, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ცალცალკე ამოვხსნით ქმედებებს თუ ერთი სქემით ყოველთვის თანმიმდევრობით უნდა გამოვკვეთოთ ფაქტები, განვსაზღვროთ ამოცანები, შევადგინოთ გეგმა, გამოვკვეთოთ ნორმები და ასევე თანმიმდევრობით გადავჭრათ ამოცანები. ქმედებათა სიმრავლისას ორი საკითხი უნდა გადავწყვიტოთ:

- კაზუსი ამოვხსნათ ერთი სქემის შიგნით თუ ცალცალკე;
- როგორი სქემაც არ უნდა ავირჩიოთ ყველა შემთხვევაში განვსაზღვროთ ამოსახსნელი ქმედებების რიგითობა.

დასაწყისში, ვიდრე დახვეწავდეს სტუდენტი კაზუსის ამოხსნის უნარ-ჩვევებს უმჯობესი იქნება თუ ქმედებების სიმრავლი-

სას კაზუსს ამოხსნის ცალცალკე სქემებით. სხვა მხრივ რაიმე არგუმენტი რომელიმე მიდგომის უპირატესობაზე არ არსებობს. რაც შეეხება ამოსახსნელი ქმედებების რიგითობას, ნებისმიერ შემთხვევაში ჯერ ის ქმედებები უნდა ამოვხსნათ, რომელთა კანონიერებაზეც დამოკიდებულია მომდევნო ქმედებების კანონიერება. მაგალითად, მოსამართლემ წინასასამართლო სხდომაზე დაუშვებლად სცნო ბრალდების მხარის რიგი მტკიცებულებები და შემდეგ დარჩენილ მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.[5] ბუნებრივია ჯერ მტკიცებულებების დაუშვებლობის კანონიერება უნდა შევაფასოთ, რომ შემდეგ ამ მტკიცებულებათა გაუთვალისწინებლად დევნის შეწყვეტის კანონიერების შეფასებაც შევძლოთ.

კაზუსი:

მოწმის ჩვენებიდან ცნობილი გახდა, რომ ნოზაძეს დამზადებული ქონდა და იყენებდა ყალბ პირადობის მოწმობას. გამოძიებისათვის ცნობილი გახდა, რომ ნოზაძე წარსულშიც იყო ნასამართლევი დოკუმენტის გაყალბების ფაქტზე. ამ ინფორმაციების საფუძველზე ნოზაძის სახლიდან მოსამართლის განჩინებით ამოღებულ იქნა ხსენებული დოკუმენტი. ამოღებისას გამომძიებელს დოკუმენტი არ დაულუქავს. ექსპერტის დასკვნით დოკუმენტი ნამდვილად იყო ყალბი მონაცემების შემცველი. წინასასამართლო სხდომაზე პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა ამოღებული პირადობის მოწმობის, მოწმის დაკითხვის ოქმის, დოკუმენტის გაყალბებაზე ბრალდებულის ნასამართლობის ცნობისა და ექსპერტის დასკვნის დასაშვებობაზე. მოსამართლემ პირადობის მოწმობა ამოღებისას მისი დაულუქაობის მოტივით სცნო დაუშვებელ მტკიცებულებად. დაუშვებლად სცნო პირადობის მოწმობის საფუძველზე გაცემული დასკვნაც და მტკიცებულებათა არასაკმარისობის მოტივით შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.

შეაფასეთ მტკიცებულებათა დაუშვებლობისა და დევნის შეწყვეტის კანონიერება!

კაზუსში გვაქვს სამი ქმედება: მოპოვების წესთან დაკავშირე-

5 იხ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, დასახ ნაშრომი. გვ. 658

ბით პირადობის დაუშვებლად ცნობა, პირადობის საფუძველზე გაცემული დასკვნის დაუშვებლად ცნობა და მტკიცებულებათა არასაკმარისობის მოტივით დევნის შეწყვეტა. მათი კანონიერება შეგვიძლია შევამოწმოთ ცალ-ცალკე სქემებით (მტკიცებულებათა დასაშვებობა ცალკე სქემით და დევნის შეწყვეტის კანონიერება ცალკე სქემით) ან გავაერთიანოთ სამივე და ამოვხსნათ ერთი სქემით. თვალსაჩინოებისათვის განვიხილავთ ორივე შემთხვევას, თუმცა მანამდე უნდა ითქვას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ჯერ უნდა შემოწმდეს პირადობის მოწმობის დაუშვებლად ცნობის კანონიერება, შემდეგ დასკვნის დაუშვებლად ცნრბის კანონიერება და მხოლოდ ამის შემდგომ დევნის შეწყვეტის კანონიერება. მიზეზი ამისი მდგომარეობს იმაში, რომ პირადობის დაუშვებლად ცნობამ განაპირობა დასკვნის დაუშვებლობა და ორივეს დაუშვებლობამ დევნის შეწყვეტა.

კაზუსის ამოხსნა ცალცალკე სქემებით:

პირველი სქემა:

ფაქტების გამოკვეთა:

- ყალბი პირადობის მოწმობის ამოღებისას დაულუქაობის მოტივით წსსზე მოსამართლის მიერ მისი დაუშვებლად ცნობა;
- წსსზე დოკუმენტის დაუშვებლად ცნობის მოტივით მის საფუძველზე გაცემული ექსპერტის დასკვნის დაუშვებლად ცნობა.

ამოცანების განსაზღვრა:

- კანონიერი იყო თუ არა დალუქვის გარეშე ამოღებული დოკუმენტისა და მის საფუძველზე გაცემული ექსპერტის დასკვნის დაუშვებლად ცნობა?

გეგმის შედგენა:

- საფუძველი+
- ვადები+
- სუბიექტი+
- მონაწილე სუბიექტები+
- ზოგადი წესები?
- სპეციალური წესები?

შესაფასებელი გვაქვს ბოლო ორი ელემენტი (საპროცესო ქმედების ზოგადი წესი და საპროცესო ქმედების სპეციალური წესი). ჯერ უნდა შევამოწმოთ სპეციალური წესი დოკუმენტის ამოღების შესახებ და შემდეგ ზოგადი წესი მტკიცებულების დასაშვებობის და მის საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულების დასაშვებობის წესის შესახებ.

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

- ამოღების წესი უნდა მოვძებნოთ გამოძიების სტადიაზე საგამოძიებო მოქმედებათა თავში. 120-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად: **ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი უნდა დაილუქოს. არ დაილუქება დოკუმენტი, რომლის ამოღებაც ხდება მისი შინაარსის გამო.**
- მტკიცებულების დასაშვებობის და მის საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულების დასაშვებობის ზოგადი წესი უნდა მოვძებნოთ ზოგად ნაწილში მტკიცებულებათა შესახებ თავში. 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: **არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია**

ამოცანების გადაჭრა:

1. 120-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილ წესთან დაკავშირებით, რომ ჩხრეკა/ამოღების დროს აღმოჩენილი მტკიცებულება უნდა დაილუქოს 2012 წელს კოდექსში შეტანილი ცვლილებით კანონმდებელმა დაადგინა საგამონაკლისო წესი, რომლის მიხედვითაც არ დაილუქება დოკუმენტი, რომლის ამოღებაც ხდება მისი შინაარსის გამო. ,,შინაარსის" ცნებაში შეგვიძლია ვიგულისხმოთ, როგორც ნამდვილი დოკუმენტის შინაარსი ისე ფალსიფიცირებული დოკუმენტის ყალბი შინაარსი. ამიტომ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტება ნათლად ვერ გვარწმუნებს მის არსში. უნდა გამოვიყენოთ ნორმის ისტორიული განმარტება და დავადგინოთ კანონმდებლის ნება, თუ რას

ისახავდა მიზნად ამ ცვლილების განხორციელებით. კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორის მიერ 2012 წელს მიცემული ინტერვიუდან ირკვევა, რომ ,,ამოღებული დოკუმენტის დალუქვა არ მოხდება იმ შემთხვევაში თუკი მისი ამოღება მოხდება არა როგორც ნივთმტკიცების, არამედ ამ დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, ანუ თუკი გამოძიებისათვის საინტერესო იქნება არა დოკუმენტი, როგორც დნივთმტკიცება, არამედ საინტერესო იქნება ამ დოკუმენტის შინაარსი.[6] ფალსიფიცირებული დოკუმენტის შემთხვევაში სიყალბე განაპირობებს მის შეუნაცვლებლობას, შეუნაცვლებლობის დროს კი დოკუმენტი ითვლება ნივთმტკიცებად.[7] დოკუმენტები, რომლებიც სიყალბის გამო წარმოადგენენ შეუნაცვლებელ ნივთიერ მტკიცებულებას აუცილებელია დაილუქოს.[8] 72-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე თუ მტკიცებულების მოპოვებისას არსებითად დაირღვა კანონი მაშინ ასეთი მტკიცებულება დაუშვებელია. დარღვევა არსებითია, როდესაც არ არსებობს საპროცესო ქმედების საფუძველი, ირღვევა ვადები, ქმედებას ახორციელებს არაუფლებამოსილი სუბიექტი, ილახება სხვისი უფლებები ან დარღვევა საეჭვოს ხდის მოპოვებული მტკიცებულების უტყუარობას. თუ დადგინდება მტკიცებულების არსებითი დარღვევით მოპოვება დაუშვებელი იქნება მის საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულებაც თუ ის აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას.

2. ამოღებული დოკუმენტი წარმოადგენდა ნივთიერ მტკიცებულებას, რადგან სიყალბის გამო აქვს შეუნაცვლებლობის თვისება. მისი ამოღება მოხდა, როგორც ნივთიერი მტკიცებულება. დაულუქაობის გამო ამოღების შემდგომ ნებისმიერ დროს შეეძლოთ სახელმწიფო ორ-

---

6 იხ: ნინო ჟღენტი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, 16.06.2012ნ. საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი FOR.GE

7 იხ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, დასახ ნაშრომი. გვ. 278

8 იხ: სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. რედაქტორი ლალი ფაფიაშვილი; ავტორთა კოლექტივი; გამომცემლობა მერიდიანი; თბილისი 2017; გვ 464

განოებს მასზე ზემოქმედება. განხორციელებული ამოღება მიზეზშედეგობრივ კავშირშია ჩატარებულ ექსპერტიზასთან.

3. ორივე მოცემულობიდან გამომდინარეობს, რომ პირადობის მოწმობის ამოღებისას არსებითად დაირღვა კანონი, რადგან ის წარმოადგენდა ნივთიერ მტკიცებულებას და უნდა დაელუქათ. დაულუქაობის პირობებში კი გონივრულია ეჭვი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მის ნიშან-თვისებებზე შესაძლო მანიპულირების თაობაზე. დარღვევის არსებითი ხასიათის გამო კი დაუშვებელია ექსპერტის დასკვნაც, რამეთუ ექსპერტიზა ჩატარდა წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე.

ორივე მტკიცებულება იყო დაუშვებელი და მოსამართლის განჩინება მათ დაუშვებლობაზე იყო კანონიერი.

მეორე სქემა:

ფაქტების გამოკვეთა:

- ყალბი დოკუმენტის დამზადების საქმეზე ამოღებული დოკუმენტისა და მის საფუძველზე გაცემული ექსპერტის დასკვნის დაუშვებლად ცნობა მათი უკანონობის გამო.

  დარჩენილი მტკიცებულებების: მოწმის ჩვენებისა და მსგავსი დანაშაულისათვის პირის წარსულში ნასამართლობის შესახებ ცნობის არასაკმარისობის მოტივით მოსამართლის მიერ წსსზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა.

ამოცანების განსაზღვრა:

- ორივე მტკიცებულება საკმარისი იყო თუ არა ალბათობის მაღალი ხარისხით ვარაუდისათვის, რომ ბრალდებულს ჩადენილი ჰქონდა ყალბი დოკუმენტის დამზადება?

სამუშაო გეგმის შდგენა:

- საფუძველი?
- ვადები+
- სუბიექტი+
- მონაწილე სუბიექტები+

- ზოგადი წესები+
- სპეციალური წესები+

შესაფასებელი გვაქვს პირველი ელემენტი, არსებობდა თუ არა წინასასამართლო სხდომაზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი.

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

- საკითხი ეხება წინასასამართლო სხდომაზე დევნის შეწყვეტას, შესაბამისად მომწესრიგებელი ნორმა უნდა მოვძებნოთ მართლმსაჯულების სტადიაზე, წინასასამართლო სხდომის თავში. 219-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად: **თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას.**
  ალბათობის მაღალი ხარისხის განმარტება მოცემულია ტერმინთა განმარტების შესახებ მე-3 მუხლის მე-12 ნაწილში. **ალბათობის მაღალი ხარისხი – წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტი, რომელიც ეყრდნობა სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი.**

ამოცანების გადაჭრა:

1. ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტის შესამოწმებლად ვაფასებთ მხოლოდ დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების ერთობლიობას.[9] ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს და მათ საფუძველზე უნდა შეგვეძლოს მსჯელობის დაშვება, რომ გამოტანილი იქნე-

9 იხ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 23 იანვრის განჩინება, საქმე N1გ-71

ბა გამამტყუნებელი განაჩენი. არსებული პრაქტიკით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის უნდა არსებობდეს მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულება.[10] ალბათობის მაღალი ხარისხით ვარაუდის სტანდარტი ვერ გვექნება თუ დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებების შემდგომ დარჩენილ მტკიცებულებათაგან ორი მაინც არ იქნება პირდაპირი მტკიცებულება.

2. საქმეზე დასაშვებად ცნობილია ორი მტკიცებულება მოწმის ჩვენება და ცნობა პირის ნასამართლობის შესახებ. ნასამართლობა ამ დანაშაულში არის მხოლოდ დამამძიმებელი ნიშანი და ცნობა პირის ნასამართლობის შესახებ არ არის პირდაპირი მტკიცებულება ახალი დანაშაულის ჩადენის დასამტკიცებლად.
3. გამომდინარე აღნიშნული მოცემულობებიდან ალბათობის მაღალი ხარისხით ვერ ვივარაუდებთ, რომ საქმეზე დადგებოდა გამამტყუნებელი განაჩენი, შესაბამისად განჩინება სისხლისსამართლებრივი შეწყვეტის თაობაზე იყო კანონიერი.

კაზუსის ამოხსნა ერთი სქემით:

ფაქტების გამოკვეთა:

- ყალბი პირადობის მოწმობის ამოღებისას დაულუქაობის მოტივით წსსზე მოსამართლის მიერ მისი დაუშვებლად ცნობა;
- წსსზე დოკუმენტის დაუშვებლად ცნობის მოტივით მის საფუძველზე გაცემული ექსპერტის დასკვნის დაუშვებლად ცნობა.

დარჩენილი მტკიცებულებების: მოწმის ჩვენებისა და მსგავსი დანაშაულისათვის პირის წარსულში ნასამართლობის შესახებ ცნობის არასაკმარისობის მოტივით მოსამართლის მიერ წსსზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა.

---

10 იხ: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 01 აგვისტოს N1/493-13 განაჩენი, 2015 წლის 02 მარტის N1/5400-14 განაჩენი

უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის N510ა3-14 განაჩენი, 2015 წლის 22 აპრილის N483ა3-14 განაჩენი

ამოცანების განსაზღვრა:

- კანონიერი იყო თუ არა დალუქვის გარეშე ამოღებული დოკუმენტისა და მის საფუძველზე გაცემული ექსპერტის დასკვნის დაუშვებლად ცნობა?
- არსებობდა თუ არა საქმეში მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც ალბათობის მაღალი ხარისხის ვარაუდით დადგებოდა გამამტყუნებელი განაჩენი?

გეგმის შედგენა:

- საფუძველი?
- ვადები+
- სუბიექტი+
- მონაწილე სუბიექტები+
- ზოგადი წესები?
- სპეციალური წესები?

შესაფასებელი გვაქვს სამი ელემენტი (საფუძველი, ზოგადი წესები და სპეციალური წესები). ჯერ უნდა შევამოწმოთ სპეციალური წესი დოკუმენტის ამოღების შესახებ, შემდეგ ზოგადი წესი მტკიცებულების დასაშვებობის და მის საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულების დასაშვებობის წესის შესახებ და ბოლოს არსებობდა თუ არა წინასასამართლო სხდომაზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი.

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

- ამოღების წესი უნდა მოვძებნოთ გამოძიების სტადიაზე საგამოძიებო მოქმედებათა თავში. 120-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად: **ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი უნდა დაილუქოს. არ დაილუქება დოკუმენტი, რომლის ამოღებაც ხდება მისი შინაარსის გამო.**

  მტკიცებულების დასაშვებობის და მის საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულების დასაშვებობის ზოგადი წესი უნდა მოვძებნოთ ზოგად ნაწილში მტკიცებუ-

ლებათა შესახებ თავში. 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: **არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია** წინასასამართლო სხდომაზე დევნის შეწყვეტის მომწესრიგებელი ნორმა უნდა მოვძებნოთ მართლმსაჯულების სტადიაზე, წინასასამართლო სხდომის თავში. 219-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად: **თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას.**

- ალბათობის მაღალი ხარისხის განმარტება მოცემულია ტერმინთა განმარტების შესახებ მე-3 მუხლის მე-12 ნაწილში. **ალბათობის მაღალი ხარისხი – წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტი, რომელიც ეყრდნობა სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი.**

ამოცანების გადაჭრა:

პირველი ამოცანის გადაჭრა:

1. 120-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილ წესთან დაკავშირებით, რომ ჩხრეკა/ამოღების დროს აღმოჩენილი მტკიცებულება უნდა დაილუქოს 2012 წელს კოდექსში შეტანილი ცვლილებით კანონმდებელმა დაადგინა საგამონაკლისო წესი, რომლის მიხედვითაც არ დაილუქება დოკუმენტი, რომლის ამოღებაც ხდება მისი შინაარსის გამო. „შინაარსის" ცნებაში შეგვიძლია ვიგულისხმოთ, როგორც ნამდვილი დოკუმენტის შინაარსი ისე ფალსიფიცი-

რებული დოკუმენტის ყალბი შინაარსი. ამიტომ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტება ნათლად ვერ გვარწმუნებს მის არსში. უნდა გამოვიყენოთ ნორმის ისტორიული განმარტება და დავადგინოთ კანონმდებლის ნება, თუ რას ისახავდა მიზნად ამ ცვლილების განხორციელებით. კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორის მიერ 2012 წელს მიცემული ინტერვიუდან ირკვევა, რომ ,,ამოღებული დოკუმენტის დალუქვა არ მოხდება იმ შემთხვევაში თუკი მისი ამოღება მოხდება არა როგორც ნივთმტკიცების, არამედ ამ დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, ანუ თუკი გამოძიებისათვის საინტერესო იქნება არა დოკუმენტი, როგორც ნივთმტკიცება, არამედ საინტერესო იქნება ამ დოკუმენტის შინაარსი. ფალსიფიცირებული დოკუმენტის შემთხვევაში სიყალბე განაპირობებს მის შეუნაცვლებლობას, შეუნაცვლებლობის დროს კი დოკუმენტი ითვლება ნივთმტკიცებად. დოკუმენტები, რომლებიც სიყალბის გამო წარმოადგენენ შეუნაცვლებელ ნივთიერ მტკიცებულებას აუცილებელია დაილუქოს. 72-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე თუ მტკიცებულების მოპოვებისას არსებითად დაირღვა კანონი მაშინ ასეთი მტკიცებულება დაუშვებელია. დარღვევა არსებითია, როდესაც არ არსებობს საპროცესო ქმედების საფუძველი, ირღვევა ვადები, ქმედებას ახორციელებს არაუფლებამოსილი სუბიექტი, ილახება სხვისი უფლებები ან დარღვევა საეჭვოს ხდის მოპოვებული მტკიცებულების უტყუარობას. თუ დადგინდება მტკიცებულების არსებითი დარღვევით მოპოვება დაუშვებელი იქნება მის საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულებაც თუ ის აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას.

2. ამოღებული დოკუმენტი წარმოადგენდა ნივთიერ მტკიცებულებას, რადგან სიყალბის გამო აქვს შეუნაცვლებლობის თვისება. მისი ამოღება მოხდა, როგორც ნივთიერი მტკიცებულება. დაულუქაობის გამო ამოღების შემდგომ ნებისმიერ დროს შეეძლოთ სახელმწიფო ორგანოებს მასზე ზემოქმედება. განხორციელებული ამოღება მიზეზშედეგობრივ კავშირშია ჩატარებულ ექსპერ-

ტიზასთან.

3. ორივე მოცემულობიდან გამომდინარეობს, რომ პირადობის მოწმობის ამოღებისას არსებითად დაირღვა კანონი, რადგან ის წარმოადგენდა ნივთიერ მტკიცებულებას და უნდა დაელუქათ. დაულუქაობის პირობებში კი გონივრულია ეჭვი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მის ნიშან-თვისებებზე შესაძლო მანიპულირების თაობაზე. დარღვევის არსებითი ხასიათის გამო კი დაუშვებელია ექსპერტის დასკვნაც, რამეთუ ექსპერტიზა ჩატარდა წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე.

ორივე მტკიცებულება იყო დაუშვებელი და მოსამართლის განჩინება მათ დაუშვებლობაზე იყო კანონიერი.

მეორე ამოცანის გადაჭრა:

1. ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტის შესამოწმებლად ვაფასებთ მხოლოდ დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების ერთობლიობას. ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს და მათ საფუძველზე უნდა შეგვეძლოს მსჯელობის დაშვება, რომ გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი. არსებული პრაქტიკით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის უნდა არსებობდეს მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულება. ალბათობის მაღალი ხარისხით ვარაუდის სტანდარტი ვერ გვექნება თუ დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებების შემდგომ დარჩენილ მტკიცებულებათაგან ორი მაინც არ იქნება პირდაპირი მტკიცებულება.
2. საქმეზე დასაშვებად ცნობილია ორი მტკიცებულება მოწმის ჩვენება და ცნობა პირის ნასამართლობის შესახებ. ნასამართლობა ამ დანაშაულში არის მხოლოდ დამამძიმებელი ნიშანი და ცნობა პირის ნასამართლობის შესახებ არ არის პირდაპირი მტკიცებულება ახალი დანაშაულის ჩადენის დასამტკიცებლად.
3. გამომდინარე აღნიშნული მოცემულობებიდან ალბათობის მაღალი ხარისხით ვერ ვივარაუდებთ, რომ საქმეზე დადგებოდა გამამტყუნებელი განაჩენი, შესაბამისად

განჩინება სისხლისსამართლებრივი შეწყვეტის თაობაზე იყო კანონიერი.

საბოლოო პასუხი: მოსამართლის ორივე გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ იყო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი.

II თავი

საპროცესო ქმედების კანონიერების ელემენტები

1. საპროცესო ქმედების საფუძველი

ქმედების კანონიერების ამ ეტაპზე მოწმდება რამდენად არსებობდა ქმედების განხორციელებისათვის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. საგამოძიებო თუ სხვა ტიპის საპროცესო მოქმედების კანონიერება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია არსებობდა თუ არა მათი განხორციელების კანონისმიერი წინაპირობები. შესაძლოა ცალკეულ საპროცესო ქმედებათა განხორციელების პროცედურა სწორად იყოს წარმართული, მაგრამ მისი ჩატარების შესაბამისი საფუძვლის არარსებობისას ყველა ასეთი ქმედება ითვლება უკანონოდ. შესაძლებელია ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდოს საამისო პროცედურების სრული დაცვით, მაგრამ განჩინება მაინც უკანონო იქნება, თუ არ არსებობს პატიმრობის გამოყენებისათვის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები. არ არსებობს საპროცესო ქმედების საფუძველი, არ არსებობს მისი კანონიერებაც. ქმედების კანონიერად შეფასებისათვის არა აქვს მნიშვნელობა რა ღირებულების მქონეა უსაფუძვლოდ განხორციელებული საპროცესო ქმედება. როგორი მიზნებიც არ უნდა მიიღწეოდეს კონკრეტული ქმედებით, რა მტკიცებულებაც არ უნდა იქნას აღმოჩენილი ჩხრეკითა თუ სხვა საპროცესო ქმედებით ის ყოველთვის უკანონოა, თუ არ არსებობს კანონით განსაზღვრული დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის მტკიცებულებითი საფუძველი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებისა და 121-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ჩხრეკის შედეგს განიხილავს ჩხრეკისათვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძვლად.[11]

საპროცესო ქმედების საფუძვლები ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც თვითონ საპროცესო ქმედებები. ნორმების გა-

11 იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/2/1276 საქმეზე გიორგი ქებურია საქართველოს წინააღმდეგ

მოკვეთის შემდგომ ვამოწმებთ არსებობდა თუ არა საპროცესო ქმედების განხორციელების ან მისგან თავის შეკავების კანონიერი საფუძველი. საფუძვლების შემოწმების საკითხი მაშინ დგება დღის წესრიგში, როდესაც გამახვილებულია კაზუსში მასზე ყურადღება. სხვა შემთხვევაში უნდა ჩავთვალოთ, რომ არსებობდა ქმედების განხორციელების საფუძველი. თუ შესაფასებელი გვაქვს ქმედების განხორციელების საფუძველი და მისი განხორციელების ფორმა, ჯერ ვაფასებთ საფუძვლიანობის საკითხს და ისე გადავდივართ პროცედურის კანონიერების შეფასებაზე. მაგალითად; შესაფასებელი გვაქვს დევნის შეწყვეტის კანონიერება და სხვა კრიტერიუმებთან ერთად მინიშნებულია საფუძვლებზეც, ასეთ დროს ჯერ ვამოწმებთ არსებობდა თუ არა დევნის შეწყვეტის კანონიერი საფუძველი.

საპროცესო ქმედების საფუძველი შესაძლოა იყოს ერთი ან რამოდენიმე. საფუძვლების სიმრავლის შემთხვევაში ისინი იყოფა ორ კატეგორიად: საპროცესო ქმედების ალტერნატიული საფუძვლები და საპროცესო ქმედების კუმულაციური (ერთობლივი) საფუძვლები.

ალტერნატიული საფუძვლების შემთხვევაში საკმარისია რამოდენიმედან ერთი მათგანი მაინც იყოს სახეზე. მაგალითად; აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები ალტერნატიულია, საკმარისია სახეზე გვქონდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ალტერნატიული საფუძვლებია ასევე გათვალისწინებული 105-ე მუხლში დევნის შეწყვეტის ან არ დაწყების საფუძვლებში. ალტერნატიული საფუძვლებია ასევე სავალდებულო დაცვის შესახებ 45-ე მუხლში და დაკავების შესახებ 171-ე მუხლში. ალტერნატიული საფუძვლებია გათვალისწინებული 112-ე მუხლის მე-5 ნაწილშიც, საგამოძიებო მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებისათვის, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემის განადგურება ან შეუძლებელი გახადოს მისი მოპოვება, ან როცა მტკიცებულება აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

შესაძლებელია სახეზე გვქონდეს სამივე საფუძველი ერთად. ალტერნატიული საფუძვლები შეიძლება მოცემული იყოს მუხლის ერთ ნაწილში, სხვადასხვა ნაწილებში ან ერთი ნაწილის სხვადასხვა პუნქტში. ჩვეულებრივ ალტერნატიული საფუძვლები არ გამორიცხავენ ერთმანეთს იშვიათი გამონაკლისების გარდა. ერთდროულად ვერ გვექნება სავალდებულო დაცვის: არასრულწლოვანობისა და უვადო თავისუფლების აღკვეთით დასჯადობის საპროცესო საფუძვლები. შესაძლებელია სახეზე გვქონდეს საპროცესო ქმედების ერთ-ერთი ალტერნატიული საფუძველი, მაგრამ კაზუსში იკვეთებოდეს, რომ ამ ქმედებისათვის არასწორად იქნა შერჩეული მეორე საფუძველი, ასეთი ქმედება მაინც არ უნდა შეფასდეს არსებით დარღვევად. შესაძლოა არასწორად მიიჩნიონ, რომ პირზე არსებობს ჩადენილი დანაშაულის კვალი და დააკავონ, მაგრამ დაკავება კანონიერად უნდა ჩავთვალოთ თუ აღმოჩნდება დაკავებულის მიყვანისას, რომ ეს პირი ყოფილა ძებნილიც ან მიყვანისთანავე ამოიცნო თვითმხილველმა.

ალტერნატიულისაგან განსხვავებით კუმულაციური საფუძვლების დროს ერთი მათგანიც, რომ გვაკლდეს საპროცესო ქმედება იქნება უკანონო. დანარჩენი საფუძვლების არსებობა არ არის საკმარისი. კუმულაციური საფუძვლების არსებობაა საჭირო მაგალითად; ჩხრეკის ჩასატარებლად. უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად სჭიროა ძებნა. რომელიმეს არ არსებობა შეცვლის სურათს. თუ გამოვაკლებთ ძებნის საჭიროებას მაშინ საჭირო გახდება ამოღების ჩატარება. თუ მაინც ჩხრეკა ჩატარდა მოპოვებული მტკიცებულება იქნება უკანონო. კუმულაციური საფუძვლები სჭირდება გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობასაც. 206-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად მოსამართლე ამოწმებს რა ახალი და არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხია დასმული და რა მტკიცებულებებია საამისოდ წარმოდგენილი. კუმულაციური საფუძვლები სჭირდება საპროცესო შეთანხმების დამტკიცებასაც. კუმულაციური საფუძვლებია ასევე საჭირო სასამართლოში წარდ-

გენილი ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებისათვის. ის უნდა იყოს დასაშვები, რელევანტური და უტყუარი. არსებობს გამონაკლისებიც პრეიუდიციულ ფაქტებთან დაკავშირებით.

საფუძვლები როგორც წესი სავალდებულოა შესასრულებლად, მაგრამ ზოგჯერ ისინი ნებაყოფლობითია. მაგალითად; ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე სააპელაციო სხდომა შეიძლება წარიმართოს ერთი მოსამართლის მიერაც.

საფუძვლები შეიძლება იყოს აღწერილობითი ან შეფასებითი ხასიათის. აღწერილობითი საფუძვლები ჩვეულებრივ არ იწვევენ დავას და ყოველთვის ერთმნიშვნელოვანია ისინი. დევნის შეწყვეტის საფუძვლები: პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწევლობა, ხანდაზმულობის ვადის გასვლა, ამნისტია, აგრეთვე დაკავების საფუძველი ძებნილობა, წარმოადგენს აღწერილობითი ხასიათის საფუძვლებს.

შეფასებითი კატეგორიის საფუძვლები მოითხოვს გარკვეულ განმარტებებს და შეფასებებს. დასაბუთებული ვარაუდი, ალბათობის მაღალი ხარისხი, გონივრულ ეჭვს მიღმა, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, შესაძლო მიმალვის საფრთხე და აშ წარმოადგენს შეფასებითი ხასიათის საპროცესო საფუძვლებს.

საფუძვლები ასევე იყოფა ფორმალურ და ფაქტობრივ საფუძვლებად. კერძოდ; საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-5 ნაწილში ვკითხულობთ: შუამდგომლობაში უნდა აისახოს ბრალდებულის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ბრალდების არსი, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია თუ მტკიცებულება, რომელსაც ბრალდება ემყარება და მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება. შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. ფაქტობრივ საფუძვლებში იგულისხმება მტკიცებულებები, რომლებიც ქმნიან დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ პირმა შესაძლოა ჩაიდინა დანაშაული.[12] სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის პრაქტიკიდან ერთერთ განჩინებაში ვკითხულობთ: საქმეში

12 იხ: ი. გაბისონია აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში,

არსებული და ბრალდების დადგენილებაში მითითებული მტკიცებულებები ერთობლიობაში იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლებელია ც.კ.-ს ჩადენილი ჰქონდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირისათვის აკრძალული საგნის გადაცემა, ჩადენილი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით (სამი ეპიზოდი), ასევე ამ დანაშაულის მომზადება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდი არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.[13]

ფორმალურ (საპროცესო) საფუძვლებში იგულისხმება წარმოდგენილი მტკიცებულებებით არსებობს თუ არა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი პირის შესაძლო მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეების შესახებ. ფორმალური საფუძვლები აქ ალტერნატიული ხასიათისაა, საკმარისია მათგან ერთი მაინც გვქონდეს სახეზე. მაგრამ აუცილებელია ამავე დროს არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩადენილი აქვს ბრალდებულს დანაშაული (ფატქობრივი საფუძველი).

მაგალითი:

ოპერატიული ინფორმაციისა და წყაროს სანდოობის შესახებ ინფორმაციის მიმღები პოლიციელის გამოკითხვის საფუძველზე ერემოვის საცხოვრებლიდან ჩხრეკით ამოღებული იქნა სავარაუდო ცეცხლსასროლი იარაღი.[14] ნივთის აღმოჩენისთანავე ერემოვი შეეცადა სახლიდან გაქცევას, რა დროსაც ადგილზე დააკავეს, თუმცა ეს ფაქტი არ ასახულა დაკავების ოქმში და დაკავების საფუძვლად მითითებული იქნა, რომ პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას და

თბილისი 2003 წ, გვ 36-40

13 იხ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება, საქმე N: 1გ/405 (2013-07-03)

14 საკანონსტიტუციო სასამართლომ არ მიიჩნია კონსტიტუციის შეუსაბამოდ ჩხრეკა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თუ მას ერთვის პოლიციელის გამოკითხვის ოქმი ინფორმაციის წყაროს სანდოობის შესახებ. (საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/2/1276 საქმეზე გიორგი ქებურია საქართველოს წინააღმდეგ)

რომ მასთან აღმოჩენილ იქნა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი. ამოღებული საგანი გადაგზავნილ იქნა ექსპერტიზაზე. პროკურორმა იშუამდგომლა აღკვეთის ღონისძიებაზე და დაურთო შუამდგომლობას ჩხრეკის ოქმი, ერემოვის დაკავების ოქმი და პოლიციელთა ჩვენებები, რომ ერემოვის სახლში იმყოფებოდნენ ჩხრეკაზე, რის შედეგადაც აღმოჩენილ იქნა სავარაუდო ცეცხლსასროლი იარაღი. ექსპერტიზა კი ჯერ არ იყო ჩატარებული.

არსებობს თუ არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები?

ფაქტების გამოკვეთა

- იარაღის ამოღება;
- ერემოვის გაქცევის მცდელობა და ამის მიუთითებლობა დაკავების ოქმში;
- აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნა ექსპერტის დასკვნის გარეშე, პოლიციელთა ჩვენებებისა და ჩხრეკა/დაკავების ოქმების საფუძველზე.

ამოცანის განსაზღვრა

- არსებობს თუ არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველი?
- არსებობს თუ არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძველი?

სამუშაო გეგმა:

- საპროცესო ქმედების საფუძველი?
- საპროცესო ქმედების ვადები+
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი+
- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები+
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები+
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები+

შესამოწმებელია მხოლოდ პირველი ელემენტი!

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

მოწესრიგების ზოგადი საგანი მოცემული საპროცესო ქმედებისათვის არის სისხლისსამართლებრივი დევნის სტადია, გვარეობითი საგანი არის აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული

ურთიერთობები. უშუალო საგანი კი აღკვეთის ღონისძიებათა თავში არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები. მოცემული საკითხი მოწესრიგებულია 198-ე მუხლით (აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები საფუძველი). მოცემული მუხლის მეორე ნაწილში ვკითხულობთ:

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

დასაბუთებული ვარაუდი კი განმარტებულია მე-3 მუხლის მე-11 ნაწილში. **დასაბუთებული ვარაუდი – ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.**

აღკვეთის ღონისძიების საფუძვლების საკითხი დარეგულირებულია ასევე 206-ე მუხლის მე-5 ნაწილით.

შუამდგომლობაში უნდა აისახოს ბრალდებულის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ბრალდების არსი, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია თუ მტკიცებულება, რომელსაც ბრალდება ემყარება, და მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება. შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია სათანადო საფუძვლის მითითებით უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება და ბრალდებულს შეურჩიოს სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ან საერთოდ არ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება.

ამოცანების გადაჭრა:

პირველი ამოცანის გადაჭრა:

1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელია სახეზე იყოს ფაქტობრივი საფუძველი. დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. იმ საქმეებში, სადაც პირს ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა/შენახვა დასაბუთებული ვარაუდისათვის აუცილებელია არსებობდეს ექსპერტის დასკვნა, რომ ამოღებული საგანი ნამდვილად ეკუთვნის ცეცხლსასროლი იარაღის კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის.[15]
2. ერემოვს ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა/შენახვა და ამოღებულ საგანზე აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის განხილვისას არ არსებობდა ექსპერტის დასკვნა, რომ მისგან ამოღებული საგანი არის ცეცხლსასროლი იარაღი და ვარგისია სროლისათვის.
3. გამომდინარე ორივე მოცემულობებიდან არ არსებობდა ერემოვის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლები.

მეორე ამოცანის გადაჭრა:

1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელია არსებობდეს ფორმალური საფუძვლებიც. მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ დასაბუთებული ვარაუდით პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ფორმალური საფუძვლების არსებობისათვის აუცილებელია სახეზე გვქონდეს ფაქტობრივი საფუძველიც. იარაღის უკანონო შეძენა/შენახვის ბრალდების საქმეში თუ არ არსებობს ექსპერტის დასკვნა ნიშნავს, რომ არ არსებობს ფაქტობრივი საფუძველი. ფაქტობრივი საფუძველი აუცილებელი წინაპირობაა ფორმალური საფუძვლების არსებობისათვის.
2. ერემოვის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად არ არსებობს ფაქტობრივი საფუძველი.

15 იხ: ი. გაბისონია, დასახელებული ნაშრომი; გვ 44

3. ორივე მოცემულობიდან ერთად გამომდინარეობს, რომ არ არსებობდა ერემოვის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად ფორმალური საფუძვლებიც.

საბოლოო პასუხი:

არ არსებობდა ერემოვის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები.

2. საპროცესო ქმედების ვადები

საპროცესო ქმედების საფუძვლების შემოწმების შემდეგ ვამოწმებთ განხორციელდა თუ არა ქმედება ვადების დაცვით. სხვა ელემენტების მსგავსად ვადებიც ერთ-ერთი წინაპირობაა ქმედების კანონიერად შეფასებისათვის. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ჩატარებული საპროცესო ქმედება ბათილია. ვადების დაუცველობა ყოველთვის იწვევს განხორციელებული ქმედების უკანონობას, გარდა მოსამართლის მიერ საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადის აღდგენისა. როდესაც კაზუსში მითითებულია საპატიო მიზეზით ვადის გაცდენაზე საპროცესო ქმედება ავტომატურად არ უნდა მივიჩნიოთ კანონიერად. აუცილებელია კაზუსში მითითებული იყოს, რომ საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადა აღდგენილია. საპატიო მიზეზით ვადის გაცდენისას ყურადღება უნდა მივაქციოთ, ხომარ ეხება საკითხი დაკავების ან პატიმრობის ვადებს. ამ დროს საპატიო მიზეზი არ მიიღება მხედველობაში. მაგალითად; მაღალმთიან რეგიონში საზღვრის უკანონო კვეთისას დაკავებული პირი ვერ წარედგინა სასამართლოს კანონით განსაზღვრულ დროში, რაც გამოწვეული იყო ზამთრის პერიოდით და უკიდურესად გაუარესებული ამინდით. მიუხედავად საპატიო მიზეზისა გაცდენილი ვადა ვერ იქნება აღდგენილი. ვადების აღდგენა შესაძლებელია საკანონმდებლო ცვლილებითაც, როდესაც კანონში განხორციელებული ცვლილებით გაზრდილია ვადა კონკრეტული საპროცესო ქმედებებისათვის. ყურადღება უნდა მივაქციოთ ცვლილება თავდაპირველი ვადის ამოწურვამდე შევიდა ძალაში თუ ვადის ამუწურვის შემდგომ. თუ ცვლილება ვადის ამოწურვამდე შედის ძალაში, მაშინ ვადა თავისთავად გრძელდება. ხოლო თუ ცვლილება თავდაპირველი ვადის ამოწურვის შემდეგ შემდეგ შევიდა

ძალაში, დგება ნორმის უკუძალის საკითხი. შესაბამისად მხოლოდ მაშინ აღდგება ვადა თუ ამით უმჯობესდება ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მდგომარეობა.

სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადია ლიმიტირებულია დროში. კანონი ადგენს ვადებს გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა. ამ ვადაში უნდა მოხდეს დევნის დაწყებაც, დაკავებით ან დაკავების გარეშე. დაკავებიდან 48 საათში უნდა მოხდეს პირის პირველი წარდგენა სასამართლოში (თუ ბრალდებული არ არის დაკავებული დადგენილი პრაქტიკით ბრალდებიდან 48 საათში პროკურორს შეაქვს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე). პირველი წარდგენის სხდომაზე განისაზღვრება მომდევნო ეტაპის, წინასასამართლო სხდომის თარიღი, რომელიც უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან არაუგვიანეს 60 დღისა. წინასასამართლო სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 14 დღისა იწყება არსებითი განხილვა და სრულდება არაუგვიანეს 24 თვისა საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის დღიდან. ვადებია განსაზღვრული აპელაციასა და კასაციაშიც საჩივრის შეტანისა და მათი განხილვისათვის.

ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება. მაგალითად; 5 სექტემბერს მიღებული განაჩენი აპელაციაში გასაჩივრდა 5 ოქტომბერს. კანონის თანახმად საჩივრის შეტანა შეიძლება განაჩენის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. ერთი თვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ არ შეიძლება ერთ თვეში ერთი თარიღი ორჯერ მეორდებოდეს. თუ ვადის ათვლას დავიწყებთ 5 სექტემბრიდან განაჩენი იქნება ვადის დარღვევით შეტანილი, რადგან ხუთი რიცხვი ორჯერ ვერ მოექცევა ერთთვიან ვადაში. გამომდინარე იქედან, რომ ვადის ათვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე საიდანაც იწყება ვადის დინება 5 სექტემბერი არ შედის ამ ერთთვიან ვადაში. შესაბამისად 5 ოქტომბერი იყო საჩივრის შეტანის ბოლო დღე.

ვადებთან დაკავშირებით კოდექსში გვხდება შეფასებითი

ცნებებიც. გონივრული ვადა, პირველი შესაძლებლობისთანავე, დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს, მანამდე ობიექტური შეუძლებლობა. ასეთი ვადები ინდივიდუალურია ყველა საპროცესო ქმედებისათვის. ერთი საპროცესო ქმედებისათვის გონივრული ვადა, შესაძლოა არაგონივრული იყოს სხვა საპროცესო ქმედებისათვის. შეფასებითი ცნებები ყოველთვის იწვევს ინტერპრეტაციის აუცილებლობას. მაგალითად; სიტყვა დაუყოვნებლივ 77-ჯერ არის გამოყენებული კოდექსში და კანონიერების შემოწმებისას არ უნდა ვეცადოთ ასეთ ცნებებთან მიმართებაში ვიხელმძღვანელოთ რაიმე ზოგადი ფორმულით. მაგალითად; ბრალდებულს უფლება აქვს, რომ დაკავებისას დაუყოვნებლივ მისთვის გასაგებ ენაზე ეცნობოს დაკავების მიზეზი. მოხდა თუ არა მისთვის აღნიშნულის განმარტება ვადის დაცვით დამოკიდებულია დაკავების გარემოებებზე. ერთია, როდესაც გამომძიებელმა წინასწარ იცის, რომ დასაკავებელი პირი არ ფლობს სამართალწარმოების ენას, მეორეა, როდესაც არ იცის გამომძიებელმა ეს და პირს აკავებენ მთიან რეგიონში საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტზე და მესამეა, როდესაც პირს აკავებენ გამოძიების ადგილზე (პოლიციის განყოფილებაში) მისი ამოცნობისთანავე. სამივე შემთხვევაში დაუყოვნებლივი განმარტების საკითხი განსხვავებულად შეფასდება.

ვადები გამოითვლება:

წუთებით;

საათებით;

დღე-ღამეებით;

თვეებით.

საპროცესო კოდექსის თანახმად წუთებით გამოითვლება დაკავებისა და პატიმრობის ვადები. საათებთან დაკავშირებული კაზუსის ამოხსნისას უნდა გაჲითვალისწინოთ, რომ ვადის ათვლისას მხედველობაში არ მიიღება ის საათი, რომლიდანაც იწყება ვადის დინება. გამონაკლისია დაკავებისა და პატიმრობის ვადები. დაკავების 72 საათიანი ვადა იწურება დაკავებიდან მესამე დღეს ზუსტად იმ საათსა და წუთზე რა დროსაც მოხდა პირის ფაქტობრივი დაკავება (მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა).

დღე-ღამეებით გამოსათვლელი ვადის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე, საიდანაც იწყება ვადის დინება. დღე-ღამეებით გამოსათვლელი ვადის დრო იწურება ბოლო დღის 24 საათზე. საპროცესო ვადებში შედის არასამუშაო დროც, მათ შორის დასვენებისა და უქმე დღეები. კანონმდებელი საპროცესო კოდექსში შვიდ შემთხვევაში ცალკეულ საპროცესო ქმედებებზე ვადებს აწესებს კვირეებით. კვირეებით დადგენილი ვადები უნდა გამოითვალოს დღეების გამოთვლაზე განსაზღვრული წესების შესაბამისად. მაგალითად; სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საჩივრის დასაშვებად ცნობიდან ორი კვირის ვადაში ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე. დავუშვათ საჩივარი დასაშვებად სცნეს 5 სექტემბერს, ორი კვირა შეადგენს 14 დღეს, 5 სექტემბერი ვადის ათვლისას არ მიიღება მხედველობაში, შესაბამისად ორკვირიანი ვადის ბოლო დღე იქნება 19 სექტემბერი.

თვეებით ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე, საიდანაც იწყება ვადის დინება (გამონაკლისია პატიმრობა), თუ პირი დაკავებულია 5 სექტემბერს, პატიმრობის ცხრა თვიანი ვადა იწურება მეცხრე თვის ოთხ რიცხვში 24 საათზე. თვეებით გამოსათვლელი ვადა იწურება ბოლო თვის შესაბამის რიცხვში. თუ ბოლო თვეს არა აქვს შესაბამისი რიცხვი, მაშინ ვადა იწურება ბოლო თვის ბოლო დღეს. მაგალითად; 30 სექტემბერს ან 28 თებერვალს.[16]

კაზუსი:

20 სექტემბერს 16:20 საათზე საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტზე დააკავეს უცხო ქვეყნის მოქალაქე. დაკავებულს აღმოაჩნდა უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი. 22 სექტემბერს 15:30 საათზე საქმეს დაერთო ექსპერტიზის დასკვნა იარაღის ვარგისიანობის შესახებ. 16:00 საათზე პროკურორმა წარადგინა სასამართლოში შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. 16:30 საათზე დაიწყო პირველი

16 იხ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, დასახ ნაშრომი. გვ. 315

წარდგენის სხდომა და დაკავებულ პირს განესაზღვრა აღკვეთის ღონისძიება.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

ფაქტების გამოკვეთა:

- დაკავება 20 სექტემბერს 16:20 საათზე;
- შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებაზე 22 სექტემბერს 16:00 საათზე;
- პირველი წარდგენის სხდომის დაწყება 22 სექტემბერს 16:30 საათზე.

ამოცანები:

- რა ვადებში უნდა მოხდეს დაკავებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიებაზე შუამდგომლობა;
- რა ვადებში უნდა მოხდეს დაკავებული პირის პირველი წარდგენა სასამართლოში;
- რა ვადებში უნდა მოხდეს შუამდგომლობის განხილვა.

სამუშაო გეგმა

- საპროცესო ქმედების საფუძველი+
- საპროცესო ქმედების ვადები?
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი+
- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები+
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები+
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები+

შესაფასებელი გვაქვს მხოლოდ საპროცესო ქმედების ვადების დაცვით განხორციელების საკითხი.

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

- ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული რეგულირების საგანი სამივე ამოცანისათვის არის ვადების გამოთვლის წესი. ვადების გამოთვლის ზოგადი წესი მოცემულია 86-ე მუხლში. დაკავების ვადების გამოთვლის უშუალო წესი მოცემულია 86-ე მუხლის პირველ ნაწილში. დაკავების ვადები გამოითვლება წუთებით.
  პირველი ამოცანით განსაზღვრული საკითხის მოწესრიგების საერთო საგანი არის აღკვეთის ღონისძიებები. უშუალო საგანი აღკვეთის ღონისძიებათა თავში არის

დაკავებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე შუამდგომლობის შეტანის ვადა. ეს საკითხი მონესრიგებულია 196-ე მუხლის პირველი ნაწილით. ,,დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.,, საკითხი მონესრიგებულია ასევე 206-ე მუხლის მე-2 ნაწილით: ,,აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი სასამართლოს მიმართავს დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა.

მე-2 ამოცანით განსაზღვრული საკითხის მოწესრიგების საერთო საგანი არის ასევე აღკვეთის ღონისძიებები. უშუალო საგანი კი დაკავებულის პირველი წარდგენის ვადა სასამართლოში. კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა, თუ სასამართლო მომდევნო 24 საათის განმავლობაში აე მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს."

- მე-3 ამოცანით განსაზღვრული საკითხის მოწესრიგების საერთო საგანი არის აღკვეთის ღონისძიებები. უშუალო საგანი არის აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის განხილვის ვადა. საკითხი მონესრიგებულია 196-ე მუხლის პირველი და 206-ე მუხლის მე-3 ნაწილებით. ,,აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობას მოსამართლე განიხილავს მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

ამოცანების გადაჭრა:

პირველი ამოცანის გადაჭრა:

1. დაკავებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე შუამდგომლობა პროკურორმა უნდა შეიტანოს დაკავებიდან 48 საათში. დაკავების ვადები გამოითვლება წუთებით, ამიტომ დაკავებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის ვადა იწურება დაკავების მომენტიდან ორი დღის თავზე ზუსტად იმ დროს და იმ წუთზე, რა დროსაც დააკავეს პირი.

2. პირის დაკავება მოხდა 20 სექტემბერს 16:20 საათზე. პროკურორმა შუამდგომლობა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე შეტანა 22 სექტემბერს 16:00 საათზე.

3. გამომდინარე ორივე მოცემულობიდან პროკურორმა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე დაკავებულის მიმართ შეიტანა ვადის დაცვით, 48 საათიანი ვადის ამოწურვამდე ოცი წუთით ადრე.

მეორე ამოცანის გადაჭრა:

1. კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა.„ წარდგენა არ ნიშნავს სასამართლოს დავალდებულებას, რომ დაკავებული ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა დაიწყოს დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა. კონსტიტუციის მოცემული ნორმა გამოიხატება იმაში, რომ შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებაზე, რაც თავისთავად გულისხმობს პირის წარდგენის მზაობასაც, სასამართლოს უნდა წარედგინოს დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში, გადაწყვეტილება კი ამავე მუხლის თანახმად სასამართლომ უნდა მიიღოს მომდევნო 24 საათის განმავლობაში. დაკავების ვადები გამოითვლება წუთებით. შესაბამისად დაკავებულის სასამართლოში წარდგენის 48 საათიანი ვადა იწურება დაკავების მომენტიდან ორი დღის თავზე იმ საათსა და იმ წუთზე, რა დროსაც მოხდა პირის დაკავება.

2. პირის დაკავება მოხდა 20 სექტემბერს 16:20 საათზე. შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე სასამართლოში შევიდა 22 სექტემბერს 16:00 საათზე.

3. გამომდინარე ორივე მოცემულობიდან დაკავებულის პირველი წარდგენა სასამართლოში მოხდა ვადის დაცვით. სასამართლოში წარდგენის 48 საათიანი ვადა იწურებოდა 22 სექტემბერს 16:20 საათზე. პირის წარდგენა კი მოხდა 20 წუთით ადრე.

მესამე ამოცანის გადაჭრა:

1. შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების თაობაზე სასამართლო განიხილავს შუამდგომლობის შეტანიდან 24 საათში. შუამდგომლობის შეტანიდან 24 საათში უნდა დასრულდეს აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა.

2. შუამდგომლობა შეტანილ იქნა 22 სექტემბერს 16:00 საათზე განხილვა კი დაიწყო იმავე დღეს 16:30 საათზე.

3. სასამართლომ ეს ვადა დაიცვა და შუამდგომლობის შეტანიდან ნახევარ საათში დაიწყო მისი განხილვა.

საბოლოო პასუხი:

განჩინება დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არის კანონიერი, რადგან მისი გამოყენება მოხდა კონსტიტუციური და საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით. რაც შეეხება ფორმალურ და ფაქტობრივ საფუძვლებს უნდა მივიჩნიოთ რომ ისინი არსებობდა, რადგან ატიპიურ გარემოებათა შსახებ კაზუსში არაა მითითებული.

3. საპროცესო ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი

ქმედების კანონიერება განისაზღვრება ასევე მისი განმახორციელებელი სუბიექტის უფლებამოსილებით. პროცესის ყველა მონაწილე სუბიექტს გააჩნია საპროცესო უფლებამოსილებები და საპროცესო ვალდებულებები. კანონიერების ამ ეტაპზე არ ვამოწმებთ საპროცესო ქმედებაში მონაწილე სუბიექტებს, ეს საკითხი მომდევნო საფეხურია. ამ კრიტერიუმის გარშემო მოწმდება რამდენად იყო ქმედების განმახორციელებელი პირი უფლებამოსილი მოცემული ქმედებისათვის. არაუფლებამოსილი პირის მიერ საპროცესო ქმედების განხორციელება ყოველთვის განაპირობებს ქმედების უკანონობას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად ,,კოდექსი ადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს.,, თითოეული ამ სტადიის შიგნით არსებულ ქმედებებს ახორციელებენ კანონით განსაზღვრული პირები. დაუშვებელია კანონით დადგენილი სუბიექტის ფუნქციები იტვირთოს სხვა რომელიმე მონაწილემ. გამომძიებლის ფუნქციებს ვერ შეასრულებს პოლიციიის რიგითი ანდა როგორ სრულყოფილადაც არ უნდა ფლობდეს უცხო ენას გამომძიებელი ის ვერ შეასრულებს თარჯიმნის ფუნქციებს. შესაძლოა საპროცესო ქმედების კანონით დადგე-

ნილი პროცედურები და სხვა მოთხოვნები სწორად განახორციელოს პირმა, მაგრამ მისი არაუფლებამოსილება წარმოადგენს არსებით დარღვევას. დაცვის მხარემ სწორადაც, რომ ჩაატაროს ამოღება გადაუდებელი აუცილებლობით ქმედება მაინც უკანონოდ შეფასდება, დაცვის მხარეს არ გააჩნია საამისო უფლებამოსილება.

არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ ქმედების განხორციელება ყოველთვის არ იწვევს შედეგების ბათილობას. განსაზღვრულ შემთხვევებში კანონმდებლობა ითვალისწინებს მათი გამოსწორების შესაძლებლობას. შედარებისათვის; გამომძიებლის მიერ, რომელმაც იცის აცილების საფუძვლის არსებობა, რომ არ არის სპეციალიზებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე გამოიწვევს მოპოვებული გამამტყუნებელი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას. განსხვავებით აღნიშნულისაგან მოსამართლის მიერ თვითაცილების განუხორციელებლობა არ წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს თუ მტკიცებულებები არ ქმნის გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას. ასეთ დროს კანონი უშვებს საქმის ხელახალი განხილვისა და დარღვევების აღმოფხვრის შესაძლებლობას. გამოძიების სტადიაზეც შეიძლება ჩატარდეს დამატებითი საგამოძიებო მოქმედებები, მაგრამ ეს ვერ იქნება იგივეს განმეორება. შეუძლებელია უკანონოდ ამოღებული ნივთის ხელახლა და თანაც კანონიერად ამოღება. არაუფლებამოსილი გამომძიებლის მიერ საპროცესო ქმედების ჩატარება ყოველთვის გამოიწვევს შედეგების ბათილობას, მაშინ როდესაც არაუფლებამოსილი მოსამართლის მიერ საქმის განხილვა მართალია იქნება უკანონო, მაგრამ აპრიორი ვერ გამოიწვევს განაჩენის გაუქმებას. თუ არაუფლებამოსილ მოსამართლემ უდანაშაულო პირი გაამართლა მკვლელობის ბრალდებაში, განაჩენი არის უკანონო, რადგან გამოიტანა არაუფლებამოსილ მოსამართლემ, თუმცა ამ საფუძვლით ვერ მოხდება უდანაშაულო ადამიანის მკვლელობაში დამნაშავედ ცნობა. ამ დროს ხდება განაჩენის გადასინჯვა. მაგრამ იგივე ბრალდებულის მიერ გამოძიების სტადიაზე ალიბის (ვიდეოფირის) იძულებითა და გადაუდებელი აუცილებლობით მოპოვება იქნება მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის

საფუძველი. განაჩენის მსგავსად იგივე შეიძლება ითქვას განჩინების შედეგებზეც. მაგალითად; მოსამართლის მიერ განჩინების გაცემა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, როდესაც არსებობდა მისი აცილების საფუძველი ვერ იქნება თვითკმარი საფუძველი საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისათვის, თუ არსებობდა მისი ჩატარების მტკიცებულებითი სტანდარტი. მოსამართლე არ წარმოადგენს მხარეს. ზემდგომი ინსტანცია ამოწმებს საგამოძიებო მოქმედების საფუძველს და მისი ჩატარების პროცედურას. მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედებაც, რომ უძღოდეს წინ გადაწყვეტილებას ეს არის საქმის წარმოების განახლების საფუძველი და არა გადაწყვეტილების უშინაარსოდ, ბრმად გაუქმების წინაპირობა. ეს წესი ეხება მხოლოდ სუბიექტებს და არ უნდა განვაზოგადოთ კანონიერების ყველა კრიტერიუმზე. მაგალითად; გამამტყუნებელი განაჩენი თუ გამოვიდა 24 თვიანი ვადის დარღვევით ეს არის განაჩენის უპირობოდ გაუქმების საფუძველი, მიუხედავად მტკიცებულებათა წონისა. ვადის დარღვევით განხორციელებული ქმედება ბათილია. (ვადის დარღვევა ვერ იქნება გამამართლებელი განაჩენის გაუქმების საფუძველი, 24 თვიანი ვადა უკავშირდება ბრალდებულის უფლებას სწრაფ მართლმსაჯულებაზე). [17]

სუბიექტის დადგენისას იყო თუ არა ის უფლებამოსილი საპროცესო ქმედების განხორციელებაზე პირველ რიგში ვამოწმებთ ნორმებს მოცემული საპროცესო ქმედებების შესახებ, როგორც წესი სუბიექტი ამ ნორმებშივეა განსაზღვრული. თუ არ არის ნორმაში ასეთი მითითება ვამოწმებთ ზოგად ნაწილს. გარკვეულ ქმედებებზე სუბიექტი განსაზღვრულია ზოგად ნაწილში მისი უფლებების შესახებ მუხლებში. მაგალითად; გამომძიებლის შესახებ 37-ე მუხლში ვკითხულობთ: გამომძიებელი უფლებამოსილია:

შესაბამის ორგანოს მისცეს წერილობითი მითითება დაკავებულთა და დაპატიმრებულთა გამოძიების ადგილზე მიყვანის შესახებ;

---

17 სამწუხაროდ სამართალწარმოების პრაქტიკაში ცალკეულ შემთხვევებში ირღვევა კანონის ეს მოთხოვნა, მაგრამ ამ საფუძვლით არც დევნა წყდება და არც გამამტყუნებელი განაჩენი უქმდება. ერთგვარად გათვალისწინებულია სასამართლოში არსებული საქმეების სიმრავლე, რაც არასწორია, ბრალდებულს აქვს სწრაფი მართლმსაჯულების უფლება და პირის კანონიერ ინტერესს პრიორიტეტი აქვს დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესთან შედარებით.

მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების, აგრეთვე რევიზიის, ინვენტარიზაციის, საუწყებო შემოწმების ჩატარება და დოკუმენტის წარდგენა;

მოიწვიოს თარჯიმანი, ექსპერტი, ამოსაცნობი პირი;

სისხლის სამართლის საქმის აღდგენის მიზნით, წერილობით მიმართოს შესაბამის ორგანოს ან დაწესებულებას საჭირო მასალების ან/და ინფორმაციის გადაცემის მოთხოვნით, აგრეთვე სრული მოცულობით ჩაატაროს საპროცესო მოქმედებები;

მაგალითად; გამომძიებლის მითითებით საპატიმრო დაწესებულების თანამშრომლებმა მიიყვანეს ბრალდებული გამოძიების ადგილზე (პოლიციის განყოფილება) მისი ამოცნობის ან საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის მიზნით. იყო თუ არა გამომძიებელი ასეთი მითითების გაცემაზე უფლებამოსილი? შესაბამისი ნორმის ძიება უნდა დავიწყოთ ზოგადი ნაწილიდან, კერძოდ ვამოწმებთ 37-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს გამომძიებლის უფლებამოსილებებსაც. მითუმეტეს, რომ არც ამოცნობის და არც ექსპერიმენტის შესახებ ნორმები არ ითვალისწინებს გამომძიებლის ასეთ უფლებას. გამომძიებელს ეს უფლებამოსილება გააჩნია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებაზე საჭიროა ბრალდებულის თანხმობა და როდესაც ბრალდებული თანახმაა. სხვა საგამოძიებო მოქმედებების შემთხვევაში საჭიროა პროკურორის დადგენილება დაკავებული ან დაპატიმრებული პირის გამოყვანის თაობაზე (176-ე მუხლის მე-6 ნაწილი). ზოგჯერ სპეციალური კანონმდებლობა ცალკეული ინსტიტუტების შესახებ საპროცესო ქმედებებისათვის ავიწროებს სუბიექტთა წრეს. მაგ; სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განსჯად დანაშაულებს (144[1]-144[3], 332/3ბგ-333/3ბგ, 335, 378/2). შესაბამისად, როდესაც ცნობილია ეს სხვა უწყების გამომძიებლისათვის და მაინც ატარებს საგამოძიებო მოქმედებებს გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე ირღვევა ყველა ასეთი საგამოძიებო მოქმედების კანონიერება.

საპროცესო ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს:

ორივე მხარე

მხოლოდ ბრალდების მხარე

მხოლოდ დაცვის მხარე

მხოლოდ პროკურორი

მხოლოდ გამომძიებელი

მხოლოდ ადვოკატი

მხოლოდ ბრალდებული

მოსამართლე

მაგისტრატი მოსამართლე

საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე

სააპელაციო პალატა

საკასაციო პალატა

დაზარალებული ან უფლებამონაცვლე

მოწმე

ექსპერტი

თარჯიმანი

სასამართლოს მეგობარი

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი

მხარეთა თანასწორობის პრინციპის შესაბამისად უმრავლეს შემთხვევაში საპროცესო ქმედებათა შესახებ ნორმებში სუბიექტად მითითებულია ზოგადად მხარე. ასეთი ზოგადი მითითება საპროცესო ქმედების სუბიექტად გულისხმობს ორივე მხარეს. მხარეს უფლება აქვს დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, საცავი, სადგომი, გვამი, საგანი და დოკუმენტი. ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით. ზოგჯერ ასეთი ზოგადი მითითება მხარეზე შეიძლება არალოგიკურად მოეჩვენოს სტუდენტს. მაგალითად; ბრალდებულის ქონებას შესაძლოა ყადაღა დაედოს მხარის შუამდგომლობით (151-ე მუხლი). შესაძლოა გაუგებრად ეღერდეს, რომ ბრალდებულს შეუძლია იშუამდგომლოს საკუთარი ქონების დაყადაღებაზე. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზანია უზრუნველყოს ბრალდებულმა მისთვის განსაზღვრული გირა-

ოს შეტანა უძრავი ქონების სახით.[18]

გარკვეული საპროცესო ქმედების სუბიექტად კანონმდებელი უთითებს ბრალდების მხარეს. ამ დროს სუბიექტად ითვლება პროკურორიც და გამომძიებელიც. დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე.(85-ე მუხლის მე-5 ნაწილი). გამომძიებელი ამ უფლებით ისარგებლებს მხოლოდ პროკურორის თანხმობით, რადგან პროკურორია გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი. ბრალდების მხარეა ასევე განსაზღვრული 83-ე მუხლის მე-2 ნაწილში. დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისაგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს.

ცალკეულ შემთხვევებში მხოლოდ დაცვის მხარეა უფლებამოსილი განახორციელოს საპროცესო ქმედება. მხოლოდ დაცვის მხარეა უფლებამოსილი ნებისმიერ სტადიაზე მოითხოვოს მტკიცებულებების გაცნობა. სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.

არის ისეთი საპროცესო ქმედებებიც, რომლებზეც მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი. პროკურორი უფლებამოსილია გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით გამოძიების ადგილის მიხედვით შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საბანკო ანგარიშების მონიტორინგის შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე.

გამომძიებელია მითითებული უფლებამოსილ სუბიექტად მთელ რიგ საგამოძიებო მოქმედებებში. გამომძიებელს უფლება აქვს: საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემ-

18 იხ: სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. დასახელებული ნაშრომი, რედაქტორი ლალი ფაფიაშვილი; გვ 160-163

ცველი სხვა ობიექტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად შევიდეს საცავში, სადგომში, სათავსში ან სხვა მფლობელობაში. პროკურორი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს გამოძიებას სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით. კონკრეტული სუბიექტის მითითებით ნორმაში კანონმდებელი გამორიცხავს სხვების მიერ ამ ქმედების განხორციელების შესაძლებლობას. შეგნებულად დუმს კანონმდებელი სხვა დანარჩენ სუბიექტებთან მიმართებაში. (Argumentum e kontrario).[19]

მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვხვდება ადვოკატი ქმედების ერთადერთ სუბიექტად. როცა ბრალდებულს აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა ,რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას ადვოკატს შეუძლია მისი ნებისაგან დამოუკიდებლად შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში.

ზოგჯერ კანონმდებელი მოსამართლის ნაცვლად იყენებს სასამართლოს ცნებას. გარდა ამისა ყურადღება უნდა მივაქციოთ რომლის, მოსამართლის, მაგისტრატი მოსამართლის თუ საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განსჯადობას განეკუთვნება შესაფასებელი საპროცესო ქმედება.

კაზუსი:

2020 წლის 20 დეკემბერს პირს წარედგინა ბრალდება, მასზედ რომ 2014 წლის ნოემბერში ჩაიდინა მეზობლის ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობა, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ ქვეპუნქტით.არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებების გამოკვლევის შემდგომ გადაიდო სხდომა. მტკიცებულებების გამოკვლევით გაირკვა, რომ ბრალდებულს ჩადენილი ჰქონდა 177-ე მუხლის არა მე-3 არამედ პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რადგან ნივთის დაუფლების მომენტში მეზობლის ბინაში იმყოფებოდა კანონიერად. ხელმძღვანელთან შეთანხმებით პროკურორმა შეცვალა ბრალდების კვალიფიკაცია სსკ 177-ე მუხლის პირველი ნაწილით. მომდევნო სხდომაზე მოსამართლემ თავისი ინიციატივით შეწყვიტა სისხლისსამ-

19 იხ: გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2013, გვ 220

ართლებრივი დევნა იმ მოტივით, რომ 177-ე მუხლის პირველი ნაწილისათვის 2020 წლის დეკემბერში უკვე გასული იყო სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

ფაქტების გამოკვეთა:

პროკურორის მიერ არსებითი განხილვის ეტაპზე კვალიფიკაციის შეცვლა მუხლის იმ ნაწილით, როლისთვისაც ბრალის წარდგენის მომენტში გასული იყო სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;

მოსამართლის მიერ ხანდაზმულობის ვადის გასვლის მოტივით პირადი ინიციატივით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

ამოცანების განსაზღვრა:

არსებობდა თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი?

იყო თუ არა მოსამართლე უფლებამოსილი პირადი ინიციატივით შეეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა?

სამუშაო გეგმა:

საპროცესო ქმედების საფუძველი?

საპროცესო ქმედების ვადები+

საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი?

ქმედებაში მონაწილე სუბიექტები+

ქმედების განხორციელების ზოგადი წესები+

ქმედების განხორციელების სპეციალური წესები+

შესაფასებელი გვაქვს არსებობდა თუ არა დევნის შეწყვეტის საფუძველი და იყო თუ არა მოსამართლე უფლებამოსილი შეეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა თავის ინიციატივით.

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

პირველი ამოცანის გადასაჭრელად უნდა შევამოწმოთ ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლებს და სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადებს. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები კანონმდებელს გაერთიანებულად აქვს

კოდიფიცირებული გამოძიების შეწყვეტის საფუძვლებთან ერთად. გამოძიების შესახებ კარის პირველივე თავში „გამოძიების საფუძვლები“ 105-ე მუხლის პირველი ნაწილის ე ქვეპუნქტში დადგენილია შემდეგი წესი:

გამოძიება უნდა შეწყდეს ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.

სისხლის სამართლის კოდექსში პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ XIII თავში დევნის ხანდაზმულობის მოტივით განთავისუფლებას აწესრიგებს 71-ე მუხლი, რომლის პირველი და მეორე ნაწილებიდან გამომდინარეობს, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულზე, რომლის მაქსიმალური სასჯელიც აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას დევნის დაწყების ხანდაზმულობის ვადა არის ექვსი წელი. 177-ე მუხლის პირველ ნაწილში თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა არის 3 წელი.

მეორე ამოცანის გადასაჭრელად (არის თუ არა მოსამართლე უფლებამოსილი თავისი ინიციატივით შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა შესაბამისი საფუძვლების არსებობისას) ვამოწმებთ რომელი ნორმა აწესრიგებს საპროცესო კოდექსში მოსამართლის მიერ დევნის შეწყვეტის საკითხებს. დევნის შეწყვეტის საკითხი შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, ამიტომ ნორმის ძიება უნდა დავიწყოთ სასამართლო განხილვის ზოგად დებულებათა თავიდან, რადგან ის აწესრიგებს სამივე ინსტანციაში საქმის განხილვის საერთო წესებს. მოცემული თავი ჩვენთვის წარმოადგენს რეგულირების გვარეობით საგანს. უშუალო საგანი კი „არსებითი განხილვისას დევნის შეწყვეტა“ ამ თავში მოწესრიგებულია 191-ე მუხლის პირველ ნაწილში:

როდესაც არსებობს ამ კოდექსით დადგენილი საფუძველი საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო მხარის შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას.

ამოცანების გადაჭრა:

პირველი ამოცანის გადაჭრა:

1. ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ხანდაზმულობის ვადა არის ექვსი წელი თუ მისი სასჯელის მაქსიმალური ვადა აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას. ასეთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის ექვს წლიანი ვადის დარღვევით დაწყების შემთხვევაში არსებობს სსსკ 105-ე მუხლის პირველი ნაწილის ე ქვეპუნქტით გათვალისწინებული დევნის შეწყვეტის საფუძველი, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ გასულია საქართველოს სისხლისსამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.

2. პირს ბრალი წარედგინა 2020 წლის 20 დეკემბერს იმ ბრალდებით, რომ 2014 წლის ნოემბერში ჩაიდინა ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით. საქმის დასრულებამდე შეიცვალა კვალიფიკაცია ბრალდებით გათვალისწინებული ქმედებისათვის და ბრალად ედება 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება. ამ ნაწილით გათვალისწინებული ქმედება არის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, რადგან სასჯელის მაქსიმალური ვადა ამისათვის არის თავისუფლების აღკვეთის სამი წელი.

3. ორივე მოცემულობა მოწმობს, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის პირს ბრალი წარედგინა ექვს წლიანი ვადის დარღვევით, რადგან 2014 წლის ნოემბერში ჩადენილ ქმედებაზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2020 წლის დეკემბერში. შესაბამისად დევნის დაწყების ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო არსებობდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი.

მეორე ამოცანის გადაჭრა:

1. 191-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ შესაბამისი საფუძვლების არსებობისას საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს მხარის შუამდგომლობის შემთხვევაში შეუძლია შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა. ასეთი მოწესრიგებით კანონმდებელი მოსამართლეს 105-ე მუხლით

გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას დევნის შეწყვეტის უფლებამოსილებას ანიჭებს მხოლოდ გამოძიების სტადიის და წინასასამართლო სხდომის შემდგომ და თანაც მხოლოდ მხარის შუამდგომლობის შემთხვევაში.

2. მოცემულ საქმეში არსებობდა დევნის შეწყვეტის საფუძველი და საქმეც არსებითად იხილებოდა სასამართლოში, თუმცა მოსამართლემ საქმე შეწყვიტა თავისი ინიციატივით და მხარეს ამის თაობაზე შუამდგომლობა არ დაუყენებია.

3. გამომდინარე იქედან, რომ მოსამართლე მოქმედებდა პირადი ინიციატივით და მხარეს შუამდგომლობა დევნის შეწყვეტის თაობაზე არ დაუყენებია ის არ იყო უფლებამოსილი სუბიექტი შეეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა. მას, თანახმად 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის ბ ქვეპუნქტისა უნდა გამოეტანა გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით.

საბოლოო პასუხი:

მიუხედავად იმია, რომ არსებობდა დევნის შეწყვეტის საფუძველი, განჩინება არის უკანონო, რადგან მოსამართლე არ იყო უფლებამოსილი სუბიექტი მხარის შუამდგომლობის გარეშე შეეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.

4.საპროცესო ქმედებაში მონაწილე პირები

საპროცესო ქმედების კანონიერად შეფასებისათვის აუცილებელია მის განხორციელებაში მონაწილეობდნენ კანონით განსაზღვრული პირებიც. შეიძლება ქმედებას ობიექტურად ახორციელებდეს პროცესის მწარმოებელი პირი, მაგრამ მისი საქმიანობა ამ კუთხით იქნება უკანონო თუ არ უზრუნველყო მაში კანონმდებლობით დადგენილი პირების ჩართვაც. როდესაც გამოსაკითხი პირი არ ფლობს სათანადოდ სამართალწარმოების ენას, თარჯიმნის გარეშე ჩატარებული გამოკითხვა არის უკანონო. არა აქვს მნიშვნელობა რამდენად სრულყოფილად ფლობს გამომძიებელი გამოსაკითხ პირთან კომუნიკაციის ენას. აუცილებელია ამ დროს თარჯიმნის მოწვევა. თუ გამოსაკითხი პირი არის ბრალდებული მაშინ თარჯიმანთან ერთად აუცილებელია სავალდებულო წესით ადვოკატის დანიშვნაც.(45: ბ)

კაზუსის ამოხსნისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ობიექტურად შესაძლებელი იყო თუ არა პროცესის მონაწილე სუბიექტის ჩართვა საპროცესო ქმედებაში. როდესაც პირს აკავებენ განჩინების საფუძველზე და წინასწარ ცნობილია მისი ენობრივი ბარიერის შესახებ თარჯიმნის მოუწვევლობა დაკავების მომენტში იქნება დაკავების უკანონოდ ცნობის საფუძველი.[20] განსხვავებით აღნიშნულისაგან კანონიერი იქნება თარჯიმნის მოგვიანებით მოწვევა, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების შემდეგ ხდება ცნობილი თარჯიმნის საჭიროების შესახებ.[21]

საპროცესო ქმედების განხორციელებას ცალკეულ პირთა მონაწილეობით განსაზღვრავს სხვა საკანონმდებლო აქტებიც. მაგალითად; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ვკითხულობთ:

არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვა მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით ტარდება. ამ კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირი/მოწმე გამოკითხვის/დაკითხვის დროს სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. არასრულწლოვნის გამოკითხვისას/დაკითხვისას საპროცესო მოქმედების განმახორციელებელი პირი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ფსიქოლოგის მონაწილეობას. ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და გამოკითხვის/დაკითხვის დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას

შესაბამისად ადვოკატის გარეშე არასრულწლოვნის გამოკითხვა/დაკითხვა იქნება უკანონო. უკანონო იქნება მის საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებებიც (უკანონო და არა დაუშვებელი თუ აუმჯობესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას).

---

20 იხ: გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, პროკურატურისა და შსს თანამშრომელთა ავტორობით, მერებაშვილი, მეზვრიშვილი, აფთარაშვილი. ჩიქობავა და სხვები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2017, გვ 288-293

21 იხ: შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2010. გვ 510. ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, დასახელებული ნაშრომი, გვ, 179-180. ასევე სისხლის სამართლის კერძო ნანილი, დასახელებული სახელმძღვანელო, გვ, 227

ცალკეული სუბიექტების მონაწილეობა საპროცესო ქმედების განხორციელებაში შეიძლება იყოს სავალდებულო ან ატარებდეს ნებაყოფლობით ხასიათს. ქმედების კანონიერების შეფასებისას აუცილებელია კაზუსში მივაქციოთ ამ საკითხს ყურადღება. მაგალითად სავალდებულოა ექსპერტის მონაწილეობა ექსჰუმაციასა და გვამის გარეგნულ დათვალიერებაში, მაგრამ ნებაყოფლობითია მისი მოწვევა საგამოძიებო ექსპერიმენტში. (საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის შეიძლება მიიწვიონ ექსპერტი. 130.1.) შესაბამისად ექსპერტის მონაწილეობის გარეშე საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება არ იქნება კანონდარღვევა, მაგრამ შესაძლოა საეჭვო გახდეს საგამოძიებო მოქმედების შედეგების უტყუარობა თუკი საცდელ მოქმედებათა განხორციელება მოითხოვდა სპეციალურ ცოდნას.

საპროცესო ქმედების განხორციელებაში ცალკეული სუბიექტების მონაწილეობის აუცილებლობაზე, როგორც წესი მითითებულია ბრძანებითი ფორმის წინადადებებით. თუმცა ზოგჯერ კანონმდებელი მიუთითებს ირიბადაც. მაგალითად; 135-ე მუხლის მე-2 ნაწილში ვკითხულობთ:

ამოღების ან ჩხრეკის ოქმის ასლი გადაეცემა პირს, რომელთანაც ჩატარდა ამოღება ან ჩხრეკა, ან მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – სახლის მფლობელს ან/და გარეშე პირს (მეზობელს, ახლო ნათესავს, მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს წარმომადგენელს), რომელიც ამოღებას ან ჩხრეკას ესწრებოდა.

მოქმედ საპროცესო კოდექსში არცერთი ნორმა არ მიუთითებს ბრძანებითი ფორმით, რომ მოცემულ პირთაგან სავალდებულოა რომელიმეს მოწვევა. ეს საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია და მათი მოწვევის (რომელიმეს) აუცილებლობას ირიბად აწესებს კანონმდებელი.22 (საგულისხმოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, როდესაც აშკარაა, რომ პოლიციელს შეეძლო მოეპოვებინა ჩხრეკის სანდოობის გამამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედებებისად-

22 იხ: გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, პროკურატურისა და შსს თანამშრომელთა ავტორობით, მერებაშვილი, მეზვრიშვილიშვილი. ჩიქობავა და სხვები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2017, გვ 73-78 ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, დასახელებული ნაშრომი, გვ, 420

მი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ამის აშკარა მაგალითია, როდესაც საქმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ პირის ან მისი მფლობელობის ჩხრეკის პროცესზე ნეიტრალური მოწმის დასწრების შესაძლებლობა ობიექტურად არსებობდა და პოლიციელებმა ეს არ უზრუნველყვეს.)23 რომ საქმე იმაშია, რომ მოქმედი კოდექსი არც თუ მცირე შემთხვევებში წარმოადგენს წინამორბედის შემოკლებულ ვერსიას. 1998 წლის საპროცესო კოდექსის 321-ე მუხლის მე-3 ნაწილში ვკითხულობდით:

ამოღების ან ჩხრეკის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმ პირის ან მისი ოჯახის თუნდაც ერთი სრულწლოვანი წევრის დასწრება, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა. თუ მათი დასწრების უზრუნველყოფა შეუძლებელია უნდა მოიწვიონ სახლის პატრონი ანდა ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი.

მოქმედ კოდექსში კი ეს ვალდებულება მოკლედ ასახა კანონმდებელმა სხვა ნორმებთან ერთად. (იმ შეთხვევაში თუ გადაუდებელი აუცილებლობისას მათი მოწვევა გამოიწვევს დაყოვნებას, მაშინ მათ გარეშეც შეიძლება ჩხრეკა/ამოღების ჩატარება).

კაზუსი:

სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში გამომძიებელმა ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებით გამოკითხა კორინთელი. ეს უკანასკნელი მიხვდა, რომ გამოძიებას მის მიმართ გააჩნდა გარკვეული ტიპის ეჭვები და მეორე დღეს დილის საათებში შეხვდა თავის ადვოკატს კონსულტაციის მისაღებად. შეხვედრიდან მალევე, ოფისიდან გამოსვლისთანავე კორინთელი დაკავებულ იქნა განჩინების საფუძველზე. კორინთელმა, როგორც კი ის დააკავეს მოითხოვა, რომ ყველა პროცედურას ამ მომენტიდანვე დასწრებოდა მისი ადვოკატი, რომლის ოფისთანაც იმყოფებოდნენ, ამოიღო ჯიბიდან ტელეფონი და ცდილობდა მის გამოყენებას. გამოძიებისათვის ცნობილი იყო. რომ კორინთელის მობილურ ტელეფონში

23 იხ: საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საქმეზე გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-106 ,107

ინახებოდა საქმისათვის საინტერესო ინფორმაცია, რის გამოც გამომძიებელმა არ მისცა ადვოკატის მოწვევის საშუალება და გადაუდებელი აუცილებლობით ადვოკატის გარეშე ამოიღო აღნიშნული მობილური ტელეფონი. მომდევნო დღეს 15:00 საათზე პროკურორმა მიმართა სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობის თაობაზე შუამდგომლობებით. მოსამართლემ ორივე შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

შეაფასეთ მოსამართლის განჩინებათა კანონიერება!

ფაქტების გამოკვეთა:

- განჩინების საფუძველზე დაკავება დილის საათებში;
- დაკავებულის მოთხოვნა მოეწვია იქვე მყოფი ადვოკატი;
- ტელეფონის ამოღება ადვოკატის მოუწვევლად გადაუდებელი აუცილებლობით;
  შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებასა და ჩხრეკის კანონიერად ცნობაზე მომდევნო დღის 15:00 საათზე;
- ორივე შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

ამოცანების განსაზღვრა

- ჰქონდა თუ არა ბრალდებულს უფლება დაკავებისთანავე მოეთხოვა ადვოკატი;
  ჰქონდა თუ არა გამომძიებელს უფლება არ დაკმაყოფილებინა ბრალდებულის მოთხოვნა და ამოეღო მობილური ტელეფონი;
  იშუამდგომლა თუ არა პროკურორმა კანონით დადგენილ ვადებში.

სამუშაო გეგმის შედგენა:

- საპროცესო ქმედების საფუძველი?
- საპროცესო ქმედების ვადები?
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი+
- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები?
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები+
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები+

შესაფასებელი გვაქვს ქმედებაში მონაწილე სუბიექტების ელემენტი, კერძოდ: ჰქონდა თუ არა ბრალდებულს უფლება დაკავებისთანავე მოეთხოვა ადვოკატი, შესაფასებელი გვაქვს

საპროცესო ქმედების საფუძველი: ჰქონდა თუ არა გამომძიებელს საფუძველი გადაუდებლად ამოეღო მობილური ტელეფონი და ჰქონდა თუ არა საფუძველი საგამოძიებო მოქმედება ჩაეტარებინა ადვოკატის გარეშე, შესაფასებელი გვაქვს ვადების ელემენტი, დროულად შეიტანა თუ არა პროკურორმა შუამდგომლობები.

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

პირველი ამოცანით განსაზღვრული საკითხის მოსაწესრიგებლად ნორმის ძიება უნდა დავიწყოთ ზოგადი ნაწილიდან. საერთო ნორმები ბრალდებულის შესახებ ზოგად ნაწილში მოცემულია მეხუთე თავში. მოწესრიგების უშუალო საგანი დარეგულირებულია 38-ე მუხლის მე-2 და მე-7 ნაწილში.

დაკავების მომენტში ან თუ დაკავება არ ხდება, – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე (38;2)

ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს.(38.7)

კერძო ნაწილში რეგულირების ზოგადი საგანი არის სისხლისსამართლებრივი დევნა, უშუალო საგანი კი დაკავებულის უფლება ადვოკატზე დევნის შესახებ თავში, მოცემულია 174-ე მუხლში (დაკავების წესი).

თუ არსებობს დაკავების საფუძველი, დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს, განუმარტოს, რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული, და აცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე,

მეორე ამოცანით განსაზღვრულია ორი საკითხი: ჰქონდა თუ არა გამომძიებელს საფუძველი ჩაეტარებინა პირადი ჩხრეკა და შეეძლო თუ არა მისი ჩატარება ადვოკატის გარეშე. აქ უნდა განვსაზღვროთ მსჯელობის თანმიმდევრობა: ჯერ ვადგენთ არსებობდა თუ არა ჩხრეკის საფუძველი და შემდგომ ვარკვევთ შეიძლებოდა თუ არა მისი ჩატარება ადვოკატის გარეშე.

პირველი საკითხით განსაზღვრული მოწესრიგების უშუალო საგანი არის დაკავებულის პირადი ჩხრეკა. საკითხი უკავშირდე-

ბა ორ სტადიას: გამოძიებას და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. შესაბამისად მომწესრიგებელი ნორმა შეიძლება იყოს საგამოძიებო მოქმედებათა თავში ან დევნის თავში, შესაძლოა იყოს ორივე თავშიც. საგამოძიებო მოქმედებათა თავში უნდა შევამოწმოთ 121-ე მუხლი, რადგან პირადი ჩხრეკა მისი მოწესრიგების უშუალო საგანია. მოცემული მუხლის მეორე ნაწილში ვკითხულობთ:

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები, დამკავებელ თანამდებობის პირს უფლება აქვს, ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით ჩაატაროს პირადი ჩხრეკა სასამართლოს განჩინების გარეშე.

სისხლის სამართლებრივი დევნის თავში ვამოწმებთ მუხლს დაკავების წესის შესახებ (174-ე მუხლი). დაკავებულის პირადი ჩხრეკა მოწესრიგებულია მესამე ნაწილით:

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან/და აპირებს თავიდან მოიშოროს, დააზიანოს ან გაანადგუროს მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საგანი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, დამკავებელ მოხელეს უფლება აქვს, ჩაატაროს პირადი ჩხრეკა ამ კოდექსის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესით.

მეორე საკითხით განსაზღვრული მოწესრიგების უშუალო საგანი არის ჩხრეკის ჩატარება ადვოკატის მოუწვევლად. მოცემული საკითხის კანონიერება დამოკიდებულია იმაზე არსებობდა თუ არა გადაუდებელი აუცილებლობა. გადაუდებელი აუცილებლობა საგამოძიებო მოქმედებისას განმარტებულია გამოძიების სტადიაზე საგამოძიებო მოქმედებათა თავში, 112-ე მუხლის მე-5 ნაწილში.

გადაუდებელი აუცილებლობა-, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიე-

რება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

მესამე ამოცანის გადასაჭრელად ვარკვევთ, ვადების დაცვით დააყენა თუ არა პროკურორმა შუამდგომლობა: გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობაზე და აღკვეთის ღონისძიებაზე; პირველი საკითხი უკავშირდება გამოძიების სტადიას, კერძოდ, საგამოძიებო მოქმედებათა თავს, მეორით გათვალისწინებული საკითხი კი აღკვეთის ღონისძიებას და შესაბამისად აღკვეთის ღონისძიებათა თავს. საგამოძიებო მოქმედებათა თავში, 112-ე მუხლში კანონმდებელი ადგენს რა ვადაში ხდება შუამდგომლობა გადაუდებლად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებაზე.

საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისას, რომელსაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც, რის შესახებაც მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით მოსამართლეს პროკურორმა უნდა აცნობოს საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას.

მეორე საკითხი იყო შუამდგომლობის დაყენების ვადა დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება-

ზე, ეს ვადა არის პირის დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა. (196;1. 206;2)

ამოცანების გადაჭრა:

პირველი ამოცანის გადაჭრა:

1. დაკავების მომენტიდან პირს წარმოეშობა უფლება ადვოკატზე. პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად და ბრალდებულს აქვს უფლება მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაზე.

2. კორინთელი დაკავებულ იქნა ჩხრეკამდე.

3. გამომდინარე პირველი და მეორე მოცემულობიდან კორინთელი იყო დაკავებული მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან და მას ჰქონდა უფლება მოეთხოვა ადვოკატის დასწრება;

მეორე ამოცანის გადაჭრა:

1. 121-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად; თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებული აპირებს თავიდან მოიშოროს მისი მამხილებელი მტკიცებულებები დამკავებელ თანამდებობის პირს უფლება აქვს ჩაატაროს მისი პირადი ჩხრეკა, განჩინების გარეშე. 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად; თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებული პირი დააზიანებს ან გაანადგურებს ინფორმაციის მნიშვნელობის მქონე ობიექტს, დამკავებელ თანამდებობის პირს უფლება აქვს ჩაატაროს პირადი ჩხრეკა 121-ე მუხლით დადგენილი წესით. მოცემული ნორმების მიზანია უზრუნველყოს გამოძიებისათვის დაკავებულის ხელთ არსებული მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა. მტკიცებულების თავიდან მოშორება და ინფორმაციის შემცველი ობიექტის დაზიანება ან განადგურება უნდა განიმარტოს განვრცობით. მასში იგულისხმება ნებისმიერი ხერხით გამოძიებისათვის მისი ხელმისაწვდომობის შეფერხება. ეს შეიძლება იყოს მტკიცებულების; გადაგდება, დამტვრევა, დახევა, დაწვა, დამალვა, წაშლა, დაბლოკვა და აშ. დასაბუთებული ვარაუდი ამ ქმედებების განხორციელებისა მტკიცებულებებთან მიმართებაში ყოველთვის არსებობს, როცა პირი დაკავებულია

და კვლავაც მიუწვდება ხელი ამ მტკიცებულებებზე. დაკავებულის უფლება პირად ჩხრეკაზე მოიწვიოს ადვოკატი, შეიძლება შეიზღუდოს, თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა იმისა, რომ დაყოვნება ადვოკატის მოსვლამდე, აზრს დაუკარგავს პირადი ჩხრეკის ჩატარებას. თუ ადვოკატის მოსვლამდე პირს რჩება მტკიცებულებებზე ზემოქმედების შესაძლებლობა , მაშინ ადვოკატის გარეშე ამ მტკიცებულების ან მისი შემცველი ობიექტის ამოღება იქნება კანონიერი.

2. გამომძიებელს ჰქონდა ინფორმაცია, რომ დაკავებულის მობილურ ტელეფონში იყო საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და დაკავებული ამ ტელეფონით ხელში ითხოვდა ადვოკატის მოსვლამდე არ ამოელოთ ეს ტელეფონი.

3. ორივე გარემოება მოწმობს, რომ არსებობდა ჩხრეკის საფუძველი და კანონიერი იყო მისი ჩატარება ადვოკატის გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობით.

მესამე ამოცანის გადაჭრა:

1. 112-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობაზე, პროკურორი მისი დაწყებიდან 24 საათში მიმართავს შუამდგომლობით მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილის მიხედვით. შუამდგომლობის შეტანა ხდება საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან და არა დამთავრებიდან 24 საათში. საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 206-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად დაკავებიდან 48 საათის ვადაში პროკურორს შეაქვს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე.

2. კორინთელი დაკავებულ იქნა დილის საათებში და შესაბამისად ჩხრეკაც ჩატარდა დილის საათებში. შუამდგომლობები საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობაზე და აღკვეთის ღონისძიებაზე პროკურორმა წარადგინა მეორე დღეს 15:00 საათზე. რაც შეეხება ვადას, რა ვადაში განიხილა შუამდგომლობები მოსამართლემ ამაზე არ არის კაზუსში ყურადღება გამახვილებული. შესაბამისად მიიჩნევა, რომ განხილვა მოხდა ვადის დაცვით.

3. გამომდინარე პირველი და მეორე მოცემულობიდან პროკურორმა ერთი შუამდგომლობა ვადის დარღვევით შეიტანა მეორე ვადის დაცვით. შუამდგომლობა პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობაზე უნდა შეეტანა მისი დაწყებიდან 24 საათში. პირადი ჩხრეკა ჩატარდა დილის საათებში, შუამდგომლობა კი სასამართლოს წარედგინა მეორე დღეს 15:00 საათზე. შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებაზე შეტანილია ვადის დაცვით, 48 საათი ჯერ არ იყი ამოწურული.

საბოლოო პასუხი:

მოსამართლის განჩინება პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობაზე არის უკანონო. ვადის დარღვევით განხორციელებული ქმედება ბათილია. ამიტომ მოსამართლეს შუამდგომლობა განუხილველად უნდა დაეტოვებინა. განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე გამოტანილ იქნა კანონის მოთხოვნათა დაცვით.

5. საპროცესო ქმედების განხორციელების ზოგადი წესები

წინა პარაგრაფებში განხილული ელემენტები თავისთავად წარმოადგენენ საპროცესო ქმედების განხორციელების წესებს, თუმცა რამდენადაც შესაძლებელი იყო ჩამოვაყალიბეთ ისინი საპროცესო ქმედების კანონიერების თვითმყოფად და დამოუკიდებელ წევრებად. მეორის მხრივ განხილული ოთხი ელემენტი ვერ ამოწურავდა ყველა რეგულაციას პროცესში. რჩება ნორმების კატეგორია, რომლებიც ასევე განსაზღვრავენ საპროცესო ქმედების ფორმას, პროცედურას და შინაარსს. ეს ნორმები ქმედების კანონიერების ეტაპზე გამოვიტანეთ ზოგადი და სპეციალური ნორმების სახით.ზოგადი ნორმები პროცესში გვხვდება ზოგად ნაწილშიც და კერძო ნაწილშიც. ნორმის ზოგად ხასიათს განაპირობებს მისი ბუნება, ვრცელდება თუ არა ის სხვადასხვა საპროცესო ქმედებებზე. ნორმის ზოგადობა აპრიორი არ არის დამოკიდებული მის ლოკაციაზე ზოგად ნაწილში. ზოგად ნაწილშიც გვხვდება სპეციალური ნორმები და კერძო ნაწილშიც ზოგადი ნორმები. 111-ე მუხლი კერძო ნაწილშია და ვრცელდება ყველა საგამოძიებო მოქმედებაზე, 31-ე მუხლი (უარი ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე) ზოგად

ნაწილშია და ვრცელდება მხოლოდ ერთ საპროცესო ურთიერთობაზე. განსხვავებით სისხლის სამართლისაგან, სადაც კვალიფიკაცია სპეციალური ნორმით იწყება, საპროცესო სამართალში ქმედების კანონიერებაზე მსჯელობას წარვმართავთ ზოგადი ნორმებიდან სპეციალური ნორმებისაკენ. საპროცესო სამართალში ჩვეულებრივ სპეციალური ნორმები არ გამორიცხავენ ზოგად ნორმებს, პირიქით ლოგიკური გაგრძელებაა მათი. სისხლის სამართალში კანონზომიერებაა, როდესაც სპეციალური ნორმა გამორიცხავს ზოგადით კვალიფიკაციას, მაშინ როდესაც საპროცესო სამართალში ზოგადისა და სპეციალური ნორმის წინააღმდეგობა არაორგანულია და ხშირ შემთხვევაში მეტყველებს კანონმდებლის წინდაუხედაობაზე. მაგალითად; ზოგადი ხასიათისაა ნორმა მე-6 მუხლის მე-3 ნაწილში, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას. იგი მოქმედებს ყველა სტადიაზე და ეხება გამომძიებელსაც, მოსამართლესაც და პროკურორსაც. სპეციალურია ამ ნორმასთან მიმართებაში 38-ე მუხლის მე-12 და 198-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნორმები, რადგან აწესრიგებენ მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების საკითხს. კერძოდ, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით არ უნდა შეეფარდოს პატიმრობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მისი მიმალვის, შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის, მოწმეზე ზემოქმედების, მტკიცებულების განადგურების ან განაჩენის აღუსრულებლობის საფრთხე ანდა ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.. სამივე ნორმა შესაბამისობაშია ერთმანეთთან, ბოლო ორი აგრძელებს პირველის შინაარსს. იშვიათ შემთხვევებში წინააღმდეგობრივია ზოგადი და სპეციალური ნორმები. 111-ე მუხლის მე-9 ნაწილი ადგენს ზოგად წესს, რომ თუ საგამოძიებო მოქმედება ითვალისწინებს გაშიშვლებას, შესამოწმებელი პირის მოთხოვნის შემთხვევაში ექსპერტი და მხარე უნდა იყვნენ იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის შესამოწმებელი პირი.. შესამოწმებელი და შემმოწმებელი პირების ერთსქესიანობა აქ დამოკიდებულია შესამოწმებელი პირის მოთხოვნაზე. აღნიშ-

ნულისგან განსხვავებით 121-ე მუხლის მე-4 ნაწილი აწესებს, რომ თუ პირად ჩხრეკას თან სდევს გაშიშვლება, იგი უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პირმა. ამ დროს დასაშვებია მხოლოდ იმავე სქესის პირთა მონაწილეობა.(საგამონაკლისო ნორმა) 121-ე მუხლი სპეციალურია, ის ანესრიგებს მხოლოდ პირად ჩხრეკას, შესაბამისად უპირატესია ის 111-ე მუხლთან, რომელიც ეხება ყველა საგამოძიებო მოქმედებას.

განსხვავება ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის მოწესრიგების საგანშია. სპეციალურ ნორმას აქვს ერთი მოწესრიგების საგანი, ზოგად ნორმას კი სხვადასხვა არაერთგვაროვანი ან სხვადასხვა ერთგვაროვანი მოწესრიგების საგანი. იგივე 121-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოწესრიგების საგანია მხოლოდ ჩხრეკის წესი გასაჩხრეკი პირის გაშიშვლებისას, 111-ე მუხლის მე-9 ნაწილში კი მოწესრიგების საგანია შესამოწმებელი პირის გაშიშვლების წესი სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას. სხვადასხვა არაერთგვაროვან ურთიერთობებზე ზოგადი ნორმა შეიძლება ეხებოდეს სხვადასხვა სტადიას, ხოლო სხვადასხვა ერთგვაროვან ურთიერთობებზე ზოგადი ნორმა ეხება რამოდენიმე ურთიერთობას ერთი სტადიის შიგნით. მაგალითად, მე-4 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესი, რომ სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში იძულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არის ზოგადი ნორმა და ეხება სხვადასხვა არაერთგვაროვან ურთიერთობებს, გამოძიებასაც, დევნის სტადიასაც და საქმის განხილვასაც. 111-ე და 112-ე მუხლებიც ზოგადია, მაგრამ ეხება მხოლოდ სხვადასხვა ერთგვაროვან ურთიერთობებს საგამოძიებო მოქმედებათა ფარგლებში. ნორმის ზოგადი ხასიათი შეიძლება განპირობებული იყოს მითითებითი ნორმებითაც. ასეთ დროს ერთი მუხლით დადგენილი წესების გამოყენებაზე მითითებულია სხვა სტადიაზეც. მაგალითად 206-ე მუხლით დადგენილია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გაუქმების წესი, რომლით დადგენილი წესების გამოყენებაზე მითითებულია კიდევ შვიდ ნორმაში: გამოძიების, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის ეტაპებზე. მოცემული ნორმა ზოგადია ყველა ამ სტადიისთვის.

ზოგადი ნორმების ტიპს განეკუთვნება ასევე კონვენციური და კონსტიტუციური ხასიათის ნორმები. ისინი ვრცელდება არამხოლოდ არაერთგვაროვან ურთიერთობებზე, არამედ სამართლის სხვადასხვა სფეროში არსებულ ურთიერთობებზეც.

ზოგადი ნორმები შეგვიძლია დავყოთ გაშუალებულად მოქმედ და უშუალოდ მოქმედ ნორმებად.

გაშუალებულად მოქმედი ზოგადი ნორმები. ამ ტიპის ნორმებს ძირითადად წარმოადგენს ნორმაპრინციპები. მათი ბუნება იმაში გამოიხატება, რომ საპროცესო ქმედებებს უშუალოდ არ აწესრიგებენ. ისინი განაპირობებენ სხვა ნორმების ბუნებას და ამ ნორმების მეშვეობით მოქმედებენ გაშუალებულად. ნორმაპრინციპი უშუალოდ მოქმედებს საპროცესო ურთიერთობაზე თუ გაშუალებულად ამის განსაზღვრა დამოკიდებულია იმაზე გვხვდება თუ არა კოდექსში შემდგომ ნორმებში ამ პრინციპის შესაბამისი ნორმები. ნორმაპრინციპი, რომლის შინაარსიც დაზუსტებულია შემდგომ ნორმებში წარმოადგენს გაშუალებულად მოქმედ ზოგადი ხასიათის ნორმას. მაგალითად მე-9 მუხლი მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის შესახებ არის გაშუალებულად მოქმედი ზოგადი ნორმა, ის გაშუალებულია სხვა ნორმების საშუალებით, 25-ე 83-ე 111-ე, 239-ე და სხვა მუხლებით. გაშუალებულად მოქმედი ნორმაა მე-8 მუხლის პირველი ნაწილი, რომ ბრალდებულს, მსჯავრდებულს და გამართლებულს აქვს სამართლიანი სასამართლოს უფლება. უშუალოდ მოქმედი ზოგადი ნორმაა ამავე მუხლის მე-3 ნაწილი, რომ სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა. მსგავსი წესი არსად აღარ გვხვდება კოდექსში და რაც მთავარია ის არ ეხება მხოლოდ რომელიმე სხდომას. უშუალოდ მოქმედი ზოგადი ნორმაა ასევე მეოთხე მუხლის მესამე ნაწილი. პრინციპებში გვხვდება უშუალოდ მოქმედი სპეციალური ნორმებიც. ასეთია მე-18 მუხლი.

დაუშვებელია პირის განმეორებით დაკავება მხოლოდ ერთი და იმავე მტკიცებულებების ან/და ინფორმაციის საფუძველზე.

არ შეიძლება პირს წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე გამართ-

ლებულ ან მსჯავრდებულ იქნა. ეს მუხლი ეხება მხოლოდ ორ საკითხს, განმეორებით დაკავებისა და მსჯავრდების აკრძალვას.

გამონაკლის შემთხვევებში გაშუალებულად მოქმედი ნორმები გვხვდება პრინციპების მიღმაც. მაგალითად 38-ე მუხლის მე-7 ნაწილში ბრალდებულის ერთ-ერთი უფლებაა:

მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად. ეს ნორმა ზოგადია, იმიტომ რომ ეხება ყველა საგამოძიებო მოქმედებას და გაშუალებულია, რადგან არაფერს გვეუბნება თუ რა ეზღუდება და რა არ ეზღუდება ბრალდებულს ამ უფლების გამოყენებისას. ეს უფლება და მისი ფარგლები დაკონკრეტებულია შემდგომ 39-ე 111-ე და 112-ე, 136-ე, 137-ე და 138-ე მუხლებში.

უშუალოდ მოქმედი ზოგადი ნორმები. უშუალოდ მოქმედი ზოგადი ნორმებიც შეგვიძლია გავყოთ ორ ნაწილად. ნორმები, რომლებიც სხვა ნორმებთან ერთად აწესრიგებს საპროცესო ქმედებას და ნორმები, რომლებიც სხვა ნორმებისაგან დამოუკიდებლად აწესრიგებს ქმედებას. მაგალითად 134-ე მუხლი (ზოგადი დებულებანი საგამოძიებო მოქმედების ოქმის შესახებ) არის უშუალოდ მოქმედი ზოგადი ნორმა, ის ეხება ყველა საგამოძიებო მოქმედებას, თუმცა არ ამოწურავს ურთიერთობას და ოქმის შედგენის საკითხებს აწესრიგებს სხვა ნორმასთან ერთად. ვგულისხმობთ 135-ე მუხლს, ცალკეული საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენის თავისებურებანი.

ზოგადი ნორმები, რომლებიც დამოუკიდებლად აწესრიგებს საპროცესო ქმედებებს განპირობებულია იმით, რომ კოდექსში სხვა ნორმები აღარ ეხება ამ მუხლით თუ ნორმით დარეგულირებულ საკითხებს. მაგალითად, 85-ე მუხლი არის ზოგადი ხასიათის უშუალოდ მოქმედი დამოუკიდებელი ნორმა. მხოლოდ ეს ნორმა აწესრიგებს სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევასთან დაკავშირებულ საპროცესო ურთიერთობებს. ის აწესრიგებს ამ ურთიერთობებს ყველა სასამართლო სხდომაზე.

კაზუსი ზოგად ნორმებზე

გამოძიების სტადიაზე გამოკითხული იქნა პირი, რომელიც შეესწრო დანაშაულის ფაქტს. გამოკითხვის ოქმის შედგენის შემდგომ გამომძიებელმა გამოკითხულ პირს მოაწერინა ოქმზე ხელი. გაკეთდა ოქმში განცხადებაც პირის მიერ, რომ ჩვენება დაბეჭდილია მისი ნაკარნახევი სიტყვებით, წაიკითხა, სწორია და აწერდა ხელს. აღნიშნული განცხადება პირმა გააკეთა გამოკითხვის ოქმის ბოლოდან მეორე გვერდზე და ბოლო გვერდზე გამორჩა პირს ხელმოწერაც, რაზეც გამომძიებელს არ გაუმახვილებია ყურადღება. ოქმის ბოლო გვერზე პირი აღწერდა თუ რა ვითარებაში მოხდა დანაშაული და ასახელებდა დამნაშავის სახელგვარს. არსებითი განხილვის დაწყების შემდეგ გამოკითხული პირი გარდაიცვალა და პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა კანონის შესაბამისად (243-ე მუხლის პირველი ნაწილი) გამოკითხვის ოქმის გამოქვეყნებაზე.

შეაფასეთ ოქმის ბოლო გვერდზე არსებული ინფორმაციის დასაშვებობა!

ფაქტების გამოკვეთა:

გამოკითხვის ოქმის ბოლო გვერდზე საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის არსებობა;

გამოკითხვის ოქმის ბოლო გვერდზე გამოსაკითხი პირის ხელმოწერის არ არსებობა და ოქმში დაფიქსირებული ინფორმაციის მის მიერ მიწოდების დამადასტურებელი განცხადების არსებობა არა ოქმის ბოლო გვერდზე, არამედ ბოლოს წინა გვერდზე.

არსებითი განხილვის დაწყების შემდეგ პირის გარდაცვალება და მისი გამოკითხვის ოქმის გამოქვეყნებაზე პროკურორის შუამდგომლობა

ამოცანების განსაზღვრა:

დაირღვა თუ არა კანონი გამოკითხვის ოქმის ბოლო გვერდზე გამოსაკითხი პირის ხელმოწერისა და მიწოდებული ინფორმაციის შესახებ განცხადების არ არსებობით?

სამუშაო გეგმა:

საფუძველი+

ვადები+

განმახორციელებელი სუბიექტი+

მონაწილე სუბიექტები+

ზოგადი წესები?

- სპეციალური წესები+

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

საკითხი ეხება საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენის ზოგად წესს. შესაბამისი ნორმები უნდა მოვნახოთ გამოძიების სტადიაზე, საგამოძიებო მოქმედებათა თავში. აღნიშნულ თავში 134-ე მუხლი ადგენს ზოგად დებულებებს საგამოძიებო მოქმედების ოქმის შესახებ. მოცემული მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების შესაბამისად:

„ოქმში აღნიშნული უნდა იყოს საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა განცხადებები და ოქმს ხელს აწერს საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილე"

ამოცანების გადაჭრა:

1. მოცემული წესი 134-ე მუხლში ემსახურება იმ მიზანს, რომ შემდგომში არ გახდეს საეჭვო ოქმში ასახული ინფორმაცია. ოქმში იგულისხმება არა რომელიმე ცალკე აღებული გვერდი, არამედ ოქმის თითოეული გვერდი მთლიანობაში. საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა განცხადებები უნდა დაფიქსირდეს ბოლო გვერდზე, რადგან განცხადებები მთლიანობაში ავსებს საგამოძიებო მოქმედების ოქმს. ასევეა ოქმის ხელმონერის შემთხვევაშიც. გამოკითხვის ოქმში გამოსაკითხი პირის ხელმოწერისა და განცხადების არსებობა ოქმის ბოლო გვერდის წინ ვერ გამორიცხავს შემდგომში გამომძიებლის მიერ ბოლო გვერდის გაყალბებას (მისთვის სასურველი ინფორმაციის დაბეჭდვას) და დართვას ოქმზე.

2. ოქმის ბოლო გვერდზე არ ფიქსირდება გამოსაკითხი პირის არც ხელმოწერა და არც განცხადება.

3. მოცემული შეცდომის დაშვება გამომძიებლის მიერ არის საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენის ზოგადი წესის დარღვევა, რაც თავის მხრივ წარმოადგენს არსებით დარღვევას, რად-

გან საეჭვოს ხდის ბოლო გვერდზე არსებული ინფორმაციის უტყუარობას.

საბოლოო პასუხი:

ოქმის ბოლო გვერდზე არსებული ინფორმაცია არის დაუშვებელი მტკიცებულება და მოსამართლემ ის არ უნდა გაიზიაროს, რადგან მას აღარ გააჩნია იურიდიული ძალა. ნიშანდობლივია, რომ 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მტკიცებულება დაუშვებელია, თუ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოსვლის თაობაზე. ეჭვს კი ვერ უარვყოფთ, რადგან პირი არსებითი განხილვის დროისათვის არის გარდაცვლილი და გამომძიებლის ინფორმაცია კი ცალკე აღებული არ არის საკმარისი ამის უარსაყოფად.

6. საპროცესო ქმედების განხორციელების სპეციალური წესები

ქმედების კანონიერების შეფასებისას ზოგადი ნორმების შემოწმების შემდეგ ვაფასებთ სპეციალური ნორმების დაცულობის საკითხს. სპეციალური წესები აწესრიგებენ ზოგადის სფეროდან ურთიერთობათა ვიწრო წრეს და უპირატესია ზოგადთან კოლიზიისას (გარდა იერარქიულად მაღლა მდგომ ნორმასთან კოლიზიისა) .ამიტომ ზოგად ნორმათა დარღვევის გამოვლენისას ავტომატურად არ ვაფასებთ ქმედებას უკანონოდ. შესაძლებელია სპეციალური ნორმა ზოგადისგან განსხვავებულად აწესრიგებდეს ქმედებას.

სპეციალური ნორმები გვხვდება ზოგად ნაწილშიც, მაგალითად 21-ე მუხლის მესამე ნაწილი ადგენს სასამართლო განსჯადობის სპეციალურ წესს გამოძიების სტადიაზე საპროცესო შეთანხმების განმხილველი სასამართლოს დადგენაზე. კერძო ნაწილში უფრო მეტია სპეციალური წესები. ცალკეული საგამოძიებო მოქმედებებით დადგენილი წესები, სხვა საპროცესო მოქმედებათა თავით დადგენილი წესები, პირველი წარდგენის წესები, წინასასამართლო სხდომის წესები, არსებითი განხილვის, აპელაციის, კასაციის წესები და აშ წარმოადგენს სპეციალურ წესებს. კერძო ნაწილში ცალკეულ სტადიებზე მოცემულია მათთვის დამახასიათებელი ზოგადი ნორმებიც. ზოგადი დებუ-

ლებანი საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, ზოგადი დებულებანი სასამართლო განხილვის შესახებ, ზოგადი დებულებანი საგამოძიებო მოქმედების ოქმის შესახებ არის კერძო ნაწილის ცალკეული ინსტიტუტების ზოგადი ნორმები. ეს ნორმები ზოგადია მხოლოდ რომელიმე ეტაპისთვის და არა მთლიანად კერძო ნაწილისთვის. ამიტომ არ არიან ასახული ზოგად ნაწილში, ისინი მოცემულია იმ სტადიასა თუ თავებში, რომლებისთვისაც არიან დამახასიათებელი. 111, 112, 134 მუხლები ვერ იქნება ზოგად ნაწილში, ისინი საერთოა მხოლოდ გამოძიებისათვის.

ზოგადისა და სპეციალური ნორმის კონკურენცია შეიძლება შეგვხვდეს პროცესში გამოყენებული სხვა კანონების დროსაც. სტუდენტს მოეთხოვება კარგად გამიჯნოს ისინი ერთმანეთისაგან, რომ სწორად შეაფასოს საპროცესო ქმედება. მაგალითად ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი ადგენს ორ ასეთ წესს:

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმისათვის, რომ მომზადდეს და განხორციელდეს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებანი, დანაშაულის თავიდან აცილების, აღკვეთისა და გახსნის ღონისძიებანი.

ოპერატიული შემოწმების მასალები არ წარმოადგენს ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების და იურიდიული პირის უფლებების შეზღუდვის საფუძველს.

მეორე წესი არის ზოგადი და კრძალავს ოპერატიული მასალების საფუძველზე პირის უფლებების შეზღუდვას. უფლებებს ზღუდავს ჩხრეკა/ამოღება, დაყადაღება და ამოღება, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, დაკავება, ბრალდება, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, ექსტრადირება და მსჯავრდება. თუმცა ამ აკრძალვასთან საგამოძიებო მოქმედებების ნაწილში სპეციალურია და საგამონაკლისო წესია პირველი ნორმა. ის უშვებს ოპერატიული საქმიანობის შედეგების გამოყენებას საგამოძიებო მოქმედებების მომზადებისა და განხორციელებისათვის.

როდესაც, ზოგადი და სპეციალური ნორმები განსხვავებულ იერარქიას ეკუთვნიან, წინააღმდეგობისას უპირატესია მაღლა მდგომი ნორმა (თუ ეს უკანასკნელი თავად არ უშვებს გამონაკ-

ლისის შესაძლებლობას). ზოგად ნორმას წარმოადგენს კონსტიტუციური ნორმა, რომ კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს. ის არ ეხება მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესს. მოცემულ ნორმასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა თავის დროზე საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი (ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას და მის საფუძველზე კანონიერად მოპოვებულ სხვა მტკიცებულებას თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია). ეს ნორმა სპეციალურია კონსტიტუციის ზოგად ნორმასთან, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა ზოგად ნორმას და სიტყვები ამ კოდექსის ცნო არაკონსტიტუციურად.[24] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თავისთავად გულისხმობს, რომ ამ ნორმებს შორის ადგილი ჰქონდა ზოგადისა და სპეციალურის კოლიზიას.

შესაძლებელია ცალკეულ ნორმას გააჩნდეს ორმაგი ბუნება, ერთ ნორმასთან იყოს სპეციალურის მიმართებაში და მეორისათვის წარმოადგენდეს ზოგად ნორმას. ამგვარი მიმართება ცნობილია ჯერ კიდევ სისხლის სამართლიდან. 144-ე მუხლი მძევლად ხელში ჩაგდება სპეციალურია [143]-ე მუხლთან თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან და ზოგადია 329-ე მუხლთან ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდებასთან. ასეთივე შინაარსის მატარებელია საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი. ის სპეციალურია კონსტიტუციის ზემოთხსენებულ ზოგად ნორმასთან და ზოგადია საპროცესო პრეიუდიციის შესახებ 73-ე მუხლთან. შესაბამისად, როდესაც კანონდარღვევით, დავუშვათ წამებით არის მტკიცებულება მოპოვებული და მხარეები თანხმდებიან მის უდაოდ ცნობაზე, კოლიზიაში მოდის ორი ნორმა. 72-ე მუხლი მის დაუშვებლად ცნობას გვავალდებულებს, 73-ე მუხლი კი დასაშვებობას. 73-ე მუხლი აქ საგამონაკლისოა, ის ადგენს დასაშვებობის სპეციალურ წესს და შესაბამისად უპირატესი ძალის მატარებელია, თუმცა 73-ე მუხლი თავის მხრივ ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ და კონვენციურ ნორმებს წამების აკრძალვის შესახებ. ორმაგი ბუნების მატარებელია 112-ე მუხლიც. ის სპეციალურია შუამდგომლო-

24 იხ: საკანსტიტუციო სასამართლოს გდაწყვეტილება საქმეზე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2/2/579. 31.07.2015

ბის შეტანისა და განხილვის ზოგად წესებთან მიმართებაში და ზოგადია საგამოძიებო მოქმედებათა შესახებ ნორმებთან მიმართებაში.

კაზუსი:

2020 წლის 31 ოქტომბერს 12:00 საათზე პროკურორმა გამოძიების ადგილის მიხედვით მიმართა მაგისტრატ მოსამართლეს შუამდგომლობით დ. ბ-ს დაკავების თაობაზე განჩინების გამოსატანად. შუამდგომლობას თან ერთვოდა ორი ერთმანეთისათვის უცნობი მოწმის ჩვენებები. მოწმეთა ჩვენებით ირკვეოდა, რომ სხვა საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც ისინი იყვნენ მოწმეები, ბრალდებულის ძმა დ.ბ. ახორციელებდა მაძიზე ზემოქმედებას ძალადობის მუქარით. ორ ნოემბერს, 14:00 საათზე მოსამართლემ განიხილა შუამდგომლობა პროკურორის მონაწილეობით და მისი მოსაზრებების შემდგომ, დარწმუნდა რა, დაკავების აუცილებლობაში, გამოიტანა განჩინება დ.ბ-ს დაკავების თაობაზე.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

ფაქტების გამოკვეთა:

- მოწმეთა ჩვენებები სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მათ იძულებაზე;

  31 ოქტომბრის 12:00 საათზე პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლესთან პირის დაკავების თაობაზე;

  მოწმეთა ჩვენებების დართვა შუამდგომლობაზე;

  მოსამართლის მიერ შუამდგომლობის განხილვა პროკურორის მონაწილეობით ორ ნოემბერს 14:00 საათზე;
- მოსამართლის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

ამოცანების განსაზღვრა:

იყო თუ არა მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილი განეხილა ეს შუამდგომლობა?

განხორციელდა თუ არა შუამდგომლობა კანონის სხვა მოთხოვნათა დაცვით?

ვადის დაცვით იქნა თუ არა განხილული შუამდგომლობა?

უნდა განხილულიყო თუ არა შუამდგომლობა პროკურორის მონაწილეობით?

- არსებობდა თუ არა დაკავების საფუძველი?

სამუშაო გეგმის შედგენა:

- საპროცესო ქმედების საფუძველი?
- საპროცესო ქმედების ვადები?
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი?
- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები?
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები?
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები+

შესაფასებელი გვაქვს საპროცესო ქმედების საფუძველი, არსებობდა თუ არა დაკავების საფუძველი. შესაფასებელი გვაქვს ვადები, განხორციელდა თუ არა შუამდგომლობის განხილვა ვადების დაცვით. შესაფასებელი გვაქვს სუბიექტების ელემენტებიც, იყო თუ არა მოსამართლე უფლებამოსილი განეხილა შუამდგომლობა და იყო თუ არა კანონიერი განხილვაში პროკურორის მონაწილეობა. შესაფასებელი გვაქვს ზოგადი ელემენტიც, კანონის დაცვით განხორციელდა თუ არა შუამდგომლობის შეტანა. შესაფასებელი გვაქვს სპეციალური წესიც, დაცული იყო თუ არა დაკავების შუამდგომლობის განხილვის სპეციალური წესები (171;1), თუმცა ეს წესი ეხება მხოლოდ შუამდგომლობის განმხილველ პირს და მის განხილვაში სხვა პირთა მონაწილეობის გამომრიცხავ წესებს, (ზეპირი მოსმენის გარეშე), რაც მესამე და მეოთხე ელემენტების სფეროს განეკუთვნება. ამიტომ სამუშაო გეგმაში სპეციალური წესების ელემენტი არ დავაყენეთ კითხვითი ნიშნის ქვეშ.

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

პირველი ამოცანით განსაზღვრული საკითხის გადასაჭრელად ვადგენთ ამ მაგისტრატი მოსამართლის ტერიტორიულ და საგნობრივ განსჯადობას. ეს საკითხები დარეგულირებულია მე-20 მუხლის მეორე ნაწილში.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციაა ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანა, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა, ამ კოდექ-

სით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამომძიებლის ან/და პროკურორის უკანონო ქმედების გამო საჩივრის გადაწყვეტა, ასევე ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება. ამ ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება, ჩატარდება ან ჩატარდა გამოძიება ან საპროცესო მოქმედება.

ამის შემდეგ შესაბამისი ნორმა უნდა შევამოწმოთ კერძო ნაწილშიც. მოწესრიგების ზოგადი საგანი არის სისხლისსამართლებრივი დევნა, გვარეობითი საგანი არის დაკავება, შესაბამისად ჩვენთვის საინტერესო საკითხი შესაძლოა დამატებით მოწესრიგებული იყოს დევნის დაწყების შესახებ თავში. დაკავების შუამდგომლობის განმხილველი მოსამართლე დადგენილია 171-ე მუხლის პირველ ნაწილში. შუამდგომლობას განიხილავს სასამართლო გამოძიების ადგილის მიხედვით.

მეორე ამოცანის (განხორციელდა თუ არა შუამდგომლობა კანონის სხვა მოთხოვნათა დაცვით) გადასაჭრელად ჯერ ვამოწმებთ შუამდგომლობის შესახებ ზოგად ნორმებს 93-ე და 94-ე მუხლებში, შემდგომ კი კერძო ნაწილში დაკავების შუამდგომლობის შესახებ სპეციალურ ნორმას, 171-ე მუხლის პირველ ნაწილს. 93-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ შუამდგომლობა უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული. 94-ე მუხლის მე-6 ნაწილი ადგენს შუამდგომლობის დამადასტურებელი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას. 171-ე მუხლის პირველი ნაწილი არ ადგენს რაიმე დამატებით წესს დაკავებაზე შუამდგომლობის შესატანად.

მესამე ამოცანის გადასაჭრელად (ვადის დაცვით განხორციელდა თუ არა შუამდგომლობის განხილვა) კერძო ნაწილი არ ადგენს შუამდგომლობის განხილვის ვადას. შესაბამისად ვამოწმებთ 93-ე და 94-ე მუხლებს შუამდგომლობის ზოგადი წესების შესახებ. 93-ე მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს შემდეგ წესს.

გამოძიების სტადიაზე შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი დაყენების მომენტიდან არა

უგვიანეს 3 დღისა, ხოლო სასამართლოში – დაუყოვნებლივ, გარდა ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა

მეოთხე ამოცანის გადასაჭრელად (უნდა განხილულიყო თუ არა შუამდგომლობა პროკურორის მონაწილეობით) ისევ ვამოწმებთ 93-ე; 94-ე; მუხლებს შუამდგომლობის ზოგადი წესების შესახებ და 171-ე მუხლის პირველ ნაწილს დაკავებაზე შუამდგომლობის სპეციალურ წესს.. 94-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ შუამდგომლობის ავტორი მას ზეპირად ასაბუთებს., 171-ე მუხლის პირველი ნაწილი კი ადგენს, რომ სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე.

მეხუთე ამოცანის გადასაჭრელად (არსებობდა თუ არა დაკავების საფუძველი) საჭირო ნორმა უნდა მოვიძიოთ სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ თავში. მოცემულ თავში დაკავების საფუძვლები არის 171-ე მუხლის მოწესრიგების უშუალო საგანი. მოცემული მუხლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ:

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე, პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ან თუ განიხილება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად უცხო სახელმწიფოსგან თანხმობის გამოთხოვის საკითხი, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. ეს განჩინება არ გასაჩივრდება.

უნდა გამოვკვეთოთ ნორმა, რომელიც განმარტავს დასაბუთებული ვარაუდის ცნებას. ტერმინთა განმარტების შესახებ მე-3 მუხლის მე-11 ნაწილში ვკითხულობთ.

დასაბუთებული ვარაუდი – ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის

საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.

ამოცანების გადაჭრა:

პირველი ამოცანის გადაჭრა:

1. მე-20 მუხლის მეორე ნაწილი არ გამორიცხავს მაგისტრატი მოსამართლის უფლებას განიხილოს შუამდგომლობა დაკავების შესახებ. 171-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად; შუამდგომლობას დაკავების თაობაზე განიხილავს სასამართლო გამოძიების ადგილის მიხედვით.
2. მაგისტრატი მოსამართლე, ვისაც მიმართა პროკურორმა შუამდგომლობით სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს გამოძიების ადგილის მიხედვით;
3. ორივე მოცემულობა ადასტურებს, რომ ეს მაგისტრატი მოსამართლე იყო უფლებამოსილი განეხილა დაკავების შუამდგომლობა

მეორე ამოცანის გადაჭრა:

1. შუამდგომლობის შესახებ 93-ე და 94-ე მუხლების შესაბამისად შუამდგომლობა უნდა იყოს წერილობითი, დასაბუთებული და უნდა ერთვოდეს განხილვისათვის საჭირო ინფორმაცია.
2. კაზუსში არ ჩანს იყო თუ არა შუამდგომლობა წერილობითი. ასეთ დროს მიიჩნევა ქმედება კანონის შესაბამისად განხორციელებულად. შუამდგომლობა იყო დასაბუთებული, მას ერთვოდა მოწმეთა ჩვენებები
3. გამომდინარე ორივე მოცემულობიდან, შუამდგომლობა წარდგენილია 93-ე და 94-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

მესამე ამოცანის გადაჭრა:

1. 93-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, გამოძიების სტადიაზე შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვე-

ტილ უნდა იქნას მისი დაყენების მომენტიდან არაუგვიანეს სამი დღისა.

2. კანონი არ ადგენს დაკავების შუამდგომლობის განხილვის სპეციალურ ვადას. შუამდგომლობა დაკავებაზე დაყენებულ იქნა 31 ოქტომბერს 12:00 საათზე. მოსამართლემ შუამდგომლობა განიხილა ორ ნოემბერს 14:00 საათზე
3. გამომდინარე პირველი და მეორე მოცემულობიდან, შუამდგომლობა განხილულ იქნა ვადის დაცვით.

მეოთხე ამოცანის გადაჭრა:

1. 94-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად შუამდგომლობის ავტორი მას ზეპირად ასაბუთებს. 171-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. მოცემული ორი ნორმა ერთმანეთთან არის კოლიზიაში. პირველით დადგენილი წესი მოითხოვს ზეპირ მოსმენას, მეორის თანახმად კი შუამდგომლობა განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. 94-ე მუხლი არის შუამდგომლობის შესახებ ზოგადი ნორმა. 171-ე მუხლის პირველი ნაწილი არის დაკავების შუამდგომლობის განხილვის სპეციალური ნორმა. ზოგადისა და სპეციალურის კოლიზიისას უპირატესია სპეციალური ნორმა. შესაბამისად შუამდგომლობა დაკავების თაობაზე გამოძიების სტადიაზე განხილულ უნდა იქნას ზეპირი მოსმენის გარეშე.
2. მოცემული შუამდგომლობა მოსამართლემ განიხილა ზეპირი მოსმენით, პროკურორის მონაწილეობთ.
3. გამომდინარე ორივე მოცემულობიდან პროკურორის მონაწილეობა შუამდგომლობის განხილვაში იყო არაკანონიერი.

მეხუთე ამოცანის გადაჭრა:

1. როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს ჩადენილი აქვს თავისუფლების აღკვეთით დასჯადი დანაშაული და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს სახეზე გვაქვს დაკავების

საფუძველი. როდესაც პირი ემალებოდა ან თავს არიდებდა სამართალდამცავებს, ჰქონდა ამისი მცდელობა, შეეცადა რაიმე ინფორმაციის განადგურებას, ნასამართლევია წარსულში ან ბრალი ედება დანაშაულებრივი ქმედების რამოდენიმე ეპიზოდის გარშემო არსებობს დასაბუთებული საფრთხე, რომ თავისუფლების პირობებში ჩაიდენს ჩამოთვლილთაგან რომელიმე მოქმედებას.

2. დ.ბ-ს ბრალი ედება თავისუფლების აღკვეთით დასჯად ქმედებაში, რაც ბრალდების მიხედვით გამოიხატება ორი სხვადასხვა მოწმის მიმართ მაიძულებელ ქმედებათა განხორციელებაში.
3. გამომდინარე აღნიშნული გარემოებებიდან არსებობდა დაკავებულის მიერ ახალი დანაშაულის (მოწმეებზე ხელახალი ზემოქმედების) ჩადენის საფრთხე. არსებობდა მისი დაკავების საფუძველი.

საბოლოო პასუხი: მიუხედავად, იმისა, რომ არსებობდა დაკავების საფუძველი, მოსამართლის განჩინება არის უკანონო. მას არ ჰქონდა შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვის უფლება. მან კი შუამდგომლობა პროკურორის მონაწილეობით განიხილა.

7. დარღვევათა გამოვლენისას არსებითობის განსაზღვრა

ნორმის დარღვევა საპროცესო ქმედების განხორციელებისას თავისთავად არ ნიშნავს არსებით დარღვევას. მოლოდინი, რომ არსებითი დარღვევაა ყველაფერი, რაც სიტყვასიტყვით არ ემთხვევა სამართლის ნორმას მცდარია. სამართლის ნორმა იქმნება განსაზღვრული მიზნით და წმინდა წყლის ფორმალიზმი იქნება არსებითად განგვესაზღვრა ყველა აცდენა ნორმასთან, თუკი არ დარღვეულა ნორმის მიზნები. სამართალწარმოების ძირითად მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს აქცენტის გადატანა არითმეტიკული სიზუსტით ემთხვეოდეს საპროცესო ქმედება სამართლის ნორმას.

ვადის გაშვება ყოველთვის არსებითი დარღვევაა და ვადის დარღვევით განხორციელებული საპროცესო ქმედება ბათილია. თუმცა მიუხედავად არსებითი ხასიათისა შედეგები ყოველთვის ბათილად ვერ ჩაითვლება. თუ საპატიო მიზეზით იყო ვადა გაშ-

ვებული შეიძლება მისი აღდგენა და შედეგებიც აღარ ჩაითვლება ბათილად. გარდა ამისა კანონმდებლის ასეთი დათქმა ვადის დარღვევისას შედეგების ბათილობაზე არ უნდა განიმარტოს სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით. მოცემული ნორმის შინაარსი უნდა გავიგოთ შეზღუდვითი მოცულობის მიხედვით, ყურადღება უნდა გავაამახვილოთ იმაზე თუ ვინ არღვევს ვადებს და ვის ავნებს შედეგების ბათილობა. 112-ე მუხლის მე-3 და 114-ე მუხლის მე-6 ნაწილების შესაბამისად: ჩხრეკის ან ამოღების განჩინება ძალადაკარგულია თუ საგამოძიებო მოქმედება არ დაწყებულა 30 დღის ვადაში, დაკითხვა გამოძიების სტადიაზე იწყება მხარის შუამდგომლობიდან არაუგვიანეს 24 საათისა. თუ ორივე საგამოძიებო მოქმედებაზე შუამდგომლობდა დაცვის მხარე და ერთ შმთხვევაში გამომძიებელმა ხოლო მეორე შემთხვევაში მოსამართლემ დაარღვია 30 დღიანი და 24 საათიანი ვადები მოპოვებული გამამართლებელი მტკიცებულებები ვერ ჩაითვლება ბათილად. ვადები დაცვის მხარეს არ დაურღვევია შედეგების ბათილობა კი მხოლოდ მის პოზიციას ვნებს. იგივე პრინციპით უნდა განვსაზღვროთ მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი, როდესაც დაცვის მხარის შუამდგომლობით მოსამართლის განჩინებით ჩხრეკას ატარებს ის გამომძიებელი, რომელიც უშუალოდ იძიებს მიმდინარე საქმეს და დაცვის მხარეს კი არ მიუცია თანხმობა ჩრეკის მის მიერ ჩატარებაზე.

კანონმდებელი როდესაც საპროცესო ქმედების განხორციელებისათვის ადგენს საფუძველს, მის გარეშე ქმედების განხორციელება ყოველთვის არსებითი დარღვევაა. შესაძლოა მიღებული შედეგები ამართლებდეს ქმედებას, მაგრამ უსაფუძვლოდ განხორციელების გამო ის ვერ დააღწევს თავს დარღვევის არსებით ხასიათს. თუ არ გვაქვს დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებითი სტანდარტი და ისე ტარდება ჩხრეკა, სახეზეა არსებითი დარღვევა, არა აქვს მნიშვნელობა რა იქნა აღმოჩენილი. (ჩხრეკისას დასაბუთებული ვარაუდის არსებობის დასასაბუთებლად ზოგიერთი მოსამართლე იყენებდა ამოღებულ საგანს, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილ იქნა კონსტიტუციის შეუსაბამოდ).[25] ცალკეული საფუძვლის დაწესებით კანონმდებელი ქმნის უფლების დაუსაბუთებელი

25 იხ: საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე გიორგი ქებურია

შეზღუდვის გარანტიებს. ნორმა რომელიც დაუშვებს უფლებაში უსაფუძვლოდ ჩარევის შესაძლებლობას შეუსაბამო -ე იქნება კონსტიტუციასთან. თუ არ არსებობდა ქმედების საფუძველი არ არსებობს ქმედების კანონიერებაც. პირის კანონიერი ინტერესია უსაფუძვლოდ არ მოხდეს მისი შეზღუდვა, პირის კანონიერ ინტერესს პრიორიტეტი აქვს დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესტან მიმართებაში. ზოგჯერ გამომძიებლები ცდილობენ ცალკეული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გვერდი აუარონ კანონით განსაზღვრულ იმპერატიულ საფუძვლებს. მაგალითად; იმ დანაშაულების გამოძიებისას, რომლებზეც არ ვრცელდება კომპიუტერული და ფარული საგამოძიებო მოქმედებები დაზარალებულს აწერინებენ, რომ თანახმაა გამომძიებელმა გადაუდებელი დახმარების ცენტრ 112-დან გამოითხოვოს მისი და ოპერატორის საუბრის ჩანაწერი. გამომძიებელი არასწორად ეყრდნობა 112-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომ **„თანამესაკუთრის, თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად“** და გამოითხოვს ამ ჩანაწერს, რის შემდეგაც ახდენს მისი დათვალიერების ოქმის შედგენას. ასეთი ჩანაწერი არის კომპიუტერული ინფორმაცია და მის გამოსათხოვად გამოიყენება 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები, ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ 143^1-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ ქვეპუნქტი „ინფორმაციის მოხსნაზე და ფიქსაციაზე კომპიუტერული სისტემიდან“. სსსკ 143^3-ე მუხლის მე-2 ნაწილში განსაზღვრულია დანაშაულები, რომლებთან დაკავშირებითაც არის ნებადართული ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. ამ მუხლში ჩამოთვლილ რომელიმე დანაშაულზე თუ არ მიმდინარეობს გამოძიება, მაშინ გამომძიებელს ასეთი ჩანაწერების და საერთოდ კომპიუტერული მონაცემის არც გამოთხოვის და არც დათვალიერების უფლება არ აქვს. თუ მაინც გამოითხოვს ეს სცდება დათვალიერების ფარგლებს და საკითხი ინაცვლებს კომპიუტერულ/ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში, რომელთა ჩატარების საფუძველს მხოლოდ 143^3-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული დანა-

შაულები წარმოადგენს. დაზარალებულის თანხმობა ასეთი ჩანაწერის გამოთხოვაზე ლეგიტიმურ შინაარსს ვერ შესძენს ასეთ დათვალიერებას. ამის საფუძველს არ იძლევა 143[3]-ე მუხლის მეორე ნაწილი და მისი უგულებელყოფა არსებითი დარღვევაა. როგორც პირის თანხმობა არ არის საკმარისი პირადი ჩხრეკისთვის თუ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, ისე კომპიუტერული მონაცემის გამოთხოვისათვის არ არის საკმარისი კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა თუ გამოძიება არ მიმდინარეობს 143[3]-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. (განსხვავებით ბრალდების მხარისაგან, დაცვის მხარეს კომპიუტერული ინფორმაციის 136-ე მუხლის შესაბამისად გამოთხოვის უფლება აქვს ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულში ბრალდებისას. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო 136-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა დაცვის მხარის უფლებას სასამართლოსთვის მიემართა შუამდგომლობით კომპიუტერულ სისტემასა და კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში არსებული ინფორმაციისა და დოკუმენტის გამოთხოვის თაობაზე. მოცემულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“ შემდგომ პუნქტში კი სასამართლო აღნიშნავს, რომ „არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელს არ მიუთითებია სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები და ლეგიტიმური მიზნის არსებობა არც სადავო ნორმების ლოგიკური ანალიზიდან გამომდინარეობს“).[26] პირის თანხმობა იმ შემთხვევაში იქნება გადამწყვეტი, როდესაც საპროცესო ქმედების საფუძვლები არ არის იმპერატიული და დამოკიდებულია პროცესის კონკრეტული მონაწილის სურვილზე. მაგალითად; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნწილის თანახმად „არასრულწლოვანი

26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება 1/1/650,699

მოწმის ან გამოსაკითხი პირის გამოკითხვისას/დაკითხვისას მას შეუძლია ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით თუ გადახდისუუნაროა ან გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის XIX, XX. XXII თავებით ან 144[1]-143[3] მუხლებით გათვალისწინებულ რომელიმე დანაშაულზე. განსხვავებით წინა მაგალითისგან აქ საფუძვლები არ არის იმპერატიული, რადგან არასრულწლოვანს შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე, თუმცა პრაქტიკაში ბრალდების მხარე ერთგვარად თავს იზღვევს შემდგომი გართულებებისაგან და არასრულწლოვნის გამოკითხვისას ყოველთვის იწვევს ადვოკატს სავალდებულო წესით.

არსებითი დარღვევაა საპროცესო ქმედების განხორციელება იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს კანონით მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილება. სუბიექტის განსაზღვრით კანონმდებელი ადგენს თუ რა შემთხვევაშია ლეგიტიმური უფლებაში ჩარევა. იქ სადაც არაუფლებამოსილი სუბიექტი მოქმედებს ადგილი აქვს ყოველთვის არსებითი ხასიათის დარღვევას. მაგალითად; არასრულწლოვანი პირი გამოკითხა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის არმქონე გამომძიებელმა ან არსებობდა გამომძიებლის აცილების საფუძველი, იცოდა ეს და მაინც ჩაატარა საგამოძიებო მოქმედებები. ყველაფერი ეს წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას. არსებობს გამონაკლისებიც, როცა გამომძიებელი მოქმედებს ისეთი გადაუდებელი აუცილებლობით, რომ ვერ ესწრება სხვა გამომძიებლის ჩართვა საგამოძიებო მოქმედებაში აქ არ იქნება არსებითი დარღვევა სახეზე. მაგრამ თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა და შესაძლებელია განყოფილებაში შესულ ფაქტზე რეაგირება სხვა გამომძიებელმა მოახდინოს აქ ის გამომძიებელი უნდა გავიდეს საპროცესო ქმედებების ჩასატარებლად, რომელიც სპეციალიზებულია ან არ არსებობს მისი აცილების საფუძველი.

განსხვავებული დღის წესრიგი დგება, როდესაც ირღვევა ნორმები საპროცესო ქმედებაში მონაწილე სუბიექტებზე ან ნორმები ქმედების ზოგადი და სპეციალური წესების შესახებ. აქ კანონთან შეუსაბამობა ავტომატურად არსებით დარღვევად არ უნდა შევაფასოთ. ასეთი დარღვევები შესაძლებელია ატარებდეს უმნიშვნელო ხასიათს. მაგალითად კანონმდებლის დათქმა,

რომ ექსჰუმაციის დროს დათვალიერების ან ამოცნობის ჩატარებისას ცალკე ოქმი არ დგება და ამ საგამოძიებო მოქმედების შინაარსი აღინიშნება ექსჰუმაციის ოქმში, თუ დაირღვა ეს ნორმა ამით რა? განა ეს არსებითი დარღვევაა და დაუშვებლად უნდა ვცნოთ მიღებული ინფორმაცია? რა თქმა უნდა არა. ამით საეჭვო არ გამხდარა შედეგების უტყუარობა.[27] თუ ყველა დანაწესიდან გადახვევა არსებითი დარღვევაა, მაშინ არაარსებითი რაღაა? დათქმა არსებითზე ნიშნავს არაარსებითის არსებობასაც. პოზიტიური სამართალი შემთხვევითია, ის ასეთია ამ დროს და ასე აწესრიგებს მომავალში. მასზე ყოველთვის შეიძლება დაშვება მსჯელობის, რომ შეიძლებოდა ის სხვაგვარი ყოფილიყო. შეიძლებოდა კანონმდებელს დაეწესებინა, რომ კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვსო. თუმცა დააწესა, რომ ძალა არა აქვს მხოლოდ არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასო. შესაბამისად, სწორად უნდა გავმიჯნოთ არსებითი დარღვევა არაარსებითისაგან. არსებითი დარღვევა გარდა სამი ელემენტისა (საფუძველი, ვადები, სუბიექტი) არის ასევე სხვისი უფლებების დარღვევა ან როდესაც დარღვევის გამო საეჭვო ხდება მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა. საგამოძიებო მოქმედებათა ზოგადი დებულებების შესახებ 111-ე მუხლით დადგენილია, რომ აკრძალულია საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარება, თუ არ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა. თუმცა საგამოძიებო ორგანოები გადაუდებელი აუცილებლობის გარეშეც, როდესაც თანახმაა გამოსაკითხი პირი გამოკითხვას ატარებენ ათი საათის შემდეგაც. ეს არ არის არსებითი დარღვევა რადგან პირი თავად თანხმდება გამოკითხვას და ათი საათის შემდეგ ინფორმაციის მიღება თავისთავად არ ხდის საეჭვოს მის უტყუარობას. დარღვევა მაშინ იქნება არსებითი თუ პირს არ განუმარტავენ, რომ გამოკითხვა არის ნებაყოფლობითი და ათი საათის დადგომისთანავე ისევე როგორც ნებისმიერ მომენტში შეუძლია

27 ვერ გავიზიარებთ ი. ჩხეიძის აზრს, რომ საპროცესო ფორმის დარღვევით მოპოვებული ინფორმაცია სანდოობის დაბალი ხარისხით ხასიათდება, ასე არ არის ყველა შემთხვევაში. მაგ; კანონი ადგენს, რომ არ დაილუქება დოკუმენტი, რომლის ამოღებაც ხდება მისი შინაარსის გამო, შესაბამისად თუ დაილუქა უფრო სანდო არ იქნება!? იხ: ი. ჩხეიძე, მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2010ბ, გვ 31

უარი თქვას გამოკითხვის გაგრძელებაზე. ამ მიდგომით უნდა შევაფასოთ საგამოძიებო ექსპერიმენტის (ჩვენების ადგილზე შემოწმება) განხორციელებაც ათი საათის შემდგომ, თუ თანახმა არის პირი ვისი ინფორმაციაც მოწმდება. მიუხედავად კანონმდებლის იმპერატიული დათქმისა ცალკეული საპროცესო ქმედების ჩატარების ზოგადი თუ სპეციალური წესის შესახებ მისი დარღვევა არ არის არსებითი თუ ის არ არღვევს რომელიმე უფლებას ან არ იწვევს დაუძლეველ ეჭვს შედეგების უტყუარობაზე. მაგალითად; როდესაც პირები დაინტერესებულნი არიან, რომ მათი ჩვენებები დაემთხვეს ერთმანეთს, მათი ერთობლივი მონაწილეობით მათივე ჩვენებების ადგილზე შემოწმება არის არსებითი დარღვევა. დავუშვათ, ბრალდების მხარემ მისი მოწმეების ჩვენება, რომ შემთხვევის დროს ერთად იდგნენ და მოშორებით დაინახეს სავარაუდო დანაშაულის ფაქტი ადგილზე შეამოწმა მათი ერთობლივი მონაწილეობით. გავიდნენ შემთხვევის ადგილზე და შეთავაზებისამებრ ორივე მოწმემ მიუთითა თუ სად იდგნენ ერთად, როცა შემთხვევა დაინახეს. ეს არსებითი დარღვევაა, რადგან საეჭვოს ხდის შედეგების უტყუარობას. ცალცალკე შემოწმების შემთხვევაში, თუკი ცრუობდნენ მოწმეები, მაშინ დიდი ალბათობით ვერ დაემთხვეოდა ერთმანეთს მათ მიერ მითითებული ადგილი. ამის საპირისპიროდ, როდესაც დაზარალებულისა და ბრალდებულის ჩვენებები მოწმდება ერთობლივად და ემთხვევა ერთმანეთს მათ მიერ მითითებული ადგილი თუ სად იდგა ავტომობილი სალონიდან ნივთების ამოღებისას ვერ შეფასდება არსებით დარღვევად. ამ დროს არც რაიმე უფლება დარღვეულა და არც შედეგების უტყუარობაა საეჭვო, რადგან არ არსებობს საფუძველი შევიტანოთ ეჭვი დაზარალებულისა და ბრალდებულის გულწრფელობაში, როდესაც მათი ინტერესების წინააღმდეგობის მიუხედავად მათ მიერ მითითებული გარემოებები ემთხვევა ერთმანეთს.

არსებითი დარღვევა არ განისაზღვრება მისი შედეგების მიხედვით, შედეგი არ მეტყველებს დარღვევის ხასიათზე. განსაზღვრულ შემთხვევებში არსებითი დარღვევა არ იწვევს დამდგარი შედეგების ანულირებას. მოსამართლემ იცოდა მისი აცილების საფუძვლების შესახებ და უკანონოდ არ დააკმაყოფილა მისი აცილების შუამდგომლობა. საქმეზე არსებობდა რა საკმარისი

მტკიცებულებები გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. აქ ადგილი აქვს არსებით დარღვევას, მაგრამ ამ საფუძვლით ვერ მოხდება განაჩენის გაუქმება. შედეგების ბათილობა მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ კანონი არ ითვალისწინებს არსებითი დარღვევის გამოსწორების სხვაგვარ მექანიზმს. თუ დარღვევა პირველ ინსტანციაში განაჩენის დადგენის 24 თვიანი ვადა და მსჯავრდებულ იქნა პირი აქ განაჩენი უპირობოდ უნდა გაუქმდეს, რადგან გასაჩივრებით ვერ აღდგება დარღვეული უფლება სწრაფ მართლმსაჯულებაზე. ასევეა საგამოძიებო მოქმედებების დროს, არსებითი დარღვევა იწვევს მტკიცებულების დაუშვებლობას (გამონაკლისია 72-ე , 73-ე და ზოგიერთი სხვა შემთხვევა). უკანონოდ ჩატარებულ ამოცნობას იგივე პირის მეშვეობით განმეორებით ველარ ჩაატარებ.

დარღვევის არსებითად შეფასება ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია ცალკეულ გარემოებებზე. ერთიდაიგივე საკითხი სხვადასხვა შემთხვევაში შესაძლებელია განსხვავებულად შეფასდეს. მაგალითად; ქურდობის ფაქტზე ჩატარდა ჩხრეკა ისე, რომ პირს არ განუმარტეს ნივთის ნებაყოფლობით წარმოდგენის შესაძლებლობის შესახებ. აქ დარღვევა არსებითია, დაირღვა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. კანონმდებელი პირს აძლევს შესაძლებლობას შეზღუდოს მის პირად სივრცეში გამომძიებლის ჩარევა და ჩხრეკის დაუწყებლად გადასცეს გამომძიებელს ნივთი. იგივეს ვერ ვიტყვით, როდესაც ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირთან ტარდება ჩხრეკა. აქ არსებობს შეიარაღებული წინააღმდეგობის საფრთხეც და გამართლებულია ექსტრემალურად მოქმედება.

8. საჩივრის/შუამდგომლობი და მათი განხილვის კანონიერება

საჩივრის/შუამდგომლობის და მათი განხილვის კანონიერება მოწმდება საერთო წესით.

- საფუძველი;
- ვადები;
- უფლებამოსილი სუბიექტი;

- მონაწილე სუბიექტები;
- ზოგადი წესები;
- სპეციალური წესები;
- დარღვევათა გამოვლენისას არსებითობის განსაზღვრა.

თავისებურება, რამაც მათი ცალკე განმარტება განაპირობა უკავშირდება ორ ელემენტს. საჩივრის და შუამდგომლობის შეტანის კანონიერების შეფასებისას, საპროცესო ქმედების უფლებამოსილ სუბიექტს. ხოლო საჩივრის და შუამდგომლობის განხილვის კანონიერების შეფასებისას პირველ ელემენტს, საპროცესო ქმედების საფუძველს.

საჩივრის და შუამდგომლობის კანონიერება. შუამდგომლობის და საჩივრის შეტანა შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ვადის გაცდენით განხორციელებული საპროცესო ქმედება ბათილია. შესაბამისად, შუამდგომლობის და საჩივრის შეტანის კანონიერების შეფასებისას ვამოწმებთ ითვალისწინებს თუ არა კანონი კონკრეტული საჩივრის/შუამდგომლობის შეტანას და დაცულია თუ არა მათი შეტანის ვადები.

უფლებამოსილი სუბიექტის შეფასებისას, ვამოწმებთ საჩივრის/შუამდგომლობის შემტანი და მიმღები პირების უფლებამოსილებას. არაუფლებამოსილ პირთან საჩივრის/შუამდგომლობის შეტანა ამ საპროცესო მოქმედებებს აქცევს უკანონოდ. მაგალითად, სასამართლოში საჩივრის/შუამდგომლობის შეტანისას აუცილებელია საქმე ტერიტორიულობის ან საგნობრივი პრინციპით იყოს ამ მოსამართლის განსჯადი.

მონაწილე სუბიექტების შეფასებისას მოწმდება იყვნენ თუ არა საჩივრის და შუამდგომლობის შეტანამდე ჩართული საქმეში კანონით განსაზღვრული პირები. მაგ. ადვოკატი საპროცესო შეთანხმებაზე შუამდგომლობის შეტანისას, ბრალდებული ადვოკატის მიერ საჩივრის შეტანისას.

ზოგადი წესების შეფასებისას მოწმდება 93-ე და 95-ე მუხლები. ეს მუხლები აწესრიგებს საჩივრის და შუამდგომლობის შეტანის ზოგად წესებს.

სპეციალური წესების შეფასებისას მოწმდება კონკრეტული საპროცესო ინსტიტუტის სპეციალური წესები. მაგალითად,

112-ე, 207-ე, 239-ე, 266-ე, 293-ე მუხლები.

საჩივრის და შუამდგომლობის შეტანისას არსებითია ის დარღვევა, რომელიც შედეგად იწვევს მათ განუხილველად დატოვებას. მაგალითად, მოსამართლეს აცილების შუამდგომლობა წარუდგინეს მომდევნო სხდომაზე საქმის განახლებისას. ფაქტი ცნობილი იყო წინა სხდომაზეც. აცილების შუამდგომლობა პირმა უნდა წარადგინოს პირველი შესაძლებლობისთანავე. დარღვეულია შუამდგომლობის დაყენების სპეციალური წესი. დარღვევა არსებითია, რადგან კანონის თანახმად ასეთი შუამდგომლობა რჩება განუხილველად.

შუამდგომლობის და საჩივრის განხილვის კანონიერება. საჩივრის და შუამდგომლობის განხილვის კანონიერება ფასდება, მას შემდეგ რაც შემოწმდება მათი შეტანის კანონიერება.

საფუძვლის შეფასებისას, ვამოწმებთ საჩივრის და შუამდგომლობის შეტანის კანონიერების ყველა ელემენტს. მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს საჩივრის და შუამდგომლობის განხილვის საფუძველი, როდესაც დაცული იყო მათი შეტანის კანონიერების ყველა ელემენტი. თუ შეტანილია შუამდგომლობა ვადის დარღვევით არ არსებობს მისი განხილვის საფუძველი.

ვადების დაცვის შეფასებისას მოწმდება შუამდგომლობა და საჩივარი განიხილეს თუ არა კანონით დადგენილ ვადებში.

სუბიექტის შეფასებისას ვამოწმებთ მხოლოდ აცილების საფუძვლების არსებობას. ტერიტორიული და საგნობრივი უფლებამოსილება ამ დროს შემოწმებულია შუამდგომლობის და საჩივრის შეტანის კანონიერების შეფასებისას.

მონაწილე სუბიექტების შეფასებისას მოწმდება იყო თუ არა შუამდგომლობის და საჩივრის განხილვაში ჩართული კანონით გათვალისწინებული პირები. მხარე, თარჯიმანი, სხდომის მდივანი და სხვა პირები.

ზოგადი წესების შეფასებისას მოწმდება 94-ე, 97-ე და 98-ე მუხლები. ეს მუხლები ადგენენ შუამდგომლობის და საჩივრის განხილვის ზოგად წესებს.

სპეციალური წესების შეფასებისას მოწმდება კონკრეტული საპროცესო ინსტიტუტის სპეციალური წესები. მაგალითად, 112-ე, 206-ე, 297-ე, 298-ე, 299-ე მუხლები.

შუამდგომლობის და საჩივრის განხილვის წესების დაღვევა არსებითია, როდესაც დარღვეულია პირველი სამი ელემენტი ანდა თუ მომდევნო ელემენტების დარღვევით ილახება სხვების უფლებები.

მაგალითი:

მოსამართლის განჩინებას საფუძველზე ნარკოტიკული ნივთიერებების ამოღებისას, გამომძიებელმა შენიშნა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც ამოღებულ იქნა გადაუდებელი აუცილებლობით. პროკურორის შუამდგომლობის განხილვისას იარაღის ამოღების კანონიერად ცნობაზე, მოსამართლეს არ შეუმოწმებია საგამოძიებო მოქმედების ოქმი, იარაღი ძებნის შედეგად იქნა აღმოჩენილი თუ ზედაპირული დათვალიერებით. საგამოძიებო მოქმედება მოსამართლემ კანონიერად ცნო.

112-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ამგვარი გადაუდებელი აუცილებლობა მხოლოდ მაშინ არის კანონიერი თუ ნივთი აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად. მოსამართლე ამოწმებს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას და 112-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად გადაწყვეტილება მიიღება მასალების განხილვის შემდეგ.

მოსამართლემ დაარღვია ამ შუამდგომლობის განხილვის სპეციალური წესები. 112-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები. მიუხედავად ამისა დარღვევა არ არის არსებითი ხასიათის. ამით არ შელახულა არავისი უფლება და შედეგი იგივე იქნებოდა რომც დაეცვა ეს წესები მოსამართლეს. ოქმის შემოწმების შემთხვევაში მაინც ის გადაწყვეტილება იქნებოდა მისაღები რაც მიიღო. იარაღის აღმოსაჩენად არ ჩატარებულა ჩხრეკა და გამომძიებელმა ის შენიშნა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას.

III თავი

მტკიცებულების შეფასებასთან დაკავშირებული კაზუსის ამოხსნის თავისებურებანი

1. მტკიცებულების რელევანტურობა

მტკიცებულება ფასდება სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის, უტყუარობის და დამაჯერებლობის ტესტით. (82.1, 13.2). კაზუსი შეიძლება ეხებოდეს ყველას, რამოდენიმეს ან ერთ-ერთს მათგან. პირველი კრიტერიუმი მტკიცებულების შეფასებაში არის მისი რელევანტურობა. რელევანტურობა არ არის დამოკიდებული კანონიერებაზე, ის სხვა მხრივაა განისაზღვრება. მას ვაფასებთ სისხლის სამართლის საქმესთან მტკიცებულების შემხებლობით და მნიშვნელობით. მტკიცებულების რელევანტურობას ვამოწმებთ იმის მიხედვით ის ადასტურებს ან უარყოფს თუ არა მტკიცების საგანს ან საგანთან დაკავშირებულ საკითხებს.

სსსკის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად განაჩენის დადგენისას სასამართლო თანმიმდევრობით წყვეტს შემდეგ საკითხებს:

- ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება;
- არის თუ არა ბრალდებულის ქმედება მართლსაწინააღმდეგო;
  შეერაცხება თუ არა ბრალდებულს ბრალად ჩადენილი ქმედება;
  უნდა დაისაჯოს თუ არა ბრალდებული მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

ამ საკითხების შემოწმება თავისთავად განაპირობებს მტკიცების საგანს. მტკიცებულების რელევანტურობისათვის აუცილებელია ის უზრუნველყოფდეს (ადასტურებდეს ან უარყოფდეს) მტკიცებულების დეფინიციიდან გამომდინარე მტკიცების საგანში შემავალ ერთერთ საკითხს მაინც. კერძოდ: მტკიცებულების საფუძველზე მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ

ინტერესებს. მტკიცებულების საფუძველზე სასამართლო ამოწმებს არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

ლალი ფაფიაშვილი აყალიბებს მტკიცებულების რელევანტურობის შემდეგ მახასიათებლებს:[28]

- ადასტურებს ან/და მიუთითებს ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე;
- ადასტურებს იმ ფაქტებს, რომლებიც უკვე დადგენილია სხვა მტკიცებულებით- ასეთი მტკიცებულების შეგროვების მიზანია მტკიცებულებათა უკვე არსებული ერთობლიობის შემოწმება, გაძლიერება და გამყარება;
- მიუთითებს სხვა მტკიცებულების არსებობაზე (მაგალითად მოწმის ჩვენება სად ინახება დანაშაულის იარაღი ანდა სხვა მოწმის არსებობაზე);
- ახასიათებს ამ თუ იმ საგამოძიებო მოქმედების წარმოების პირობებს და წესს, ხელს უწყობს ადრე შეკრებილი მტკიცებულებების შემოწმებას (მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს თვითმხილველი მოწმის უნარზე დაინახოს იმ მანძილიდან, სადაც ის იმყოფებოდა, მიუთითებს ბრალდებულთან თვითმხილველი მოწმის ურთიერთობის სპეციფიკაზე, მიუთითებს მოწმის დაკითხვისას სსსკ მოთხოვნების დაცვაზე და აშ);
- ადგენს ფაქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საგამოძიებო ვერსიას;
- უკუაგდებს უკვე დადგენილ გარემოებებს;
- მიუთითებს ე.წ. მომიჯნავე შემადგენლობის არსებობაზე/არარსებობაზე, მაგალითად, ქონების დაუფლებისას ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის არარსებობაზე;
- ადასტურებს ე.წ. ნეგატიურ ანუ არარსებულ გარემოე-

28 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 294.

ბებს, მაგალითად, ძალადობის კვალის არარსებობა მიუთითებს ძალადობის არარსებობაზე, სატრანსპორტო საშუალების კვალის არ არსებობა ეწინააღმდეგება სატრანსპორტო საშუალებით დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას.

მტკიცებულების რელევანტურობას ვაფასებთ უკავშირდება თუ არა ის მტკიცების საგანში შემავალ რომელიმე საკითხს და გააჩნია თუ არა ჩამოთვლილი თვისებებიდან რომელიმე მახასიათებელი. შესაძლოა სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია ეხებოდეს მტკიცების საგანს, მაგრამ არარელევანტური იქნება თუ არა აქვს მნიშვნელობა მისი დადგენის ან უარყოფისათვის. მაგალითად სახალო დამცველის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადებები კონკრეტულ საქმეზე, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები იდენტურ საქმეებზე გარკვეულწილად ეხებიან საქმეს, მაგრამ ისინი არ არიან რელევანტურნი მოცემული საქმისათვის, ამ საქმეზე მათ არ გააჩნიათ მტკიცებულებითი წონა. ჩვენ არა ვართ პრეცედენტული სამართლის ქვეყანა და არც სახალხო დამცველია უფლებამოსილი ჩაერიოს მოსამართლის საქმიანობაში.

რელევანტურობა არ გულისხმობს, მტკიცებულების კანონიერებას და უტყუარობას. შესაძლოა მტკიცებულება რელევანტური იყოს, მაგრამ არ იყოს დასაშვები, ან დასაშვებიც იყოს, თუმცა არ იყოს უტყუარი. რელევანტურობაზე არ ვრცელდება მხარეთა შეთანხმება მტკიცებულების უდაოდ ცნობაზე. შეთანხმება ინფორმაციის არარელევანტურ შინაარსს ვერ აქცევს რელევანტურად.

მტკიცებულების შეფასება, როდესაც კაზუსი რელევანტურობასთან ერთად ეხება მტკიცებულების შეფასების დანარჩენ კრიტერიუმებსაც უნდა დავიწყოთ რელევანტურობის შეფასებით. როდესაც მტკიცებულება არარელევანტურია არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს მის დასაშვებობას და უტყუარობას. მაგალითად, 50 წლის პირს ბრალი ედება გაუპატიურებაში და ადვოკატმა მტკიცებულებად წარადგინა ცნობა სწავლის პერიოდში მისი მაღალი აკადემიური მოსწრების შესახებ. ეს ინფორმაცია არარელევანტურია ამ პერიოდისათვის ბრალდებულის პიროვნების დასახასიათებლად. შესაძლოა ის დასაშვებიც იყოს

და უტყუარიც, თუმცა ვერ გამორიცხავს წლების შემდგომ პირის ზნეობრივი დეგრადირების სავარაუდო ფაქტს. მტკიცებულების არარელევანტურობა პირობითი ცნებაა, თუ ინფორმაცია არარელევანტურია, მაშინ ის არც წარმოადგენს მტკიცებულებას. არარელევანტურობა წინასასამართლო სხდომაზე არის ინფორმაციის დაუშვებლად ცნობის საფუძველი, მომდევნო სტადიებზე გამოვლენისას კი განაჩენში მისი უარყოფის საფუძველი. მართალია, ინფორმაციის არარელევანტურობა წსსზე და არსებით განხილვაზე არის მისი დაუშვებლობის ან გაუზიარებლობის საფუძველი, თუმცა ასეთი ინფორმაციის გამოყენება უკანონო იქნება გამოძიების სტადიაზეც დადგენილებისა თუ განჩინების გამოსატანად.

2. მტკიცებულების დასაშვებობა

რელევანტურობისაგან განსხვავებით მტკიცებულების დასაშვებობა უნდა შევამოწმოთ საერთო წესით, საპროცესო ქმედების კანონიერების კრიტერიუმების მიხედვით. სტუდენტმა უნდა შეაფასოს არსებობდა თუ არა იმ ქმედების საფუძველი, რომლითაც მოპოვებული იქნა მტკიცებულება, იყო თუ არა დაცული ვადები, განახორციელა თუ არა ქმედება უფლებამოსილ პირმა, მონაწილეობდნენ თუ არა მოპოვების პროცესში კანონით განსაზღვრული პირები, იყო თუ არა დაცული ზოგადი და სპეციალური წესები. კაზუსი შესაძლებელია ეხებოდეს მტკიცებულების დასაშვებობის რამოდენიმე ელემენტს, რა დროსაც აუცილებელია ყველა მათგანის შემოწმება.

მტკიცებულებების დასაშვებობას საპროცესო კოდექსში ჯამში აწესრიგებს 21 მუხლი. მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი, მე-14 მუხლის პირველი ნაწილი, მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი, 72-ე მუხლი, 76-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, 77-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 78-ე მუხლის პირველი ნაწილი, 83-ე მუხლის მესამე ნაწილი, 83^{1}-ე მუხლი, 114-ე მუხლის მე-9 და მე-14 ნაწილები, 131-ე მუხლის მე-6 ნაწილი, 143^{3}-ე მუხლის მე-14 და მე-15 ნაწილები, 144-ე მუხლის მე-3^{1} ნაწილი,169-ე მუხლის მე-9 ნაწილი, 174-ე მუხლის პირველი ნაწილი, 214-ე მუხლი, 239-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილები, 244-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 247-ე მუხლის პირველი ნაწი-

ლი, 248-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ჩამოთვლილი ნორმებიდან ხუთ შემთხვევაში (76-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, 77-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 78-ე მუხლის პირველი ნაწილი, 239-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 248-ე მუხლის პირველი ნაწილი) განსაზღვრულია მტკიცებულების დასაშვებობის საფუძველი, შესაბამისად მათი არ არსებობის შემთხვევაში მტკიცებულება იქნება დაუშვებელი. სხვა დანარჩენი მუხლების შემთხვევაში განსაზღვრულია მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძვლები.

ერთერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ არ ითვალისწინებს დასაშვები მტკიცებულების ცნებას და მტკიცებულების დაუშვებლობა ეწ ნეგატიური ენუმერაციის პრინციპით არის გადაწყვეტილი. რომ მტკიცებულება დასაშვებად მიიჩნევა თუ მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველი არ არსებობს.[29] ასეთი განმარტება არ არის მთლად თანმიმდევრული, ის ეწინააღმდეგება იმ ხუთ შემთხვევას, რომლებშიც განსაზღვრულია მტკიცებულების დასაშვებობის საფუძვლები. მათთან მიმართებაში არ ხდება საკითხის ნეგატიური ენუმერაციის პრინციპით მოწესრიგება.

მტკიცებულების დასაშვებობა მოპოვების წესის გარდა დამოკიდებულია ასევე მისი შენახვის, წარდგენის, გაცვლის, აუთენტიკურობისა და სხვა წესებზე.

დასაშვებობის შესახებ წესები იყოფა ზოგად და სპეციალურ ნორმებად. დასაშვებობის წესი, რომელიც ეხება ყველა სახის მტკიცებულებას არის ზოგადი ხასიათის ნორმა. მაგალითად, 72-ე მუხლის პირველი ნაწილი არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობაზე არის ზოგადი ნორმა. ის ერთნაირად ეხება ბრალდებულის ჩვენებას, მოწმის ჩვენებას, ნივთიერ მტკიცებულებას, დოკუმენტურ მტკიცებულებას და ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დასაშვებობას.

დასაშვებობის წესი, რომელიც ეხება ცალკეული სახის მტკიცებულების დასაშვებობას არის სპეციალური ნორმა.

ბრალდებულის ჩვენების დასაშვებობის სპეციალური წესე-

29 იხ: საკანსტიტუციო სასამართლოს გდაწყვეტილება საქმეზე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2/2/579. 31.07.2015

ბია მოცემული: 174-ე მუხლის პირველ ნაწილში, 214-ე მუხლში და 247-ე მუხლის პირველ ნაწილში.

მოწმის ჩვენების დასაშვებობის სპეციალური წესებია მოცემული: 75/76-ე მუხლებში, 114-ე მუხლის მე-9 და მე-14 ნაწილებში, 244-ე მუხლის მე-2 ნაწილში (ეს წესები ვრცელდება ყველა პირზე ვინც სარგებლობს მოწმის სტატუსით).

ნიეთიერი მტკიცებულების დასაშვებობის სპეციალური წესებია მოცემული 77-ე მუხლის მე-4 ნაწილში.

დოკუმენტური მტკიცებულების დასაშვებობის სპეციალური წესებია მოცემული: 77-ე მუხლის მე-4 ნაწილში. 78-ე მუხლის პირველ ნაწილში, 136-ე მუხლის მე-6 ნაწილში და 144-ე მუხლის მე-3 პრიმა ნაწილში.

სხვა დანარჩენი ნორმები განეკუთვნებიან დასაშვებობის ზოგად წესებს.

მაგალითი :

ამოცნობის ჩატარებისას დაკავებული პირი დანარჩენი ორისგან განსხვავებით ამომცნობს წარედგინა ხელბორკილებით. ამ ფაქტმა გაამარტივა ბრალდებულის ამოცნობა. ამოცნობის დასრულებისთანავე ამოცნობილ პირმა მოითხოვა ამოცნობის ოქმის ასლის გადაღება და მისთვის გადაცემა, რაზეც გამომძიებელმა განუმარტა, რომ შეიძლებოდა მხოლოდ ამოცნობის ოქმის გასაცნობად წარდგენა.

შეაფასეთ ამოცნობის ოქმის დასაშვებობა!

ფაქტების გამოკვეთა:

- დაკავებულის ამოსაცნობად წარდგენა ხელბორკილით;
- დაკავებულისთვის ამოცნობის დასრულებისთანავე ამოცნობის ოქმის ასლის გადაუცემლობა.

ამოცანების განსაზღვრა!

- შეიძლება თუ არა ამოსაცნობი პირის წარდგენა ხელბორკილით?
- სავალდებულოა თუ არა ამოცნობის დასრულებისთანავე დაკავებულის მოთხოვნის შემთხვევაში მისთვის ამოცნობის ოქმის ასლის გადაღება?

სამუშაო გეგმა:

- საპროცესო ქმედების საფუძველი?
- საპროცესო ქმედების ვადები+
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი+
- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები+
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები+
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები?

შესაფასებელი გვაქვს ორი ელემენტი: საფუძველი და სპეციალური წესები. შეიძლება თუ არა ბრალდებულისათვის ამოცნობის ოქმის ასლის გადაცემაზე უარის თქმა მისი ამოცნობაში მონაწილეობის მოტივით და შეიძლება თუ არა ამოსაცნობი პირის წარდგენა ხელბორკილით.

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

- პირველი ამოცანის გადასაჭრელად უნდა ვნახოთ ამოცნობის მუხლში ნორმა, რომელიც ადგენს ამოცნობის დასაშვებობის სპეციალურ წესს. 131-ე მუხლის მე-6 ნაწილი ადგენს: **ამოცნობა არ ტარდება, ხოლო ჩატარებული ამოცნობა დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამომცნობი მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებებზე, რომელიც საკმარისი არ არის ამოსაცნობი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის ან თუ ამომცნობს მიანიშნეს ამოსაცნობ ობიექტზე.**
- მეორე ამოცანის გადასაჭრელად უნდა ვნახოთ ჯერ საერთო ნორმები ზოგად ნაწილში, რომლებიც ეხება დაკავებულის უფლებას დოკუმენტური მტკიცებულების გადაცემაზე და შემდეგ კერძო ნაწილში ნორმა ამოცნობის ოქმის გადაცემაზე. 83-ე მუხლის 1, მე-3, მე-5, მე-7 და მე-8 ნაწილები ადგენს: **სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. (83.1)**

ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას. (83.3)

დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე.(83.5)

მხარეებმა საკუთარი ხარჯით უნდა გადასცენ ერთმანეთს ინფორმაცია დოკუმენტის ასლის სახით. (83.7.)

ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე მხარეები ვალდებული არიან მისცენ ერთმანეთს იმ ინფორმაციისა და მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც ისინი აპირებენ, ასევე გადასცენ წერილობითი მტკიცებულებების ასლები.(83.8).

134-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილია:

შედგენის შემდეგ საგამოძიებო მოქმედების ოქმი გასაცნობად წარედგინება საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილეს.

ამოცანების გადაჭრა:

პირველი ამოცანის გადაჭრა:

1. ამოცნობა არის დაუშვებელი მტკიცებულება თუ ამომცნობს მიანიშნეს ამოსაცნობ ობიექტზე. მინიშნება შეიძლება გამოიხატოს ვერბალურად ან კონკლიუდენტური მოქმედებით. მინიშნება შეიძლება განხორციელდეს ამოცნობამდე ან ამოცნობის მსვლელობისას. შეიძლება პირს უთხრან ვის უნდა დაადოს ხელი, ან მიანიშნონ, როდესაც პირს ექცევიან როგორც დამნაშავეს განსხვავებით სხვა ამოსაცნობი პირებისაგან. აკრძალულია ნებისმიერი აქტივობა, რომლსაც ამომცნობისათვის ექნება მიმანიშნებელი ეფექტი.
2. დაკავებული პირი დანარჩენებისაგან განსხვავებით ამოცნობაზე წარდგენილ იქნა ხელბორკილით.
3. გამომდინარე აღნიშნული გარემოებებიდან განზრახვით თუ განზრახვის გარეშე ადგილი ჰქონდა ამოსაცნობ პირზე მინიშნებას.

მეორე ამოცანის გადაჭრა:

1. 83-ე მუხლი ადგენს მხარეთა შორის მტკიცებულებების გაცვლის წესს. ამოცნობილი პირი იყი დაკავებული და დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად. ბრალდებული არის დაცვის მხარე და შესაბამისად დაკავების მომენტიდან ის სარგებლობს 83-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებით. 83-ე მუხლის პირველი ნაწილი სიტყვასიტყვით თუ განვმარტავთ მას ბრალდების მხარეს აკისრებს მტკიცებულების მხოლოდ გაცნობის და არა ასლის გადაცემის ვალდებულებას. სიტყვა გაცნობა მოცემულ ნაწილში გადაცემის ნაცვლად იმიტომ არის გამოყენებული, რომ იგი ეხება, როგორც წერილობით ისე ნივთიერ მტკიცებულებებს. თუ კანონმდებელი ამ ნაწილში ჩაწერდა გადაცემას მაშინ ბრალდების მხარე ვალდებული იქნებოდა დაცვის მხარისთვის კიარ გაეცნო, არამედ გადაეცა კიდეც ნივთიერი მტკიცებულებები. ცხადია ნივთიერი მტკიცებულებების დაცვის მხარისთვის გადაცემის ვალდებულება აზრს დაუკარგავდა სამართალწარმოებას. 83-ე მუხლის პირველი ნაწილი განიმარტება მე-3 და მე-7 ნაწილებთან კომბინაციაში სისტემური განმარტების ხერხით. მე-3 და მე-7 ნაწილებიდან გამომდინარეობს, რომ მხარეს გადაეცემა საქმის მასალების ასლები და შესაძლებელია ნივთიერი მტკიცებულებების მხოლოდ დათვალიერება. ამიტომ 83-ე მუხლის პირველი ნაწილი მტკიცებულების გაცნობაზე განიმარტება განვრცობითი მოცულობით და გაცნობაში წერილობითი მტკიცებულებების ასლების გადაცემის ვალდებულებასაც გულისხმობს. ასლების გადაცემის ვალდებულება არსებობს ასევე 83-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე პერიოდშიც. დაცვის მხარის უფლება მტკიცებულების წვდომაზე შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით ოპერატიული და ფარული საპროცესო მოქმედებებით მიღებული ინფორმაციის ნაწილში. 134-ე მუხლით დადგენილი წესი ოქმის გასაცნობად წარდგენაზე ცალსახაა და ის არ გულისხმობს ასლის გადაღების

ვალდებულებას.

2. დაკავების ოქმი არ არის ოპერატიული და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია. პირი იყო დაკავებული და დაკავების მომენტიდან წარმოადგენდა მხარეს. გარდა ამისა დაკავებულის სტატუსი გულისხმობს, რომ ჯერ არ ჩატარებულა დაკავებულის მიმართ პირველი ნარდგენის სხდომა. (პირველი წარდგენის შემდეგ ხდება დაკავებული პირის ან დაპატიმრება ან განთავისუფლება).

3. გამომდინარე ორივე მოცემულობიდან დაკავებულ პირს ქონდა უფლება 83-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-7 და მე-8 ნანილების შესაბამისად მოეთხოვა ამოცნობის ოქმის ასლის გადაცემა. ინფორმაციის წერილობითი ფორმით გადაუცემლობა ამ შემთხვევაში არის ოქმის დაუშვებლად ცნობის საფუძველი. რაც შეეხება 134-ე მუხლის მე-5 ნაწილს ამოცნობაში მონაწილე პირებისთვის ოქმის გცნობაზე, მართალია წარმოადგენს სპეციალურ წესს, მაგრამ არ არის კოლიზიაში 83-ე მუხლთან. 134-ე მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს მინიმალურ სტანდარტს ოქმის გაცნობაზე ყველა მონაწილისთვის და ემსახურება ამოცნობის ოქმის სწორად შედგენის სანდოობას. 83-ე მუხლით დადგენილი წესი კი ემსახურება მხარეთა თანასწორობის, შეჯიბრებითობის და დაცვის უფლების რეალიზაციას.

ამოცნობის ოქმი, როგორც დოკუმენტური მტკიცებულება არის დაუშვებელი, რადგან დარღვეულია დასაშვებობის შესახებ ზოგადი ნორმები 83-ე მუხლში და სპეციალური ნორმა 131-ე მუხლის მე-6 ნაწილში.

მტკიცებულების დასაშვებობა დამოკიდებულია სხვა ნორმატიული აქტების დაცვაზეც მისი მოპოვების დროს. მაგალითად, კანონი ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ, კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ, ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ და სხვა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით დაუშვებელია არამხოლოდ საპროცესო კოდექსის, არამედ სხვა

ნორმატიული აქტების არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებაც.[30] მტკიცებულების დაუშვებლობის საფუძველია ასევე მისი მოპოვება საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევით.[31] ევრო სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) კონტექსტში განიხილავს კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას ბრალდებულის წინააღმდეგ.[32] მტკიცებულების დასაშვებობას ეხება კონვენცია წამების წინააღმდეგ, მე-15 მუხლი კრძალავს წამებით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებას. მტკიცებულობის დასასშვებობის შეფასების ბოლო ეტაპია დარღვევის არსებითობის განსაზღვრა და ეწ მოწამალული ხის თეორიით გათვალისწინებული გამონაკლისის შემოწმება. ორივე საკითხი მოწესრიგებულია 72-ე მუხლის პირველი ნაწილით.

არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

მოცემული მუხლი აწესებს შემდეგ დღის წესრიგს:

- არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლობა;
- ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულების დაუშვებლობა, როდესაც ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას;

პირველ შემთხვევაში, როდესაც მხარე არსებითი დარღვევით მოიპოვებს მტკიცებულებას ასეთი ინფორმაცია დაუშვებელი მტკიცებულებაა იმის მიუხედავად აუარესებს თუ არა ის ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. ოღონდ, როდესაც ბრალდებულის სასარგებლო მტკიცებულებას არსებითი დარღ-

30 იხ: საკანსტიტუციო სასამართლოს გდაწყვეტილება საქმეზე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2/2/579. 31.07.2015

31 იხ: გიორგი თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომცემლობა იურისტის სამყარო, თბილისი 2014, გვ; 315-322.

32 ხუდობინი რუსეთის წინააღმდეგ, 26.01.20076

ვევით მოიპოვებს ბრალდების მხარე, მაშინ ეს მტკიცებულება დასაშვებია თუ მისი მოპოვება დაცვის მხარეს აღარ შეუძლია ახალი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებით. ამ დროს უნდა მივმართოთ ნორმის შეზღუდვით განმარტებას. არალოგიკურია ბრალდების მხარის დარღვევის გამო დაცვის მხარე დარჩეს ნაგებულ მდგომარეობაში. მაგალითად, თაღლითობის საქმეზე გამომძიებელმა მესამე პირთან უკანონოდ ჩაატარა ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად სხვა მტკიცებულებებთან ერთად აღმოჩენილ იქნა ხელშეკრულების ორიგინალი, რომელიც გამორიცხავდა თაღლითობის ფაქტს. ბუნებრივია დაცვის მხარე ვეღარ იშუამდგომლებს უკვე მოპოვებული მტკიცებულების ამოღებაზე, არავითარი ლოგიკური არგუმენტი არ არსებობს თუ რატომ არის ეს ხელშეკრულება დაცვის მხარის სასარგებლოდ დაუშვებელი მტკიცებულება. დაცვის მხარეს თავად არ დაურღვევია მისი მოპოვების რაიმე წესი.

კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული პირველადი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა ყოველთვის არ იწვევს მის საფუძველზე კანონიერად მოპოვებული ბრალდებულის საუარესო მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას. მონამლული ხის თეორია მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველადი მტკიცებულების დაუშვებლობა ხდება არა ნებისმიერი საფუძვლით, არამედ მოპოვების წესის არსებითი დარღვევის გამო. შესაძლოა მოწმის ჩვენება დაუშვებლად ცნოს სასამართლომ მისი გაცვლის ან წარდგენის წესის დარღვევის გამო. ასეთ შემთხვევაში არ არის აკრძალული ჩვენების საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებების დაშვება.

მონამლული ხის თეორიასთან დაკავშირებით არსებობს გამონაკლისები, როდესაც შეიძლება ნაწარმოები მტკიცებულების დაშვება იმის მიუხედავად, რომ აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას.[33] **დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი.** ამ დროს პირველად და ნაწარმოებ მტკიცებულებას შორის არის ალტერნატიული მიზეზობრიობა, რამდენადაც ნაწარმოები მტკიცებულების მოპოვებას განაპირობებს სხვა კანონიერი მტკიცებულებაც. მაგალითად, ქურდობის ფაქტზე

33 იხ: გიორგი თუმანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ 302-314. ასევე ია ჩხეიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ; 73-76

უკანონოდ მიღებული ჩვენებისა და კანონიერად მოპოვებული ვიდეო ჩანაწერების საფუძველზე განხორციელდა ჩხრეკა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენება იყო არაკანონიერი, ჩხრეკის შედეგები მაინც დასაშვებია, რადგან მხოლოდ ვიდეო მტკიცებულების საფუძველზეც შეიძლებოდა ჩხრეკის ჩატარება. დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისის გასარკვევად მიზეზობრიობათა ჯაჭვიდან უნდა გამოვთიშოთ უკანონოდ მიღებული მტკიცებულება და დავსვათ შეკითხვა, რომ არა ეს მტკიცებულება იმ კონკრეტულ მომენტში შეიძლებოდა თუ არა საგამოძიებო მოქმედების ჩატარება? მხოლოდ დადებითი პასუხის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ნაწარმოები მტკიცებულების დასაშვებად ცნობა. აღნიშნული გამონაკლისის გამოყენება არ დაარღვევს 72-ე მუხლის პირველ ნაწილს.

არსებობს ასევე მტკიცებულების გარდაუალად აღმოჩენის, გამოსწორებული ნაკლისა და კეთილსინდისიერების გამონაკლისები. მათი გამოყენება 72-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედი რედაქციის პირობებში შეუძლებელია.

3. მტკიცებულების უტყუარობა

მტკიცებულების შეფასების მომდევნო კრიტერიუმია მისი უტყუარობა. ამ დროს საპროცესო აქტის კანონიერებას და დასაბუთებულობას ვამოწმებთ გამოყენებული ან გამოსაყენებელი მტკიცებულების ჭეშმარიტების შემოწმებით. არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, ნებისმიერი მათგანი შეიძლება აღმოჩნდეს საეჭვო. საეჭვო მტკიცებულება არ უნდა ჩაითვალოს უტყუარად. სსსკის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის ერთ-ერთი მოთხოვნის თანახმად ,,გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად აუცილებელია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებენ პირის ბრალეულობას.,, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აშკარა ნიშნავს: ცხადს, ნათელს, დაუფარავს.[34] აშკარა მოცემულ მუხლში ნიშნავს მტკიცებულების უტყუარობას. შეუძლებელია ცხა-

34 იხ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, მთავარი რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1986წ

დი და ნათელი იყოს ინფორმაცია, რომელიც არ არის უტყუარი. უტყუარობის შემოწმებისას უნდა მივმართოთ მტკიცებულებებს შორის მიმართების დადგენასაც. შეუძლებელია ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებებიდან თითოეული იყოს უტყუარი. მტკიცებულების უტყუარობა განსხვავდება მტკიცებულების ძალისგან (დამაჯერებლობისგან). უტყუარობა არის ინფორმაციის შინაარსის ნამდვილობა. მტკიცებულებით ძალაში კი იგულისხმება, რამდენად ადგენს მტკიცებულება იმ ფაქტს, რომლის დასადგენადაც არის წარდგენილი. მაგალითად, ექსპერტის დასკვნა, რომ შემთხვევის ადგილიდან აღებული სუნის ნიმუში მიეკუთვნება ბრალდებულისგან ამოღებულ ტანსაცმელზე არსებულ სუნამოს სუნს, შესაძლებელია იყოს უტყუარი (ჭეშმარიტი), მაგრამ არა აქვს იმ დონის მტკიცებულებითი ძალა, რომ სარწმუნო (დამაჯერებელი) იყოს ბრალდებულის ყოფნა შემთხვევის ადგილზე.[35] შესაძლებელია სხვაც სარგებლობს ასეთივე სუნამოთი. ერთერთ საქმეში 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიებისას ბრალდების მხარემ მტკიცებულებებს დაურთო შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი.[36] ოქმით უტყუარად დგინდება მხოლოდ ის ფაქტი, რომ არსებობს ის ადგილი, სადაც მოწმეთა ჩვენებით მოხდა ფიზიკური დაპირისპირება, რაც შეეხება მის მტკიცებულებით ძალას (დამაჯერებლობას) ძალადობის დასადასტურებლად არავითარი წონა არ გააჩნია.

269-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი. მტკიცებულების უტყუარობას ვამოწმებთ ჯერ განყენებულად და შემდეგ სხვა მტკიცებულებებთან მიმართებაში. შესაძლოა მტკიცებულება საეჭვო იყოს განყენებულად, მაგრამ მისი უტყუარობა დასტურდებოდეს სხვა მტკიცებულებასთან ერთად შეფასებისას. მაგალითად, მოწმის ჩვენება, რომ ღამის საათებში დაბალი განათების პირობებში დაახლოებთ 150 მეტრის მოშორებით იცნო თავდამსხმელი, განყენებულად საეჭვოა, მაგრამ, როდესაც არსებობს საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, რომ-

35 განსხვავებაზე იხილეთ მაია ოშხარელი, დისერტაცია, მტკიცების პროცესი და მისი ეტაპები თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში, თბ; 2010; გვ; 166-167

36 სისხლის სამართლის საქმე N175180421001

ლითაც მსგავს გარემოებებში მოწმემ შეძლო თავდამსხმელის გარჩევა, მაშინ არასწორი იქნება მისი ჩვენების არაუტყუარად მიჩნევა. საეჭვო მტკიცებულება აღარ უნდა გადავიტანოთ მტკიცებულების დამაჯერებლობის შეფასების ეტაპზე. რაც არ არის უტყუარი არ არის დამაჯერებელი. შესაძლოა საეჭვო მტკიცებულება რეალურად ჭეშმარიტი იყოს და ბრალდებულიც რეალურად დამნაშავე იყოს, მაგრამ როდესაც ვერ ქარწყლდება ეჭვი მის არაუტყუარობაზე 13-ე და 269-ე მუხლის მე-2 ნაწილები კრძალავს მის გამოყენებას ბრალდებულის წინააღმდეგ.

მტკიცებულების უტყუარობაში ეჭვის შეტანის ფაქტორები განსხვავებულია იმის მიხედვით თუ რა ტიპის მტკიცებულებასთან გვაქვს საქმე.

ჩვენების უტყუარობა საეჭვოა, როდესაც შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებს, ეწინააღმდეგება სხვა უტყუარად მიჩნეულ მტკიცებულებებს, მოწმეს არანეიტრალური დამოკიდებულება აქვს რომელიმე მხარესთან, მოწმე არ არის გულწრფელი და თვალთმაქცობს ისეთ საკითხებზე, რომლებიც უკვე გარკვეულია, საეჭვო ხდება მოწმის უნარი მოვლენების აღქმის, დამახსოვრებისა და გადმოცემის შესახებ. საეჭვო გარემოებებში ხდება ინფორმაციის ფორმირება (ღამე, ხალხმრავლობა, ნისლი, ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული ხმაური, თავდასხმა ზურგიდან და აშ).[37] თუ ვერ გაქარწყლდება ეჭვი ჩვენების უტყუარობაზე გადაწყვეტილების მიღებისას არ უნდა იქნას ის გამოყენებული.

ნივთიერი მტკიცებულება არაუტყუარად მიიჩნევა, როდესაც საეჭვოა მისი წარმოშობა, აღმოჩენის ადგილი და დრო, ნიშან-თვისებები და მასზე დარჩენილი კვალი. ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს, დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს და აღიწეროს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები. ნივთიერი მტკიცებულება უნდა ინახებოდეს ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მის

37 იხ: სახემძღვანელო წინადადებები საერთო სასამართლოს მოსამართლეებისათვის განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი 2015, გვ: 44-45;
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, დასახელებული ნაშრომი, გვ 190-191

შეცვლას. უტყუარობა შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ნივთიერი მტკიცებულების მოპოვების ან შენახვის წესის დარღვევის გამო. უტყუარობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთიერი მტკიცებულების დამაგრებას კანონის მოთხოვნების დაცვით. მაგალითად, პირის საცხოვრებლიდან ამოღებულ იქნა თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელზეც არის ამ პირის ანაბეჭდები. გამოტანილ იქნა დადგენილება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დამზადებისა და შენახვის ბრალდებით. ამოღების ფიქსაციის შედეგად უტყუარად უნდა დგინდებოდეს შემდეგი გარემოებები:

- ნივთმტკიცება ნამდვილად ბრალდებულის საცხოვრებლიდან იქნა ამოღებული;
- ნამდვილად თვითნაკეთი იარაღი იქნა ამოღებული;
- იარაღი ამოღების მომენტში ნამდვილად ვარგისი იყო სროლისათვის;
- ნამდვილად იყო ნივთიერ მტკიცებულებაზე ბრალდებულის ანაბეჭდები ამოღების მომენტში.

საგამოძიებო მოქმედების ოქმითა და მონაწილეთა ხელმოწერებით უნდა დგინდებოდეს იარაღის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები, აღმოჩენის ადგილი და დრო. იარაღი უნდა დაილუქოს და შეიფუთოს. ლუქი და შეფუთვა უზრუნველყოფს, რომ არ წარმოიშვას ეჭვი იარაღის შესაძლო გამოცვლის შესახებ, არ წარმოიშვას ეჭვი იარაღის ნიშანთვისებების შეცვლის შესახებ, რომ ამოღების მომენტში შესაძლოა ის უარგისი იყო სროლისათვის, არ წარმოიშვას ეჭვი მის წარმოშობაზე, რომ ის რაც ამოიღეს შესაძლოა არ იყო თვითნაკეთი, არ წარმოიშვას ეჭვი იარაღზე არსებული კვალის (ანაბეჭდების) ამოღების მომენტში არ არსებობის შესახებ. როდესაც ნივთი არის დიდ გაბარიტიანი და არ იფუთება მაშინ უტყუარობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის დასურათებას, ფოტოებზე უნდა აისახოს ნივთის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები და უნდა დაილუქოს ეს ფოტოები (134.4).

მაგალითი:

ქურდობის ფაქტზე პირის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებულ იქნა ველოსიპედი. გამომდინარე ნივთის გაბარიტებიდან ის არ შეფუთულა. შედგა ამოღების ოქმი, აღინერა

ველოსიპედის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები. დაზარალებულმა ნივთი ამოიცნო. ამოცნობის ოქმის თანახმად ამოცნობა მოხერხდა ველოსიპედზე თეთრი ფერის საღებავით დაწერილი დაზარალებულის ინიციალებით. ინიციალები ველოსიპედზე დატანილია თვალში საცემ ადგილას, თუმცა ამის შესახებ არაფერია მითითებული ამოღების ოქმში. ველოსიპედი ამოღებამდე არ წარუდგენიათ მონაწილე პირებისათვის, არ მომხდარა ველოსიპედის დასურათება და ფოტომასალის დალუქვა.

შეაფასეთ ამოცნობის უტყუარობა!

ფაქტების გამოკვეთა:

- ამომცნობის მიერ ნივთის ამოცნობა ნივთზე არსებული ინიციალების მეშვეობით;
  ინიციალები ნივთზე დატანილია თვალში საცემ ადგილას;
  ნივთი ამოღებამდე არ წარუდგენიათ მონაწილე პირებისათვის;
  ინიციალების შესახებ არაა მითითებული ამოღების ოქმში;
  ველოსიპედი ამოღების დროს არ შეფუთულა და არ დასურათებულა

ამოცანების განსაზღვრა:

მტკიცებულების დამაგრების რომელიმე წესით დასტურდება თუ არა, რომ ამოღების მომენტში ნამდვილად არსებობდა ველოსიპედზე ინიციალები?

სამუშაო გეგმა:

- საპროცესო ქმედების საფუძველი+
- საპროცესო ქმედების ვადები+
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი+
- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები+
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები?
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები?

შესაფასებელი გვაქვს ამოღებისას მტკიცებულების დამაგრების ზოგადი და სპეციალური წესები!

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

საკითხი ეხება ნივთიერი მტკიცებულების დამაგრების წესს. ჯერ უნდა ვნახოთ ზოგადი ნაწილი ხომარ ადგენს ამ კუთხით რაიმე წესს მტკიცებულებათა შესახებ თავში, საერთო ნორმებში და გავაგრძელოთ ძიება კერძო ნაწილში.

77-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია:

ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს; დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს და აღინეროს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები.

საპროცესო ქმედება უკავშირდება გამოძიების სტადიას, კერძოდ საგამოძიებო მოქმედებას. შესაბამისად, ამოღებული ნივთის დამაგრების წესები უნდა შევამოწმოთ ამ საგამოძიებო მოქმედების შესახებ ნორმებში, საგამოძიებო მოქმედების ოქმის შესახებ ზოგად დებულებებში და ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ოქმის შესახებ ნორმებში.

120-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილია:

ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი თუ შესაძლებელია ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს, შემდეგ ამოღებულ იქნეს, დაწვრილებით აღიწეროს, დაილუქოს და შესაძლებლობის შემთხვევაში შეიფუთოს.

134-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილია:

თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოყენებული იყო ხმის ან/და გამოსახულების ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით ჩაწერა, საგამოძიებო მოქმედების ოქმში უნდა აღინიშნოს გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მახასიათებლები, მათი გამოყენების პირობები და მიღებული შედეგები. ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შესახებ საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს წინასწარ უნდა ეცნობოს და ამის თაობაზე უნდა აღინშნოს ოქმში. ამ ნაწილში მითითებული ინფორმაციის შემცველი მასალა უნდა დაილუქოს, დადასტურდეს საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა ხელმოწერებით და დაერთოს საქმეს (ნორმის შემოკლებული ვერსია).

135-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია:

ყადაღის, ჩხრეკის ან/და ამოღების ოქმში ყველა ობიექტი უნდა აღიწეროს ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებების მითითებით (ნორმის შემოკლებული ვერსია).

ამოცანების გადაჭრა:

1. მოცემული ნორმებიდან გამომდინარეობს მტკიცებულების დამაგრების შემდეგი წესი: ამოღებამდე ნივთის წარდგენა მონაწილე პირებისათვის, შემდეგ დაწვრილებით აღწერა ნივთის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნებისა, ნივთის დალუქვა და შესაძლებლობის შემთხვევაში შეფუთვა, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებისას მასალების დალუქვა. ნივთის შფუთვა ნებაყოფლობითია და ხდება მხოლოდ შესაძლებლობის შემთხვევაში. ნებაყოფლობითია ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებაც. დანარჩენი წესები სავალდებულოა შესასრულებლად. ყველა ამ წესის მიზანია უზრუნველყოს მოპოვებული მტკიცებულების უტყუარობა, რომ არ წარმოიშვას გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნისანთვისებების არსებითი შეცვლისა და მასზე არსებული კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. როდესაც ნივთის გაბარიტებიდან გამომდინარე არ ხდება მისი შეფუთვა დიდი მნიშვნილობა აქვს ოქმში მისი ნიშანთვისებების აღწერას და ამოღებამდე მის დასურათებას ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, რათა გამოირიცხოს ეჭვი, რომ მოგვიანებით ხომარ მოახდინეს მასზე რაიმე ზემოქმედება. 134-ე მუხლის მე-4 ნაწილში კანონმდებელი მიუთითებს, რომ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებისას უნდა მოხდეს მასალის დალუქვა. დალუქვის აუცილებლობაზე მეტყველებს კანონმდებლის ისტორიული ნებაც, ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითხოვდა ასეთი მასალის დალუქვას.[38] მოქმედ საპროცესო კოდექსში კი კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს მხარის ვალდებულებაზე ტექნიკურ საშუალებათა გა-

38 იხ: 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-7 ნაწილები.

მოყენებისას დალუქოს ასახული მასალები. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას მეცნიერულტექნიკური საშუალებები და მეთოდები. ტექნოლოგიური პროგრესი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ექსპერტის მონაწილეობით ან მის გარეშე საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ამოსაღები ნივთების გამოსახულების გადაღებისას ადგილზევე მოხდეს მასალის დისკზე ან სხვა ელექტრონულ მატარებელზე გადატანა და დალუქვა. როდესაც ამოღებული ნივთი არ არის შეფუთული, საქმეში, რომც იდოს დაულუქავი ფოტომასალა შესაძლოა გაჩნდეს ეჭვი, რომ მოგვიანებით მოხდა ნივთზე ზემოქმედება და ამის შემდეგ მოხდა გამოსახულების გადაღება ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

2. დაზარალებულის მიერ ველოსიპედის ამოცნობა მოხდა მასზე დაწერილი ინიციალებით. ველოსიპედი არ წარუდგენიათ მონაწილე პირებისათვის, ინიციელები ველოსიპედზე თვალში საცემ ადგილას არის, თუმცა გამომძიებელს ეს ინდივიდუალური ნიშანი არა აქვს მითითებული ამოღების ოქმში. ნივთი არ არის ამოღებისას დასურათებული და ნივთი არ შეფუთულა. არცერთი წესით არ ჩანს, რომ ამოღებისას ველოსიპედზე ინიციელები არსებობდა.

3. გამომდინარე ორივე მოცემულობიდან ეჭვი, რომ შესაძლოა ინიციალები შემდგომში იქნა დატანილი შეუფუთავ ნივთზე გონივრულია. შესაძლოა მართლაც იყო თავიდანვე ეს ინიციალები ნივთზე, მაგრამ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და დამაგრების არცერთი წესით არ დასტურდება ეს ფაქტი. შესაბამისად ამოცნობის ოქმი, რომ უტყუარად ამოიცნო პირმა ნივთი არის გონივრულად საეჭვო. ნივთი არ იყო შეფუთული და ნებისმიერ მომენტში ხელი მიუწვდებოდა მასზე გამომძიებელს. ნებისმიერ მომენტში იყო შესაძლებელი დაეტანათ ეს წარწერა და ისე ჩაეტარებინათ ამოცნობა. ვერცერთი გარემოება უტყუარად ვერ ადგენს, რომ ამოღების დროს წარწერა არსებობდა. ეჭვი უტყუარობაზე განპირობებულია ნივთის შეუფუთაობით, ნივთის დაუსურათებლობით და ოქმში ინიციალების შესახებ ამ ინფორმაციის არ არსებობით.

თუ მტკიცებულების უტყუარობა საეჭვოა, მაგრამ საჭიროა მისი გამოკვლევა მაშინ საკითხი წინასასამართლო სხდომიდან ინაცვლებს არსებით განხილვაზე.

ნივთიერი მტკიცებულების უტყუარობა შესაძლოა საჭვო იყოს არამხოლოდ მისი მოპოვების ან შენახვის წესების დარღვევის გამო, არამედ მისი ოდენობის, მასზე დარჩენილი კვალის არასაკმარისობის გამო, დაზიანების ხარისხის და სხვა მოპოვებამდელი გარემოებების გამო. მაგალითად, დანაშაულის საგანზე მრავალი კვალის არსებობის გამო შესაძლოა უტყუარად ვერ დგინდებოდეს კონკრეტული პირის შემხებლობა მასზე და ექსპერტის დასკვნა იყოს საალბათო.

კაზუსის ამოხსნისას ნივთიერი მტკიცებულების უტყუარობის შესაფასებლად ვამოწმებთ შემდეგ საკითხებს:

- წარედგინა თუ არა ნივთი ამოღებამდე საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს (როცა ეს შესაძლებელი იყო);
  არის თუ არა საგამოძიებო მოქმედების ოქმში მითითებული მისი მოპოვების დრო და ადგილი;
  არის თუ არა აღწერილი მისი ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები;
  მოხდა თუ არა მისი ფიქსაცია ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, (ფოტოგადაღება, რომელიც ნებაყოფლობითია, მაგრამ მისი გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია დალუქვა. 131.4);
- დაილუქა თუ არა ნივთიერი მტკიცებულება;
- შეიფუთა თუ არა ნივთიერი მტკიცებულება;
- ლუქის შემდგომში დარღვევის მერე გამორიცხული იყო თუ არა მასზე მაფალსიფიცირებელი ზემოქმედება;
- უტყუარია თუ არა მასზე ჩატარებული ექსპერტიზა.

ჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელიმეს დარღვევის გამოვლენისას ვამოწმებთ სხვა ნოთხოვნათა დაცვა ხომარ აქარწყლებს ეჭვებს. მაგალითად, მტკიცებულების უტყუარობაზე წარმოშობს ეჭვებს, როდესაც ოქმში არ არის აღწერილი მისი არც ინდივიდუალური და არც გვარეობითი ნიშნები, მაგრამ მტკიცებულების უტყუარობა ვერ იქნება საეჭვო თუ ამოღებისას ნივთი დააასურათეს, დალუქეს და შეფუთეს. ასეთ შემთხვევაში

გამორიცხულია მასზე ზემოქმედება თუ მოგვიანებით არ იქნება დარღვეული ლუქის მთლიანობა.[39]

დოკუმენტური მტკიცებულების უტყუარობის შეფასებისას ვამოწმებთ მისი შინაარსის უტყუარობას. დოკუმენტურ მტკიცებულებებს მიეკუთვნება საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებათა ოქმები (გარდა მოწმის ჩვენებისა), ოფიციალური დოკუმენტები, ექსპერტის დასკვნი, დიპლომი, მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძო პირთა დოკუმენტები: ხელწერილი ვალის დაბრუნებაზე, წერილი თვითმკვლელობის წინ.[40] საპროცესო კოდექსის თანახმად **დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.** გაყალბებული დოკუმენტებიც დოკუმენტურ მტკიცებულებად ითვლება საპროცესო მიზნებისათვის, როდესაც სიყალბე არის ქმედების ობიექტური მხარის ნიშანი და ბრალდება ამ კუთხით აქვს პირს წარდგენილი. როდესაც დოკუმენტს (ასეთია მაგალითად გაყალბებული დოკუმენტები) აქვს შეუნაცვლებლობის თვისება ის ამავდროულად არის ნივთიერი მტკიცებულებაც და მისი უტყუარობა უნდა შემოწმდეს ნივთიერი მტკიცებულების უტყუარობის შეფასების კრიტერიუმებითაც. მაგალითად, როდესაც არ ხდება ამოღებული დიდ გაბარიტიანი ნივთების შეფუთვა და ხორციელდება გამოსახულების ტექნიკური საშუალებით ჩაწერა ან სატრანსპორტო შემთხვევის დროს ხდება საბურავის კვალის დასურათება, აუცილებელია ფოტომასალის დალუქვა. (134.4).. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა წარმოიშვას კითხვები უტყუარობაზე. მარტივი შესაძლებელია, რომ შეუფუთავ ნივთზე დაიტანონ რაიმე ნიშანი და შემდეგ მოახდინონ დასურათება. საგამოძიებო მოქმედების

39იხ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, საქმე N1/B-555-12,07/11/2012.

40 იხ: სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, რედ: რ. გოგშელიძე, გამომცემლობა სამართალი, თბ; 2009, გვ; 388-396;
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, დასახელებული ნაშრომი, გვ: 276-277

დროს დასურათებული მასალა ხასიათდება შეუნაცვლებლობის თვისებით და შესაბამისად წარმოადგენენ ნივთიერ მტკიცებულებასაც, ნივთიერი მტკიცებულება კი უნდა დაილუქოს.

დოკუმენტური მტკიცებულება ვერ იქნება უტყუარი, როდესაც სამართლებრივი ან ფაქტობრივი გარემოების შესახებ შეიცავს საეჭვო ცნობას. მაგალითად ამოცნობის ოქმი საეჭვოა თუ ამომცნობის მიერ აღწერილი ნიშნები ვერ იქნებოდა საკმარისი პირის ამოსაცნობად. დასკვნა საეჭვოა თუ კატეგორიულად ვერ ასკვნის ექსპერტი ხელმოწერის ბრალდებულისადმი კუთვნილებას.

დოკუმენტის უტყუარობა უნდა განვასხვაოთ დოკუმენტის ნამდვილობისაგან და დოკუმენტის დამაჯერებლობისაგან (მტკიცებულებითი ძალა). მაგალითად ექსპერტის დასკვანა, რომ ხელმოწერა სავარაუდოდ ეკუთვნის ბრალდებულს ნამდვილია, მაგრამ არ არის უტყუარი. დოკუმენტის ნამდვილობა მისი წარმომავლობის ცოდნასთან ერთად არის აუცილებელი პირობა, რომ ის ჩაითვალოს მტკიცებულებად, უტყუარობა კი ცალკე უნდა შეფასდეს. წარმომავლობისა და ნამდვილობის ცოდნის გარეშე უტყუარობა საეჭვოა, მაგრამ მათი ცოდნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს უტყუარობას, ის ცალკე ფასდება. დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტურია 78.1). იგულისხმება, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება დოკუმენტი მტკიცებულებად. უტყუარობა და დამაჯერებლობა ცალკე უნდა შევაფასოთ. რომ ვიმსჯელოთ დოკუმენტის უტყუარობაზე და დამაჯერებლობაზე უნდა ვიცოდეთ მისი წარმომავლობა:

- ვინ შექმნა;
- ვინ გასცა;
- ვინ მოიპოვა;
- ვისთან ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე;
- მისი შედგენის ან მოპოვების/შექმნის დრო, ადგილი, ვითარება;
- ოფიციალური დოკუმენტის შემთხვევაში შეიცავს თუ არა ბეჭედს, შტამპს, შტრიხკოდს.

ეს ინფორმაცია უნდა იყოს ნამდვილი. აუცილებელია აქედან იმ მინიმალურის ცოდნა მაინც, რაც აუცილებელი იქნება კონ-

კრეტულ საქმეზე დოკუმენტის მტკიცებულებად მიჩნევისათვის. მაგალითად, თაღლითობის საქმეში ყალბი დოკუმენტის გამოყენებისას შესაძლოა არ ვიცოდეთ ვინ, სად, როდის და რა ვითარებაში დაამზადა იგი, მაგრამ თუ არ გვეცოდინება რა გზით მოხდა ეს დოკუმენტი საქმეში, ვინ, ვისგან და როდის მოიპოვა, მაშინ ის ვეღარ ჩაითვლება საქმეზე მტკიცებულებად. მთავარია დოკუმენტის წარმომავლობაზე ვიცოდეთ ის, რაც მნიშვნელოვანია კონკრეტული საქმიდან გამომდინარე. მაგალითად, იგივე საქმეში თუ პირს ბრალი ედება სამსახურებრივ სიყალბეშიც, მაშინ იმავე დოკუმენტის ამ ნაწილში მტკიცებულებად მიჩნევისათვის აუცილებელია ვიცოდეთ ვინ შეადგინა/შექმნა და როდის შედგა დოკუმენტი.

დოკუმენტის უტყუარობა განსხვავდება მისი დამაჯერებლობისაგან (მტკიცებულებითი ძალისაგან). დოკუმენტის უტყუარობის შეფასებისას მოწმდება მისი შინაარსის ნამდვილობა, დამაჯერებლობისას კი მისი დამაჯერებლობა იმ ფაქტის დასადგენად, რისთვისაც არის წარდგენილი. მაგალითად, მკვლელობის საქმეზე წარდგენილია ვიდეომტკიცებულება, როგორ გარბის ბრალდებული გასროლის ხმიდან რამოდენიმე წამში, შემთხვევის ადგილიდან. ექსპერტის დასკვნით ვიდეომასალა არ შეიცავს მონტაჟის ელემენტებს და ნამდვილად ბარლდებულია კადრებში დაფიქსირებული. დოკუმენტური მტკიცებულება უტყუარია, რომ ეს პირი, რომელიც გარბის არის ბრალდებული. მაგრამ არ არის დამაჯერებელი იმ გარემოების დასადგენად, რისთვისაც არის წარდგენილი. იქნებ სხვამ ისროლა და ეს შიშის გამო გარბოდა. უტყუარობა უნდა შეფასდეს დოკუმენტის (მტკიცებულების) გამოკვლევის შემდგომ, თუკი წინასასამართლო სხდომაზე არ არის აშკარა, რომ ის არ არის უტყუარი. სხვა შემთხვევაში წინა სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისაგან. დოკუმენტური მტკიცებულების შეფასებისას ვამოწმებთ:

- შინაარსის რელევანტურობას;
- წარმომავლობას და ნამდვილობას;
- დასაშვებობის სხვა საფუძვლებს;
- შინაარსის უტყუარობას;
- დამაჯერებლობას იმ გარემოების მიმართ, რის დასადგენადაც არის წარდგენილი.

4. მტკიცებულების დამაჯერებლობა

მტკიცებულების შეფასების მეოთხე კრიტერიუმია მტკიცებულების დამაჯერებლობა (მტკიცებულებითი ძალა). მე-13 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. დამაჯერებლობის ეტაპზე მტკიცებულების შინაარსი უტყუარად არის მიჩნეული და ვამოწმებთ რამდენად ადასტურებს ის მტკიცების საგანში იმ ფაქტს, რის დასადგენადაც არის წარდგენილი. მტკიცებულება შეიძლება პირდაპირ მიუთითებდეს დანაშაულზე ან ასრულებდეს დამხმარე ფუნქციას და ადასტურებდეს გვერდით ფაქტებს. შესაბამისად დამაჯერებელი მტკიცებულება განყენებულად ან სხვა მტკიცებულებებთან ერთად ადასტურებს მტკიცების საგანში შემავალ საკითხს. მაგალითად, ექსპერტის დასკვნა, რომ გვამიდან ამოღებული ტყვია, რამაც გამოიწვია სიკვდილი არის წარდგენილი იარაღიდან ექსპერიმენტულად გასროლილი ტყვიის იდენტური ნიშნავს, რომ სიკვდილი გამოწვეულია ამ იარაღიდან გასროლით. მტკიცებულების/მტკიცებულებების დამაჯერებლად შეფასებისათვის არ უნდა არსებობდეს გონივრული ეჭვი იმ ფაქტის არ არსებობაზე, რის დასადგენადაც არის წარდგენილი მტკიცებულება. თუ ის დამოუკიდებლად ან სხვა მტკიცებულებასთან ერთად ვერ გამორიცხავს ასეთ ეჭვს მაშინ ის ვერ შეფასდება დამაჯერებლად, ფაქტი კი რის დასადგენადაც არის წარდგენილი ჩაითვლება დაუდგენლად. მაგალითად, არაერთგზისი ქურდობის ბრალდების საქმეზე არაერთგზისობის დასადგენად მტკიცებულების სახით წარდგენილია განაჩენი ბრალდებულის მიერ წარსულშიც ჩადენილ ქურდობაზე.

- **განაჩენი რელევანტური მტკიცებულებაა, რადგან ეხება მტკიცების საგანში შემავალ ერთერთ საკითხს (არაერთგზისობას).**
  განაჩენი დასაშვები მტკიცებულებაა, ვიცით მისი წარმომავლობა და ის ნამდვილია, შესაბამისად ავთენტიკურიც.
  განაჩენი ნასამართლობაზე პრეიუდიციული ფაქტია და გამოკვლევის გარეშეც მიიღება მტკიცებულებად.

პრეიუდიციულია მისი უტყუარობა, რომ ეს პირი კონკრეტულ დროს გაასამართლეს ქურდობისათვის, მაგრამ არ არის პრეიუდიციული მისი დამაჯერებლობა (მტკიცებულებითი ძალა). ასეთ დროს არსებობს გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ შესაძლოა შეწყალების ან ამნისტიის აქტით პირს მოხსნილი აქვს ნასამართლობა. ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს რაიმე გარემოების არსებობა ან არ არსებობა. ბრალდების მხარეს უნდა წარედგინა ცნობაც ნასამართლობის შესახებ და ასე იქნებოდა დამაჯერებელი პირის ნასამართლობის არსებობა.

მტკიცებულების დამაჯერებლობას ვამოწმებთ ორ ეტაპად:

- პირველ ეტაპზე ყოველი მტკიცებულება მოწმდება ჯერ განცალკევებით და შემდეგ სხვა მტკიცებულებებთან ერთად თუ რამდენად დამაჯერებლად (გონივრულ ეჭვს მიღმა) ადასტურებს მტკიცების საგანში იმ ფაქტს, რომლის დასადგენადაც არის წარდგენილი. მაგალითად; ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, რომ ყოფილიყო წარდგენილი ნასამართლობის ცნობაც, დამაჯერებელი იქნებოდა პირის ნასამართლობა.

  მეორე ეტაპზე მოწმდება მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს თუ არა პირის ბრალეულობას წარდგენილ ბრალდებაში ან სხვა მომიჯნავე მსუბუქ დანაშაულში. ამ ეტაპზე მტკიცებულების რელევანტურობა, დასაშვებობა, უტყუარობა დადგენილია და ვმსჯელობთ ერთობლიობაში მათ დამაჯერებლობაზე წარდგენილი ბრალდების გარშემო. უზენაესი სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენში 11' 151-ე მუხლის ბრალდების საქმეზე ვკითხულობთ: **„გადაუდებელი დახმარების ცენტრ 112-ში ა-ს შტყობინების აუდიოჩანაწერით, დაზარალებულის მონაწილეობით აუდიოჩანაწერის დათვალიერების ოქმით, შემაკავებელი ორდერითა და მასზე თანდართული ოქმით უტყუარად დადგენილია თგ-ს მხრიდან ა-ზე მუქარის კონკრეტული შინაარსი, კერძოდ „სახლში თუ დაბრუნდებოდა დანას დაარტყამდა“, ხოლო ა.ქ-ს, ვ.თ-ს პ.წ-სა და ლ,ც-ს ჩვენებებით თვალნათლივ იკვეთება დაზარალებულის მიერ გან-**

ცდილი შიშის რეალურობა, ვინაიდან დადგენილია, რომ ა იყო აღელვებული, ტიროდა და პოლიციელების თანხლების გარეშე ეშინოდა სახლში დაბრუნების"[41] 112-ში განხორციელებული ზარის აუდიოჩანაწერი არის კომპიუტერული ინფორმაცია და მის მოსაპოვებლად არ არსებობდა 143[2]-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. 151-ე მუხლი არ წარმოადგენს საამისო საფუძველს. აუდიოჩანაწერი მოპოვებული იყო არსებითი დარღვევით, დაუშვებელი იყო ასევე მისი დათვალიერების ოქმი, რადგან დაზარალებულის განცხადება დათვალიერების ოქმში, რომ განხორციელებული ზარისა და საუბრის ერთ-ერთი მონაწილე არის თვითონ მოპოვებულია კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე. საკასაციო პალატას არ ქონდა უფლება დაყრდნობოდა ასეთი ტიპის მტკიცებულებებს, მითუმეტეს, რომ დაზარალებული სასამართლოში არ დაკითხულა და მას სასამართლოში არ დაუდასტურებია არც ამ დათვალიერებაში მონაწილეობა და არც რაიმე დასკვნა ყოფილა საქმეში ოქმზე ჩანაწერის ნამდვილობაზე. საკასაციო პალატას ბრალეულობაზე უნდა ემსჯელა მხოლოდ შემაკავებელი ორდერისა და პოლიციელთა ჩვენებების საფუძველზე, რომელთა განცხადებითაც ა იყო აღელვებული, ტიროდა და ეშინოდა სახლში დაბრუნების. მოცემულ განაჩენში ასევე ვკითხულობთ: **„მონმე ა-ს (დაზარალებულის მეგობარი) გამოკითხვის ოქმით, რომელიც მხარეებს სადაოდ არ გაუხდიათ და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ....ა, რომელთანაც მეგობრობს იყო მასთან სახლში..... გვიან ღამით დაახლოებით 01:00 საათის შემდეგ ანამ უთხრა, რომ შინ უნდა წასულიყო, რადგან სახლიდან მეუღლე ურეკავდა და ასეც მოიქცა"** თუ პრეიუდიციული და უდაოდ დადგენილი ფაქტი

41 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 14 ივლისის განაჩენი 97ა3-20 გ.თ.,97ა3-20

იყო, რომ მეულლესთან საუბრის შემდეგ ა სახლში წავიდა მაშინ საეჭვოა, რომ იგი იყო შეშინებული. პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტით გამოდის, რომ ა-ს სახლში მისვლის შიში არ ქონია. გარდა ამისა მისი მეგობარი არაფერს ამბობს მუქარაზე, ამას საკასაციო პალატაც ამბობს განაჩენში, რომ მას სიტყვასიტყვით არ მოუსმენია სატელეფონო საუბრი. ამ გარემოებებზე სასამართლო საერთოდ არ ამახვილებს ყურადღებას და შიშის არსებობას ადგენს პოლიციელთა ჩვენებებით, მაშინ როდესაც თავად პროკურორის მიერ დაზარალებულის მეგობრის უდაოდ მიჩნეული ჩვენება, რომ „ქმრის ზარის შემდეგ დაზარალებული სახლში წავიდა" საეჭვოს ხდის მაქსიმუმ დამუქრების და მინიმუმ შიშის გაჩენის ფაქტს. პრეიუდიციულად მიჩნეული მტკიცებულებიდან გამომდინარე უტყუარი არ არის, რომ ა იყო შეშინებული. შესაბამისად არადამაჯერებელია, რომ მას ქონდა მუქარის საფუძვლიანი შიში, რაც სავალდებულო ნიშანია 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის..

პირი ითვლება უდანაშაულოდ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენამდე. ამიტომ წარმოშობილი მოსაზრება, რომ პირი დამნაშავეა ეს ჯერ კიდევ ეჭვია. ეჭვს პირის ბრალეულობაზე არ უნდა უპირისპირდებოდეს გონივრული ეჭვი მის არაბრალეულობაზე. თუ ვერ გაქარწყლდება გონივრული ეჭვი პირის უდანაშაულობაზე, მაშინ არსებული მტკიცებულებების ერთობლიობა არადამაჯერებლად უნდა შეფასდეს. ბრალეულობაზე ეჭვისა და არაბრალეულობაზე გონივრული ეჭვის კონკურენციისას უპირატესია გონივრული ეჭვი. განაჩენი პირის დამნაშავედ ცნობაზე მაშინ არის დასაბუთებული, როდესაც ის ემყარება გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

მაგალითი:

გაქირავებული ბინიდან სამართალდამცავების მიერ ამოღებულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერება. ბინა დაქირავებული აქვს ორ პირს. მათგან ერთი წარსულში ნასამართლევია ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენისათვის და არის ნარკოტიკების მომხმარებელიც. აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებებისა და ნარკოლოგიუ-

რი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რომ ნივთიერება წარმოადგენდა ნარკოტიკულ საშუალებას ამ პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი ნარკოტიკების უკანონო შეძენა/შენახვისათვის.

შეაფასეთ განაჩენის კანონიერება!

ფაქტების გამოკვეთა:

- ნარკოტიკული ნივთიერების ამოღება ბინიდან, რომელიც ორ პიროვნებას აქვს დაქირავებული
  ერთ-ერთი დამქირავებელი არის ნარკოტიკების მომხმარებელი და წარსულში ნასამართლევი ნარკო დანაშაულისათვის;
- ექსპერტის დასკვნა, რომ ნივთიერება წარმოადგენს ნარკოტიკს
  მოცემული დასკვნის, პირის ნარკომომხმარებლობისა და წარსულში ნასამართლობის საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა

ამოცანების განსაზღვრა:

- არსებული მტკიცებულებები არის თუ არა დამაჯერებელი და გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს თუ არა პირის ბრალეულობას?

სამუშაო გეგმა:

- საპროცესო ქმედების საფუძველი?
- საპროცესო ქმედების ვადები+
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი+
- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები+
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები+
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები+

შესაფასებელი გვაქვს მხოლოდ პირველი ელემენტი, არსებობდა თუ არა გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი?

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

საკითხი ეხება გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად მტკიცებულებათა საკმარისობას. კონკრეტულად მტკიცებულებების დამაჯერებლობას. სტანდარტი საერთო იქნება ყველა ტიპის საქმისათვის, ამიტომ ძიებას ვიწყებთ ზოგად ნაწილში. საჭირო

ნორმა შეიძლება იყოს პრინციპებში ან მტკიცებულებათა თავში. პრინციპებში მე-13 მუხლის მეორე ნაწილში ვკითხულობთ:

გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

მოცემულ საკითხს აწესრიგებს 82-ე მუხლიც მტკიცებულებათა თავში, კერძოდ, მოცემული მუხლის მესამე ნაწილში ვკითხულობთ:

გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

ამოცანების გადაჭრა:

1. 13-ე მუხლის მეორე ნაწილი და 82-ე მუხლის მესამე ნაწილი ადგენს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებებს. მტკიცებულებები მაშინ არიან დამაჯერებელნი ანუ გონივრული ეჭვის გამომრიცხავნი ერთობლიობაში, როდესაც ლოგიკური არ იქნება ეჭვი, რომ შესაძლოა პირი უდანაშაულოა. ლოგიკური ეჭვი პირის უდანაშაულობაზე შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების არასაკმარისობამ, როდესაც რჩება სივრცე იმისათვის, რომ სხვა პირებზეც ლოგიკური იყოს ეჭვის მიტანა, ლოგიკური იყოს ეჭვი ქმედების მართლზომიერებაზე, ლოგიკური იყოს ეჭვი მიზეზობრიობის არარსებობაზე, ლოგიკური იყოს ეჭვი ქმედების შემადგენლობის არ არსებობაზე და აშ.
2. საქმეში არ არსებობს არცერთი პირდაპირი მტკიცებულება, არ არსებობს მტკიცებულება, რომ მსჯავრდებულს ამოღებულ ნარკოტიკთან ჰქონდა შეხება და კონტაქტი. სახლში ცხოვრობდა სხვა პირიც და არსებობს კიდევ მესამე პირი გამქირავებლის სახით. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავს ამ ორიდან, რომელიმეს მიერ ამ ნარკოტიკის შენახვას.
3. ფაქტობრივი გარემოებების შედარებით პირველ დაშვებაში დამაჯერებლობის განმარტებასთან ლოგიკური

იქნებოდა ეჭვი დანარჩენებზეც, რომ წარმოშობილიყო. ეს ეჭვი ამ პირებზე არაფრით არ არის გამორიცხული საქმეში. სახეზეა გონივრული ეჭვი მსჯავრდებულის უდანაშაულობაზე და შესაბამისად არსებული მტკიცებულებები არ არის დამაჯერებელი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

იგივე პრინციპით ფასდება დამაჯერებლობა კვალიფიკაციის განსაზღვრის დროსაც, თუ არსებობს გონივრული ეჭვი ქმედების რომელიმე ნიშანზე და ვერ ქარწყლდება ის. ჯერ კიდევ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კურსიდან გვახსოვს, რომ განზრახვის არსებობისას თუ ვერ დგინდება მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის ადგილი აქვს მცდელობას.[42] მაგალითად, დგინდება, რომ ა-მ ესროლა ბ-ს მოსაკლავად და საავადმყოფოში მიყვანისას ბ გარდაიცვალა. თუ არ იქნება ექსპერტის დასკვნა სიკვდილის გამომწვევ მიზეზზე, წარმოიშობა გონივრული ეჭვი შედეგის შერაცხვის შესაძლებლობაზე. დამაჯერებელი იქნება მხოლოდ მკვლელობის მცდელობა.

პირის ბრალეულობის შეფასებისას თანმიმდევრობით ვამოწმებთ მტკიცების საგანში რომელი ელემენტები დგინდება გონივრულ ეჭვს მიღმა და შემდეგ ვამოწმებთ დგინდება თუ არა ბრალეულობა გონივრულ ეჭვს მიღმა. თუ აღმოჩნდება, რომ განაჩენი რომელიმე ნაწილში ტოვებს გონივრულ ეჭვს, განაჩენი დაუსაბუთებლად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ ამ ნაწილზე მითითებით., მაგალითად, თუ გონივრულად საეჭვოა მხოლოდ შედეგის შერაცხვა არ ნიშნავს, რომ დაუსაბუთებელია სუბიექტი, სუბიექტური მხარე და ობიექტური მხარის სხვა ნიშნები. ასეთ შემთხვევაში დაუსაბუთებელია არა ბრალდება არამედ მსჯავრდება დასრულებული დანაშაულისათვის.

---

42 იხ: მერაბ ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეშვიდე გამოცემა, ატიპიური მიზეზობრიობა და რეგრესის აკრძალვის თეორია, გამომცემლობა ბონა კაუზა, გვ 117, გვ125, თბილისო 2008

IV თავი

ნორმის განმარტება და კანონის ანალოგია

1. ნორმის განმარტების არსი

საპროცესო ნორმა, მსგავსად სამართლის სხვა ნორმებისა ატარებს აბსტრაქტულ ხასიათს და ეხება ერთგვაროვან ან არაერთგვაროვან ურთიერთობათა ფართო სპექტრს. ზოგჯერ საპროცესო ნორმის სიტყვასიტყვითი გამოხატულება ზედმეტად ავიწროვებს ან მეტისმეტად აფართოებს რეგულირების სფეროს. კანონმდებელი ვერ ახდენს ყველა იმ საგნის განჭვრეტას, რომლებიც უნდა მოექცეს ან არ უნდა მოექცეს ცალკეული ნორმის რეგულირების არეალში. ზოგჯერ ობიექტური და ზოგჯერაც სუბიექტური (საკანონმდებლო ტექნიკის დაბალი დონე) ფაქტორები განაპირობებს ნორმის შინაარსის ბუნდოვანებას, წინააღმდეგობას ნორმის ფორმასა და შინაარსს შორის.[43]

სასამართლო ვალდებულია განსჯადობის მიხედვით, კანონით დადგენილი წესით განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, შუამდგომლობა და საჩივარი. კანონით დადგენილი წესების განსაზღვრა შეუძლებელია ნორმების განმარტების გარეშე. განმარტების მიზანია განსაზღვროს ნორმის შინაარსი თუ როგორ აწესრიგებს ის საპროცესო ქმედებებს. განმარტების საკითხი მწვავედ დგება, როდესაც ბუნდოვანია გამოსაყენებელი ნორმების შინაარსი. ნორმის განმარტებას კაზუსზე მუშაობის დროს მივმართავთ ამოცანების გადაჭრის პირველ დაშვებაში (ეტაპზე). იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნორმის განმარტებას წინ უსწრებს მისი შინაარსის გაგება.[44] შინაარსის გაგება თავისთავად არის ნორმის განმარტება. შეუძლებელია ამ ცნებების გათიშვა. სხვაგვარად ნორმის განმარტება უფუნქციო დარჩება და გამოვა უკვე გარკვეული შინაარსის გარკვევა. ნორმის განმარტებისას ტრადიციული მეთოდებისა და ხერხების გამოყენების გარდა უნდა განიმარტოს ცალკეული ტერმინების მნიშვნელობაც. მაგალითად 72-ე მუხლის პირველ

---

43 იხ: გ. ლობჟანიძე, სხელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი 20036, გვ;477;

44 გ. ლობჟანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ; 474.

ნანილში შესაძლებელია საჭირო გახდეს მოპოვების ცნების განმარტება თუ რა მომენტიდან ითვლება მტკიცებულება მოპოვებულად, რადგან დარღვევას შესაძლებელია ადგილი ქონდეს არა მტკიცებულების მოპოვებისას, არამედ მისი მოპოვების შემდგომ. თუ მხარე კანონიერად გამოითხოვს კომპიუტერულ ინფორმაციას და შემდგომში მისი დათვალიერებისას დაირღვევა საპროცესო ნორმები, ეს ვერ შეფასდება მტკიცებულების მოპოვებისას წესების დარღვევად.

განასხვავებენ ნორმის განმარტებას სუბიექტების მიხედვით:

- ლეგალური განმარტება;
- სასამართლოს განმარტება;
- დოქტრინალური განმარტება.

ლეგალურ განმარტებას ახორციელებს საკანონმდებლო ორგანო ცალკეული ტერმინების ან ნორმების განმარტებით. ლეგალური განმარტებაა საპროცესო კოდექსში; დაკავების, ამოღების, ჩხრეკის, ღამის, გადაუდებელი აუცილებლობის, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის და სხვა ცნებების/ნორმების დეფინიციები. ლეგალურ განმარტებას აქვს სავალდებულო ხასიათი, დაუშვებელია მისგან გადახვევა. ლეგალური განმარტებები გვხვდება სხვა ნორმატიულ აქტებშიც. მაგალითად; ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონში განმარტებულია ვიზუალური კონტროლი, საკონტროლო შესყიდვა კონტროლირებადი მიწოდება და აშ.

სასამართლო განმარტებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. ამგვარი განმარტებები სავალდებულოა მხოლოდ მიმდინარე საქმის ფარგლებში. ზემდგომი ინსტანციის განმარტებები ვერ იქნება სავალდებულო მსგავს საქმეებზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის. ზოგჯერ მოსამართლეები ამკვიდრებენ განსხვავებულ პრაქტიკას. სასამართლო განმარტება შესაძლებელია შეიცვალოს კიდეც გარკვეული პერიოდის შემდეგ და დადგინდეს განსხვავებული პრაქტიკა. ამგვარ განმარტებას არ გააჩნია ნორმატიული ბუნება და ვერ ექნება უკუძალა ადრე განსხვავებული პრაქტიკის პირობებში გამოტანილი საპროცესო აქტების მიმართ. [45]

45 ნ. გეენეტაძე, მ. ტურავა. სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა

დოქტრინალურ განმარტებას ახორციელებენ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. ასეთი განმარტება არ არის ოფიციალური ხასიათის. დოქტრინალური განმარტება მნიშვნელოვანია იურიდიული სწავლებისათვის.

ნორმის განმარტებას ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლოც და ეს განმარტებები სავალდებულო ხასიათის მატარებელია. მას გააჩნია უკუქცევითი ძალა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის საქმის წარმოების განახლების საფუძველი სისხლის სამართლის საქმეზე (310.დ) . საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ დაიყვანება მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის დონეზე. სარეზოლუციო ნაწილში არ ჩანს უშვებს თუ არა სასამართლო რაიმე გამონაკლისებს გადაწყვეტილებაში ან რა შემთხვევებს მოიაზრებს მასში არაკონსტიტუციურად. სავალდებულოა სამოტივაციო ნაწილში არსებული განმარტებებიც. მაგალითად საქმეზე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სარეზოლუციო ნაწილის პირველ ნაწილში ვკითხულობთ;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები ამ კოდექსის არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით.

მოცემული გადაწყვეტილებით დაუშვებელია არა მხოლოდ საპროცესო კოდექსის არამედ ნებისმიერი სხვა კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება. თუმცა სარეზოლუციო ნაწილში არ ჩანს ვისი არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებაა დაუშვებელი და არ ჩანს უშვებს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო არსებითი დარღვევით მტკიცებულებების მოპოვებისას დასაშვებობის რაიმე გამონაკლისებს. უშვებს თუ არა არსებითი დარღვევისას მტკიცებულების დაშვების გამონაკლისს საკონსტიტუციო სასამართლო, ასევე იმის გასარკვევად ვისი არსებითი დარღვევითაა მტკიცებულების მოპოვება დაუშვებლობის საფუძველი უნდა ვნახოთ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი. სამოტივაციო ნაწილის 19-ე, 25-ე და 33-ე პუნქტებში ვკითხულობთ:

მიღების მეთოდიკა, თბ. 2005ნ. გვ. 20.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის სულისკვეთებიდან გამომდინარე კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ გააჩნია იურიდიული ძალა, იმის მიუხედავად თუ რომელი სუბიექტის მიერ არის იგი მოპოვებული (19).

სსსკ არ კრძალავს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას და წარდგენას მხარის პროცესუალური სტატუსის არმქონე საკუთარი ინიციატივით მოქმედი სხვა პირის მიერ (25).

საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, რომ რიგ შემთხვევებში დადგინდეს გამონაკლისები და კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს მიენიჭოს იურიდიული ძალა, მაგრამ აღნიშნული არ უნდა ახდენდეს პროცესის მონაწილეების ან/და მესამე პირების კონსტიტუციური უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას (33)

ის რაც არ იკითხება სარეზოლუციო ნაწილში გამოსჭვივის სამოტივაციო ნაწილიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებიდან გამომდინარეობს, რომ დაუშვებელია ნებისმიერი სუბიექტის მიერ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობაც თუკი არ გამოიწვევს სხვისი უფლებების არამართლზომიერ შეზღუდვას.

განასხვავებენ სამართლის ნორმის განმარტების სუბიექტურ და ობიექტურ თეორიებს.[46] სუბიექტური თეორიისთვის ამოსავალია კანონმდებლის ისტორიული ნება, ობიექტური თეორიისთვის კანონის ნება, მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა. ნორმის განმარტებისას უნდა გამოვიყენოთ ორივე მიდგომა, ისინი უნდა ავსებდნენ ერთმანეთს.

ნორმის განმარტება განსხვავდება კანონის ანალოგიისგან. ანალოგიის დროს შესაბამისი ნორმის არ არსებობის გამო ადგილი აქვს ხარვეზს კანონმდებლობაში. ანალოგიის დროს სირთულე წარმოიშობა ნორმის არ არსებობით, განმარტებისას კი არსებული ნორმის შინაარსის დაზუსტების საჭიროებით.

46 იხ: გ. ხუბუა. სამართლის თეორია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2015. გვ;184-185

ანალოგიის დროს ვეძებთ სხვა მსგავს ნორმას. განმარტებისას კი ხდება არსებული ნორმის სიტყვასიტყვითი გამოხატულების შეზღუდვა, განვრცობა ან იგივე გამოხატულებით ინტერპრეტირება.

2. ნორმის განმარტების ხერხები

საპროცესო ნორმების განმარტებისათვის გამოიყენება სამართალში დამკვიდრებული განმარტების ტრადიციული ხერხები;

- გრამატიკული განმარტება;
- ისტორიული განმარტება;
- სისტემური განმარტება;
- ლოგიკური განმარტება;

გრამატიკული განმარტების დროს ნორმის შინაარსი და მისი სიტყვასიტყვითი გამოხატულება ერთმანეთს ემთხვევა. ამ დროს როგორც წესი არ წარმოიშობა რაიმე სირთულე. ვკითხულობთ ნორმას და მისი ტექსტუალური მნიშვნელობა თუ შეესაბამება მის მიზანს ვიყენებთ მას ურთიერთობის მოსანესრიგებლად. გრამატიკული განმარტების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა, ასევე სასვენი ნიშნები, კავშირი, ნაწილაკი, ჩართული. მაგალითად; 239-ე მუხლის მე-5 ნაწილში ვკითხულობთ:

შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვისას არსებითად ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, თუ ამ მტკიცებულების მოპოვება ან მისი მოპოვების შესახებ შუამდგომლობის ამ კოდექსით დადგენილი წესით დაყენება მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო.

მოცემული ნორმის წაკითხვის შემდეგ შესაძლებელია გაგვიჩნდეს აზრი, რომ არსებითი განხილვისას შუამდგომლობა ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მისი მოპოვება და მოპოვებაზე შუამდგომლობა მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო. ეს არ იქნება სწორი გრამატიკული განმარტება. ასეთი აზრი იქნება მცდარი. საქმე იმაშია, რომ ნორმაში ორი წერტილი და ,,და,, კავშირი კიარ არის გამოყენებული, არამედ მძიმე და ,,ან,, კავშირი. შესაძლებელია

გამოძიების სტადიაზე დააყენონ შუამდგომლობა ნივთის ამოღებაზე, მაგრამ ნივთი გადამალონ და შეუძლებელი გახდეს მისი აღმოჩენა, არსებითი განხილვის დროს კი ცნობილი გახდეს ვისთან არის ნივთი დამალული, რაც უცნობი იყო მანამდე. კანონმდებელი კუმულაციურად არ განსაზღვრავს, რომ შუამდგომლობაც და მოპოვებაც ორივე შეუძლებელი უნდა იყოს გამოძიების სტადიაზე. გამომდინარე ,,ან,, კავშირიდან საკმარისია ერთ-ერთის შეუძლებლობაც.

თუ გრამატიკული განმარტებით მიღებული აზრი შეუსაბამოა ნორმის მიზანთან, მაშინ ასეთი განმარტება გაუმართლებელია.

მაგალითი:

დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ჩხრეკის ჩატარებაზე. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და კანონის შესაბამისად დაევალა უფლებამოსილ გამომძიებელს მისი ჩატარება. გამომძიებელმა იმის მიუხედავად, რომ არსებობდა საკმარისი დრო, საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა დაცვის მხარის ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. შედეგად აღმოჩენილ იქნა გამამართლებელი მტკიცებულება. შეაფასეთ ასეთი მტკიცებულების დასაშვებობა!

ფაქტების გამოკვეთა:

- დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩხრეკის ჩატარება გამომძიებლის მიერ დაცვის მხარის ინფორმირებისა და დასწრების გარეშე;
- საგამოძიებო მოქმედების შედეგად გამამართლებელი მტკიცებულების აღმოჩენა

ამოცანების განსაზღვრა:

- არის თუ არა გამომძიებელი ვალდებული უზრუნველყოს დაცვის მხარის მონაწილეობა მათი შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში?
  დასაშვებია თუ არა დაცვის მხარის დასწრების გარეშე აღმოჩენილი მტკიცებულება?

სამუშაო გეგმის შედგენა:

- საპროცესო ქმედების საფუძველი+
- საპროცესო ქმედების ვადები+
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი+

- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები?
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები+
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები+

შესაფასებელი გვაქვს, მხოლოდ მეოთხე ელემენტი, საპროცესო ქმედებაში მონაწილე სუბიექტები.

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

პირველი ამოცანით განსაზღვრული საკითხის რეგულირების საგანი არის ბრალდებულის დასწრების უფლება. შესაბამისად ძიებას ვიწყებთ ზოგადი ნაწილში. უნდა ვნახოთ ბრალდებულის უფლებები. ბრალდებულის უფლებათა თავში მე-40 მუხლის მეორე ნაწილში ვკითხულობთ:

ბრალდებულს დროულად უნდა შეატყობინონ მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დრო და ადგილი. ბრალდებულს არა აქვს მისი ჩატარების არასაპატიო მიზეზით გადადების მოთხოვნის უფლება. თუ ბრალდებული დაპატიმრებულია და ჰყავს ადვოკატი, ასეთ საგამოძიებო მოქმედებას ესწრება მისი ადვოკატი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ საგამოძიებო მოქმედებაში ბრალდებულის უშუალო მონაწილეობა აუცილებელია. თუ ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს გონივრულ ვადაში არ ეცნობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, ასეთი საგამოძიებო მოქმედება არ უნდა ჩატარდეს, ხოლო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

მოცემული ნორმით მოწესრიგებულია მეორე ამოცანით განსაზღვრული საკითხიც ასეთი მტკიცებულების დასაშვებობის თაობაზე.

ამოცანების გადაჭრა:

1. ნორმა ავალდებულებს გამომძიებელს დაცვის მხარის ინფორმირებასა და დასწრების უზრუნველყოფას, ხოლო გამომძიებლის მიერ ამ ვალდებულებების დარღვევა იწვევს მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას. ნორმის მიზანია ბრალდებულის ინტერესების დაცვა. თუ ნორმის მნიშვნელობას სიტყვასიტყვით გრამატიკულად გავიგებთ, გამოვა რომ ბრალდებულის სა-

სარგებლო, გამამართლებელი მტკიცებულების დაუშვებლობაც ბრალდებულის ინტერესების დაცვას ემსახურება. გამამართლებელი მტკიცებულების დაუშვებლობა არ არის ბრალდებულის ინტერესებში. შესაბამისად ამ ნორმის მიზნებისათვის დაუშვებელია მხოლოდ ბრალდებილისთვის საუარესო მტკიცებულება.

2. მოპოვებული მტკიცებულება არის გამამართლებელი და მისი დაუშვებლობა არ ემსახურება ბრალდებულის ინტერესების დაცვას
3. გამომდინარე ორივე მოცემულობიდან მოცემული მტკიცებულება არის დასაშვები სისხლის სამართლის საქმეზე.

სისტემური განმარტება. სისტემური განმარტება ეწოდება ნორმის შინაარსის დადგენას სხვა ნორმების მეშვეობით. ეს არის ნორმების შედარებითი განმარტება, რის მიხედვითაც ვარკვევთ კონკრეტული საკითხი ექცევა თუ არა განსამარტი ნორმის არეალში. მსგავს ვითარებაში ნორმის შინაარსის დასადგენად ეფექტურია დაკავშირებული ნორმების სისტემური (შედარებითი) განმარტება. სისტემური განმარტება ხორციელდება იმ ნორმებს შორის, რომლებსაც აქვთ რეგულირების საერთო საგანი. ამიტომ, როდესაც ბუნდოვანია ნორმის შინაარსი უნდა ვნახოთ ყველა ნორმა, რომლებიც აწესრიგებს იგივე რეგულირების საგანს. შევადაროთ ეს ნორმები ერთმანეთს და დავადგინოთ მათი შინაარსი. მაგალითად, საგამოძიებო ექსპერიმენტის შესახებ 129-ე და 130-ე მუხლებში არ არის მითითებული შეიძლება თუ არა პირის იძულება ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად. ამ ნორმებს თუ განვმარტავთ მე-4 მუხლის მე-3 ნაწილთან ერთად, რომ სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში იძულება შიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, გასაგები გახდება, რომ ექსპერიმენტში მონაწილეობა შეიძლება იყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი. სისტემური განმარტების შედეგად განსამარტი ნორმის შინაარსი შეიძლება შეიზღუდოს ან განივრცოს იმის მიხედვით სხვა ნორმები ითვალისწინებს თუ არა გადასაჭრელი საკითხის მოწესრიგებას. მაგალითად; 239-ე მუხლში არ ჩანს შეიძლება თუ არა პირველ ინსტანციაში არსებითი განხილვისას წარდგენილი

ახალი მტკიცებულების დაშვება, როდესაც დასრულებულია მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპი. უნდა გამოვიყენოთ ნორმის სისტემური განმარტება და შევამოწმოთ ზემდგომ ინსტანციაში საქმის წარმოების შესახებ ნორმები, ხომარ ითვალისწინებს ასეთი მტკიცებულების გამოკვლევას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში. დავუშვათ საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და დასკვნითი სიტყვების ეტაპზე პროკურორმა წარადგინა მკვლელობის ამსახველი უტყუარი მტკიცებულება, რომლის მანამდე მოპოვებაც ობიექტურად შეუძლებელი იყო. უნდა დაუშვას თუ არა სასამართლომ 239-ე მუხლის გამოყენებით ასეთი მტკიცებულება? 266-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება. საქმის წარმოების განახლების შესახებ 310-ე მუხლის ზ ქვეპუნქტის თანახმად კი ახალი მტკიცებულების საფუძველზე საქმის წარმოების განახლება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც წარდგენილი მტკიცებულება არ იყო ცნობილი გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს. ორივე ნორმა გამორიცხავს აპელაციაში ასეთი მტკიცებულების გამოყენებას, ერთადერთი გამოსავალი არის მისი დაშვება პირველივე ინსტანციაში. სისტემური განმარტება გვიჩვენებს, რომ 239-ე მუხლის შინაარსი უნდა განვავრცოთ და მასში მოვიაზროთ მსგავსი შემთხვევებიც. გარდა ამისა თუ მტკიცებულება წარმოადგინა დაცვის მხარემ და უარს ეუბნები ალიბის დაშვებაზე და განმარტავ ნორმას იმგვარად, რომ ასეთი მტკიცებულება განხილულ უნდა იქნას აპელაციაში, გამოდის, რომ რამოდენიმე თვით ადამიანს უსაფუძვლოდ უშვებ საპატიმრო დაწესებულებაში და ნაფიცი მსაჯულების შემთხვევაში შეიძლება ვერც გასაჩივრდეს გამამტყუნებელი განაჩენი, რადგან შეზღუდულია გასაჩივრების საფუძვლები.

მაგალითი ნორმის სისტემურ განმარტებაზე:

ქალაქ ბათუმში პოლიციის მე-2 განყოფილებაში, სსკის 126-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში გამომძიებელმა ძალადობის ამსახველი ვიდეო კადრები, რომელიც დააფიქსირა შსს გარე სათვალთვალო კამერებმა მოიპოვა დათვალიერების ჩატარებით. წინა სასამართლო სხდომაზე წარდგენილი ვიდეო მტკიცებუ-

ლება მოსამართლემ სცნო დაუშვებელ მტკიცებულებად იმ მოტივით, რომ მის მოსაპოვებლად დათვალიერების ჩატარება ჩათვალა უკანონოდ.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

ფაქტების გამოკვეთა:

- სსკის 126-ე მუხლით გათვალისწინებულ საქმეზე ვიდეო მტკიცებულების დათვალიერებით მოპოვება; მოსამართლის მიერ ვიდეო მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა მისი დათვალიერებით მოპოვების მოტივით.

ამოცანების განსაზღვრა:

კანონიერია თუ არა ვიდეო მტკიცებულების დათვალიერებით მოპოვება?

სამუშაო გეგმა:

- საპროცესო ქმედების საფუძველი?
- საპროცესო ქმედების ვადები+
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი+
- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები+
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები+
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები+

შესაფასებელი გვაქვს პირველი ელემენტი, არსებობდა თუ არა ვიდეო კადრების დათვალიერებით მოპოვების კანონიერი საფუძველი.

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

საკითხი ეხება დათვალიერების საფუძვლებს და ვიდეო მტკიცებულების მოპოვებას, შესაბამისად უნდა მოვძებნოთ ნორმები, რომლებიც ადგენს დათვალიერების ჩატარების წინაპირობებს და ვიდეო მტკიცებულების მოპოვების წესებს. დათვალიერება წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებას და შესაბამისად ნორმები მის შესახებ მოცემული იქნება გამოძიების სტადიაზე, საგამოძიებო მოქმედებათა თავში. დათვალიერების საფუძველი განსაზღვრულია 125-ე მუხლის პირველი ნაწილით.

დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევის

მიზნით მხარეს უფლება აქვს, დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, საცავი, სადგომი, სათავსი, გვამი, საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

ტერმინთა განმარტების შესახებ მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად დოკუმენტად ითვლება ვიდეო ჩანაწერის სახით არსებული ინფორმაციაც.

ვიდეო მტკიცებულების მოპოვება, როგორც რეგულირების უშუალო საგანი მოცემულია ასევე კომპიუტერულ და ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა თავში. კომპიუტერულ საგამოძიებო მოქმედებათა თავში 137-ე მუხლი, 138-ე მუხლი და 136-ე მუხლის მე-2 ნაწილი ეხება შემთხვევებს, როდესაც პირი დანაშაულს ჩადის კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, რასთანაც არა გვაქვს საქმე ჩვენს შემთხვევაში. ჩვენთვის საჭირო ნორმა მოცემულია 136-ე მუხლის პირველ ნაწილში:

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

ტერმინთა განმარტების შესახებ მე-3 მუხლის 27-ე ნაწილის თანახმად: **კომპიუტერული სისტემა არის – ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი).**

136-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ამ მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოიყენება ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ნორმები.

1431-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ ქვეპუნქტის თანახმად: ფარული საგამოძიებო მოქმედების ერთ-ერთი სახეა ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კომპიუტერული სისტემი-

დან უშუალოდ ან დისტანციურად.

1433-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილია დანაშაულები, რომელთა გამოძიებისას შეიძლება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. ამ ჩამონათვალში არ შედის სსკის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

ამოცანების გადაჭრა:

1. სსსკის 125-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე დათვალიერების ჩატარება შეიძლება დოკუმენტურ მტკიცებულებაზეც და მესამე მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად დოკუმენტად ითვლება ვიდეო ჩანაწერის სახით არსებული ინფორმაციაც. თუმცა, კანონი ცალკე მუხლებით 136-ე და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ნორმებით ადგენს ვიდეო მტკიცებულების მოპოვების წესს. მოცემული ნორმები დათვალიერების საფუძვლებიდან გამორიცხავს ვიდეო კადრების დათვალიერებით მოპოვების იურიდიულ შესაძლებლობას. 125-ე მუხლის პირველი ნაწილი არ უნდა განიმარტოს სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, რადგან ვიდეო კადრების დათვალიერებით მოპოვებას გამორიცხავს კომპიუტერული და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ნორმები. ნორმის სისტემური განმარტებით დათვალიერებაში არ შედის ვიდეო მტკიცებულების დათვალიერებით მოპოვება. ასეთი კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებით ერთერთ განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ ვიდეოსათვალთვალო კამერების ჩანაწერები შეიძლება შეიცავდნენ გამოძიებისათვის საინტერესო ინფორმაციებს. შესაბამისად რამენაირად უნდა მოხდეს გამოძიებისათვის ამ ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რაც შეიძლება გამოიხატოს ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმის შედგენაში, რა თქმა უნდა იმ პირობებში თუ ამგვარი საგამოძიებო მოქმედება არ დაემსგავსება ინფორმაციის გამოთხოვას.[47]ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება კა-

47 იხ: სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინება, საქმე N1გ/1537-16

შენიშვნა: სსკის 126-ე მუხლი არ შედის ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა

ნონმდებლის იმპერატიულ ნებას, რომ კომპიუტერული ინფორმაციის გამოთხოვა შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიის დანაშაულთა გამოძიებისას. დათვალიერების ოქმში ცხადია აისახება კომპიუტერული ინფორმაციის შინაარსი და ამიტომ კომპიუტერული ინფორმაციის დათვალიერება ნებისმიერ შემთხვევაში იქნება გამოთხოვის მსგავსი. მთავარი ის კი არ არის ინფორმაცია დისკზე იქნება თუ ოქმში აისახება წერილობით, მთავარი ის არის, რომ კომპიუტერული ინფორმაციის შინაარსზე ეზღუდება ბრალდების მხარეს წვდომა, თუკი გამოძიება არ მიმდინარეობს 143^3-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ დანაშაულებზე. დანაშაულები, რომლებიც არ შედის 143^3-ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩამონათვალში მათზე მიმდინარე გამოძიება კანონმდებელს არ მიაჩნია ლეგიტიმურ მიზნად კომპიუტერული და ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისათვის. კომპიუტერული ინფორმაციის ნებისმიერი დანაშაულის გამოძიებისას გამოთხოვის უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით (N1/1/650,699) აქვს მხოლოდ დაცვის მხარეს.

2. ვიდეო მტკიცებულების მოპოვება ბრალდების მხარის მიერ არ მომხდარა კომპიუტერული და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ დადგენილი წესების შესაბამისად. ის მოპოვებულ იქნა დათვალიერების ჩატარებით.
3. ძალადობის ამსახველი კადრების მოპოვება დათვალიერების წესით იყო არაკანონიერი. შესაბამისად მოსამართ-

---

ჩატარების საფუძვლებში. ვიდეო კადრების მოპოვება ბრალდების მხარის მიერ კომპიუტერული სისტემიდან ყოველთვის უკანონოა, როდესაც ის მოპოვებულია 143^3-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილ დანაშაულთა მიღმა. ასეთი დათვალიერება დაემსგავსება ინფორმაციის გამოთხოვას. ბოლო პერიოდში შეიმჩნევა არაერთგვაროვანი პრაქტიკა და ზოგიერთი მოსამართლე ასეთ დათვალიერებას მიიჩნევს კანონიერად. ზოგჯერ არასწორი კვალიფიკაციითაც იწყებენ გამოძიებას, რომ შექმნან კომპიუტერული და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველი (როდესაც აშკარაა საქმის მასალებში ამგვარი მიდგომა, მოსამართლემ არ უნდა მიიღოს მხედველობაში ასეთი მტკიცებულება). გარდა ამისა საპროცესო შეთანხმების მიზნებისათვის თუ მხარეები თანხმდებიან ასეთი მტკიცებულების უდაოდ ცნობაზე მოსამართლე ვალდებული იქნება სცნოს ის დასაშვებად, მიუხედავად მისი მოპოვების კანონიერებისა.

ლის განჩინება მის დაუშვებლად ცნობაზე იყო კანონიერი. (ეს არ არის ის შემთხვევა, როდესაც დათვალიერება ტარდება კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით).

ისტორიული განმარტებისას ნორმის ინტერპრეტირება ხდება კანონმდებლის ისტორიული ნების შესაბამისად. მხედველობაში მიიღება კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, დებატები კანონპროექტის განხილვის დროს, კანონის მიღების დროს არსებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ვითარება. კანონმდებლის ნებაზე მეტყველებს ასევე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი ნორმების მიღება და ძველის გაუქმება. მაგალითად სსსკის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ,,გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად." მოცემული ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების შემთხვევაში გამოვა, რომ გამომძიებელი თანაბრად ვალდებულია შეაგროვოს ბრალდებულის გამამართლებელი და შემამსუბუქებელი მტკიცებულებებიც. თუ რას გულისხმობს კანონმდებელი მოცემულ ნორმაში უნდა შევადაროთ მოქმედ კოდექსში გათვალისწინებული სიახლეები ძალადაკარგულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან. 1998 წლის სსსკის 58/59 მუხლებით დადგენილი იყო, რომ გამომძიებელს უნდა გამოევლინა ბრალდებულის გამამართლებელი და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებიც და შეეძლო შეესრულებინა ბრალდებულის და დამცველის მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ. მოქმედ კოდექსში კი კანონმდებელმა უარი თქვა ასეთ მოწესრიგებაზე და 25/111-ე მუხლებში დაადგინა, რომ მტკიცებულებების მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა, რომ მხარეებს კოდექსით დადგენილი წესით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები. გამოდის, რომ კანონმდებელმა 1998 წლის საპროცესო კოდექსის ხსენებული ნორმების შინაარსის შემცველ მოწესრიგებაზე უარის თქმით მოქმედ საპროცესო კოდექსში, უარყო გამომძიებლის ვალდებულება წარმართოს ძალისხმევა ბრალდებულის გამამართლებელი და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულებების შეგროვებაზეც.[48] მხარეები თავად არიან

48 იხ: გიორგი თუმანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ110,

პასუხისმგებელნი მტკიცებულებების შეგროვებასა და სასამართლოში წარდგენაზე.[49] გამომძიებლის ვალდებულება 37-ე მუხლის მე-2 ნაწილში აწარმოოს გამოძიება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გულისხმობს ვალდებულებას განიხილოს ცალკეულ დანაშაულთა გამოვლენის ყველა შესაძლო ვერსია, სრულად მოიპოვოს მტკიცებულებები ბრალეულობის დასადგენად და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას წარმართოს ისინი ობიექტურად, კანონის მოთხოვნათა დაცვით. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს შედარებით განსხვავებული მოსაზრებაც.[50] ისტორიული განმარტებით უნდა განიმარტოს წინასწარი გამოძიების ცნებაც მოქმედი საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის ბ ქვეპუნქტში. ვინაიდან კანონმდებელმა უარი თქვა წინასწარი გამოძიების ცნებაზე, მისი შინაარსი უნდა განიმარტოს ჩვეულებრივად, გამოძიების მნიშვნელობით.

კაზუსი ნორმის ისტორიულ განმარტებაზე:

პოლიციის განყოფილებაში ძალადობისა და ნივთის დაზიანების ფაქტზე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა შეიტანა განაცხადი. პირი განმარტავდა, რომ არჩევნების დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის შენობის მიმდებარედ პირთა ჯგუფი ანხორციელებდა ძალადობრივ ქმედებებს, რის გადასაღებადა მომარჯვებული მობილური ტელეფონი დაუმტვრიეს, შემოახიეს ქურთუკი და გაუსწორდნენ ფიზიკურად. განმცხადებელმა ნებაყოფლობით წარმოადგინა დახეული ქურთუკი და დამტვრეული მობილური ტელეფონი. გამომძიებლის კითხვაზე მოასწრო თუ არა რაიმეს გადაღება პირმა დამატებით განმარტა, რომ ამის შესაძლებლობა არ მიეცა, რადგან ტელეფონი ამოღებისთანავე წაართვეს და დაუმტვრიეს. შედგა გამოძიების აღრიცხვის ბარათი და დაიწყო გამოძიება. ვინაიდან პირი თანახმა იყო ნივთების გადაცემაზე, გამომძიებელმა განახორციელა მათი დათვალიერებით ამოღება, დაათვალიერა, აღწერა მათი

49 იხ: გიორგაძე გ./ბარამიძე, ა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბილისი 2014, გვ. 16.

50 იხ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, დასახელებული ნაშრომი, გვ: 171-172.

ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები დათვალიერების ოქმში, დალუქა, შეფუთა და დაურთო სისხლის სამართლის საქმეს.

შეაფასეთ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერება!

ფაქტების გამოკვეთა:

- პირის თანხმობით მის მიერ გამომძიებელისთვის ნებაყოფლობით წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულებების დათვალიერებით ამოღება.

ამოცანების განსაზღვრა:

- კანონიერია თუ არა ნებაყოფლობით წარდგენილი ნივთების საქმეზე დათვალიერებით დამაგრება?

გეგმის შედგენა:

- საფუძველი?
- ვადები+
- სუბიექტი+
- მონაწილე სუბიექტები+
- ზოგადი წესები+
- სპეციალური წესები+

შესაფასებელი გვაქვს არსებობდა თუ არა ნებაყოფლობით წარდგენილი ნივთების დათვალიერებით ამოღების საფუძველი.

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

ამოღების მიზანი და საფუძველი მოცემულია 219-ე მუხლის პირველ და მესამე ნაწილებში.

დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიძლება ამოღებულ იქნეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის.

120-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილია, რომ ჩხრეკა/ამოღების ჩატარებისას მტკიცებულების ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევაშიც მას წინ უნდა უსწრებდეს მოსამართლის განჩინება ან გამომძიებლის დადგენილება.

განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – დადგენილების წარდგენის შემდეგ გამომძიებელი პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა, სთავაზობს ამოსაღები საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემას. ამოსაღები ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება ოქმში, ხოლო მის ნებაყოფლობით გადაცემაზე უარის თქმის ან მისი არასრულად გადაცემის შემთხვევაში ამოღება ხდება იძულებით.

დათვალიერების მიზანი მოცემულია 125-ე მუხლის პირველ ნაწილში:

დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევის მიზნით მხარეს უფლება აქვს, დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, საცავი, სადგომი, სათავსი, გვამი, საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

დათვალიერების ფარგლებში მტკიცებულების ამოღებისა და დამაგრების წესი მოცემულია 126-ე მუხლის პირველ ნაწილში: დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, თუ შესაძლებელია, ამოღებამდე უნდა ნარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს, შემდეგ ამოღებულ იქნეს, დაწვრილებით აღიწეროს, დაილუქოს და შესაძლებლობის შემთხვევაში შეიფუთოს. შეფუთულ ნივთზე ლუქის გარდა აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, რომლებიც მონაწილეობდნენ საგამოძიებო მოქმედებაში. დათვალიერებაში მონაწილე პირს უფლება აქვს, მხარის ყურადღება მიაპყროს ყველაფერს, რამაც, მისი აზრით, შეიძლება ხელი შეუწყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოვლენას.

ამოცანების გადაჭრა:

1. დათვალიერების შესახებ 125-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ირკვევა, რომ ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოების გარკვევის მიზნით მხარეს უფლება აქვს დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, საცავი, სადგომი, სათავსი, გვამი, საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, მაგრამ მოცემული ნორმიდან არ ჩანს ნებაყოფლობით წარმოდგენილი საგნები ჯერ უნდა ამოვიღოთ და ისე დავათვალიეროთ თუ დათვალიერებით უნდა ამოვიღოთ. ამის გასარკვევად უნდა განიმარტოს 126-ე მუხლის პირველი ნაწილი, დათვალიერების ფარგლებში ამოღების წესის შესახებ. მოცემული ნორმიდან ირკვევა, რომ ამოღება ხდება დათვალიერების დროს აღმოჩენილი მტკიცებულებებისა. ჩვენს შემთხვევაში კი ქურთუკი და მობილური ტელეფონი წარდგენილია ნებაყოფლობით და მათი აღმოჩენა არ მომხდარა დათვალიერების შედეგად. ნებაყოფლობით წარმოდგენილი სამხილების დათვალიერებით დამაგრებას ითვალისწინებდა 1998 წლის საპროცესო კოდექსი, რომლის მსგავს მოწესრიგებაზეც მოქმედ საპროცესო კოდექსში კანონმდებელმა უარი თქვა. დასახელებულ კოდექსში საგნისა და დოკუმენტის დათვალიერების შესახებ 338-ე მუხლის მე-2 ნაწილში დადგენილი იყო, რომ ,,აუცილებლად უნდა მოხდეს იმ საგნის ან დოკუმენტის დათვალიერება, რომელიც თანამდებობის პირმა ან მოქალაქემ წარუდგინა გამომძიებელს ან პროკურორს ამ კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. 129-ე მუხლის მე-4 ნაწილით კი დადგენილი იყო, რომ ცნობები წერილობითი და ზეპირი ფორმით, აგრეთვე საგნები და დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება იყოს მტკიცებულებები სისხლის სამართლის საქმეზე, უფლება აქვს წარმოადგინოს აგრეთვე ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, დაზარალებულმა, სამოქალაქო მოსარჩელემ, სამოქალაქო მოპასუხემ და მათმა წარმომადგენლებმა. მოქმედ კოდექსში მსგავსი მოწესრიგების გაუთვალისწი-

ნებლობით ნათელია კანონმდებლის ისტორიული ნება, რომ მან უარყო ნებაყოფლობით წარდგენილი სამხილების დათვალიერებით ამოღება. ამასთან დაკავშირებით არსებობს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინებაც. სასამართლოს განმარტებით სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის/მტკიცებულების (საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის) მოპოვება უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონით გათვალისწინებული წესისა და პროცედურების დაცვით. დათვალიერება არ არის ის საგამოძიებო მოქმედება, რომელმაც საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის მოსაპოვებლად შეიძლება შეცვალოს ამოღება. საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის დათვალიერება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თუ ის კანონით დადგენილი წესისა და პროცედურის დაცვით უკვე მოპოვებული აქვს მხარეს და მის ხელთ იმყოფება. ამასთან, საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის ამოღება დათვალიერებით მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თუ ეს საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი აღმოჩენილია დათვალიერების მიმდინარეობის პროცესში, მაგალითად, შემთხვევის ადგილის, ადგილმდებარეობის, საცავის, სადგომის, სათავსის, გვამის და ა.შ. დათვალიერებისას და არა თვით ამ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის დათვალიერებისას. უფრო დეტალურად თუ განვმარტავთ, საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის დათვალიერება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ის მოპოვებულია ჩხრეკით, ამოღებით, საგამოძიებო ექსპერიმენტით, საბანკო ანგარიშების მონიტორინგით, ექსჰუმაციით, დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვით, ექსპერტიზით, ნიმუშის აღებით, შემთხვევის ადგილის, ადგილმდებარეობის, საცავის, სადგომის, სათავსის, გვამის და ა.შ. დათვალიერებით ან ფარული საგამოძიებო მოქმედებებით. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს ისეთ საგამოძიებო

მოქმედებას, როგორიც წლების წინ იყო ნებაყოფლობით წარმოდგენა. ამიტომ, ნივთის (საგნის) წარმოდგენა, რასაც თან ახლავს მისი დათვალიერება და შემდეგ ამოღება წარმომდგენის თანხმობით, არ არის ნივთმტკიცების მოპოვების კანონიერი გზა (ხერხი). იქმნება შთაბეჭდილება, რომ დათვალიერების ოქმის შედგენით ნივთმტკიცების ამოღებას გამომძიებლები მხოლოდ იმის გამო ახდენენ, რათა ამგვარად თავიდან აიცილონ ნივთმტკიცების მოპოვების კანონიერებაზე სასამართლოს კონტროლის განხორციელება, რაც რიგ შემთხვევებში, გარკვეული დროის რესურსის ხარჯვასთან და სასამართლოს განჩინების წინასწარ ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემდგომ მიღებასთან არის დაკავშირებული. თუმცა, ნებაყოფლობით წარმოდგენის, როგორც საგამოძიებო მოქმედების წლების წინ გაუქმების მიზანი სწორედ ის იყო, რომ სისხლის სამართლის საქმეში სასამართლოს კონტროლის გარეშე არ მოხვედრილიყო ნივთიერი მტკიცებულება. კანონმდებელმა დაუშვა ნივთმტკიცების მოპოვების შესაძლებლობა მხოლოდ იმ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ[51] მოქმედი საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს პირის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დათვალიერებით დამაგრებას. ვინაიდან დათვალიერების წესებში არ შედის მსგავსი ურთიერთობების მოწესრიგება, ნორმის სისტემური განმარტებით გვრჩება ამოღების ჩატარების შესაძლებლობა.1998 წლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ჩხრეკა/ამოღების წესებისგან ცალკე იყო მოწესრიგებული პირადი ჩხრეკისა და ამოღების ნესები. მსგავს მოწესრიგებაზე კანონმდებელმა მოქმედ საპროცესო კოდექსში თქვა უარი, პირადი ჩხრეკისა და პირადი ამოღების ნაცვლად დატოვა მხოლოდ პირადი ჩხრეკა, შესაბამისად პირის მიერ წარდგენილი სამხილების დასამაგრებლად უნდა ჩატარდეს ამოღება. ამოღება ტარდება როგორც მაშინ, როდესაც სამხილები ინახება

51 იხ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 22 მარტის განჩინება საქმეზე N1გ/407

გარკვეულ ადგილას, თუნდაც არ ვიცოდეთ მეპატრონის ან მფლობელის შესახებ, ისე მაშინაც, როცა მტკიცებულება თან აქვს პირს, ინახავს უშუალოდ და წარადგენს გამოძიების ორგანოში ნებაყოფლობით. ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარება შეიძლება სასამართლოს განჩინებით, განჩინების გარეშე გადაუდებელი აუცილებლობისას და ასევე თანამესაკუთრის ან თანამფლობელის თანხმობით, მაგრამ თანხმობით ამოღება არ ვრცელდება პირის მიერ გამომძიებელისთვის წარდგენილ სამხილებზე, ასეთი შესაძლებლობა დაემსგავსება 1998 წლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ნებაყოფლობით წარმოდგენის საგამოძიებო მოქმედებას. ამიტომ ნებაყოფლობით წარდგენილი მტკიცებულების ამოღება მხოლოდ მაშინ იქნება კანონიერი, როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა ან მოგვიანებით მიღებული იქნება განჩინება მის ამოღებაზე.[52]

2. მოცემულ ურთიერთობაში დაზარალებულმა ნებაყოფლობით წარადგინა საკუთარი დაზიანებული ნივთები, არ არსებობდა მათი გადამალვის, განადგურების ან დაკარგვის დასაბუთებული ვარაუდი და გამომძიებელმა დათვალიერებით დაამაგრა საქმეზე ისინი.
3. პირველი და მეორე მოცემულობიდან გამომდინარეობს, რომ გამომძიებელს არ ჰქონდა დათვალიერების ჩატარების უფლება და არც გადაუდებელი აუცილებლობის ან განჩინების გარეშე ამოღების უფლება. გამომძიებლის მოქმედება იყო არაკანონიერი.

---

52 ჩხრეკაამოღება განჩინებით, გადაუდებელი აუცილებლობითა ან მესაკუთრის თანხმობით გამომდინარეობს კონსტიტუციური ნორმიდან. ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შეივიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. მოცემული ნორმის თანახმად ჩხრეკის ჩასატარებლად მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ სჭიროა განჩინება ან გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა, წინასწარი თანხმობა კი ჩხრეკის (ამოღების) ჩატარებაზე გამორიცხავს ჩარევას უფლების დაცვის სფეროში.

ლოგიკური განმარტების დროს ნორმის შინაარსის დადგენა ხდება ლოგიკის წესების გამოყენებით. როდესაც ნორმის განმარტების სხვა რომელიმე ხერხი არ არის ვალიდური უნდა გამოვიყენოთ ლოგიკური განმარტების ხერხი. ლოგიკური განმარტებისას გამოიყენება ეწ. ანალოგიით დასკვნისა და ხარისხით დასკვნის მეთოდები.[53]

ანალოგიით დასკვნა არ გულისხმობს ხარვეზით გამოწვეულ ანალოგიას. ამ შემთხვევაში კანონმდებელი ნორმაში ჩამოთვლის გარკვეულ საკითხებს და ნორმაშივე ადგენს მისი გამოყენების შესაძლებლობას სხვა მსგავსი შემთხვევების დროსაც. მაგალითად, 59-ე მუხლში ჩამოთვლილი აცილების საფუძვლები არ არის ამომწურავი, იმავე ნორმის თანახმად აცილება შეიძლება თუ არსებობს სხვა გარემოებებიც, რომლებიც საეჭვოს ხდის პირის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

ხარისხით დასკვნის ლოგიკური განმარტების წესი დგას ორ პრინციპზე:

- თუ იკრძალება ნაკლები მაშინ იკრძალება მეტიც;
- თუ ნებადართულია მეტი მაშინ ნებადართულია ნაკლებიც;

სსსკის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „დაუშვებელია პირის განმეორებით დაკავება მხოლოდ ერთი და იმავე მტკიცებულებების ან ინფორმაციის საფუძველზე." მიუხედავად იმისა, რომ დაკავება განმარტებულია, როგორც თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა ეს ნორმა ვრცელდება პატიმრობაზეც. თუ იკრძალება განმეორებითი დაკავება, იკრძალება უფრო მეტიც, განმეორებითი პატიმრობა ერთი და იმავე მტკიცებულებების ან ინფორმაციიის საფუძველზე. პატიმრობა მოიცავს დაკავებას.

საპირისპირო შემთხვევების დროს, როდესაც ნებადართულია მეტი, მაშინ ნებადართულია ნაკლებიც. მაგალითად, 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის ბ ქვეპუნქტის თანახმად პროკურორი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს გამოძიება სრული მოცულობით, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ პროკურორს შეუძლია უშუალოდ ჩაატაროს მხოლოდ ერთი საგამოძიებო ან საპროცესო

53 იხ: გვენეტაძე, თუმანიშვილი, დვალიძე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 85.

მოქმედება და ისევ გააგრძელოს საპროკურორო უფლებამოსილება ამ საქმის გამოძიებაზე. იგივე პრინციპით განიმარტება მე-200 მუხლის მენ ნაწილი, რომლის თანახმადაც ,,გირაოს პირობების დარღვევისას პროკურორს შეუძლია მოითხოვოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.,, გირაოზე მკაცრი ღონისძიება არის პატიმრობა. შესაბამისად, თუ ნებადართულია პატიმრობის მოთხოვნა, ნებადართულია ნაკლებიც, გირაოს ოდენობის გაზრდის მოთხოვნა. გაზრდილი გირაო უფრო მკაცრი ღონისძიებაა, ვიდრე მანამდე არსებული ოდენობა.[54]

ნორმის განმარტების ხერხებს შორის არ არსებობს იერარქია. ნორმების განმარტება ხდება მეთოდური პლურალიზმის საფუძველზე.[55] ნორმის მიზანს (კანონმდებლის ისტორიულ ნებას) უნდა შევადაროთ ნორმის გრამატიკული (სიტყვასიტყვითი) გამოხატულება, შეუსაბამობის შემთხვევაში ნორმას ვადარებთ სხვა ნორმებთან და ვამოწმებთ ხომარ ზღუდავენ ან განავრცობენ ისინი განსამარტი ნორმის შინაარსს (სისტემური განმარტება). სისტემური განმარტების შეუძლებლობის შემთხვევაში ნორმა უნდა განიმარტოს ლოგიკის ზოგადი წესების შესაბამისად, რის მიხედვითაც უნდა განვავრცოთ ან შევზღუდოთ მისი შინაარსი. ნორმის განმარტებას სხვადასხვა ხერხების გამოყენებით ვაგრძელებთ მანამ, სანამ რომელიმე განმარტების შედეგად ნორმის ფორმასა და შინაარსს შორის, მის მიზანსა და სემანტიკურ გამოხატულებას შორის არ დაჯდება ნორმატიული ბალანსი.

3. ნორმის განმარტება მოცულობის მიხედვით

საპროცესო ნორმის რეგულირების სფეროს განსაზღვრა ყოველთვის მარტივი არ არის. ზოგჯერ ნორმის სიტყვასიტყვითი გამოხატულება თავის თავში აქცევს საკითხებს, რომლებიც რეალურად არ შედის ნორმის რეგულირების სფეროში და ზოგჯერ პირიქით, სიტყვასიტყვითი გამოხატულება გამორიცხავს საკითხებს, რომლებიც რეალურად შედის ნორმის რეგულირების სფეროში. რეგულირების სფეროს დასადგენად მიმართავენ

54 იხ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, დასახელებული ნაშრომი, გვ: 617

55 იხ: გ. ხუბუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 199.

ნორმის განმარტებას მისი მოცულობის მიხედვით. განასხვავებენ მოცულობის მიხედვით განმარტების სამ სახეს:

- **სიტყვასიტყვითი განმარტება;**
- **განვრცობითი განმარტება;**
- **შეზღუდვითი განმარტება;**

სიტყვასიტყვითი განმარტების დროს ნორმის ტექსტუალურ და შინაარსობრივ გამოხატულებას შორის ბალანსი დაცულია. ნორმა განიმარტება ისე, როგორც იკითხება. მაგალითად, დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. ერთერთ საქმეში ადვოკატმა სასამართლოს განჩინებით, 136-ე მუხლის შესაბამისად გამოითხოვა კომპიუტერული ინფორმაცია (ვიდეო მტკიცებულება). გამოთხოვილი ინფორმაცია შემდგომ ადვოკატმა დაათვალიერა კოლეგა ადვოკატის მონაწილეობით და შეადგინა დათვალიერების ოქმი. წინასასამართლო სხდომაზე პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა კომპიუტერული ინფორმაციის კანონის (72-ე მუხლის პირველი ნაწილის) არსებითი დარღვევით მოპოვების მოტივით დაუშვებლად ცნობაზე. პროკურორის განმარტებით მეორე ადვოკატს არ ქონდა დათვალიერებაში მონაწილეობის უფლება და თითქოს ამის გამო ადგილი ქონდა კომპიუტერული ინფორმაციის კანონის დარღვევით მოპოვებას. როდესაც ადვოკატმა ჩაატარა დათვალიერება იმ დროისათვის კომპიუტერული ინფორმაცია უკვე მოპოვებული იყო 136-ე მუხლის შესაბამისად. 72-ე მუხლის პირველი ნაწილი აქ უნდა განიმარტოს სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით და დაუშვებელია ის მტკიცებულება, რომელის მოპოვების დროსაც დაირღვა კანონი არსებითად. მტკიცებულების სხვა საგამოძიებო მოქმედებით მოპოვების შემდგომ მხრის პრეროგატივაა მის დათვალიერებაში ვის ჩართავს. ეს რომც წარმოადგენდეს დარღვევას ამას ადგილი აქვს პოსტფაქტუმ და არა მტკიცებულების მოპოვების მომენტში. ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტება გვეხმარება გამოვრიცხოთ ცალკეული საკითხების კონკრეტული ფორმით მოწესრიგება. სისხლის სამართლის ერთერთი საქმის თანახმად პირმა ჩაიდინა ერთი ბოთლი არაყის ქურდობა. საქმის მიხედვით ნაქურდალი ვერ იქნა ამოღებული, ვერ იქნა ამოღებული ცარიელი ბოთლიც.

თუმცა დასტურდობადა პირის ყოფნა შემთხვევის ადგილზე, დასტურდებოდა მოწმეთა ჩვენებით დანაკლისის არსებობაც, პირმა აღიარა ქურდობა და მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო ექსპერიმენტში (ჩვენების ადგილზე შემოწმება), რომლის ფარგლებშიც აღწერდა დანაშაულის გარემოებებს და ადგილს სადაც აიღო ნაქურდალი ნივთი.[56] ადვოკატს გაუჩნდა იდეა, რომ არსებითი განხილვის ეტაპზე ბრალდებულს უარს ათქმევინებდა მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებაზე და ვეღარ გამოიყენებდნენ ვერც პირის გამოკითხვის ოქმს და ვერც საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგებს.. საკითხი მოწესრიგებულია სსსკის 247-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმადაც თუ ბრალდებული წინააღმდეგია აკრძალულია მის მიერ გამოკითხვისას მიწოდებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება. როგორც ხედავთ აკრძალულია მხოლოდ გამოკითხვის ფარგლებში მიწოდებული ინფორმაციის გამოყენება და არა საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგების გამოყენება. უზენაესი სასამართლოს ერთერთ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: **საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ბ-კ-ს ჩვენება არ მიუცია, არამედ ვითარება აღადგინა იმ ხერხების დემონსტრირებით, რაც მან გამოიყენა ბრალდების მხარის მიერ მისთვის დანაშაულად შერაცხული ქმედების ჩასადენად. ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენა კი ჩვენებად ვერ იქნება მიჩნეული, რის გამოც მის მიმართ არ ვრცელდება მოქმედი სსსკის 247-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა.**[57]

განვრცობითი განმარტების დროს ნორმის შინაარსი გაგებულ უნდა იქნას უფრო ფართოდ ვიდრე მისი ტექსტობრივი გამოხატულებაა.[58] განვრცობითი განმარტების საჭიროების დროს ნორმის სიტყვასიტყვით გამოხატულებას და მის შინაარსს შორის დარღვეულია ბალანსი შინაარსის სასარგებლოდ. განსხვავებით ანალოგიისგან ამ დროს ნორმა სახეზეა და მის სიტყვასიტყვით გამოხატულებაში არ ჩანს საკითხი, რომელიც

56 სისხლის სამართლის საქმე 171200421006

57 იხ: უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განჩინება 52აპ-18

58 იხ: გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011ნ, გვ. 165

რეალურად შედის ნორმაში. მაგალითად, 103-ე მუხლით დადგენილი წესი, რომ გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში არ უნდა გავიგოთ გამოძიების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით. ტერმინთა განმარტებაში გამოძიება არის დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. 103-ე მუხლის შემთხვევაში კი გამოძიებაში მთლიანად გამოძიების სტადია უნდა მოვიაზროთ წინა სასამართლო სხდომამდე. სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით თუ გავიგებთ გამოძიებას 103-ე მუხლში, მაშინ გამოვა, რომ გონივრულ ვადაში მხოლოდ დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება უნდა წარიმართოს. სხვა დანარჩენი ქმედებები კი გამოძიების სტადიაზე არ იქნება სავალდებულო, რომ წარიმართოს გონივრულ ვადაში. კერძოდ, პირველი წარდგენის სხდომა, ყადაღა, პირის მიყვანა და სხვა საპროცესო მოქმედებები, რომლებიც გათვალისწინებულია გამოძიების სტადიაზე. გამოძიება იმაზე მეტია ვიდრე დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. განვრცობითი განმარტება გამოვიყენეთ ასევე, როდესაც ლოგიკური განმარტების ხერხით დავადგინეთ, რომ გირაოს პირობების დარღვევისას უფრო მკაცრ ღონისძიებად მიიჩნევა გირაოს ოდენობის გაზრდაც.

შეზღუდვითი განმარტების საჭიროების დროს ნორმის სიტყვასიტყვით გამოხატულებაში შედის ისეთი საკითხები, რომლებიც რეალურად არ შედის ნორმის მოქმედების სფეროში (შინაარსში). ამ შემთხვევაში ნორმის სიტყვასიტყვით გამოხატულებას და შინაარსს შორის ბალანსი დარღვეულია სემანტიკური გამოხატულების სასარგებლოდ. მაგალითად 50-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომ მოწმედ დაკითხვის ვალდებულება არ ეკისრება ბრალდებულის ახლო ნათესავს არ უნდა განიმარტოს სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით. მასში შეზღუდულად, მხოლოდ ბრალდებულის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან განთავისუფლება უნდა ვიგულისხმოთ. სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით თუ გავიგეთ ნორმა, გამოვა, რომ როდესაც ბრალდებულის ახლო ნათესავი, მაგალითად განქორწინებული მეუღლე ფლობს ბრალდებულის გამამართლებელ ინფორმაციას არ იქნება ვალდებული მისცეს ჩვენება. შეზღუდვითი განმარტებაა ასევე საჭირო 73-ე მუხლის პირველი ნაწილის გ ქვეპუნ-

ქტით გათვალისწინებული ნორმის, რომ გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ პროცესის არცერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ ხდის. აქ შეზღუდულად უნდა განვმარტოთ სუბიექტთა წრე. მაგალითად, თარჯიმანიც პროცესის მონაწილეა, მაგრამ მტკიცებულების სადავოდ მიჩნევა მხოლოდ მხარეების კომპეტენციაა.

მოცულობის მიხედვით ნორმის განმარტებისას ვიყენებთ განმარტების ხერხებს. არსებითია კანონმდებლის მიზანი თუ რისი უზრუნველყოფა სურდა ნორმის მიღებით. მიიჩნევა, რომ შეზღუდვის ან განვრცობის საჭიროებისას მიზნის შესაფერისად არ არის გამოყენებული ცალკეული ცნებები და საჭირო ხდება მათი სემანტიკური კორექტირება, რაც შინაარსის შეზღუდვაში ან შინაარსის განვრცობაში გამოიხატება. მოცულობის მიხედვით ნორმის განმარტებისას ჩვეულებრივ ვიყენებთ განმარტების გრამატიკულ, სისტემურ, ისტორიულ და ლოგიკურ ხერხებს. მაგალითად, 112-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ ის ვრცელდება საგამოძიებო მოქმედებებზე, რომლებიც ზღუდავენ კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ზღუდავს კომპიუტერული საგამოძიებო მოქმედებებიც და 112-ე მუხლი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით მათზეც ვრცელდება. თუმცა სისტემური განმარტებით 112-ე მუხლი იძენს შეზღუდულ შინაარსს, რადგან კომპიუტერულ საგამოძიებო მოქმედებებზე ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ნორმები და ისინი აწესრიგებენ ამ მოქმედებებში იმ საკითხებს, რასაც 112-ე მუხლი სხვა ნორმებში (თუმცა შემდგომში კანონმდებელმა ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა თავში საგანგებოდ მიუთითა 112-ე მუხლით დადგენილი წესების გამოყენებაზეც).

4. ანალოგია

შესაბამისი ნორმების გამოკვეთის ეტაპზე თუ აღმოჩნდა, რომ არ არსებობს კანონში ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა უნდა მივმართოთ ანალოგიის გამოყენებას. ანალოგია ნიშნავს მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენებას, თუ ამ ნორმით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა

და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. სისხლის სამართლის პროცესში აკრძალულია სამართლის ანალოგია. დაშვებულია მხოლოდ კანონის ანალოგია. ანალოგიით არ შეიძლება ყველა ნორმის გამოყენება. დაშვებულია მხოლოდ საპროცესო ნორმის გამოყენება ანალოგიით.ხარვეზი შეიძლება არსებობდეს პროცესში გამოყენებულ ნებისმიერ კანონში, ამიტომაც მეორე მუხლში, ანალოგიის შესახებ ნორმაში, კანონმდებელი მიუთითებს საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობაზე. ხარვეზი უნდა განვასხვაოთ კანონმდებლის შეგნებული დუმილისგან. როდესაც კანონმდებელი შეგნებულად უვლის გვერდს და არ ითვალისწინებს ნორმაში კონკრეტულ საკითხებს ასეთ დროს არ არსებობს ხარვეზი. ,,როდესაც კანონმდებელი აწესრიგებს მხოლოდ ა შემთხვევებს უნდა დავასკვნათ, რომ მას არ სურს ბ ურთიერთობების მოწესრიგება.[59] მაგალითად, 266-ე მუხლში ჩამოყალიბებულია გამამტყუნებელი ვერდიქტის გასაჩივრების საფუძვლები. მათგან არცერთში არ ექცევა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები. კანონმდებელმა ჩამოთვალა მხოლოდ ის საფუძვლები, როდესაც შეიძლება გამამტყუნებელი ვერდიქტის გასაჩივრება. რითაც შეგნებულად უარყო მართლწინააღმდეგობის რომელიმე გარემოებაზე მითითებით ვერდიქტის გასაჩივრების შესაძლებლობა. (ასეთ შემთხვევაში ადვოკატმა უნდა დააყენოს შუამდგომლობა დევნის შეწყვეტაზე, რითაც შემდგომში შეეძლება ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრება 266-ე მუხლის მეორე ნაწილის ბ ქვეპუნქტზე მითითებით).

საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენებისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა

- **ხარვეზი კანონმდებლობაში**
- **მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის არსებობა**
  ანალოგიით გამოსაყენებელი ნორმა არ უნდა ლახავდეს პირის უფლებებს
- **გამოსაყენებელი ნორმა არ უნდა ადგენდეს საგამონაკლისო წესს**

59 იხ: გ. ხუბუა. დასახელებული ნაშრომი, გვ.217.

ერთერთ საქმეში დაცვის მხარემ მიმართა სააპელაციო სასამართლოს საპროცესო შეთანხმებაზე განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით (საქმის წარმოების განახლება). შუამდგომლობას საფუძვლად დაედო კერძო ფსიქიატრიული დაწესებულების დასკვნა, რომ ფსიქიკური დაავადების გამო არ შეიძლებოდა მსჯავრდებული დაკითხულიყო მოწმედ.[60] სააპელაციო სასამართლოს უარი შუამდგომლობის დაშვებაზე გასაჩივრებულ იქნა უზენაეს სასამართლოში. უზენაეს სასამართლომ განმარტა, რომ კანონში იყო ხარვეზი, რადგან 50-ე მუხლის მეორე ნაწილი არ ადგენდა თუ რა სახის სამედიცინო დოკუმენტით უნდა დადასტურებულიყო მოწმის ფსიქიკური დაავადება. მიუთითა, რომ უნდა გამოყენებულიყო ანალოგია 105-ე მუხლის მეორე ნაწილის ბ.ქვეპუნქტის 2013 წლის რედაქციასთან, რომლის თანახმადაც დევნის შესაწყვეტად ბრალდებულის შეურაცხაობა უნდა დადასტურებულიყო სახელმწიფო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით და არ დააკმაყოფილა საჩივარი. უზენაეს სასამართლომ ანალოგია არასწორად გამოიყენა, ჯერ ერთი როცა 50-ე მუხლი არ ადგენს დასკვნის სახეს ის შეიძლება გასცეს კერძო ფსიქიატრიულ დაწესებულებამაც. მეორეც აკრძალულია ანალოგია თუ ამით იზღუდება პირის უფლებები. უზენაეს სასამართლომ ანალოგიის გამოყენებით უარი უთხრა მსჯავრდებულს 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად „ჩაებრუნებინა" საქმე სააპელაციო სასამართლოში. ამასთან ეს ნორმა არ იყო მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი და დევნის შეწყვეტის საფუძვლად სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების დასკვნის მოთხოვნა 105-ე მუხლში იყო საგამონაკლისო ნორმა. როდესაც კანონმდებელი ადგენს ზოგადისგან განსხვავებულ საგამონაკლისო წესს, ამით მხოლოდ კონკრეტული საკითხების მოწესრიგება სურს.

სხვა მხრივ კანონის ანალოგიას სასამართლო პრაქტიკაში მიმართავს 91-ე და 240-ე მუხლებით გამოტანილ ჯარიმებზე საჩივრის განხილვისას. მოცემული მუხლებით დადგენილი იყი, რომ პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოტანილი ჯარიმა არ გასაჩივრდებოდა. ეს შეზღუდვა საკონსტიტუციო სასამართლომ ცნო ანტიკონსტი-

60 იხ: უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე N3ა.13. 30.01.2013

ტუციურად.[61] თუმცა არ არსებობს საჩივრის განხილვის წესი. ამიტომ ამ მუხლებით გათვალისწინებულ ჯარიმებზე საჩივრის განხილვისას სააპელაციო სასამართლო მიმართავს კანონის ანალოგიას 85-ე მუხლთან მიმართებით. 85-ე მუხლი წარმოადგენს მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმას, რადგან ის ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის და ადგენს საჩივრის განხილვის პროცედურასაც.[62] ერთერთ ასეთ საჩივარზე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ განმარტა შემდეგი:

ანალოგია თავისი არსით არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს, უნდა ემსახურებოდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. მოცემულ შემთხვევაში, კანონის ანალოგიის გამოყენების აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამოსამართლო სამართალშემოქმედების გზით მოწესრიგდეს კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი (დაურეგულირებელი) საკითხი, კერძოდ, არასაპატიო მიზეზით პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობის დროს მიღებული განკარგულების გასაჩივრების წესი. გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების პროცესში სასამართლო თავისუფალია და ამავდროულად, ზომიერად შებოჭილია კანონით დადგენილი ზოგადი წესების ერთობლიობით. კანონის ანალოგიის გამოყენება (მათ შორის კანონის ინტერპრეტაცია) არ უნდა გასცდეს სათანადო ფარგლებს და უნდა ემსახურებოდეს ისეთი საპროცესო ნორმის მოძიებას, რომელიც ყველაზე უფრო მსგავს სამართლებრივ ურთიერთობას არეგულირებს. განსახილველ საქმეზე არსებული საკითხების გადაწყვეტისათვის, თბილისის სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელ საპროცესო ნორმად მიჩნეული უნდა იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის.

---

61 იხ: ემზარ პაქსაძე, თამარ სადრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. N1/20/1219,1236 13.10.2013

62 იხ: საქმე №1ბ/სპ-15-17 31.10.2017

როდესაც მოსაწესრიგებელია საკითხი და არა გვაქვს ჩვენთვის საინტერესო ნორმა, ვარკვევთ შემდეგ ორ საკითხს:

- აქვს თუ არა ადგილი ხარვეზს და გვაქვს თუ არა სახეზე ანალოგიის საფუძველი;
- კანონმდებელი შეგნებულად ხომარ იკავებს თავს კონკრეტული საკითხის განსაზღვრული ფორმით მოწესრიგებისგან.

მაგალითი:

პირველი ინსტანციის სასამართლომ მძიმე დანაშაულში ბრალდების საქმეზე დაადგინა გამამართლებელი განაჩენი. გადაწყვეტილება გაასაჩივრა პროკურორმა. გამართლებულს არც პირველ ინსტანციაში ყავდა ადვოკატი, არც სააპელაციო წარმოებისას აიყვანა ადვოკატი და თავადაც არ გამოცხადდა სააპელაციო სხდომაზე. პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა მის იძულებით მოყვანაზე.

კანონიერია თუ არა პროკურორის შუამდგომლობა და რა ფორმით უნდა წარიმართოს საქმის სააპელაციო წარმოება?

ფაქტების გამოკვეთა:

- მძიმე დანაშაულში ბრალდების საქმეზე პირველ ინსტანციაში გამამართლებელი განაჩენის გამოტანა;
- პროკურორის მიერ განაჩენის გასაჩივრება სააპელაციო სასამართლოში;
- გამართლებულის მიერ ადვოკატის აუყვანლობა და სააპელაციო სხდომაზე გამოუცხადებლობა;
  პროკურორის შუამდგომლობა გამართლებულის იძულებით მოყვანაზე სააპელაციო სხდომაზე.

ამოცანების განსაზღვრა:

- არსებობს თუ არა ზეპირი მოსმენის აუცილებლობა?
- არის თუ არა გამართლებული ვალდებული გამოცხადდეს სააპელაციო სხდომაზე?
  ითვალისწინებს თუ არა კანონი გამართლებულის იძულებით მოყვანას სააპელაციო სხდომაზე?
- როგორ უნდა წარიმართოს სააპელაციო სხდომა თუ არ ცხადდება გამართლებული და არც ადვოკატი ყავს აყვანილი?

სამუშაო გეგმის შედგენა:

- საპროცესო ქმედების საფუძველი?
- საპროცესო ქმედების ვადები+
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი+
- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები?
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები?
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები+

შესაფასებელი გვაქვს სამი ელემენტი:

საპროცესო ქმედების საფუძველი, ითვალისწინებს თუ არა კანონი ზეპირი მოსმენის აუცილებლობას მძიმე დანაშაულზე,

საპროცესო ქმედებაში მონაწილე სუბიექტების ელემენტი, კერძოდ, არის თუ არა გამართლებული ვალდებული გამოცხადდეს სააპელაციო სხდომაზე და შეიძლება თუ არა მისი იძულებით მიყვანა;

ქმედების განხორციელების ზოგადი წესი, თუ როგორ უნდა წარიმართოს სააპელაციო სხდომა, როცა არ ცხადდება გამართლებული და არც ადვოკატი ყავს აყვანილი

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

- პირველი ამოცანით განსაზღვრული საკითხის, აპელაციაში ზეპირი მოსმენის გასარკვევად, ჯერ უნდა ვნახოთ ზოგადი ნორმები შემდეგ სპეციალური. მე-10 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ სასამართლო სხდომა ტარდება ზეპირად. ამის შემდეგ ზოგადი ნორმა უნდა მოვძებნოთ ასევე სასამართლო განხილვის ზოგად დებულებათა შესახებ XIX თავში, 182-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ სასამართლო სხდომა ტარდება ზეპირად. სპეციალური წესი კი თუ არსებობს ასეთი დადგენილი იქნება უშუალოდ აპელაციის თავში. 295-ე მუხლის მე-7 ნაწილი ადგენს:
  სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საჩივრის დასაშვებად ცნობიდან ორი კვირის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე საჩივარი მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე.

- მეორე ამოცანით განსაზღვრული საკითხის გადასაჭრელად არის თუ არა გამართლებული ვალდებული გამოცხადდეს სააპელაციო სხდომაზე უნდა მოვძებნოთ არსებობს თუ არა ზოგადი ნორმა სხდომაზე გამოცხადების შესახებ და სპეციალური ნორმა სააპელაციო სხდომაზე გამართლებულის გამოცხადების შესახებ. ზოგადი ნორმა მოცემულია სასამართლო განხილვის ზოგად დებულებათა თავში, რომელიც ვრცელდება ასევე სააპელაციო წარმოებაზე. სასამართლო სხდომაზე მხარის გამოცხადების შესახებ 188-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს: მხარე ვალდებულია დადგენილ დროს გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე. სპეციალური წესი გამართლებულის გამოცხადების შესახებ კოდექსში არ არის განსაზღვრული.
- მესამე ამოცანით განსაზღვრული საკითხის გადასაჭრელად, ითვალისწინებს თუ არა კანონი გამართლებულის იძულებით მიყვანას სააპელაციო სხდომაზე უნდა ვნახოთ კოდექსში მუხლი იძულებით მიყვანის შესახებ და ამოცანების გადაჭრის ეტაპზე შევაფასოთ ვრცელდება თუ არა ის გამართლებულზე. გამოცხადების სავალდებულოობის და იძულებით მიყვანის შესახებ 149-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, მიყვანა ხორციელდება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში ან სასამართლო სხდომაში მოწმის მონაწილეობა თუ იგი უარს ამბობს ნებაყოფლობით გამოცხადებაზე
- მეოთხე ამოცანით განსაზღვრული საკითხის გადასაჭრელად, როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო როდესაც გამართლებული არ ცხადდება სააპელაციო სხდომაზე და არც ადვოკატი ჰყავს, უნდა განისაზღვროს ნორმა, რომელიც ეხება სასამართლო სხდომაზე გამართლებულის გამოუცხადებლობას და მისი შემდგომი საკითხების მოწესრიგებას. ნორმა, რომელიც ეხება უშუალოდ გამართლებულის გამოუცხადებლობით წარმოშობილი ურთიერთობების მოწესრიგებას კანონში არ არსებობს. უნდა შევაფასოთ ადგილი აქვს ხარვეზს კანონმდებლო-

ბაში თუ კანონმდებლის შეგნებულ დუმილს ეწ ARGUMENTUMEKONTRARIO-ს შემთხვევას. თუ ადგილი აქვს კანონმდებლის შეგნებულ დუმილს, გამოვა რომ სააპელაციო სხდომა მხოლოდ პროკურორის მონაწილეობით უნდა წარიმართოს. ასეთ შემთხვევაში დაირღვევა სამართლიანი სასამართლოს უფლება, დაირღვევა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უფლება და დაირღვევა 297-ე მუხლი სააპელაციო სხდომის შესახებ, რომლით დადგენილი წესების დაცვა შეუძლებელია ორივე მხარის მონაწილეობის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ხარვეზს კანონმდებლობაში . მსგავსი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებია: 45-ე მუხლი სავალდებულო დაცვის შესახებ, თუ ბრალდებული თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას და 189-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომ ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.

ამოცანების გადაჭრა:

პირველი ამოცანა: არსებობს თუ არა ზეპირი მოსმენის აუცილებლობა?

1. მე-10 და 182-ე მუხლის პირველი ნაწილების თანახმად სასამართლო სხდომა ტარდება ზეპირად. 295-ე მუხლის მე-7 ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სხდომა ზეპირი მოსმენის გარეშე შეიძლება მხოლოდ ნაკლებად მძიმე კატეგორიის საქმეებზე და სასჯელის შემცირებაზე საჩივრის განხილვისას. სხვა შემთხვევაში აუცილებელია ზეპირი მოსმენა.
2. მოცემულ საქმეზე სააპელაციო საჩივარი ეხება მძიმე დანაშაულის ბრალდებაში გამამართლებელი განაჩენის გაუქმების მოთხოვნას.
3. ორივე მოცემულობიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს ზეპირი მოსმენით.

მეორე ამოცანა: არის თუ არა გამართლებული ვალდებული გამოცხადდეს სააპელაციო სხდომაზე?

1. 188-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს: მხარე ვალდებულია დადგენილ დროს გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე.
2. მე-3 მუხლის მე-5 ნაწილში განმარტებულია ვინ არის მხარე. მხარე (ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი). გამართლებული პირი არის მხარე.
3. გამომდინარე ორივე მოცემულობიდან გამართლებული ვალდებულია გამოცხადდეს სააპელაციო სხდომაზე

მესამე ამოცანა: ითვალისწინებს თუ არა კანონი გამართლებულის იძულებით მოყვანას სააპელაციო სხდომაზე?

1. გამოცხადების სავალდებულოობის და იძულებით მიყვანის შესახებ 149-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, მიყვანა ხორციელდება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში ან სასამართლო სხდომაში მოწმის მონაწილეობა თუ იგი უარს ამბობს ნებაყოფლობით გამოცხადებაზე.
2. კანონმდებელი სასამართლო სხდომაზე იძულებით მიყვანის შესაძლებლობას ადგენს მოწმეზე. გამართლებული არ არის მოწმე და მასზე არ ვრცელდება მოცემული ნორმა. (argumentumekontrario)
3. გამომდინარე ორივე მოცემულობიდან არ შეიძლება გამართლებულის იძულებით მიყვანა. იძულება შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მეოთხე ამოცანა: როგორ უნდა წარიმართოს სააპელაციო სხდომა თუ არ ცხადდება გამართლებული და არც ადვოკატი ყავს აყვანილი?

1. 45-ე და 189-ე მუხლებიდან გამომდინარეობს, რომ ბრალდებულს სავალდებულო წესით უნდა დაენიშნოს ადვოკატი, როდესაც თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოებში ან სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას.
2. იმის გათვალისწინებით, რომ გამართლებულის სასამართლოში გამოუცხადებლობისას წარმოშობილ ურთიერთობებს ცალკე არ აწესრიგებს კანონმდებელი ამ შემთხვევაზე კანონის ანალოგიით გამოიყენება ყველაზე მსგავსი ნორმა, ბრალდებულის სასამართლოში გა-

მოუცხადებლობის შესახებ. მითუმეტეს რომ გამართლებულზე, განაჩენის დადგენამდე, როცა ის იყო ბრალდებული ისედაც ვრცელდებოდა 45-ე და 189-ე მუხლები.

3. გამომდინარე ორივე მოცემულობიდან სააპელაციო სასამართლომ გამართლებულს უნდა დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით.

საბოლოო პასუხი: ვინაიდან კანონი არ ითვალისწინებს გამართლებულის იძულებით მიყვანას, პროკურორის შუამდგომლობა ამის თაობაზე იყო უკანონო. უნდა დაინიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით და ისე წარიმართოს პროცესი.

5. კოლიზია

კოლიზია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს საპირისპირო შეხედულებათა შეჯახებას.[63] კოლიზიის დროს საპროცესო სამართალში ორი ან მეტი ნორმა საპროცესო ქმედებისათვის/ურთიერთობისათვის ადგენს განსხვავებულ წესს. ერთი და იგივე საკითხის მოწესრიგებას ითვალისწინებს რამოდენიმე ნორმა და მათი შინაარსი შეუსაბამოა ერთმანეთთან. ასეთი ნორმებიდან უპირატესის განსაზღვრა ხდება ამოცანების გადაჭრის ეტაპზე, პირველ დაშვებაში ნორმების განმარტებისას. კოლიზია საპროცესო კანონმდებლობაში გარდა გაუთვალისწინებლობით გამოწვეული შემთხვევებისა, შესაძლებელია გამოწვეული იყოს საგანგებოდაც, დადგენილი წესისაგან განსხვავებული, სპეციალური და საგამონაკლისო ნორმების შექმნით.

ზოგადის და სპეციალურის კოლიზიაა მაგალითად მე-2 მუხლის პირველ ნაწილსა და 329-ე მუხლის მესამე ნაწილს შორის. ისინი ადგენენ საპროცესო კანონის დროში მოქმედების განსხვავებულ წესს. პირველის თანახმად პროცესში გამოიყენება ის ნორმა, რომელიც მოქმედებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. მეორით კი დადგენილია სპეციალური წესი და მოქმედი კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ დევნის საქმეებზე პროცესში გამოიყენება უკვე გაუქმებული 1998 წლის საპროცესო კოდექსი. ზოგადისა და სპეციალურის კოლიზიისას უპი-

63 იხ: მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ბ. სულაკაურის გამომცემლობა, თბ.1999წ, გვ. 119

რატესია სპეციალური ნორმა, თუ ადგილი არა აქვს კოლიზიას განსხვავებული იერარქიის ნორმებს შორის.

საგამონაკლისო ნორმები წარმოადგენენ განსხვავებულ წესებს, ისინი აწესებენ გამონაკლისებს იმ წესებში, რომლებიც დადგენილია საერთო ან სპეციალური წესებით.[64] საგამონაკლისო ნორმების მიმართება საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი საპროცესო კოდექსში:

- პრეიუდიციის გამონაკლისი მტკიცებულებათა დაუშვებლობის ნორმასთან;
- თვითინკრიმინაციის გამონაკლისი მონმის ვალდებულებისაგან;
- საპატიო მიზეზის გამონაკლისი საპროცესო ვადების დარღვევის შედეგებთან;
- პატიმრობისა და დაკავების ვადების გამონაკლისი საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადის აღდგენასთან;
- სავალდებულო დაცვის გამონაკლისი საკუთარი თავის პირადად დაცვის უფლებასთან;
- სარევიზიო საწყისის გამონაკლისი საჩივრის ფარგლებით შეზღუდვასთან;
- მოწამლული ხის დოქტრინის გამონაკლისი მტკიცებულების დაუშვებლობასთან;
- გადაუდებელი აუცილებლობის გამონაკლისი თვითაცილების და ცალკეულ პირთა მოწვევის ვალდებულებასთან;
- გადაუდებელი აუცილებლობის გამონაკლისი განჩინებით მოქმედების ვალდებულებასთან;
- გადაუდებელი აუცილებლობის გამონაკლისი გადაუდებელი აუცილებლობით მოქმედებისას დადგენილების გამოტანის ვალდებულებასთან;
- გადაუდებელი აუცილებლობის გამონაკლისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის ვალდებულებისაგან;
- საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გამონაკლისი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე უფლების შეზღუდვის აკრძალვასთან.

64 იხ: გ. ინნკირველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 145.

საგამონაკლისო ნორმა ყოველთვის განსხვავებულია დადგენილი წესისაგან. თანაბარი იერარქიის ნორმებში მისი უპირატესობა იმანენტურია. საგამონაკლისო ნორმა შეიძლება ცალკე მუხლად არსებობდეს ან იმავე მუხლში ადგენდეს არსებულისაგან განსხვავებულ წესს. მაგალითად, 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 87-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 297-ე მუხლი მთლიანად. ეს საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია.

შედარებით რთულია უპირატესი ნორმის გამოკვეთა კანონმდებლის გაუთვალისწინებლობით წარმოშობილი კოლიზიის დროს. ასეთ შემთხვევაში არა გვაქვს საგამონაკლისოს ან ზოგადისა და სპეციალურის მიმართება. განსხვავებული იერარქიის შემთხვევაში უპირატესია მაღლა მდგომი ნორმა. თანაბარი იერარქიის შემთხვევაში კი უნდა გამოვიყენოთ უფრო ახალი ნორმა. მაგალითად, 197-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა მიმდინარეობს უწყვეტად. 213-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი თუ წინა სასამართლო სხდომამდე იხილება არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა და სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმება ნამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების შედეგად არის დადებული, იგი საქმეს ზემდგომ პროკურორს გადასცემს. ზემდგომი პროკურორი საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას აკისრებს სხვა პროკურორს. დავუშვათ, პირველი წარდგენის სხდომაზე პროკურორმა წარადგინა შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე და სასამართლომ საპროცესო შეთანხმება მიიჩნია მოტყუების და უკანონო დაპირების შედეგად დადებულად. როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს მოსამართლე? ერთი ნორმა ავალდებულებს გააგრძელოს პირველი წარდგენის სხდომა, რადგან ის უწყვეტი უნდა იყოს. მეორე კი ავალდებულებს საქმე ზემდგომ პროკურორს გადასცეს, რომელმაც უნდა შეცვალოს საქმის პროკურორი. ადგილი აქვს მათ შორის კოლიზიას და საკითხი უნდა მოწესრიგდეს იმ ნორმით, რომელიც გვიან შევიდა ძალაში. 197-ე მუხლი ძალაში შევიდა 2010 წლის პირველ ოქტომბერს. 213-ე მუხლის მე-5 ნაწილი კი 2014 წლის 24 ივლისს.

საქმე უნდა გადაეცეს ზემდგომ პროკურორს და პროცესში ჩაერთოს სხვა პროკურორი.

კოლიზიის დროს უპირატესი ნორმაა:

- მაღალი იერარქიის ნორმა;
- სპეციალური ან საგამონაკლისო ნორმა;
- ძალაში გვიან შესული (ახალი) ნორმა;
- თანაბარი იერარქიის და ძალაში ერთად შესვლისას ნაკლებშემზღუდველი ნორმა;

საპროცესო ნორმა შეიძლება კოლიზიაში აღმოჩნდეს კონსტიტუციურ ან კონვენციურ ნორმასთან. თუ მაღალი იერარქიის ნორმა თავად არ უშვებს გამონაკლისს მაშინ ის ყოველთვის უპირატესია საპროცესო ნორმასთან, მიუხედავად მისი ძალაში შესვლის დროისა. ოღონდ საერთაშორისო ხელშეკრულების შემთხვევაში ის თავად არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.

მაგალითი:

დაცვის მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება. მსჯავრდებულს ჰქონდა მისჯილი 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმის მიუხედავად რომ განაჩენის გამოტანის შემდეგ საჩივრის შეტანამდე კანონში შესული ცვლილებით ამ დანაშაულისათვის შემცირდა სასჯელი 10 წლამდე ვადით, დაცვის მხარე ითხოვდა მხოლოდ უდანაშაულოდ ცნობას. სააპელაციო სასამართლო არ გასცდა საჩივრის ფარგლებს, იმსჯელა მხოლოდ პირის ბრალეულობაზე და გამამტყუნებელი განაჩენი დატოვა ძალაში ისე რომ არ შეუმცირებია სასჯელი.

შეაფასეთ განაჩენის კანონიერება!

ფაქტების გამოკვეთა:

- პირველი ინსტანციის მიერ პირის დამნაშავედ ცნობა და 13 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება;
- განაჩენის დადგენის შემდგომ, გასაჩივრებამდე ახალი ცვლილებით ამ დანაშაულისათვის სასჯელის შემსუბუქება 10 წლამდე;
- დაცვის მხარის მიერ სააპელაციო საჩივრით მხოლოდ უდანაშაულოდ ცნობის მოთხოვნა;

- სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის ძალაში დატოვება და სასჯელის შეუმცირებლობა;

ამოცანების განსაზღვრა:

- შეუძლია თუ არა სააპელაციო სასამართლოს სასჯელის შემცირება კანონში შესული ცვლილებით განსაზღვრულ ვადამდე, როდესაც სააპელაციო საჩივარში ამას არ ითხოვს დაცვის მხარე?

სამუშაო გეგმა:

- საპროცესო ქმედების საფუძველი?
- საპროცესო ქმედების ვადები+
- საპროცესო ქმედებაზე უფლებამოსილი სუბიექტი+
- ქმედებაში მონაწილე სუბიექტები+
- ქმედების განხორციელების ზოგადი წესები+
- ქმედების განხორციელების სპეციალური წესები+

შესაფასებელი გვაქვს მხოლოდ პირველი ელემენტი, ქონდა თუ არა სასამართლოს კანონიერი საფუძველი შეემცირებინა მსჯავრდებულისთვის სასჯელი!

შესაბამისი ნორმების გამოკვეთა:

ამოცანით განსაზღვრული საკითხის გადასაჭრელად, შეეძლო თუ არა სააპელაციო სასამართლოს კანონში შესული ცვლილებით შემცირებული სასჯელის გამოყენება, პირველ რიგში ვეძებთ ნორმებს, რომლებიც ასეთ ცვლილებას ანიჭებს უკუძალას და ნორმებს რომლებიც ზღუდავს მოსამართლეს გამოიყენოს შემცირებული სასჯელი.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტში ვკითხულობთ:

კანონს თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას უკუძალა არა აქვს;

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლის პირველი ნაწილში ვკითხულობთ:

თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ კანონით დადგენილია უფრო მსუბუქი სასჯელი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ამ დამნაშავეზეც,

სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ:

სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის ზ ქვეპუნქტში, სააპელაციო განხილვის ფარგლების შესახებ ვკითხულობთ:

სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში.

უნდა მოვიძიოთ ის ნორმებიც, რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენების წესს, რადგან ერთეერთი გამოკვეთილი ნორმა ეკუთვნის საერთაშორისო ხელშეკრულებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან მიმართებით. იგივე სულისკვეთებას გამოხატავს ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილი.

ამოცანების გადაჭრა:

1.სისხლის სამართლის კოდექსის ნორმა შემამსუბუქებელი კანონის უკუძალაზე, კონსტიტუციური ნორმა შემამსუბუქებელი კანონის უკუძალაზე და სახელშეკრულებო ნორმა კანონის უკუძალაზე, სამივე ითვალისწინებს უკუძალის წესით სასჯელის შემსუბუქებას. სამივე ამ ნორმასთან კოლიზიაშია საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის ზ ქვეპუნქტი. სასამართლო შეზღუდულია საჩივრის ფარგლებით და ვერ შეამცირებს სასჯელს უკუძალის წესით თუ დაცვის მხარემ თავად არ მოითხოვა აღნიშნული. მოცემული საპროცესო ნორმა სისხლის სამართლებრივ ნორმასთან მიმართებაში უპირატესი ძალის მატარებელია, რადგან ორივე თანაბარი იერარქიის საკანონმდებლო აქტია და საპროცესო ნორმა მატერიალურ ნორმაზე გვიან შევიდა ძალაში .

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტით დადგენილი წესი, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ შემსუბუ-

ქებული სასჯელი ვრცელდება ამ დამნაშავეზეც, უპირობოდ გულისხმობს სასამართლოს მიერ ახალი კანონის უკუძალით გამოყენებას. შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების შესახებ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც. მართალია ევრო კონვენცია არ შეიცავს პირდაპირ მითითებას შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენებაზე, მაგრამ ევრო სასამართლოს დიდ პალატამ 2009 წლის 17 სექტემბერს კონვენციის მეშვიდე მუხლი განმარტა იმგვარად, რომ დაადგინა შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების აუცილებლობა.[65] საპროცესო წესი მოსამართლის საჩივრის ფარგლებით შეზღუდვის შესახებ ეწინააღმდეგება ორივე საერთაშორისო ხელშეკრულებას. საპროცესო კოდექსი და მოცემული ნორმები არათანაბარი იერარქიული ძალისაა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა. შესაბამისად გასარკვევი გვაქვს ეწინააღმდეგება თუ არა კონსტიტუციას მოცემული სახელშეკრულებო ნორმები.

საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს მიღებული გადაწყვეტილება საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის ზ ქვეპუნქტის იმ ნორმატიულ შინაარსზე, რომელიც ზღუდავს სასამართლოს გასცდეს საჩივრის ფარგლებს და მსჯავრდებულის მოთხოვნის არ არსებობის მიუხედავად გამოიყენოს ახალი კანონი სასჯელის შემცირების თაობაზე. თუმცა არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები ამ კუთხით სხვა საქმეებზე. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით:

„როდესაც ხდება ქმედების დეკრიმინალიზაცია ან სასჯელის შემსუბუქება საფუძველი ეცლება გარკვეული დროით ადრე ჩადენილი იმავე ქმედებისათვის პასუხისმგებლობის ან უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრებას".[66]

„კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც ბოჭავს მოსამართლეს, საქმეში არ გამოიყენოს და უგულებელყოს ფუნდამენტური და იმპერატიული პრინციპები იმ მიზეზით, რომ მხარეები არ

65 იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე, სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ. 17.09.2009წ

66 იხ: საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, ვალერიან

აპელირებენ მათზე, გამორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვის და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს,,[67] ამავე საქმეზე სასამართლო განმარტავს: ,,მოთხოვნა თანასწორი და შეჯიბრებითი სამართალწარმოების შესახებ არ მოითხოვს მოსამართლეების უგამონაკლისო და ბლანკეტურ ბოჭვას მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით, როდესაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს შემამსუბუქებელი კანონის გამოყენებას ან განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას.,, საქმე იმაშია, რომ არცერთ ამ საქმეში, არც სარჩელში და არც წარდგინებაში არ იყო მოთხოვნილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიეღო გადაწყვეტილება საჩივრის ფარგლებით შეზღუდვის იმ ნორმატიულ შინაარსზე, რომელიც ზღუდავს შემსუბუქებული სასჯელის უკუძალით გამოყენებას. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლო ვერ მიიღებდა რა გადაწყვეტილებას 297-ე მუხლის ამ კუთხით ანტიკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე, გააკეთა მხოლოდ განმარტება. მართალია, ეს შეზღუდვა წინააღმდეგობაშია კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან, მაგრამ ამ კუთხით არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და პრაქტიკაში სასამართლო ვერ დაარღვევს ამ შეზღუდვას მისი არაკონსტიტუციურობის მოტივით. თუმცა მოცემულ საქმეებში საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები ცხადყოფს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 15-ე მუხლი შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების შესახებ არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

2. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში დაცვის მხარეს არ მოუთხოვია სასჯელის შემცირება შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების მეშვეობით. ამ ფაქტის გამო სააპელაციო სასამართლო დაემორჩილა 297-ე მუხლის ზ ქვეპუნქტით

გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. საქმე N1/4/557,571,576. 13.11.20145

67 იხ: საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის ზ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. საქმე N3/1/608,609. 29.09.2015

დადგენილ წესს, არ გასცდა საჩივრის ფარგლებს და არ გამოიყენა შემცირებული სასჯელი უკუძალის პრინციპით.

3. გამომდინარე პირველი და მეორე მოცემულობიდან, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის უკანონო. ის დაეყრდნო საპროცესო კოდექსის ნორმას, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმას, რომელიც თავის მხრივ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან. სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლით და შეემცირებინა სასჯელი, იმის მიუხედავად, რომ დაცვის მხარეს არ მოუთხოვია სასჯელის შემცირება სააპელაციო საჩივარში.

კაზუსის ამოხსნის სქემები:

კაზუსის ამოხსნის საერთო სქემა:

1. **ფაბულის და შეკითხვის გააზრება;**
2. **ფაქტების გამოკვეთა;**
3. **ამოცანების განსაზღვრა;**
4. **სამუშაო გეგმის შედგენა (ქმედების კანონიერების საეჭვო კრიტერიუმების განსაზღვრა);**

4.1. ქმედების საფუძველი;
4.2. ქმედების ვადები;
4.3. ქმედების სუბიექტი;
4.4. ქმედებაში მონაწილე სუბიექტები;
4.5. ქმედების განხორციელების ზოგადი წესები;
4.6. ქმედების განხორციელების სპეციალური წესები;

5. **შესაბამისი ნორმების გამოკვეთა;**
6. **ამოცანების გადაჭრა:**

6.1. ნორმების განმარტება;
6.2. ქმედების (ფაქტების) შედარება ნორმასთან;
6.3. დასკვნა ქმედების კანონიერებაზე.

შუამდგომლობის და საჩივრის შეტანის კანონიერების შესახებ კაზუსის ამოხსნის სქემა:

1. **ფაბულის და შეკითხვის გააზრება;**
2. **ფაქტების გამოკვეთა;**
3. **ამოცანების განსაზღვრა;**
4. **სამუშაო გეგმა (საჩივრის/შუამდგომლობის შეტანის კანონიერების საეჭვო კრიტერიუმების განსაზღვრა)**

4.1. შუამდგომლობის და საჩივრის შეტანის საფუძველი;
4.2. შუამდგომლობის და საჩივრის შეტანის ვადები;
4.3. შუამდგომლობის/საჩივრის შემტანი და განმხილველი პირების უფლებამოსილება;
4.4. შუამდგომლობის და საჩივრის შეტანამდე კანონით განსაზღვრული პირების ჩართულობა;
4.5. შუამდგომლობის და საჩივრის განხილვის ზოგადი წესები;
4.6. შუამდგომლობისა და საჩივრის განხილვის სპეციალ-

ური წესები;
5. შესაბამისი ნორმების გამოკვეთა;
6. ამოცანების გადაჭრა:
6.1. ნორმების განმარტება;
6.2. შუამდგომლობის/საჩივრის შედარება ნორმებთან;
6.3. დასკვნა შუამდგომლობის/საჩივრის შეტანის კანონიერებაზე.

შუამდგომლობის და საჩივრის განხილვის კანონიერების შესახებ კაზუსის ამოხსნის სქემა:

1. ფაბულის და შეკითხვის გააზრება;
2. ფაქტების გამოკვეთა;
3. ამოცანების განსაზღვრა;
4. სამუშაო გეგმა (შუამდგომლობის და საჩივრის განხილვის კანონიერების საეჭვო კრიტერიუმების განსაზღვრა);
4.1. შუამდგომლობის და საჩივრის განხილვის საფუძველი (არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არის დარღვეული შუამდგომლობის და საჩივრის შეტანის კანონიერების არცერთი კრიტერიუმი. რომელიმეს დარღვევა ნიშნავს, რომ არ არსებობს საჩივრის/შუამდგომლობის განხილვის საფუძველი)
4.2. შუამდგომლობის/საჩივრის განხილვის ვადები;
4.3. შუამდგომლობის და საჩივრის განხილვის სუბიექტი (ამ ეტაპზე მოწმდება მხოლოდ მისი აცილების არსებობის საკითხი);
4.4. შუამდგომლობის/საჩივრის განხილვაში კანონით განსაზღვრული პირების მონაწილეობა;
4.5. შუამდგომლობის/საჩივრის განხილვის ზოგადი წესები;
4.6. შუამდგომლობის/საჩივრის განხილვის სპეციალური წესები;
5. შესაბამისი ნორმების გამოკვეთა;
6. ამოცანების გადაჭრა:
6.1. ნორმების განმარტება;
6.2. ფაქტების შედარება ნორმებთან;

6.3. დასკვნა შუამდგომლობის/საჩივრის განხილვის კანონიერებაზე.

მტკიცებულების შეფასებასთან დაკავშირებული კაზუსის ამოხსნის სქემა:

მტკიცებულების რელევანტურობის შესახებ კაზუსის ამოხსნის სქემა:

1. ფაბულის და შეკითხვის გააზრება
2. ფაქტების გამოკვეთა
3. რელევანტურობის შემოწმება (აკმაყოფილებს თუ არა მტკიცებულება რელევანტურობის რომელიმე კრიტერიუმს):

3.1. საქმესთან შემხებლობა;

3.2. საქმისათვის მნიშვნელობა:

3.2.1. ადასტურებს ან უარყოფს თუ არა ფაქტს ან ქმედებას, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი;

3.2.2. ადასტურებს ან უარყოფს თუ არა, რომ ბრალდებულმა ნამდვილად ჩაიდინა მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედება;

3.2.3. ადასტურებს ან უარყოფს თუ არა ბრალდებულის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის და ბრალის საკითხებს;

3.2.4. ახდენს თუ არა გავლენას ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე;

3.2.5. ახასიათებს თუ არა ბრალდებულის პიროვნებას;

3.2.6. მისი მეშვეობით მხარეები ადასტურებენ ან უარყოფენ თუ არა სხვა ფაქტებს, რომლებიც არ უკავშირდება ბრალეულობის შემოწმებას და სასჯელს, მაგრამ გამოიყენება საპროცესო გადაწყვეტილებების მისაღებად;

4. დასკვნა მტკიცებულების რელევანტურობაზე.

მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ კაზუსის ამოხსნის სქემა:

1. ფაბულის და შეკითხვის გააზრება;
2. ფაქტების გამოკვეთა;
3. ამოცანების განსაზღვრა;
4. გეგმის შედგენა (დასაშვებობის საეჭვო კრიტერიუმების განსაზღვრა):

4.1. მტკიცებულებასთან დაკავშირებული საპროცესო ქმედების საფუძველი;

4.2. მტკიცებულებასთან დაკავშირებული საპროცესო ქმედების ვადები;

4.3. მტკიცებულებასთან დაკავშირებული საპროცესო ქმედების სუბიექტი;

4.4. მტკიცებულებასთან დაკავშირებულ საპროცესო ქმედებაში მონაწილე სუბიექტები;

4.5. მტკიცებულებასთან დაკავშირებული საპროცესო ქმედების განხორციელების ზოგადი წესები

4.6. მტკიცებულებასთან დაკავშირებული საპროცესო ქმედების განხორციელების სპეციალური წესები;

5. შესაბამისი ნორმების გამოკვეთა (წესები, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს მტკიცებულების მოპოვებას, დამაგრებას, შენახვას, გაცვლას, წარდგენასა და გამოკვლევას;
6. ამოცანების გადაჭრა:

6.1. მტკიცებულების დასაშვებობასთან დაკავშირებული ნორმების განმარტება;

6.2. ფაქტობრივი გარემოებების შედარება ნორმებთან;

6.3. დასკვნა მტკიცებულების დასაშვებობაზე.

მტკიცებულების უტყუარობასთან დაკავშირებული კაზუსის ამოხსნის სქემა:

1. ფაბულის და შკითხვის გააზრება
2. ფაქტების გამოკვეთა;
3. ამოცანების განსაზღვრა;
4. გეგმის შედგენა (მტკიცებულების უტყუარობა შეიძლება საეჭვო იყოს მისი დამაგრების, შენახვის, გამოკვლევის წესების დარღვევის ან მოპოვებამდელი გარემოებების გამო. თუ მტკიცებულების უტყუარობა უკავშირდება კანონით დადგენილი წესების დარღვევას, მაშინ გეგმაში უნდა მოვნიშნოთ ყველა საეჭვო კრიტერიუმი:

4.1. საფუძველი;
4.2. ვადები;
4.3. ქმედების სუბიექტი;
4.4. ქმედებაში მონაწილე სუბიექტები;
4.5. ქმედების ზოგადი წესები;
4.6. ქმედების სპეციალური წესები

თუ ეჭვი მტკიცებულების უტყუარობაზე გამოწვეულია მისი მოპოვებამდელი გარემოებებით, მაშინ გეგმაში უნდა განისაზღვროს მტკიცებულების ტიპი, რომლის უტყუარობაც უნდა შემოწმდეს:

- ზეპირი;
- ნივთიერი;
- დოკუმენტური.

5. შესაბამისი ნორმების გამოკვეთა;
6. ამოცანების გადაჭრა:

6.1. ნორმების განმარტება და იმ მიზეზთა განსაზღვრება, როდის არის საეჭვო კონკრეტული სახის მტკიცებულებების უტყუარობა.
6.2. მტკიცებულებისა და ფაქტობრივი გარემოებების შედარება ნორმებისა და მტკიცებულების საეჭვოობის განსაზღვრებებთან;
6.3. დასკვნა მტკიცებულების უტყუარობაზე.

მტკიცებულების დამაჯერებლობის შესახებ კაზუსის ამოხსნის სქემა:

1. ფაბულის და შეკითხვის გააზრება;
2. ფაქტების გამოკვეთა;
3. ამოცანების განსაზღვრა:

3.1. ადგენს თუ არა მტკიცებულება დამაჯერებლად (გონივრულ ეჭვს მიღმა) მტკიცების საგანში იმ ფაქტს, რომლის დასადგენადაც არის წარდგენილი;

3.2. ადგენს თუ არა მტკიცებულებათა ერთობლიობა დამაჯერებლად (გონივრულ ეჭვს მიღმა) პირის ბრალეულობას;

4. სამუშაო გეგმა:

4.1. მოწმდება მხოლოდ საპროცესო ქმედების საფუძველი, არსებობდა თუ არა მტკიცებულების გამოყენებისათვის მისი დამაჯერებლობა;

5. დამაჯერებლობის შესახებ ნორმების გამოკვეთა;
6. ამოცანების გადაჭრა:

6.1. ნორმების განმარტება და კონკრეტული სახის მტკიცებულების დამაჯერებლობის განმარტება;

6.2. მტკიცებულებისა და ფაქტობრივი გარემოებების შედარება ნორმისა და დამაჯრებლობის განმარტებებთან;

6.3. დასკვნა მტკიცებულების დამაჯერებლობაზე.

კაზუსები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

კაზუსი N1

გამომძიებელმა საარჩევნო კომისიიდან ამოიღო კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, მისი გაყალბების შესახებ დაწყებული გამოძიების ფარგლებში. გამომძიებელმა ჩათვალა, რომ ამოღება განხორციელდა დოკუმენტის შინაარსის გამო და არ მოუხდენია მისი დალუქვა. წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტი ხასიათდებოდა შეუნაცვლებლობის თვისებით, წარმოადგენდა ნივთიერ მტკიცებულებას და ვინაიდან ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს წარმოდგენილი შემაჯამებელი ოქმი სცნო დაუშვებელ მტკიცებულებად. განჩინება გაასაჩივრა პროკურორმა. საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ მტკიცებულება დატოვა დაუშვებლად, თუმცა იმ მოტივით, რომ უარყოფილი არ იყო გონივრული ეჭვის დოკუმენტის ნიშან თვისებების არსებითი შეცვლის შესახებ.

შეაფასეთ ორივე განჩინების კანონიერება!

კაზუსი N2

ნოზაძემ ვალუტის გადამცვლელ პუნქტთან დაინახა როგორ ამოუვარდა მისთვის უცნობ პირს ჯიბიდან თანხა. მას შემდეგ, რაც ეს პირი გაშორდა მიმდებარე ტერიტორიას, ნოზაძემ გზის სავალი ნაწილიდან აიღო და მიისაკუთრა აღნიშნული თანხა. თანხის ოდენობა შეადგენდა 100 აშშ დოლარს. აღნიშნულთან დაკავშირებით ნოზაძეს წარედგინა ბრალდება ქურდობისათვის, რაზეც მოგვიანებით გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება. ხუთი დღის შემდეგ ნოზაძის ადვოკატისთვის ცნობილი გახდა, რომ მისი კოლეგა ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ ანალოგიურ საქმეზე არსებითი განხილვის შედეგად ქმედების შემადგენლობის არ არსებობის მოტივით დადგა გამამართლებელი განაჩენი. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებიდან ორი კვირის შმდეგ ნოზაძემ და მისმა ადვოკატმა შეიტანეს საჩივარი განაჩენის გაუქმების მოთხოვნით იმ მოტივით, რომ არ არსებობდა და-

ნაშაული და არ უნდა დამტკიცებულიყო საპროცესო შეთანხმება. სააპელაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა. უარი გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც დააკმაყოფილა საჩივარი.

შეაფასეთ სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება იმის გათვალისწინებით, რომ განსხვავებით პირველი ინსტანციისგან სააპელაციო სასამართლომ ამ ქმედებაში დაინახა არა ქურდობის არამედ თვითნებობის დანაშაულის შემადგენლობა.

კაზუსი N3

პოლიციის რიგითი მამულაძე, ღამით მორიგეობისას, შეესწრო მკვლელობის მცდელობის ფაქტს და განახორციელა დამნაშავის დაკავება. მამულაძემ იქვე გადაუდებელი აუცილებლობით დაკავებულის პირადი ჩხრეკით ამოიღო დანაშაულის იარაღი. დაკავების ოქმის შედგენა და მტკიცებულების დამაგრება მოხდა პოლიციის განყოფილებაში. წინა სასამართლო სხდომაზე ადვოკატი განმარტავდა, რომ მამულაძე არ იყო გამომძიებელი და მას არ ჰქონდა ჩხრეკის უფლება.

შეაფასეთ განხორციელებული დაკავებისა და მოპოვებული მტკიცებულების კანონიერება!

კაზუსი N4

ტერორისტული ჯგუფის წევრების საცხოვრებელ სახლში გადაწყდა ჩხრეკის ჩატარება გადაუდებელი აუცილებლობით კანონის შესაბამისად. ჩხრეკის დაწყებისთანავე სამართალდამცავებს დამნაშავეებმა გაუწიეს შეიარაღებული წინააღმდეგობა. სპეცოპერაცია გაგრძელდა რამოდენიმე დღის განმავლობაში. სახლში შესვლიდან 12 საათის შემდეგ პროკურორმა ჩხრეკის კანონიერად ცნობაზე მიმართა შუამდგომლობით მოსამართლეს საგამოძიებო მოქმედების ადგილის მიხედვით. მოსამართლემ იმ მოტივით, რომ საგამოძიებო მოქმედება ჯერ არ იყო დასრულებული შუამდგომლობა დატოვა განუხილველად. აღნიშნული პროკურორმა გაასაჩივრა საგამოძიებო კოლეგიაში.

შეაფასეთ შუამდგომლობის, განჩინების და საჩივრის კანონიერება!

კაზუსი N5

ადვოკატმა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის შემდგომ, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე მოსამართლეს წარუდგინა შუამდგომლობა პროკურორის აცილების თაობაზე იმ მოტივით, რომ ბრალდებული, მიუხედავად მის მიმართ საფრთხის არსებობისა არ ჩართო დაცვის სპეციალურ პროგრამაში. შუამდგომლობას თან ერთვოდა მასალები პროკურორის მიერ საფრთხის ინფორმირებულობის თაობაზე. მოსამართლე დარწმუნდა რა ადვოკატის პოზიციის მართებულობაში განახორციელა პროკურორის აცილება.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N6

მაგისტრატ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა პატიმრობაზე და ბრალდებულს განუსაზღვრა გირაო 50000 ლარის ოდენობით. განჩინება გაასაჩივრა პროკურორმა და მოითხოვა გირაოს პატიმრობით შეცვლა. დაცვის მხარე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა სხდომაზე, კოლეგიამ საჩივარი განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და არ დააკმაყოფილა მოთხოვნა პატიმრობაზე, თუმცა გაზარდა გირაოს ოდენობა.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N7

არსებითი განხილვის დროს, გამომძიებლის დაკითხვისას ცნობილი გახდა, რომ მას არ ჰქონდა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ცნობილი გახდა ასევე, რომ მან გადაუდებლად შემთხვევის ადგილზე გასვლისას არ იცოდა სავარაუდო დამნაშავის არასრულწლოვანების შესახებ და ისე განახორციელა მისი დაკავება და პირადი ჩხ-

რეკა გადაუდებელი აუცილებლობით. ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა ამ გამომძიებლის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობაზე. შუამდგომლობა მოსამართლემ განუხილველად დატოვა.

შეაფასეთ ადვოკატის შუამდგომლობის კანონიერება!

კაზუსი N8

პროკურორმა იმ მოტივით, რომ ვერ შეიკრიბებოდა პირის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისი მტკიცებულებები უარი თქვა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე, თუმცა საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარისი იყო დევნის დასაწყებად. მიუხედავად პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისა შემდგომში გამოიკვეთა ამ პირის მსჯავრდებისათვის საკმარისი მტკიცებულებები, რომელთა შესახებ ინფორმაცია დევნაზე უარის თქმისას ობიექტურად შეუძლებელი იყო სცოდნოდა გამოძიებას. ამ მტკიცებულებების მოპოვებისთანავე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. დაცვის მხარემ მიმართა სასამართლოს საჩივრით და დევნის დაწყების გაჭიანურების მოტივით მოითხოვა ყველა შემდგომში მოპოვებული ინფორმაციის დაუშვებლად ცნობა.

შეაფასეთ დევნის დაწყებაზე პროკურორის უარის, დევნის დაწყებაზე დადგენილებისა და დაცვის მხარის საჩივრის კანონიერება!

კაზუსი N9

მკვლელობაში ბრალდებულმა, რომელიც რეალურად მოქმედებდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებში, კანონის დარღვევით მოიპოვა კადრები, რომელშიც ჩანს, რომ ის ახორციელებდა მასზე განხორციელებული თავდასხმის მოგერიებას. წინა სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ დაუშვებლად ცნო ეს ინფორმაცია. სამაგიეროდ მოსამართლემ დასაშვებად ცნო ბრალდებულის ერთ-ერთი მეგობრის გამოკითხვის ოქმი, რომელმაც უყურა ბრალდებულის მიერ მოპოვებულ ვიდეო მასალას და მის საფუძველზე იძლეოდა

ჩვენებას, რომ ბრალდებული მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N10

პოლიციის მიერ პირადი ჩხრეკის ჩასატარებლად შეჩერებულ იქნა მოქალაქე მ.მ. პირმა მოითხოვა ადვოკატის დასწრება ჩხრეკაზე, რაც არ დაკმაყოფილდა და ჩხრეკა ჩატარდა ადვოკატის გარეშე . მოსამართლის განმარტებით საგამოძიებო მოქმედება წარიმართა კანონიერად, რადგან მ.მ. მოცემულ მომენტში არ იყო ბრალდებული.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N11

ვასაძემ, რომელსაც გაქირავებული ჰქონდა საცხოვრებელი სახლი უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, მათ მიმართ დაწყებული გამოძიების ფარგლებში განაცხადა თანხმობა გაქირავებული სახლის ჩხრეკაზე. განჩინების გარეშე ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება და დოკუმენტური მტკიცებულებების სახით ამოღებული იქნა სხვადასხვა დოკუმენტაცია. ამოღებული დოკუმენტაცია არ დალუქულა. შედგა ჩხრეკის ოქმი, რომელსაც ხელს აწერდა გამომძიებელი და ჩხრეკაში მონაწილე ვასაძე.

შეაფასეთ მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა!

კაზუსი N12

გამოძიების სტადიაზე მაგისტრი მოსამართლის მიერ გაცემულ იქნა განჩინება ბრალდების მხარის მიერ კომპიუტერული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე (136-ე მუხლი). განჩინებით ბრალდების მხარეს მიეცა უფლება ბრალდებულის სახლში არსებული კომპიუტერიდან ინფორმაციის მოპოვების თაობაზე. იმის გამო, რომ ინფორმაციას სხვაგვარად ვერ მოიპოვებდნენ გამომძიებელმა ჩხრეკის შედეგად ამოიღო კომპიუტერი.

შეაფასეთ განჩინების და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერება!

კაზუსი N13

განჩინების საფუძველზე პირადი ჩხრეკის ჩატარების მიზნით შეჩერებულ პირმა პატრულ ინსპექტორს ნებაყოფლობით წარუდგინა ნივთი. ვინაიდან არ დაწყებულა ჩხრეკა პოლიციელმა შეადგინა დათვალიერებით ამოღების ოქმი.

შეაფასეთ განხორციელებული ქმედებების კანონიერება!

კაზუსი N14

პირადი ჩხრეკის მიზნით შეჩერებულ პირმა გადააგდო ნივთი და მიიმალა. გამომძიებელმა ჩათვალა, რომ პირადი ჩხრეკა გადაიზარდა დათვალიერებაში, ჩაატარა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ამოიღო ნივთი და განახორციელა კანონით გათვალისწინებული სხვა პროცედურები.

შეაფასეთ მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა!

კაზუსი N15

საბანკო დაწესებულებაში განხორციელებული ყაჩაღობის ფაქტზე გამომძიებელი დაედევნა ტურაშვილს. ამ უკანასკნელმა დევნისას იარაღი და ნიღაბი, რომელიც ეკეთა თავდასხმის დროს მოისროლა ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ეზოში. გამომძიებელმა გადაუდებელი აუცილებლობით დადგენილების გარეშე ჩაატარა შემთხვევის ადგილის დათვალიერება.

შეაფასეთ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერება და ამოღებული მტკიცებულებების დასაშვებობა!

კაზუსი N16

არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდების მოწმემ განაცხადა, რომ თავის ბინიდან დაინახა, როგორ ესროლა ბრალ-

დებულმა გარდაცვლილს. ადვოკატის განმარტებით შეუძლებელი იყო მოწმეს თავის ბინიდან დასახელებულ ლოკაციაზე დაენახა გასროლის ფაქტი და დააყენა შუამდგომლობა გასულიყვნენ აღნიშნულ ადგილას. მოსამართლემ შუამდგომლობა განუხილველად დატოვა იმ მოტივით, რომ მსგავს შუამდგომლობას კოდექსი არ ითვალისწინებსო და განუმარტა დაცვის მხარეს, რომ ამაზე გამოძიების სტადიაზე უნდა ჩაეტარებინათ საგამოძიებო ექსპერიმენტი.

შეაფასეთ მოსამართლის ქმედების კანონიერება!

კაზუსი N17

ბრალდებული იმყოფებოდა რა მიმალვაში, მისი ამოცნობა გამომძიებელმა ჩაატარა ფოტოსურათით. ამომცნობმა ბრალდებული ვერ ამოიცნო. არსებითი განხილვის ეტაპზე მოხდა ბრალდებულის დაკავება , რის შემდეგაც, მისივე თანხმობით, სხვა პირებთან ერთად წარედგინა ამომცნობს. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ პირველი ამოცნობისას წარდგენილ ფოტოსურათებში გამოსახული პირებიდან მეორე ამოცნობაზე მხოლოდ ბრალდებული იყო წარდგენილი სხვა პირებთან ერთად მოწმემ შეძლო მისი ამოცნობა.

შეაფასეთ მოცემული ამოცნობის ოქმის დასაშვებობა და დამაჯერებლობა!

კაზუსი N18

მეუღლის მიმართ ძალადობის ფაქტზე ბრალდებულის ადვოკატმა დაზარალებული მისივე თანხმობით მიიყვანა ნოტარიუსთან და შედგა დოკუმენტი, რომელშიც დაზარალებული აცხადებდა, რომ შეურიგდა ბრალდებულს და აპირებდა მომავალში მასთან თანაცხოვრებას. ნინასასამართლო სხდომაზე ადვოკატმა ეს დოკუმენტი წარადგინა მტკიცებულებად და მოწმედ დასაკითხ პირთა სიაში მიუთითა ნოტარიუსი.

შეაფასეთ მოცემული დოკუმენტის რელევანტურობა და დასაშვებობა!

კაზუსი N19

წინასასამართლო სხდომაზე პროკურორმა სხვა მტკიცებულებებთან ერთად წარადგინა ექსპერტის დასკვნაც. ექსპერტი ამ დროისათვის გარდაცვლილი იყო და პროკურორმა მოწმედ დასაკითხ პირთა სიაში მიუთითა გამომძიებელი, რომელთანაც ინახებოდა ეს დასკვნა. მოსამართლემ მტკიცებულება დასაშვებად ცნო. გამომძიებელმა დაკითხვისას უპასუხა თუ როდის, ვის მიერ და რის შესახებ დაინიშნა ექსპერტიზა, თუმცა ვერაფერი თქვა შინაარსის შესახებ დასმულ შეკითხვებზე.

შეაფასეთ მოცემული დასკვნის დასაშვებობა და უტყუარობა!

კაზუსი N20

სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში პროკურორის შუამდგომლობით მოსამართლემ გასცა განჩინება 136-ე მუხლით გათვალისწინებული კომპიუტერული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე. ბრალდების მხარეს მიეცა უფლება მუქარის შემცველი სმს შეტყობინებების მოპოვებაზე სავარაუდო დამნაშავის მობილური ტელეფონიდან. ადვოკატმა წინასასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად მხოლოდ კომპიუტერული საგამოძიებო მოქმედება არ იყო საკმარისი, ასევე განმარტა, რომ ინფორმაცია წარმოადგენდა შინაარსობრივ მონაცემს და უნდა ჩატარებულიყო 138-ე მუხლით დადგენილი პროცედურა.

შეაფასეთ გამოტანილი განჩინების კანონიერება!

კაზუსი N21

წინასასამართლო სხდომაზე პროკურორმა სხვა მტკიცებულებებთან ერთად წარადგინა ჩხრეკის ოქმი და მოწმედ დასაკითხ პირთა სიაში მიუთითა გამომძიებელი, ვინც ჩაატარა ჩხრეკა. მოსამართლემ აღნიშნული ოქმი არ დაუშვა მტკიცებულებად იმ მოტივით, რომ გამომძიებელი უნდა გამოკითხულიყო გამოძიების სტადიაზე და გადასცემოდა გამოკითხვის

ოქმის ასლი დაცვის მხარეს. აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა პროკურორმა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, კოლეგიამ პროკურორის მონაწილეობით განიხილა საჩივარი და დააკმაყოფილა.

შეაფასეთ გამოტანილი განჩინებების კანონიერება!

კაზუსი N22

პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა ერთ-ერთი სავაჭრო ობიექტის მენეჯერი და წარადგინა მათ ობიექტზე განხორციელებული ქურდობის ამსახველი კადრები ჩაწერილი მეხსიერების ბარათზე. გამომძიებელმა შეადგინა მტკიცებულების დათვალიერების ოქმი და ამოიღო მეხსიერების ბარათი. ბარათი არ დალუქულა, არც შეფუთულა და დაერთო საქმეს. გამოკითხულ იქნა ასევე მენეჯერიც და შედგა გამოკითხვის ოქმი. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე გაგრძელდა გამოძიება სსკს 177-ე მუხლის პირველი ნაწილით. პროკურორმა მოცემული ინფორმაცია დაურთო შუამდგომლობას და მიმართა სასამართლოს განჩინების გასაცემად, რომ 136-ე მუხლის წესით გამოეყენებინა მეხსიერების ბარათზე არსებული ინფორმაცია. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N23

უცხო ქვეყნის კონსულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკაზე ქალაქ თბილისში, ამავე ქვეყნის ელჩის მიერ გაცემულ იქნა ნებართვა. მოგვიანებით ამ პირს მოეხსნა იმუნიტეტი და მის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა. 31 ოქტომბერს, წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ ჩხრეკის ოქმი და ამოღებული მტკიცებულება ცნო დაუშვებლად. განჩინებას მოსამართლე ასაბუთებდა იმ გარემოებით, რომ სასამართლოს გვერდის ავლით მოქმედი კონსულის საცხოვრებლის ჩხრეკისთვის არ იყო საკმარისი მხოლოდ ელჩის თანხმობა. განჩინება 5 ნოემბერს პროკურორმა გაასაჩივრა სააპე-

ლაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომელმაც საჩივარი განიხილა პროკურორის მონაწილეობით და არ დააკმაყოფილა.

შეაფასეთ ორივე განჩინების კანონიერება!

კაზუსი N24

წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის მტკიცებულებებიდან ნათელი გახდა, რომ ბრალდებულმა განახორციელა მკვლელობის მცდელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება. ამასთან ბრალდების მხარის მტკიცებულებების არასაკმარისობის მოტივით მოსამართლემ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა. იმავე განჩინებით ბრალდებულს ჩამოერთვა საქმეში არსებული იარაღი, რომელის შენახვისა და ტარების უფლებაც ჰქონდა მას და გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

შეაფასეთ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება!

კაზუსი N25

2017 წლის 28 იანვარს, დასკვნითი სიტყვების ეტაპზე განახლდა სააპელაციო სხდომა. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ვიდეო მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე. დაცვის მხარის განმარტებით მანამდე ვერ დააყენებდნენ ასეთ შუამდგომლობას. წერილობითი შუამდგომლობით და თანდართული მასალებით დასტურდებოდა, რომ რეალურად არსებობდა ასეთი მტკიცებულება და ეს იცოდა დაცვის მხარემ მანამდეც. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, გადადო სხდომა და მომდევნო სხდომაზე წარმოდგენილი ვიდეო მტკიცებულების საფუძველზე გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი ისე, რომ მანამდე პროკურორსაც მისცა დამატებითი დრო მტკიცებულების შესასწავლად.

შეაფასეთ განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N26

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ნაქირავები სახლიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა სხვადასხვა დროს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთები. ნივთები დათვალიერდა, აღიწერა მათი ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები და დაილუქა. გამომძიებელმა მოხსნა ლუქი და პოლიციის განყოფილებაში ჩაატარა ნივთების განმეორებით დათვალიერება. დათვალიერებაში მონაწილე დაზარალებულებმა მიუთითეს თავიანთ ნივთებზე. აღნიშნულის შემდგომ ნივთები ისევ დაილუქა მათ თვალწინ და შედგა განმეორებით დათვალიერების ფაქტზე დათვალიერების ოქმი. ჩხრეკის ოქმის, ამოღებული ნივთების, დაზარალებულთა ჩვენებისა და დათვალიერების ოქმის საფუძველზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

შეაფასეთ განაჩენის კანონიერება და დასაბუთებულობა!

კაზუსი N27

მხარეთა მიერ მტკიცებულებების გაცვლის ეტაპზე ბრალდების მხარეს დაცვის მხარისათვის მოთხოვნის მიუხედავად არ გადაუცია მაგისტრატი მოსამართლის განჩინება, რომლითაც ცნობილ იქნა კანონიერად გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა. აღნიშნული ფაქტი არ მიიჩნია რაიმე სამართლებრივი შედეგების გამომწვევად წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის მოსამართლემ. დაცვის მხარემ გაასაჩივრა აპელაციაში გამამტყუნებელი განაჩენი და მოითხოვდა მის გადასინჯვას იმ მოტივით, რომ განჩინება დაუშვებლად უნდა ეცნო სასამართლოს და პროკურორი დაუშვებელი განჩინებით ვეღარ დაასაბუთებდა, რომ იშუამდგომლა და კანონიერად იქნა ცნობილი ჩხრეკა გადაუდებელი აუცილებლობით. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საჩივარი, გვერდი აუარა განჩინებას და ჩხრეკის ოქმის დაუშვებლობის მოტივით და ვინაიდან სხვა სამხილებით ვერ იქმნებოდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი, გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

შეაფასეთ არის თუ არა ეს განჩინება რელევანტური მტკი-

ცებულება, ჰქონდა თუ არა დაცვის მხარეს მტკიცებულების დაშვების გამო სააპელაციო საჩივრის შეტანისა და განაჩენის გაუქმების მოთხოვნის უფლება, ასევე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N28

2018 წლის 20 იანვარს პოლიციის მთავარ სამმართველოში 10:00 საათზე გამოცხადდა პირი და წარადგინა დისკზე ჩაწერილი მკვლელობის მცდელობის ამსახველი ვიდეო მასალა. შედგა გამოძიების აღრიცხვის ბარათი, გამომძიებელმა გამოკითხა პირი, უყურა ვიდეო მასალას და ჩაატარა წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულების ამოღება. აღნიშნული პირის ჩვენება იყო პირდაპირი მტკიცებულება და კადრებიც უშუალოდ მის მიერ იყო გადაღებული. მოწმე ასახელებდა დამნაშავის სახელ გვარს და მისამართს. განხორციელდა დამნაშავის დაკავება. ვიდეომასალაში ჩანდა სხვა თვითმხილველი პირიც, რის საფუძველზეც მოხდა მისი გამოკითხვა. ამ უკანასკნელის ჩვენებით კი აღმოჩენილ იქნა დანაშაულის საგანი.

შეაფასეთ ვიდეო მასალის, მეორე მოწმის ჩვენებისა და ამოღებული დანაშაულის იარაღის დასაშვებობა!

კაზუსი N29

საქართველოში ერთ-ერთი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლის სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაიწყო გამოძიება სსკის 326-ე მუხლის პირველი ნაწილით, საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა. გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა შედეგად დაკავებულ იქნა სავარაუდო დამნაშავე. იმავე დღეს დაკავებულ პირს თბილისის საქალაქო სასამართლომ შეუფარდა პატიმრობა. დამატებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გაირკვა, რომ ადგილი ჰქონდა სხვისი ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანებას. სუსის გამოძიებაზე ზედამხედველ პროკურორმა აღარ გან-

ეკუთვნებოდა რა საქმე მათ საგნობრივ განსჯადობას, საქმე გადასცა შსს რუსთავის პოლიციის სამმართველოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მოხდა ნივთის დაზიანება. ნინა სასამართლო სხდომის გამართვამდე ექვსი დღით ადრე საქმის ახალმა პროკურორმა საპროცესო შეთანხმებაზე შუამდგომლობით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საქმე არ იყო მათი განსჯადი და განჩინებით საქმე გადასცა თბილისის საქალაქო სასამართლოს. თავის მხრივ, თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების თაობაზე გამოძიების სტადიაზე განიხილავს სასამართლო გამოძიების დამთავრების ადგილის მიხედვით და განჩინებით დააბრუნა უკან რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

შეაფასეთ მოცემულ განჩინებათა კანონიერება!

კაზუსი N30

ქალაქ რუსთავში მცხოვრებ პირმა, თითქოსდა ელექტრონული შესყიდვებით უზრუნველყოფდა მოქალაქეებისათვის შეძენილი ნივთების მიწოდებას, თაღლითურად გადაარიცხინა გარკვეული ოდენობის თანხა ბათუმსა და ქუთაისში მცხოვრებ პირებს. დაზარალებულებმა დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ განაცხადეს ბათუმსა და ქუთაისში პოლიციის განყოფილებებში. ორივე ლოკაციაზე დაიწყო გამოძიება თაღლითობის ფაქტზე და მიმართეს სასამართლოებს აღნიშნული პირის დაკავების, მისი მობილური ტელეფონის და პერსონალური კომპიუტერის ამოღებაზე განჩინების მისაღებად. ორივე მოსამართლემ გაუგზავნა დავალება რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოთხოვნილი საპროცესო ქმედებების ჩატარების უზრუნველსაყოფად. რუსთავის საქალაქო სასამართლომ განჩინების აღსრულება დაავალა რუსთავის პოლიციის მთავარ სამმართველოს. მოცემული სამმართველოს გამოძიებაზე ზედამხედველ პროკურორმა გააერთიანა ბათუმსა და ქუთაისში წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები და დაიქვემდებარა შემდგომი წარმოებისათვის.

შეაფასეთ მოცემული საქმეების ტერიტორიული განსჯადობა და პროკურორის დადგენილების კანონიერება!

კაზუსი N31

მკვლელობის საქმეზე მონმეთა გამოკითხვისას ცნობილი გახდა, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინახებოდა დ.მ.ს პერსონალურ კომპიუტერში. ერთ-ერთი მოწმე წარსულში ნასამართლევი იყო გამოძიების მონაცემების გახმაურებისთვის, ერთერთსაც კი ახლო ურთიერთობები გააჩნდა დ.მ.სთან. გამომძიებელმა გადაუდებელი აუცილებლობით ჩაატარა ჩხრეკა და ამოიღო დ.მ.ს პერსონალური კომპიუტერი. აღნიშნულის შემდგომ პროკურორმა დააყენა მხოლოდ ერთი შუამდგომლობა, გაეცა მოსამართლეს განჩინება ამოღებული კომპიუტერიდან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

შეაფასეთ ჩატარებული ჩხრეკისა და განჩინების კანონიერება!

კაზუსი N32

2020 წლის პირველ სექტემბერს ადვოკატი დაუკავშირდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწეს და აცნობა, რომ 15:00 საათზე ჩანიშნულ არსებითი განხილვის სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა, რადგან 15:30 საათზე ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში ჰქონდა არსებითი განხილვა, რომელიც მისი შუამდგომლობით უკვე რამოდენიმეჯერ იყო გადადებული. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გადადო საქმის განხილვა და მომდევნო სხდომაზე ადვოკატის წარმოდგენილი მტკიცებულებით მისი გამოუცხადებლობა საპატიოდ მიიჩნია.

კანონიერად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

კაზუსი N33

დ.ბ. გამოცხადდა გამომძიებლის დაბარებით პოლიციის განყოფილებაში და განაცხადა თანხმობა მიეღო მონაწილეობა ამოცნობაში. მას შემდეგ, რაც ამომცნობი შევიდა გა-

მომძიებლის კაბინეტში ამოსაცნობად, დ.ბ.მ განაცხადა, რომ აღარ სურდა ამოცნობაში მონაწილეობა. გამომძიებლის განმარტებით მას უარის თქმის უფლება აღარ ჰქონდა და ამომცნობის განმარტებით ის პირი, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების შემდგომ გაიქცა იყო დ.ბ. აღნიშნულის საფუძველზე განხორციელდა დ.ბ.ს დაკავება, შედგა დაკავებისა და ამოცნობის ოქმები.

შეაფასეთ დაკავებისა და ამოცნობის კანონიერება.

კაზუსი N34

გამოძიების პროცესში გაჩნდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული ქმედების ჩადენის მომენტში იმყოფებოდა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (აფექტი), რის დასადგენადაც პროკურორმა გამოიტანა დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ბრალდებულმა უარი განაცხადა გამოკვლევაზე. პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლის განჩინებით ბრალდებული იძულებით იქნა მიყვანილი ექსპერტთან. ექსპერტიზით დადასტურდა არსებული ეჭვი.

შეაფასეთ დასკვნის კანონიერება და მისი დასაშვებობა!

კაზუსი N35

2011 წლის პირველ იანვარს დაიწყო გამოძიება იმავე დღეს ჩადენილ ქურდობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით. 2018 წლის პირველ იანვარს არაერთ საქმეში სარწმუნო კომფიდენტისგან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ლ. კ.ს ბინაში ჩატარებული გადაუდებელი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა ნაქურდალი ნივთები. გამოძიებით დადგინდა ასევე, რომ ლ.კ. ნივთების დაუფლების მომენტში ნასამართლევი იყო მოტყუებით ქონებრივი დაზიანებისთვის, რის საფუძველზეც მას წარედგინა ბრალდება არაერთგზისი ქურდობისათვის. გადაუდებლად ჩატარებული ჩხრეკა მისი დანყებიდან 24 საათში პროკურორის შუამდგომლობით კანონიერად სცნო მაგისტრატ მოსამართლემ. განჩი-

ნება დაცვის მხარემ გაასაჩივრა საგამოძიებო კოლეგიაში და მოითხოვა კანონიერად ცნობილი ჩხრეკის უკანონოდ ცნობა. დაცვის მხარის განმარტებით არ არსებობდა ჩხრეკის ჩატარების იურიდიული საფუძველი.

შეაფასეთ ჩხრეკისა და შეტანილი საჩივრის კანონიერება!

კაზუსი N36

კრიმინალური ავტორიტეტის დავალებით დ.ბ ფიზიკურად გაუსწორდა ნ.კ.ს. ანგარიშსწორების ფაქტი, დავალების გამცემისათვის საჩვენებლად დამნაშავემ გადაიღო კუთვნილი მობილური ტელეფონით. აღნიშნულ ფაქტს შეესწრო ფინანსური პოლიციის რიგითი სტაჟიორ თანამშრომელი, რომელმაც ადგილზე დააკავა დ.ბ და პირადი ჩხრეკით ამოიღო მობილური ტელეფონი. დაკავებულს წარედგინა ბრალდება სსკის 117-ე მუხლით. პროკურორმა იმავე დღეს დააყენა შუამდგომლობა ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობისა და ამოღებული მობილური ტელეფონიდან ვიდეომასალის გამოთხოვის თაობაზე. ორივე შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

შეაფასეთ დაკავებისა და განჩინების კანონიერება!

კაზუსი N37

დ.კ.ს პირადი ჩხრეკით ნითელი ხიდის ტერიტორიაზე, სასაზღვრო გამშვები პუნქტის მიღმა, ამოღებულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერება, რის საფუძველზეც ის დაკავებულ იქნა. დაკავებულს წარედგინა ბრალდება საქართველოში ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შემოტანისა და უკანონო შეძენის ფაქტზე, 260-ე და 262-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის. პოლიციელთა ჩვენებით საზღვრის კვეთიდან შეჩერებამდე პერიოდში დკ იმყოფებოდა მათი თვალთახედვის არეში და არავისთან კონტაქტი არ ჰქონია. ერთ-ერთი მათგანი ამბობს, რომ ბრალდებული შეჩერებული იქნა 30 წუთში, მეორე ამბობს, რომ შეჩერებულ იქნა 15 წუთში, მესამე კი ამბობს 5 წუთს. დკს მიერ საზღვრის კვეთის მომენტში პოლიციელთა იქ ყოფნის ფაქტის შესახებ მათივე ჩვენებების გარდა საქმეში არ არსებობდა სხვა რაიმე მტკი-

ცებულება. მოცემული ინფორმაციისა და ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, რომ ამოღებული ნივთიერება წარმოადგენს ნარკოტიკულ ნივთიერებას ორივე ბრალდებაში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

შეაფასეთ თითოეულ ბრალდებაში არსებობდა თუ არა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი!

კაზუსი N38

2020 წლის 18 სექტემბერს მხარეებმა გაცვალეს მტკიცებულებები საქმეზე, რომელშიც წინა სასამართლო სხდომა ჩანიშნული იყო 23 სექტემბერს. ამის შემდეგ პროკურორის შუამდგომლობით ამ საქმეზე წინა სასამართლო სხდომა განისაზღვრა 21 სექტემბერს. წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ განმარტა, რომ 21 სექტემბრამდე ხუთი დღით ადრე არ იყო მტკიცებულებები გაცვლილი და ამის საფუძველზე დაუშვებლად ცნო ისინი. მტკიცებულებათა არ არსებობის გამო კი შეწყვიტა სისხლის სამართლებრივი დევნა. პროკურორმა გაასაჩივრა მხოლოდ დევნის შეწყვეტის განჩინება, რაც საგამოძიებო კოლეგიამ დააკმაყოფილა.

შეაფასეთ მოცემული მტკიცებულებების დასაშვებობა და საგამოძიებო კოლეგიის განჩინების კანონიერება!

კაზუსი N39

ა.ა.მ ი.ი.ს მიმართ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განახორციელა გასროლა. ამ უკანასკნელმაც მოახერხა განმეორებითი გასროლა და მიაყენა ა.ა.ს მძიმე დაზიანება. ა.ა. მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში კომატოზურ მდგომარეობაში. ი.ი.მ მოახერხა გამოძიების შეცდომაში შეყვანა და გამოტანილ იქნა დადგენილება ა.ა.ს მიმართ ბრალდების შესახებ, რომელსაც იმავე დღეს 2020 წლის პირველ სექტემბერს კანონის ანალოგიით 45-ე მუხლის გ ქვეპუნქტთან მიმართებით დაენიშნა ადვოკატი სავალდებულო წესით. არსებითი განხილვის სტადიაზე დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვის ეტაპზე განახლდა სასამართლო სხდომა, რა დროსაც ადვოკატმა წარმოადგინა ვიდეომასალა, რომლის მანამდე მოპოვებაც

არ შეეძლო ობიექტურად. ვიდეომასალაში ასახული იყო, რომ თავდაპირველად ი.ი.მ გაუხსნა ცეცხლი ა.ა.ს და ბრალდებული მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. მოსამართლემ შუამდგომლობა დატოვა განუხილველად და დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი.

შეაფასეთ განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N40

პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლემ გასცა განჩინება არასრულწლოვანის ბრალდების საქმეზე ჩხრეკის ჩატარების ნებართვის თაობაზე. შუამდგომლობაში მითითებული გამომძიებლის შესაბამისად განჩინებით ჩხრეკის უფლება მიეცა გამომძიებელ გელაშვილს. განჩინების მიუხედავად პროკურორმა გელაშვილი ჩამოაშორა გამოძიებას და ჩხრეკის ჩატარება დაავალა გამომძიებელ ნიკურაძეს. ორივე გამომძიებელი იყი სპეციალიზებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე. წინა სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს ამ ფაქტისთვის არ მიუქცევია ყურადღება. არსებითი განხილვის დროს მოსამართლე აღარ დაეყრდნო ჩატარებულ ჩხრეკას. სამოტივაციო ნწილში კი ეს ფაქტი დაასაბუთა იმით, რომ პროკურორს არ ჰქინდა უფლება განჩინების დარღვევით საგამოძიებო მოქმედება დაევალებინა სხვა გამომძიებელისთვის.

შეაფასეთ ჩატარებული ჩხრეკისა და განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N41

მოსამართლის განჩინების საფუძველზე უცხო ქვეყნის მოქალაქის ნაქირავებ სახლში ტარდებოდა ჩხრეკა. საგამოძიებო მოქმედებას ესწრებოდნენ ბრალდებული და მისი ადვოკატი. ბრალდებულს უჭირდა ქართულად საუბარი და მოითხოვა თარჯიმნის მოწვევა საგამოძიებო მოქმედებაში. გამომძიებელი დათანხმდა ამ მოთხოვნას და მოიწვია თარჯიმანი. გამომძიებელიც და ადვოკატიც მიხვდნენ, რომ მოწვეულ პირს უჭირდა თარგმანის სწორად განხორციელება. დაცვის მხარემ

უარი უთხრა მოწვეულ პირს და მოითხოვა სხვა თარჯიმნის მოწვევა . გამომძიებელმა ჩათვალა, რომ ველარ ჩაატარებდა ჩხრეკას რადგან უკვე 22 საათი სრულდებოდა და თარჯიმნის გარეშე დაასრულა საგამოძიებო მოქმედება.

შეაფასეთ მოპოვებული მტკიცებულების კანონიერება და დასაშვებობა!

კაზუსი N42

ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის შემდეგ, სასჯელის აღსრულების პერიოდში, დაცვის მხარისათვის ცნობილი გახდა შემდეგი; დანაშაულის იარაღი საქმეზე ამოღებული იყო იმ გამომძიებლის მიერ, რომლის აცილების საფუძველიც არსებობდა და რომელმაც იცოდა, რომ ამ საქმეში სახეზე იყო მისი აცილების საფუძველი (საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა განჩინების საფუძველზე). ადვოკატმა მსჯავრდებულის თანხმობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს 310-ე მუხლით საქმის წარმოების განახლების შუამდგომლობით. შუამდგომლობით და თანდართული მასალებით დგინდებოდა მოცემული ინფორმაცია და ასევე დგინდებოდა, რომ დაცვის მხარეს მანამდე ობიექტურად ვერ ექნებოდა ეს ინფორმაცია. სააპელაციო სასამართლომ განაახლა საქმის წარმოება, გვერდი აუარა ამ გამომძიებლის ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებას და ამოღებულ მტკიცებულებას და გააუქმა ვერდიქტი და მის საფუძველზე გამოტანილი განაჩენი, რადგან სხვა მტკიცებულებებით ველარ იქმნებოდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი.

შეაფასეთ გადაწყვეტილების კანონიერება!

კაზუსი N43

2020 წლის პირველ სექტემბერს საღამოს 20:00 საათზე პოლიციის მორიგე გამომძიებელმა მიიღო ინფორმაცია, რომ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე, მის წარმოებაში არსებულ სხვა საქმეში დაზარალებულად ცნობილ პირმა განახორციელა მკვლელობის მცდელობა. გამომძიებელმა ოპერატიული ჯგუფი გააგზავნა შემთხვევის ადგილის დასაცავად და თა-

ვად გადაუდებელი აუცილებლობით გაემართა სავარაუდო დამნაშავის საცხოვრებელი სახლისაკენ. სახლთან ახლოს დააკავა აღნიშნული პიროვნება და პირადი ჩხრეკით ამოიღო დანაშაულის სავარაუდო იარაღი. დაცვის მხარის განმარტებით ბრალდებულმა განახორციელა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და დააყენა შუამდგომლობა შემთხვევის ადგილის მიმდებარედ არსებული ობიექტიდან გარე სათვალთვალო კამერით დაფიქსირებული კადრების მოპოვებაზე. ვინაიდან ამ დროისათვის ნორმა, რომელიც დაცვის მხარეს უზღუდავდა მსგავსი შუამდგომლობის დაყენებას, იყო არაკონსტიტუციურად ცნობილი, სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და მისი აღსრულება დაევალა სხვა გამომძიებელს. ვიდეომასალის მოპოვება გამომძიებელმა განახორციელა დაცვის მხარის წინასწარი ინფორმირებისა და მათი მონაწილეობის გარეშე. ვიდეოკადრებში ჩანდა, რომ ადგილი ქონდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. საქმეზე გაირკვა ასევე, რომ დაზარალებული პირი იყო დაკავებისა და პირადი ჩხრეკის განმახორციელებელი გამომძიებლის ახლო ნათესავი. იმ საფუძვლით, რომ არსებობდა გამომძიებლის აცილების საფუძველი და იმ საფუძვლით, რომ არ იყო უზრუნველყოფილი დაცვის მხარე მიეღო მონაწილეობა ვიდეო მტკიცებულების მოპოვებისას წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნო ვიდეომტკიცებულება და ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულება.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N44

სამართალდამცავებისათვის ცნობილი გახდა, რომ ბერიძე ეწეოდა ნარკოტიკებით ვაჭრობას. დაიგეგმა ოპერატიული ღონისძიება, საკონტროლო შესყიდვა, აღჭურვეს კონფიდენტი განჩინების საფუძველზე გადამღები ტექნიკური საშუალებით და მიუგზავნეს ბერიძეს თითქოსდა ნარკოტიკული ნივთიერების შესაძენად. ყველაფერი წარიმართა გეგმის მიხედვით, რის შედეგადაც ჩატარდა ბერიძის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა და დაკავებულ იქნა ბერიძე. ბრალდებულის

სასამართლოში პირველ წარდგენამდე ბერიძის ადვოკატმა ბრალდების მხარეს მოსთხოვა მათ ხელთ არსებული მტკიცებულებების გაცნობა, დათვალიერება და ასლების მიწოდება. გამომძიებელმა განუმარტა ადვოკატს, რომ ვიდეო მტკიცებულება, რომელიც მას გააცნო არ წარმოადგენდა წერილობით მტკიცებულებას, რის გამოც 83-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომამდე არ ჰქონდათ მისი ასლის გადაცემის ვალდებულება. აღნიშნულის შემდგომ წინა სასამართლო სხდომამდე ათი დღით ადრე ადვოკატმა ბრალდების მხარეს მოსთხოვა იგივე ვიდეო მტკიცებულების დათვალიერების შესაძლებლობის მიცემა. ამჯერად გამომძიებელმა განუმარტა, რომ 83-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად დათვალიერება შეიძლებოდა მხოლოდ ნივთიერი მტკიცებულების და ისევ უარი უთხრა ადვოკატს.

შეაფასეთ აღნიშნული ვიდეო მტკიცებულების დასაშვებობა!

კაზუსი N45

წინასასამართლო სხდომის გამართვამდე ადვოკატმა მოსთხოვა ბრალდების მხარეს მათ ხელთ არსებული მტკიცებულებების გაცნობა, რომლის სასამართლოში წარდგენასაც აპირებდნენ. პროკურორს გამორჩა ბრალდებულის ნასამართლობის შესახებ აღებული ცნობის გაცნობა ადვოკატისთვის. ამის გამო პროკურორს აღარ წარუდგენია ეს ცნობა სასამართლოში და წარადგინა მხოლოდ განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იყო ცნობილი ეს პირი და რომელიც აღნიშნული მოთხოვნის შემდგომ იყო გამოთხოვილი.

შეაფასეთ წარდგენილი განაჩენის დასაშვებობა და დამაჯერებლობა!

კაზუსი N46

წინასასამართლო სხდომაზე პროკურორმა მტკიცებულების სახით წარადგინა გამამტყუნებელი განაჩენი და ცნობა ნასამართლობის შესახებ, რადგან ბრალდებულს ედავებოდ-

ნენ არაერთგზისი დანაშაულის ჩადენას. პროკურორს მოწმედ დასაკითხ პირთა სიაში არ მიუთითებია ამ დოკუმენტების არც შემქმნელი, არც მომპოვებელი და არც პირი ვისთანაც ინახებოდა, მოსამართლემ განაჩენი დაუშვა, ცნობა არ დაუშვა.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N47

გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანიდან ორი თვის შემდგომ გამოვლინდა გარემოება, რომელიც მიუთითებდა მსჯავრდებულის უდანაშაულობაზე. ამ ფაქტთან დაკავშირებით დაცვის მხარემ მიმართა სააპელაციო სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. სასამართლომ განაახლა საქმის წარმოება, იმსჯელა და უცვლელად დატოვა გამამტყუნებელი განაჩენი. აღნიშნულიდან 10 დღის შემდგომ ისევ გამოვლინდა ახალი გარემოება, რომელიც მანამდე ობიექტურად უცნობი იყო დაცვის მხარისათვის და ადვოკატმა ისევ მოითხოვა საქმის წარმოების განახლება იმავე სასამართლოში, რაზედაც უარი მიიღო. განჩინება ადვოკატმა გაასაჩივრა საკასაციო წესით. კასაციამ საჩივარი დააკმაყოფილა, იმსჯელა საქმეზე და გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

შეაფასეთ სააპელაციო სასამართლოს განჩინების და უზენაესი სასამართლოს განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N48

არსებითი განხილვის პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რაშიც ედებოდა პირს ბრალი. რეპლიკის ეტაპზე განახლდა სასამართლო სხდომა, ადვოკატმა ნარადგინა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დააყენა შუამდგომლობა სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე. სასამართლომ განმარტა, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპი იყო დასრულებული და შუამდგომლობა განუხილველად დატოვა. საქმეზე დადგა გამამტყუნებელი

განაჩენი ამ მუხლით.

შეაფასეთ არის თუ არა წარდგენილი დოკუმენტი მტკიცებულება და შეაფასეთ განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N49

პოლიციის განყოფილებაში შევიდა შეტყობინება, რომ ერთერთ საცხოვრებელ ბინაში მოხდა ყაჩაღური თავდასხმა. გამომძიებელი ოპერატიულ ჯგუფთან ერთად გაემართა დანაშაულის ადგილისაკენ. მისამართზე მისულებს, ბინის მესაკუთრემ დართო ნება, რომ ჩაეტარებინათ საგამოძიებო მოქმედება. გამომძიებელმა აღმოაჩინა გასროლილი მასრა, ამოიღო ნივთიერი მტკიცებულება და შედგა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი. ვინაიდან საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა მესაკუთრის თანხმობით, პროკურორს მის კანონიერად ცნობაზე არ მიუმართავს მაგისტრატი მოსამართლისთვის. წინა სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ საქმეში არ იდო მესაკუთრის წერილობითი თანხმობა საგამოძიებო მოქმედებაზე და დააყენა შუამდგომლობა ამოღებული მასრის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობაზე. მოსამართლემ ამ საფუძვლით მტკიეთცებულება დაუშვებლად სცნო.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N50

მობილური ტელეფონის ქურდობის ფაქტზე დ.დ.ს სახლში მოსამართლის განჩინებით ტარდებოდა ჩხრეკა. მობილური ტელეფონის ამოღების შემდგომ, გამომძიებელმა დ.დ. ს. სახლის ეზოში შენიშნა კვადროციკლი, რასთან დაკავშირებითაც გაახსენდა, რომ იძიებდა დ.დ.ს. მეზობლად კვადროციკლის დაკარგვის ფაქტს. გამომძიებელმა შეამოწმა ნივთის ქვედა ნაწილი, ასევე მოხსნა და შეამოწმა სავარძლის ქვედა ნაწილი. არსებული დაზიანებები ემთხვეოდა დაზარალებულის მიერ გამოკითხვისას აღწერილ ინდივიდუალურ ნიშნებს. ნივთი ამოღებულ იქნა გადაუდებელი აუცილებლობით, ჩატარდა ამოცნობა და დადასტურდა გამომძიებლის ეჭვი.

მიუხედავად აღნიშნულისა მოსამართლემ ამოღებული კვადროციკლი სცნო დაუშვებელ მტკიცებულებად.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N51

გამომძიებელმა მის წარმოებაში არსებულ საქმეზე, ისე რომ არ ჩაუყენებია პროკურორი საქმის კურსში, გამოიტანა დადგენილება გადაუდებელი ჩხრეკის ჩატარებაზე. საგამოძიებო მოქმედება კი ჩაატარა ამავე განყოფილების სხვა გამომძიებელმა. ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი.

შეაფასეთ ჩხრეკის კანონიერება!

კაზუსი N52

გამომძიებელისთვის საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი ინტერნეტგამოცემის რედაქტორის სამუშაო კაბინეტში ჟურნალისტური საქმიანობის ფარგლებში ინახებოდა სიდი დისკზე ჩაწერილი მაღალი თანამდებობის პირის მიერ განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტის ამსახველი კადრები. პროკურორმა მიმართა სასამართლოს ჩხრეკის თაობაზე განჩინების გასაცემად. შუამდგომლობაში პროკურორი განმარტავდა, რომ ამოღებულ დისკს გადაწერდნენ ადგილზევე და იქვე დააბრუნებდნენ 78-ე მუხლის შესაბამისად. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N53

პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა პირი და განმარტა, რომ თანხის გამოძალვის მიზნით ემუქრებოდნენ სიცოცხლის მოსპობით. პირმა თან წარმოადგინა მობილური ტელეფონი, რომელშიც ინახებოდა გამოძალვის დამადასტურებელი სმს შეტყობინებები. დაიწყო გამოძიება სსკის 181-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე და განხ-

ორციელდა ამ პიროვნების გამოკითხვა. მოწმის თანხმობით გამომძიებელმა ამოიღო წარმოდგენილი მობილური ტელეფონი და პროკურორმა მიმართა სასამართლოს სმს შეტყობინებების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით ინფორმაციის გამოთხოვისთვის განჩინების გასაცემად. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. არსებითი განხილვის სხდომაზე მოხდა მობილური ტელეფონის დათვალიერებით სმსების წაკითხვა და მისი მტკიცებულების სახით გამოყენება.

შეაფასეთ მოცემული მტკიცებულების დასაშვებობა და არსებით განხილვისას მისი დემონსტრირების ფორმის კანონიერება!

კაზუსი N54

გამოძიების სტადიაზე მოწმე გამოკითხულ იქნა როგორც გამომძიებლის მიერ, ისე ადვოკატის მიერ. ადვიკატის მიერ გამოკითხვა დაიწყო 21:30 საათზე და დასრულდა 23:30 საათზე. გამოკითხვის ფიქსაცია ადვოკატმა მოახდინა ვიდეო ჩაწერით. გამომძიებლის მიერ მეორე დღეს მოწმის გამოკითხვა დაიწყო 16:00 საათზე და დასრულდა 18:00 საათზე. აღმოჩნდა, რომ გამომძიებელისთვის მიწოდებულ ინფორმაციას და ადვოკატისთვის 22:00 საათის შემდეგ მიწოდებულ ინფორმაციას შორის იყო წინააღმდეგობა. არსებითი განხილვის სხდომაზე ვინაიდან მოწმე არ იმყოფებოდა ქვეყანაში მხარეებმა გამოაქვეყნეს გამოკითხვისას მიწოდებული ინფორმაცია. პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა 75-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დაცვის მხარის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის დაუშვებლად ცნობაზე. მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, თუმცა განაჩენში დაუშვებლობის მოტივით არ დაეყრდნო დაცვის მხარის მიერ გამოქვეყნებულ ამ ინფორმაციას და დაეყრდნო პროკურორის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას.

შეაფასეთ ზეპირი განჩინების და შემდეგ განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N55

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის სხდომაზე პროკურორმა წარმოადგინა შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე. კოლეგიამ უარი თქვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე იმ მოტივით, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტი და გადადო საქმის განხილვა განჩინების გასაჩივრების ვადით. პროკურორმა გაასაჩივრა განჩინება, რაც არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო წარმოება კი დასრულდა იმავე კოლეგიის მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანით.

შეაფასეთ განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N56

სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი კახაძის მიმართ სსკს 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე. საკასაციო სასამართლოში დაცვის მხარის საჩივრის განხილვის პერიოდში მსჯავრდებულს და გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს შორის გაფორმდა შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ. მოცემული დროისათვის გენერალური პროკურორი იყო თანამდებობიდან გადამდგარი და მის მოვალეობას ასრულებდა პირველი მოადგილე. ამ უკანასკნელმა იხელმძღვანელა 218-ე მუხლის მე-9 ნაწილით და შეთანხმების დამტკიცების თაობაზე შუამდგომლობით მიმართა განაჩენის გამომტან პირველი ინსტანციის სასამართლოს.

შეაფასეთ შუამდგომლობის კანონიერება!

კაზუსი N57

მ.მ-ს მიმართ ხორციელდებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედება, სატელეფონო საუბრის მიყურადება ნარკო დანაშაულის ფაქტზე (ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება). სატელეფონო საუბრის მოსმენისას მას დაურეკა ლ.ლ-მ და სთავაზობდა გარკვეულ თანხას ერთ-ერთი პიროვნების მოსაკლავად, რაზეც მან კატეგორიული უარი მიიღო. ამ ფაქტის გამო ლ.ლ. დაკავებულ იქნა გადაუდებელი აუცილებლობით

და ასევე გადაუდებელი აუცილებლობით ამოღებული იქნა მისგან პირადი ჩხრეკით მობილური ტელეფონი.

შეაფასეთ დაკავების კანონიერება, მობილური ტელეფონის რელევანტურობა და მისი ამოღების კანონიერება!

კაზუსი N58

უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში მსჯავრდებული და პროკურორი შეთანხმდნენ საპროცესო შეთანხმების პირობებზე, რის შემდგომაც პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა საკასაციო სასამართლომ და გამოიტანა განაჩენი. რამოდენიმე დღეში მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმების ყველა პირობა.

შეაფასეთ უზენაესი სასამართლოს განაჩენის კანონიერება და რა გზებს უნდა მიმართოს პროკურორმა?

კაზუსი N59

მოსამართლემ განიხილა შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე და განმარტა, რომ სხდომა გადადო, გადიოდა სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად და სხდომის თარიღს მოგვიანებით აცნობებდა მხარეებს თანაშემწე. მეორე დღეს ბრალდებულმა სასამართლოს კანცელარიაში შეიტანა განცხადება საპროცესო შეთანხმებაზე უარის შესახებ. აღმოჩნდა, რომ მოსამართლეს მისთვის განცხადების მიწოდებამდე დაუმტკიცებია საპროცესო შეთანხმება.

შეაფასეთ განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N60

არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლემ პროკურორს განუსაზღვრა ვადა პირდაპირი დაკითხვის განსახორციელებლად. პროკურორი ვერ ჩაეტია ვადაში და დააყენა შუამდგომლობა ამ მოწმის მიერ გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენების ოქმის გამოქვეყნებაზე. მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა. პირის ბრალეულობაზე გა-

დაწყვეტილების მიღებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია მოწმის გამოქვეყნებულ ჩვენებამ.

შეაფასეთ განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N61

არსებითი განხილვის სხდომაზე პროკურორის მიერ მოწმის პირდაპირი დაკითხვისას, მოწმემ მიუთითა ისეთ გარემოებებზე, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა გამოძიების სტადიაზე გამომძიებლთან მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებულ ინფორმაციას. ჯვარედინი დაკითხვის დროს ადვოკატმა გამოაქვეყნა ოქმის ის ნაწილი, რომელშიც მოწმე მიუთითებდა განსხვავებულ გარემოებაზე და დააყენა შუამდგომლობა პირდაპირი დაკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის დაუშვებლად ცნობაზე. აღნიშნული გამოკითხვის ოქმი წინასასამართლო სხდომაზე წარდგენილი იყო მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ. მოსამართლემ ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და პირდაპირი დაკითხვისას მოწმის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია სცნო დაუშვებელ მტკიცებულებად.

შეაფასეთ ზეპირი განჩინების კანონიერება!

კაზუსი N62

პირველი ინსტანციის სასამართლომ განზრახ მკვლელობაში ბრალდების საქმეზე, რომელშიც დაცვის მხარე მიუთითებდა ბრალდებულის აუცილებელი მოგერიებით მოქმედებაზე პირი სცნო დამნაშავედ, მაგრამ ბრალდება 108-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მკვლელობის 113-ე მუხლზე. განაჩენი გაასაჩივრა პროკურორმა სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვა პირის დამნაშავედ ცნობა 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა საჩივარი და შეცვალა კვალიფიკაცია 108-ე მუხლით. დაცვის მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მოითხოვა მსჯავრდებულის გამართლება აუცილებელი მოგერიებით მოქმედების

მოტივით. საკასაციო სასამართლომ განიხილა საჩივარი, ნახა, რომ მართლაც აუცილებელ მოგერიებას ჰქონდა ადგილი და გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

შეაფასეთ უზენაესი სასამართლოს განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N63

ლ.ლ.ს ბრალი ედებოდა ჯგუფური თავდასხმის დროს ჩადენილ მკვლელობაში. დანაშაული რეალურად ჩადენილი ჰქონდა ჯგუფის სხვა წევრს. არსებითი განხილვის წინა დღეს დაცვის მხარისათვის ცნობილი გახდა სად ინახებოდა ამ დანაშაულის იარაღი და მიმართა ჩხრეკის ჩატარებისათვის საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს განჩინების გასაცემად. მოსამართლემ შუამდგომლობა განიხილა მხოლოდ მეორე დღეს, მხარეთა მონაწილეობით არსებითი განხილვის სხდომაზე და არ დააკმაყოფილა. დაცვის მხარემ განჩინება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

შეაფასეთ განჩინების და საჩივრის კანონიერება!

კაზუსი N64

ადვოკატის შუამდგომლობა ჩხრეკის თაობაზე მაგისტრატ მოსამართლემ განიხილა ვადის დარღვევით და დაუსაბუთებლობის მიუხედავად დააკმაყოფილა. პროკურორმა მხოლოდ წინა სასამართლო სხდომაზე განაცხადა პრეტენზია ამ საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობაზე. მტკიცებულების დაუშვებლობაზე მიუთითებდა არსებითი განხილვის დროსაც, თუმცა ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე დადგა გამამართლებელი განაჩენი. მტკიცებულების უკანონობაზე მითითებით პროკურორმა გაასაჩივრა განაჩენი.

შეაფასეთ საჩივრის კანონიერება!

კაზუსი N65

წინა სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა არასაკმარისობის მოტივით შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევ-

ნა. განჩინება უცვლელად დატოვა საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემაც. რამოდენიმე დღის შემდგომ ამ საქმეზე ბრალდებულის ძმის სახლში სხვა საქმესთან დაკავშირებით ჩატარდა ჩხრეკა. ჩხრეკის დროს შემთხვევით აღმოჩენილი იქნა მობილური ტელეფონიც, რომლის ქურდობასაც ედავებოდნენ ბრალდებულს შეწყვეტილ საქმეში. ნივთი ბრალდებულს გადამალული ქონია თავის ძმასთან და მანამდე შეუძლებელი აღმოჩნდა ყველა მცდელობა მის მოსაპოვებლად. მოხდა განმეორებით პირის დაკავება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა მოტივით პროკურორმა მიმართა სააპელაციო სასამართლოს საქმის წარმოების განახლებისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით.

შეაფასეთ განმეორებით დაკავებისა და პროკურორის შუამდგომლობის კანონიერება!

კაზუსი N66

ხელვაჩაურის პოლიციის სამმართველოში დაიწყო გამოძიება და გადაუდებელი აუცილებლობით ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სამ სხვადასხვა მისამართზე ჩატარდა ამოღება. საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისთანავე გაირკვა რა, რომ საქმე ოზურგეთის პოლიციის განსჯადი იყო, პროკურორმა გადაგზავნა საქმე ქვემდებარეობის მიხედვით. საგამოძიებო მოქმედებათა დაწყებიდან 24 საათიანი ვადის ამოწურვამდე ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ჩატარებულ ამოღებათა კანონიერად ცნობაზე შუამდგომლობით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს. მოსამართლემ განმარტა, რომ ეს შუამდგომლობა არ იყო მისი განსჯადი და მტკიცებულებების კანონიერად ცნობაზე უნდა მიემართათ ხელვაჩაურის ან ბათუმის საქალაქო სასამართლოსათვის. შუამდგომლობა და საქმის მასალები გადაგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. თავის მხრივ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გადაგზავნილი შუამდგომლობა განუხილველად დატოვა, რადგან სასამართლოში საქმის მასალების გადაგზავნის მომენტში ამოწურული იყო საგამოძიებო მოქმედებების დაწყებიდან 24 საათიანი ვადა.

შეაფასეთ ორივე მოსამართლის განჩინების კანონიერება!

კაზუსი N67

ზოიძემ ნიჟარაძისაგან შეიძინა მოპარული მობილური ტელეფონი, თუმცა არ იყო ინფორმირებული ამ ფაქტის შესახებ. მოგვიანებით, როდესაც გაიგო ამ ფაქტის შესახებ განაცხადა პოლიციაში და წარადგინა ტელეფონიც. ვინაიდან არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა გამომძიებელს ნივთი არ ამოუღია და მე-2 დღეს 11 სექტემბერს მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე გასცა განჩინება ზოიძისაგან მობილური ტელეფონის ამოღებაზე. აღმოჩნდა, რომ ზოიძე გადასული იყო თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაოდ. 15 ოქტომბერს ზოიძე დაბრუნდა და საზღვარზე გადმოსვლისთანავე, იმ საფუძვლით, რომ ისევ არ „გაუჩინარებულიყო“ მისგან პირადი ჩხრეკით ამოღებულ იქნა მობილური ტელეფონი. აღიწერა ოქმში ნივთის გვარეობითი და ინდივიდუალური ნიშნები, აღინიშნა ზოიძის განცხადებაც, რომ ეს იყო ნიჟარაძისაგან შეძენილი მობილური ტელეფონი. აღნიშნულის გამო აღარ მომხდარა ნივთის შეფუთვა და დალუქვა.

არის თუ არა ამოღებული მობილური ტელეფონი დასაშვები მტკიცებულება და ვინ უნდა იმსჯელოს დასაშვებობაზე; მაგისტრატ მოსამართლემ თუ მოსამართლემ წინა სასამართლო სხდომაზე?

კაზუსი N68

ქალაქ ქუთაისთან ერთ-ერთ გარე უბანში გამომძიებელი ოპერატიულ ჯგუფთან ერთად ატარებდა ჩხრეკას. საგამოძიებო მოქმედების მსვლელობისას სახლის მფლობელმა მიაყენა ფიზიკური დაზიანება ერთერთ პოლიციელს. წინააღმდეგობას უწევდა პოლიციას იქ მყოფი სხვა პირებიც. გამომძიებლის დავალებით ოპერატიული ჯგუფის ნაწილმა დააკავა სახლის მფლობელი და ისე, რომ არ განუმარტავთ მისთვის ადგილზე დაკავების მიზეზი და არც დაკავების ოქმი შეუდგენიათ ადგილზე, გადაიყვანეს დაკავებული გამოძიების ადგილზე. ამის პარალელურად გამომძიებელმა ჩხრეკის ადგილზე არსებული სათვალთვალო კამერით გადაღებული

ვითარების ამსახველი კადრები გადმოწერა სასამართლოს განჩინების გარეშე. წინააღმდეგობის გამო ჩხრეკის ოქმი გამომძიებელმა შეადგინა, როგორც კი გასცდნენ ჩხრეკის ადგილს.

შეაფასეთ დაკავების, ჩხრეკისა და ვიდეო მტკიცებულების მოპოვების კანონიერება!

კაზუსი N69

საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპიდან გადაიდო სასამართლო სხდომა. მომდევნო სხდომის დაწყებამდე გადიოდა ორ თვიანი ვადა მას შემდეგ, რაც მოსამართლემ ძალაში დატოვა ბრალდებულის მიმართ გამოყენებული პატიმრობა. ამ ფაქტის გამო მომდევნო სხდომის განახლებამდე მოსამართლემ მოიწვია მხარეები აღკვეთის ღონისძიების საკითხის განსახილველად. ადვოკატი და პროკურორი არ გამოცხადდნენ. მოსამართლემ იმსჯელა მხოლოდ წარმოდგენილი ბრალდებულის მონაწილეობით და გააუქმა პატიმრობა.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N70

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ერთ-ერთი პარტია (არსებობდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი) მოსახლეობაში ამომრჩევლების მოსყიდვის მიზნით არიგებდა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკას. ტექნიკა დასაწყობებული იყო პარტიის ოფისში. გამომძიებელმა განჩინების გარეშე პარტიის წარმომადგენელთა ნების საწინააღმდეგოდ ამოიღო აღნიშნული საყოფაცხოვრებო ტექნიკა. ამის შემდგომ მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობით გასცა განჩინება ერთ-ერთი სატელევიზიო არხიდან გასული სიუჟეტის საფუძველზე კომპიუტერული ინფორმაციის გამოთხოვაზე, რომელშიც ასახული იყო პარტიის წარმომადგენელთა მიერ მოცემული ტექნიკის მოსახლეობაში დარიგების ფაქტები.

შეაფასეთ ამოღებული ტექნიკის დასაშვებობა და გაცემული განჩინების კანონიერება!

კაზუსი N71

უბნის ინსპექტორ გამომძიებელი შეესწრო ძარცვის მცდელობის ფაქტს. ცხელ კვალზე, დაკავების მიზნით, დამნაშავის დევნისას, ამ უკანასკნელმა პოლიციელს შეასწრო მეგობრის სახლში. პოლიციელი ვითარებიდან გამომდინარე დადგენილების გარეშე გადაუდებელი აუცილებლობით შევიდა სხვის კერძო საკუთრებაში და დააკავა დამნაშავე. პირველი წარდგენის სხდომაზე მოსამართლემ განმარტა, რომ საპროცესო კანონმდებლობაში არ არსებობს ნორმა, რომელიც ითვალისწინებს დაკავების მიზნით კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის შეზღუდვას, მიიჩნია, რომ დაკავებისას არსებითად დაირღვა კანონი და ამ საფუძვლით გაანთავისუფლა დაკავებული.

შეაფასეთ გადაუდებელი დაკავებისა და გამოტანილი განჩინების კანონიერება!

კაზუსი N72

დ.დ.ს. ბინაში გადაუდებელი აუცილებლობით და მისივე თანხმობით ჩატარდა ჩხრეკა. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას აღმოჩენილი იქნა ცეცხლსასროლი იარაღი. იარაღის აღმოჩენისთანავე დაკავებულ იქნა დ.დ. პროკურორის შუამდგომლობა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობაზე მოსამართლემ განიხილა მხარეთა მონაწილეობით და გამოიტანა განჩინება ჩხრეკის კანონიერად ცნობაზე. ჩხრეკის ოქმზე ბრალდებულისა და ექსპერტის შენიშვნებიდან ირკვეოდა, რომ იარაღის ამოღება მოხდა მონაწილე პირებისათვის წარუდგენლად, თუმცა მოსამართლეს ამ გარემოებაზე არ უმსჯელია. განჩინება დაცვის მხარემ გაასაჩივრა იმ დღესვე სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. კოლეგიამ განჩინება უცვლელად დატოვა.

შეაფასეთ გამოტანილი განჩინებების კანონიერება!

კაზუსი N73

პოლიციის გამომძიებელ შავაძემ შეადგინა პატაკი, რომლის მიხედვითაც კონფიდენტისაგან მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომ დაახლოებით ნახევარ საათში ქ. ბათუმში რკინიგზის სადგურში იქნებოდა კონკრეტული პირი, რომელსაც ექნებოდა უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული ნივთიერებები. პატაკის ხელმძღვანელისათვის წარდგენისთანავე მოხდა შავაძის გამოკითხვა. გამოკითხვისას შავაძემ მიუთითა, რომ ეს კონფიდენტი ყოველთვის სარწმუნო ინფორმაციას ანვდის და მისი დახმარებით გახსნილა არაერთი საქმე. ჩატარდა მითითებული საეჭვო პირის პირადი ჩხრეკა გადაუდებელი აუცილებლობით და ამოღებულ იქნა საეჭვო ნივთიერებები. ექსპერტის დასკვნით ეს ნივთიერებები წარმოადგენდა დიდი ოდენობის ნარკოტიკულ საშუალებებს. ბრალდების მხარეს აღარ დაუნიშნავს ბიოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზები და არსებითი განხილვის ეტაპზე დასკვნით სიტყვაში პროკურორმა განმარტა, რომ სხვა ტიპის ექსპერტიზების ჩატარება შეეძლო დაცვის მხარესაც თუ ეს საჭიროდ მიაჩნდათ. წარდგენილი ნივთიერებების, ექსპერტის დასკვნისა და პოლიციელთა ჩვენებების საფუძველზე სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

შეაფასეთ განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N74

წინასასამართლო სხდომის გამართვამდე ბრალდებულთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, აღნიშნულიდან ორი თვის შმდეგ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე დადგინდა, რომ ბრალდებული (მსჯავრდებული) იყო შეურაცხადი ჯერ კიდევ იმ ქმედების ჩადენის დროს, რომლისთვისაც გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება. აღნიშნულის საფუძველზე ადვოკატმა ისე, რომ არ შეუთანხმებია თავის დაცვის ქვეშ მყოფთან შეიტანა შუამდგომლობა საქმის წარმოების განახლებაზე. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა განაჩენი საპროცესო შეთანხმებაზე და დაუბრუნა საქმე პროკურორს.

შეაფასეთ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება!

კაზუსი N75

აპელაციაში დაცვის მხარის საჩივრის განხილვისას დასკვნითი სიტყვების წარმოთქმამდე მსჯავრდებულმა წარმოადგინა გამამართლებელი მტკიცებულება, რომლის მოპოვებაც მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო და დააყენა შუამდგომლობა მის დასაშვებობაზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო განხილვის პროცესში საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ახალი მტკიცებულების დასაშვებობას და შუამდგომლობა განუხილველად დატოვა.

შეაფასეთ ზეპირი განჩინების კანონიერება!კაზუსი N76

უზენაეს სასამართლოში პროკურორის საჩივრის განხილვის პერიოდში დასრულდა ხანგრძლივი კომპლექსური ექსპერტიზა, რომლის დასრულება მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო. დასკვნას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სწორი კავალიფიკაციისთვის. პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა დასკვნის დასაშვებობაზე. საკასაციო პალატამ შუამდგომლობა განუხილველად დატოვა და განმარტა რომ კანონი არ ითვალისწინებს ასეთ შუამდგომლობას.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N77

დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრის განხილვისას, რომელიც შეეხებოდა განაჩენის სამართლიანობას, დაცვის მხარემ მოიპოვა გამამართლებელი მტკიცებულება. ამ მტკიცებულების მანამდე მოპოვება ობიექტურად შეუძლებელი იყო. ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა ახალი მტკიცებულების დასაშვებობაზე. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საჩივარი ეხებოდა მხოლოდ განაჩენის სამართლიანობას, რომ გამამართლებელი მტკიცებულება სცდებოდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და უარი თქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N78

პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი ბრალდების მხარის მტკიცებულებათა არასაკმარისობის მოტივით. პროკურორმა განაჩენი გაასაჩივრა მტკიცებულებების საკმარისობაზე და შესაბამისად განაჩენის დაუსაბუთებლობაზე მითითებით. საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ბრალდების მხარის მტკიცებულებები საკმარისად მიიჩნია და მიუხედავად მათი კანონის დარღვევით მოპოვებისა მათი შეფასებისას არ გასცდა საჩივრის ფარგლებს და გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

შეაფასეთ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N79

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. დაცვის მხარემ განაჩენი გაასაჩივრა არაკანონიერებაზე მითითებით, რადგან მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებლად მიაჩნდა. სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებები კანონიერად, თუმცა არასაკმარისად მიიჩნია, მაგრამ განაჩენი ძალაში დატოვა,

შეაფასეთ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N80

პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები კანონის დარღვევით მოპოვებულად მიიჩნია და გვერდი აუარა მათ განაჩენში. განაჩენი უკანონობაზე მითითებით გაასაჩივრა პროკურორმა აპელაციაში და საჩივარში განაჩენის უკანონობას ხსნიდა მტკიცებულებების კანონიერად მოპოვებით. სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებები კანონიერად მიიჩნია. დაცვის მხარეს არ შეუტანია შესაგებელი. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევა არ უნდა გასცდეს საჩივრისა და შესაგებლის ფარგლებს, აღარ იმ-

სჯელა მტკიცებულებების საკმარისობაზე და რადგან მათი მოპოვების წესები დაცულად ჩათვალა გააუქმა პირველი ინსტანციის განაჩენი.

შეაფასეთ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N81

ნინასასამართლო სხდომაზე პროკურორის შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების თაობაზე არ დაამტკიცა მოსამართლემ მტკიცებულებათა არასაკმარისობის მოტივით და გადადო საქმის განხილვა გასაჩივრების ვადით. ორი დღის შემდეგ გამომძიებელმა მოიპოვა მანამდე ობიექტურად მიუწვდომელი მტკიცებულება. პროკურორმა 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გაასაჩივრა უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე. შუამდგომლობას დაურთო ახლად აღმოჩენილი მტკიცებულებაც.

შეაფასეთ სხდომის გადადებისა და საჩივრის კანონიერება!

კაზუსი N82

პროკურორის უარი პირის დაზარალებულად ცნობაზე გასაჩივრდა ჯერ ზემდგომ პროკურორთან და მისი უარის შემდეგ სასამართლოში. პირი, რომელიც ასაჩივრებს უარს მის დაზარალებულად ცნობაზე საპროცესო კანონმდებლობა არ აძლევს შესაძლებლობას, რომ მოსთხოვოს ბრალდების მხარეს საჩივარზე საქმის მასალების დართვა. მოსამართლემ განმარტა, რომ რადგან პირს აქვს უფლება გაასაჩივროს უარი მის დაზარალებულად ცნობაზე და არ აქვს შესაძლებლობა საჩივარს დაურთოს მასალები ადგილია აქვს ხარვეზს საპროცესო კოდექსში. მოსამართლემ გამოიყენა კანონის ანალოგია გამომძიებლის ვალდებულებასთან წარადგინოს მასალები სასამართლოში მისი ქმედების გასაჩივრებისას და განჩინებით დაავალდებულა პროკურორი წარედგინა

საჭირო მასალები. წარდგენილი მასალების განხილვის შედეგად დააკმაყოფილა საჩივარი და პირი ცნობილ იქნა დაზარალებულად.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N83

მეზობლებს შორის მოხდა კონფლიქტი, რა დროსაც ერთერთმა მეორის მიმართ დაგეშა საკუთარი ძაღლი და დააკბენინა. ფაქტზე დაზარალებულის ჩვენების შესაბამისად მოხდა ექსპერტის მიერ ნიმუშის აღება სხეულის დაზიანებული ადგილიდან. გამომძიებელმა შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით ძაღლი მიიყვანა ვეტერინართან და ცხოველისაგან აღებულ იქნა ბიოლოგიური ნიმუში. ძაღლი მოთავსებულ იქნა ცხოველთა თავშესაფარში. აღებული ნიმუშების ექსპერტიზით დადასტურდა დაზარალებულის ჩვენება. საქმეზე დადგა მეორე მეზობლის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის, ცხოველი კი გადაეცა ცხოველთა თავშესაფარს საკუთრებაში.

შეაფასეთ განაჩენის კანონიერება თუ გამომძიებლის მიერ ცხოველის ვეტერინართან ნაყვანისას არ შემდგარა რაიმე საპროცესო დოკუმენტი!

კაზუსი N84

სებისკვერაძეს აგვისტოს თვეში წარედგინა ბრალდება ქ. ბათუმში ჩადენილი ხულიგნობის სავარაუდო ფაქტზე და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო. არსებითი განხილვის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ის დააკავეს ქ. თბილისში ნარკო დანაშაულის ფაქტზე. პირველი საქმის პროკურორმა არსებითი განხილვის სხდომის დაწყებისთანავე მიმართა არსებითად განმხილველ მოსამართლეს შუამდგომლობით გირაოს პატიმრობით შეცვლაზე და გირაოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვაზე იმ მოტივით, რომ ბრალდებულმა დასაბუთებული ვარაუდით ჩაიდინა ახალი დანაშაული. მართალია სავარაუდო ნარკოტიკულ ნივთიერებებზე ჯერ არ იყო ცნობილი ექსპერტიზის პასუხები, მაგრამ

დაკავებული აღიარებდა დანაშაულს, რაც სხვა მასალებთან ერთად პროკურორმა დაურთო შუამდგომლობას. არსებითად განმხილველ მოსამართლემ ვიდრე მოხდებოდა ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში ნარკოდანაშაულის საქმეზე მას განუსაზღვრა პატიმრობა, მოსამართლის განმარტებით ახალ საქმეზე დასაბუთებული ვარაუდი საკმარისია ძველ საქმეზე აღკვეთის ღონისძიების დამძიმებისთვის. რაც შეეხება გირაოს გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში შუამდგომლობა ამ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. რამოდენიმე დღეში ხულიგნობის საქმეზე საპროცესო შეთანხმებით დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. მოსამართლემ განაჩენში განმარტა, რომ გირაოს ბიუჯეტში გადარიცხვის საკითხზე უნდა ემსჯელა მოსამართლეს ნარკოტიკული დანაშაულისათვის გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის შემთხვევაში.

შეაფასეთ ორივე გადაწყვეტილების კანონიერება!

კაზუსი N85

ღამით ყაჩაღური თავდასხმის შემდგომ ცხელ კვალზე დევნისას ნაწილი დამნაშავეებისა სამართალდამცავებს გაექცა და დაიმალა ახლო მდებარე სასაფლაოზე. იმ დღით მესაფლავეებს გაემზადებინათ სამარხი მომდევნო დღეს მიცვალებულის დასაკრძალავად. ერთერთმა დამნაშავემ ცეცხლსასროლი იარაღი გადამალა ღია სამარხში. გარკვეული დროის შემდგომ აღნიშნული ფაქტი ანონიმური შეტყობინებით ცნობილი გახდა გამოძიებისათვის. პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლემ გასცა განჩინება ექსჰუმაციაზე, რის შედეგადაც მოპოვებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი.

შეაფასეთ ექსჰუმაციაზე განჩინების კანონიერება!

კაზუსი N86

ნინასასამართლო სხდომაზე ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა, რომ ექსჰუმაციის შედეგად ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოს ეცნო დაუშვებელ მტკიცებულებად, რადგან არ იყო გამოტანილი დადგენილება ექსპერ-

ტიზის შესახებ. ამასთან ადვოკატი მიუთითებდა, რომ ჩატარებული იყო კომისიური ექსპერტიზა და მოწმედ დასაკითხ პირთა სიაში კი მითითებული იყო ექსპერტთა ჯგუფიდან მხოლოდ ერთი წევრი. მოსამართლემ განმარტა, რომ ექსპერტიზა ისედაც ითვალისწინებს ექსპერტის მონაწილეობას და არ იყო საჭირო დადგენილების გამოტანა. საკმარისად მიიჩნია მოწმეთა სიაში ერთ-ერთი ექსპერტის მითითება და დასაშვებად სცნო წარდგენილი ინფორმაცია.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N87

პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსამართლის უხეში ბრალეულობით დაარღვია 24 თვიანი ვადა და ისე დაადგინა გამამართლებელი განაჩენი. ამ ფაქტთან დაკავშირებით მოსამართლე დამნაშავედ სცნეს სამსახურებრივ გულგრილობაში. ამ საფუძვლით პროკურორმა მიმართა სააპელაციო სასამართლოს საქმის წარმოების გაანხლების შუამდგომლობით. განახლდა საქმის წარმოება და დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

შეაფასეთ განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N88

პროკურორის შუამდგომლობა დაკავების თაობაზე გამომძიებელმა სასამართლოში შეიტანა 10 თებერვალს, დილის 10 საათზე. თანაშემწემ განჩინება მოამზადა იმავე დღეს 15 საათზე. მოსამართლემ განჩინებას ხელი მოაწერა 14 თებერვალს, 10 საათზე. განჩინების საფუძველზე დაკავებულ იქნა პირი და მისგან იძულებით აღებული იქნა ბიოლოგიური ნიმუში.

შეაფასეთ დაკავებისა და აღებული ნიმუშის კანონიერება!

კაზუსი N89

საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე პირ-

ველი წარდგენის სხდომაზე დატოვა განუხილველად იმ მოტივით, რომ შუამდგომლობა იყო შეტანილი ვადის დარღვევით. პროკურორის საჩივარი ამ განჩინებაზე სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ ცნო დაუშვებლად. მოსამართლემ განმარტა, რომ მე-20 მუხლის თანახმად საგამოძიებო კოლეგია განიხილავს მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივრებს.

შეაფასეთ საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინება!

კაზუსი N90

2019 წლის თებერვალში ლ.დ.ს. წარედგინა ბრალდება 2001 წელს ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის. ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობდა ქმედების ჩადენის პერიოდიდან. პროკურორმა განმარტა, რომ მოქმედი საპროცესო კოდექსი ადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს. შესაბამისად იხელმძღვანელა მოქმედი კოდექსის 329-ე მუხლით და საქმის წარმოება გააგრძელა 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსით. ზემდგომ პროკურორმა აღნიშნულზე მისცა მითითება, რომ საქმისწარმოება გაგრძელებულიყო მოქმედი საპროცესო კოდექსით.

შეაფასეთ მითითების კანონიერება!

კაზუსი N91

ბრალდებულმა იმ მიზნით, რომ პროკურორს არ მოეთხოვა მისთვის საპატიმრო ღონისძიების გამოყენება, გამოკითხვისას სრულად აღიარა ჩადენილი დანაშაული. თავისუფლების პირობებში დარჩენილმა კი მოახერხა მიმალვა. არსებითი განხილვის სხდომაზე პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა მიმალვაში მყოფი ბრალდებულის ჩვენების გამოქვეყნებაზე. ადვოკატმა უარი განაცხადა პროკურორის მიერ ამ ინფორმაციის გამოქვეყნებაზე. მოსამართლის განმარტებით უფლების ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება ესარგებლა მხოლოდ

ბრალდებულს და დააკმაყოფილა შუამდგომლობა. მოგვიანებით გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების შემდგომ მსჯავრდებულმა სააპელაციო საჩივარში მოითხოვა პალატას მტკიცებულებათა შეფასებისას მხედველობაში არ მიეღო პირველ ინსტანციაში გამოქვეყნებული მისი გამოკითხვის ოქმი.

შეაფასეთ ამ მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივრის კანონიერება!

კაზუსი N92

პროკურორმა გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. ზემდგომ პროკურორმა დაზარალებულის საჩივრის გარეშე, გაუუქმა დადგენილება დევნის შეწყვეტის თაობაზე და განაახლა სისხლის სამართლებრივი დევნა იგივე მტკიცებულებების საფუძველზე. არსებითი განხილვის სხდომაზე ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა განმეორებითი დევნის უკანონობის მოტივით სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე. შუამდგომლობა დააკმაყოფილა მოსამართლემ.

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N93

არსებითი განხილვის სხდომაზე მოწმის პირდაპირი დაკითხვისას, მიმანიშნებელი შეკითხვის პასუხით ცნობილი გახდა, რომ არსებობდა სხვა მოწმეც, რომლის შესახებ მანამდე გამოძიებისათვის ობიექტურად უცნობი იყო. ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა გაცემული პასუხის დაუშვებლად ცნობაზე. პროკურორი არ დაეთანხმა შუამდგომლობას და დააყენა 239-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად ახალი მოწმის დაკითხვაზე. მოსამართლემ დააკმაყოფილა მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობა. თავის მხრივ ახალი მოწმის ჩვენების საფუძველზე მოპოვებული იქნა მანამდე ობიექტურად უცნობი ნივთმტკიცება, რომელიც ასევე 239-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად დაუშვა საქმეზე მტკიცებულებად მოსამართლემ.

შეაფასეთ ორივე მოწმის ჩვენების და ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებობის კანონიერება!

კაზუსი N94

სააპელაციო სასამართლოში საჩივრის შეტანისას მსჯავრდებულმა მოითხოვა მოწმის დაკითხვა, რომელიც დაადასტურებდა მის უდანაშაულობას. მოწმე არ დაკითხულა არც გამოძიების სტადიაზე და არც არსებითი განხილვის დროს, რადგან კომატოზურ მდგომარეობაში მოთავსებული იყო საავადმყოფოში. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის მოთხოვნა. აპელაციაში მოწმის დაკითხვისას კანონში შესული ცვლილებით განისაზღვრა პირველ ინსტანციაში არსებითი განხილვისას მოწმის დაკითხვის განსხვავებული წესი. მოსამართლემ განმარტა, რომ უნდა გამოყენებულიყო ის წესები, რომელიც მოქმედებდა ამ საქმის პირველ ინსტანციაში განხილვის დროს, რომელტა შესაბამისად დაიკითხა კიდეც მოწმე.

შეაფასეთ სააპელაციო განხილვაში მოცემული მოწმის დაშვებისა და მისი დაკითხვის წესის კანონიერება!

კაზუსი N95

მოწმის ჩვენების თანახმად, მან გაიგონა მისთვის ორი უცნობი პირის საუბარი, რის შედეგადაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისი ერთერთი ნაცნობი პირი გადაადგილდებოდა უკანონო მფლობელობაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღით. ირიბი ჩვენების საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობით, პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა დასახელებული ნივთი. პროკურორმა დადგენილ ვადაში მიმართა მაგისტრატ მოსამართლეს გადაუდებლად ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობაზე. მოსამართლემ განმარტა, რომ არ არსებობდა ჩხრეკისათვის დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებითი სტანდარტი და საგამოძიებო მოქმედება უკანონოდ სცნო.

შეაფასეთ ამოღებული იარაღისა და აღნიშნული ირიბი ჩვენების დასაშვებობა!

კაზუსი N96

ი.ი.ს. საცხოვრებელი სახლის სარდაფიდან მოიპარეს ველოსიპედი. ფაქტი მალევე აღმოაჩინა დაზარალებულმა და აცნობა პოლიციას. გამომძიებელი შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა ექსპერტ კრიმინალისტებთან ერთად და აღებულ იქნა სარდაფის შესასვლელი კარიდან ხელის კვლები. აღებულ იქნა ასევე შემთხვევის ადგილზე გადანერწყვებული მასის ნიმუში. გამომძიებლის კითხვაზე, ხომარ ჰქონდა დაზარალებულს ვინმეზე ეჭვი, ამ უკანასკნელმა მიუთითა ერთერთ პირზე, რომელიც წინა დღით გარკვეულ ინტერესს იჩენდა დაკარგული ნივთის მიმართ. გამომძიებელისთვის ცნობილი გახდა, რომ ეს პირი იმყოფებოდა ახლო მდებარე ერთერთ ლუდის ბარში. გამომძიებელმა ამ პირისაგან ფარულად ექსპერტის მონაწილეობით მისთვის გამოცვლილი ლუდის კათხიდან აიღო ხელის ანაბეჭდები. მოცემული ნიმუშები ექსპერტიზის დასკვნით დაემთხვა შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ხელის კვლებს. აღნიშნულის საფუძველზე გამომძიებელმა გადაუდებელი ჩხრეკით ამ პირის საცხოვრებელი სახლიდან ამოიღო დასახელებული ნივთი. ჩატარდა ნივთის ამოცნობა და ამ პირისაგან აღებული ნერწყვის ნიმუშიც ექსპერტიზის შედეგად ასევე დაემთხვა შემთხვევის ადგილიდან აღებულ ნიმუშს.

შეაფასეთ ყველა მტკიცებულების დასაშვებობა და მათი საკმარისობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად!

კაზუსი N97

ა.ა.მ. ყაჩაღური თავდასხმით ერთ-ერთი კომპანიის მფლობელს წაართვა თან ქონებული ოქროს სამკაული და 10 ცალი ას დოლარიანი კუპიურა. გარდა ამისა იარაღის მუქარით აიძულა დაზარალებული დაერეკა ბიზნეს პარტნიორისთვის და ეთხოვა კონკრეტულ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა. დამნაშავე დაკავებულ იქნა ანგარიშიდან თანხის გამოტანისთანავე. დაკავებულის პირადი ჩხრეკით ამოღებულ იქნა განაღდებული თანხა, აღნიშნული ოქროს სამკაული და 10 ცალი ას დოლარიანი კუპიურა. პროკურორის მითითებით გამომძიე-

ბელმა ამოღებული თანხა და ნივთი შეინახა საბანკო დაწესებულებაში.

შეაფასეთ პროკურორის მითითების კანონიერება!

კაზუსი N98

მხარეებმა არსებითი განხილვის ეტაპზე, რეპლიკის წინ იშუამდგომლეს წინასასამართლო სხდომაზე დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებების უდაოდ ცნობის შესახებ, ასევე ზოგიერთი უკვე გამოკვლეული მტკიცებულების უდაოდ ცნობაზეც. მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა

შეაფასეთ განჩინების კანონიერება!

კაზუსი N99

გამოძიების სტადიაზე პროკურორმა დაცვის მხარის მოთხოვნის შესაბამისად გააცნო მათ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, რომლის სასამართლოში წარდგენასაც აპირებდნენ. ინფორმაცია გააცნო პროკურორს დაცვის მხარემაც. პარალელურად გამომძიებელი ატარებდა განმეორებით შემთხვევის ადგილის დათვალიერებას და აღმოჩენილი იქნა ორი ცალი მასრა. მტკიცებულებათა გაცვლაზეც და შემთხვევის ადგილის დათვალიერებაზეც შედგა შესაბამისი ოქმები. არსებითი განხილვის სხდომაზე მოსამართლემ მოცემული ოქმების შედარებისას აღმოაჩინა, რომ მტკიცებულებათა გაცვლის ოქმი დროში ჩამორჩებოდა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს. ჩათვალა, რომ გაცვლის დროისათვის უნდა ეცნობებინათ დაცვის მხარისათვის შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებაც და 83-ე მუხლის შესაბამისად მიიჩნია ეს დაუშვებლობის საფუძვლად. შესაბამისად აღარ გაიზიარა ეს საგამოძიებო მოქმედება და მისი შედეგები განაჩენის დადგენისას.

შეაფასეთ განაჩენის კანონიერება!

კაზუსი N100

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, მოწმის სახით დაკითხულ პირმა აღიარა მკვლელობის ჩადენა. ნი-

ნასასამართლო სხდომაზე მხარეები შეთანხმდნენ ჩვენების უდაოდ ცნობაზე. არსებითი განხილვის სხდომაზე დაცვის მხარემ წარმოადგინა ექსპერტის დასკვნა, რომლითაც ბრალდებულს დაქვეითებული ჰქონდა მხედველობა იმგვარად, რომ ვერ შეძლებდა იმ მანძილზე ობიექტის დანახვას და დამიზნებას, რასაც ასაბუთებდა ბრალდების მხარე საქმეში. ბრალდებული ასევე წინააღმდეგი იყო გამოქვეყნებულიყო მისი ჩვენება. მოსამართლემ ექსპერტის დასკვნა დაუშვა მტკიცებულებად, თუმცა უარყო მისი შემდგომი გამოყენება საქმეში იმ მოტივით, რომ ეწინააღმდეგებოდა პრეიუდიციულად დადგენილ ჩვენებას და განმარტა დამატებით, რომ ბრალდებულს არ ჰქონდა უფლება ეთქვა უარი პრეიუდიციულად დადგენილი ჩვენების გამოქვეყნებაზე. საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი ამ ჩვენების, ბრალდებულის გარდაცვლილთან წარსულში კომფლიქტისა და გამოყენებული იარაღის მის სახელზე რეგისტრაციის ფაქტების საფუძველზე.

შეაფასეთ ექსპერტის დასკვნის დასაშვებობის კანონიერება და დანარჩენი მტკიცებულებების საფუძველზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერება!

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის 20 თებერვალი
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისი
5. საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, 2018 წლის 21 ივლისი
6. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 2011 წლის 28 დეკემბერი
7. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, 1999 წლის 30 აპრილი
8. საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“ 2013 წლის 4 ოქტომბერი
9. საქართველოს იუსტიციის მინისტრის N181 ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი“ დამტკიცების თაობაზე, 2008 წლის 8 ოქტომბერი

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები:

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი
2. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 16 დეკემბერი
3. ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ, 1957 წლის 13 დეკემბერი
4. სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ კონვენცია, 1993 წლის 22 იანვარი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N2/2/1276; 25.12.2020
2. მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. N2/2/579. 31.07.2015
3. ემზარ პაქსაძე, თამარ სადრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. N1/20/1219,1236; 13.10.2013
4. ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. საქმე N1/4/557,571,576; 13.11.20146
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის ზ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. საქმე N3/1/608,609; 29.09.2015
6. ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" N1/1/548; 22.01.2015
7. ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ N2/12/1229, 1242, 1247, 1299, 14.12.2018
8. საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. N1/1/625,640; 14.04.2016

9. კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N1/1/1312; 21.03.2019
10. ვასილ საგანელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N2/12/1237; 24.10.2019
11. საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ N1/4/809; 14.12.2018
12. საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ N1/1/650,699; 27.01.2017
13. საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. N3/2/646; 15.09.2015
14. საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N3/1/574; 23.05.2014
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. N3/1/633,634; 13.04.2016
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. N3/1/608,609; 29.09.2015

საერთო სასამართლოების განჩინებები/განაჩენები

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებები/ განაჩენები

1. 2016 წლის 25 თებერვლის განჩინება N/663/16
2. 2015 წლის 20 ნოემბრის განჩინება N16/6553
3. 2015 წლის 03 ივნისის განჩინება N12/1938
4. 2015 წლის 21 მარტის განჩინება N12/952-15
5. 2015 წლის 09 იანვრის განჩინება N12/54-15
6. 2014 წლის 14 ნოემბრის განჩინება N312/6986-14
7. 2016 წლის 03 ივნისის განაჩენი N1/5212-15
8. 2016 წლის 05 აპრილის განაჩენი N1/4555-15
9. 2015 წლის 18 დეკემბრის განაჩენი N1/5528-15
10. 2015 წლის 24 სექტემბრის განაჩენი N1/3935-15
11. 2015 წლის 05 მაისის განაჩენი N1/6856-14

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინებები:

1. 2017 წლის 04 მაისის განჩინება N1გ/620-17
2. 2017 წლის 21 აპრილის განჩინება N1გ/566-17
3. 2017 წლის 22 მარტის განჩინება N1გ/407
4. 2017 წლის 22 მარტის განჩინება N1გ/404
5. 2017 წლის 21 მარტის განჩინება N1გ/386-17
6. 2017 წლის 01 მარტის განჩინება N1გ/293-17
7. 2017 წლის 25 იანვრის განჩინება N1გ/109
8. 2017 წლის 18 იანვრის განჩინება N1გ/79-17
9. 2017 წლის 13 იანვრის განჩინება N1გ/57-17
10. 2017 წლის 04 იანვრის განჩინება N1გ/ 13-17
11. 2016 წლის 07 დეკემბრის განჩინება N1გ/1853-16
12. 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება N1გ/1722-16
13. 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინება N1გ/1614-16

14. 2016 წლის 04 ოქტომბრის განჩინება N1გ/1537-16
15. 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება N1გ/1536-16
16. 2016 წლის 27 სექტემბრის განჩინება N1გ/1524-16
17. 2016 წლის 09 სექტემბრის განჩინება N1გ/1455-16
18. 2016 წლის 06 სექტემბრის განჩინება N1გ/1430
19. 2016 წლის 19 აგვისტოს განჩინება N1გ/1336-16
20. 2016 წლის 04 აგვისტოს განჩინება N1გ/1319
21. 2016 წლის 22 ივლისის განჩინება N1გ/1219-16
22. 2016 წლის 14 ივლისის განჩინება N1გ/1197
23. 2016 წლის 14 ივლისის განჩინება N1გ/1193
24. 2016 წლის 28 აპრილის განჩინება N1გ/788
25. 2016 წლის 22 აპრილის განჩინება N1გ/728-16
26. 2016 წლის 05 თებერვლის განჩინება N1გ/118
27. 2015 წლის 02 ნოემბრის განჩინება N1გ/1721-15
28. 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება N1გ/178-15
29. 2015 წლის 11 თებერვლის განჩინება N1გ/139
30. 2015 წლის 29 იანვრის განჩინება N1გ/98
31. 2015 წლის 28 იანვრის განჩინება N1გ-93-15
32. 2015 წლის 22 იანვრის განჩინება N1გ-63
33. 2015 წლის 16 იანვრის განჩინება N1გ-48
34. 2015 წლის 08 იანვრის განჩინება N1გ/19
35. 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება N1გ/1282
36. 2014 წლის 17 დეკემბრის განჩინება N1გ/1277-14
37. 2014 წლის 09დეკემბრის განჩინება N1გ/1248
38. 2014 წლის 09 დეკემბრის განჩინება N1გ/1244-14
39. 2014 წლის 05 დეკემბრის განჩინება N1გ/1234
40. 2014 წლის 05 აგვისტოს განჩინება N1გ/758
41. 2014 წლის 31 მაისის განჩინება N12/4106-14
42. 2013 წლის 22 დეკემბრის განჩინება N10ა/6915
43. 2013 წლის 01 ოქტომბრის განჩინება N31გ/626

44. 2013 წლის 19 სექტემბრის განჩინება N1გ/599
45. 2013 წლის 24 აგვისტოს განჩინება N1/გ-524
46. 2013 წლის 03 ივლისის განჩინება N1გ/405
47. 2013 წლის 05 ივნისის განჩინება N1გ-328
48. 2013 წლის 24 მაისის განჩინება N1გ-294

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები/განაჩენები:

1. 2017 წლის 07 მარტის განაჩენი N525 ააპ-16
2. 2017 წლის 25 იანვრის განაჩენი N497 ააპ-16 ც-ა მ-497 ააპ-16
3. 2016 წლის 19 მაისის განჩინება N2კ-609ააპ-15
4. 2015 წლის 30 ივნისის განაჩენი N2კ-14ააპ-15
5. 2015 წლის 24 ივნისის განაჩენი N43ააპ-15
6. 2015 წლის 05 მაისის განაჩენი N440ააპ-14
7. 2015 წლის 05 თებერვლის განაჩენი N149ააპ-14; N311ააპ-09; N175ააპ-09; N375ააპ-09
8. 2013 წლის 30 იანვრის განჩინება N3აგ-13

ლიტერატურა:

1. აბაშიძე გ., პროკურორი გამოძიების სტადიაზე, თბილისი, 2012
2. არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015
3. აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, თბილისი, 2011
4. ბეჟაშვილი ლ., საკანონმდებლო ტექნიკა, თბილისი 2012
5. ბოხაშვილი ი., აპელაცია სისხლის სამართლის პროცესში, მერიდიანი, თბილისი, 2004
6. გაბისონია ი., სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, მერიდიანი, თბილისი 2002

7. გაბისონია ი., აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2003
8. გვენეტაძე ნ., კვაჭაძე მ,. ნიკლაური-ლამიხი ე., გაბუნია მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია, უნივერსალი, თბილისი 2012
9. გვენეტაძე ნ., თუმანიშვილი გ., დვალიძე ი., კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, ბონა კაუზა, თბილისი, 2016
10. გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბილისი 2005
11. გიორგაძე გ., სახელმძღვანელო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაძლიერებული ტრენინგისათვის, მერიდიანი, თბილისი, 2012
12. გოგშელიძე რ (რედ.),სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, თბილისი, 2009
13. გოგშელიძე რ (რედ.), სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბილისი, 2008
14. გროზევი ი., ვიტკაუკასი დ,. ლევის-ენტონი ს., სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი) 2008
15. გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმინოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 2007
16. დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თარგმანი: ნინიძე თ., თბილისი 2010
17. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, ინგლ. თარგ.. წიქარიშვილი კ., თბილისი 2002
18. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი 2014
19. თუმანიშვილი გ., ბრალდებულის პირადი ჩხრეკა , მისი

სხეულიდან ნიმუშის აღება და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია, კრებულში: გურამ ნაჭყებია -75, მერიდიანი, თბილისი , 2016

20. იზორია ლ. (რედ.), საპოლიციო სამართალი, შსს აკადემია, თბილისი 2015
21. ინნკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2011
22. ლალიაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2015
23. ლობჟანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2003
24. მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., გაბისონია ი. (რედ), საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2013
25. მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., გაბისონია ი. (რედ), საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, (კერძო ნაწილი), თბილისი, 2013
26. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში; თბილისი, 2013
27. მონიავა პ., მამნიაშვილი მ., რევაზიშვილი ნ., გაბისონია ი., გელაშვილი ნ., საპროკურორო სამართალი, თბილისი, 2015
28. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2010
29. ოშხარელი მ., მტკიცების პროცესი და მისი ეტაპები თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში, დისერტაცია, თბილისი, 2010
30. პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, სამეცნიერო რედ: ნინიძე თ, თბილისი 1999
31. საპროცესო შეთანხმება საქართველოში, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, თბილისი, 2012
32. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის

ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., თბილისი 2005

33. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე , საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა შპს პეტიტი, თბილისი 2013
34. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი , ავტორთა კოლექტივი, გიორგაძე გ. (რედ), ამერიკის იურისტთა ასოციაცია , კანონის უზენაესობის ინიციატივა, თბილისი, 2015
35. სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015
36. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2009
37. ტურავა მ., საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები, მერიდიანი, თბილისი, 2015
38. ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, მერიდიანი, თბილისი 2013
39. ფაფიაშვილი ლ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა პირადი ჩხრეკისას მობილურ ტელეფონებთან მიმართებით, ჟურნალი, ,,საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ N8, ივლისი, 2015
40. ფაფიაშვილი ლ., ციფრული მტკიცებულების ამოღება : პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკმარისი თუ ილუზორული გარანტია? კრებულში- ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში (რედ. კორკელია კ.), თბილისი, 2014
41. ფაფიაშვილი ლ., თავისუფლების შემზღუდველი საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტები, ჟურნალი, ,,საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ N4, იანვარი, 2011

42. ფაფიაშვილი ლ. (რედ), აქუბარდია ი., გოგნიაშვილი ნ., თუმანიშვილი გ., მეურმიშვილი ბ., სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბილისი 2017
43. ჩიქობავა ა., (რედ) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986
44. ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძებნიაური გ., პატარიძე მ., მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ფონდი „ ღია საზოგადოება- საქართველო“, თბილისი, 2016
45. ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2010
46. ჯორბენაძე ო., პირადი ჩხრეკა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N3(22) 2009
47. ჭაბაშვილი მ,. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 1999
48. ხუბუა გ., სამართლის თეორია, მერიდიანი, თბილისი 2013
49. გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, საქართველოს პროკურატურისა და შსს თანამშრომელთა ერთობლივი სახელმძღვანელო, თბილისი, 2017
50. ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბილისი 2009

გიორგი მიქელაძე

დაიბადა 1989 წლის 28 ოქტომბერს დედოფლისწყაროში. 2007 წელს დაამთავრა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერის ქართული საჯარო სკოლა. 2008-2014 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. აქვს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი სისხლის სამართალში. ამჟამად არის გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი სისხლის სამართლის მიმართულებით. 2012-2013 წლებში მუშაობდა საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტში. 2015 წლიდან მუშაობს ხიჭაურის წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში. კითხულობს ლექციებს სისხლის სამართალსა და სისხლის საპროცესო სამართალში. არის აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს სისხლის სამართლის ადვოკატი. ჩაბარებული აქვს ადვოკატის, პროკურატურის, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს. ყავს მეუღლე და ერთი შვილი.



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75

ტელ: (+995 032)238 35 99; (+995)557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: Info@law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers